# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№30 (543) ◆ 25 – 31 ივლისი. 2005 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ექსკლუზიური ინტერვიუ ამერიკის ელჩთან

### „დიპლომატები მიდიან და მოდიან, ქვეყანა კი რჩება...“



...აშშ-ის მთავრობა ამ საკითხის მოგვარებაში დიდი ფულადი და ინტელექტუალური რესურსების ჩადებას აპირებს...

...ქართველები სულსწრაფი ხალხი ხართ, გინდათ, რომ რამდენიმე თვეში ყველა პრობლემა გადაიჭრას... გვ.3

...მსოფლიოში არსად, არასდროს არ უარსებია იდეალურ დემოკრატიას, ამისათვის აუცილებელია მუდმივი ბრძოლა...

### „რასაც მთაში ვნახულობთ, ვერასოდეს ნახავთ ბარში“





გელა ოთარაშვილი:

„ჩვენ ხომ ვერ ვთხოვდით, დარჩით და დაგვეხმარეთ, შველა გვჭირდება-თქო“

...კავშირი რომ გვქონოდა, არაფერიც არ მოხდებოდა...

...როგორც ჩანს, წონასწორობა ვერ დაიცვა ზალიკომ, გადაეკიდა და პირდაპირ ჩანჩქერის ქვეშ მოექცა. ვეძახდი, მაგრამ ვერ გავაგონე. მერე ჩავედი...

...გამუდმებით ვლოცულობდი. მართლა საოცარია ღვთის განგება, რომ არა მისი წყალობა, ვერაფერი მიხსნიდა.

...ჰოლანდიელები მაღალი კვალიფიკაციის მთამსვლელები არიან... ამ დროს თვითონ უნდა გადაწყვიტო როგორ მოიქცე...

ერთ-ერთი სანდრა რულოვსის ახლობელი იყო... გვ.6

### „კაცი ერთხან რომ არ ივარგებს, სხვაგან კი არ უნდა გადაიყვანო, უნდა მოხსნა“

პრიორიტეტების ძიებაში

გვ.7,13

„ვისაც „ბლატი“ ჰქონდა, ყველა რექტორი და აკადემიკოსი გახდა“

გამდიდრებაზე მეოცნებე ხალხი ქვეყანას ვერ ააშენებს

### ტერორისტი თუ შეურაცხადი



სამხედრო თემაზე:

აგენტის „დავერბოვკება“ მხოლოდ ფულით არ ხდება

ვინც ხელყუმბარის ჩაგდება დაგეგმა, არ სურდა, რომ ეს ხელყუმბარა აფეთქებულიყო... გვ.5

ის ფაქტი, რომ ეჭვმიტანილს ჩანთით თან ჰქონდა ავტომატი სათადარიგო მჭიდებით, მიუთითებს, რომ ის პატარა „ომისთვის“ უკვე მზად იყო... გვ.9

### საქართველოში ქართულ ძეგლებს გვედავებიან

„როგორც კი აქედან რუსული სამხედრო ბაზა გავა, ასეთ გვ.5,13 პროვოკაციებს ბოლო მოეღება“



„სეპარატისტული ამბიცია თამაშობს დიდ როლს“

თემის დასასრული გვ.33,34

### მოტყუვდა კაცი, რომელიც სხვას ატყუებდა ყოველთვის



...დათო სანიკიძესა და შევარდნაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დათო ძველი ბიჭი იყო, „იაპონჩიკის“ ძმაკაცი, მოსკოვში ცხოვრობდა. როდესაც შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგა, დათომ დაცვა უქირავა 7-8 „ვერზილა“, თავზეხელაღებული ხალხი და სადარბაზოში დაუყენა მცველებად. ეს ხალხი შევარდნაძის სილამაზით კი არ იყო მოხიბლული, მათ დათო უხდიდა დიდ ფულს(?!).

თქვენს გაზეთს მთელი საქართველო კითხულობს!

## პრეზიდენტის მადლობა სამართალდამცველებს

მეუღლესთან ერთად ჰოლანდიაში გატარებული რამდენიმედღიანი შვებულების შემდეგ პრეზიდენტი სააკაშვილი სამშობლოში დაბრუნდა და 10 მაისს თავისუფლების მოედანზე მომხდარი ინციდენტის გამოძიების გამო სამართალდამცველებს მადლობა გადაუხადა. პრეზიდენტის თქმით, ტერორიზმში ეჭვმიტანილი არუთინიანის დაკავებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ საქართველოში ძალიან კარგი სპეცსამსახურები შეიქმნა. ასევე იხვეწება და ტექნიკურად აღიჭურვება პოლიცია. ვაშლიჯვარში ჩატარებული წარმატებული ოპერაციის გამო შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის რობერტ მიულერისგანაც მიიღო მადლობა. მიულერმა აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტის გახსნას უპრეცედენტო შემთხვევა უწოდა.

## სომხეთის პრემიერი სამცხე-ჯავახეთში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამცხე-ჯავახეთს ესტუმრა, მან ბორჯომის №2 ჩამომსხმელი ქარხანა და მშენებარე პარკი დაათვალიერა, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში საზეიმოდ გაიხსნება.

პრემიერ-მინისტრი ადიგენის რაიონსაც ესტუმრა, სადაც ხეტყის გადამამუშავებელი საამქროები და აბასთუმნის ობსერვატორია დაათვალიერა. ნოღაიდელი რეგიონში ორ დღეს დარჩა და სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარგარიანს ჯავახეთში შეხვდა, სადაც სომეხმა მოსახლეობამ ცნობილი სომეხი პოეტის, ვაჰან ტერიანის 120 წლისთავი აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით ორი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სოფელ განძაში ტერიანის სახელობის სახლ-მუზეუმი, პრეზიდენტის ინიციატივით აშენებული სკოლა და ეკლესია დაათვალიერა. ასევე მოინახულეს რამდენიმე სომხური სოფელი, შეხვდნენ ახალქალაქისა და ნინოწმინდის მოსახლეობას და ვარძიის სამონასტრო კომპლექსი დაათვალიერეს.

## გაეროში აფხაზეთზე იმსჯელებენ

გაეროს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელი საქართველოში ჰაიდი ტალიავინი 27 ივლისს დაგეგმილ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად ნიუ-იორკში გაემგზავრა.

გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით მორიგი რეზოლუციის მიღება იგეგმება. რამდენიმე დღის წინ გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც იგი აფხაზურ მხარეს გალის რაიონში გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის ოფისის გახსნისა და სამშვიდობო ოპერაციაში გაეროს სამოქალაქო პოლიციის ოფიცრების დაშვებისკენ მოუწოდებს.

კოფი ანანი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის განახლების აუცილებელ პირობად ორივე მხარის მზადყოფნას მიიჩნევს და მხარეებს მოუწოდებს, დაასრულონ დაპირისპირება, რომელმაც 12 წლის წინ აფხაზეთიდან 300 ათასი დევნილის იძულებით გადაადგილება გამოიწვია. გენერალური მდივანი სასურველად მიიჩნევს, გაეროს 12-წლიანი სამშვიდობო მისიის კიდევ 6 თვით, ანუ 2006 წლის 31 დეკემბრამდე გაგრძელებას.

კოფი ანანი მოუწოდებს ორივე მხარეს, გამოიყენონ აფხაზეთის ირგვლივ საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ინტერესი, განაახლონ დიალოგი და მიაღწიონ შეთანხმებას პრიორიტეტულ სფეროებში.

## რუსეთის სპეცსამსახური გააქტიურდა

რუსეთის სპეცსამსახური დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში აგენტურის ჩანერგვას ცდილობს. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ცხინვალში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის 15-მდე წარმომადგენელი იმყოფება. იმავე წყაროს მტკიცებით, რუსეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლების მიზანი რეგიონის ქართულ სოფლებში აგენტურის მეშვეობით პროპაგანდისტული საქმიანობის გაშლაა, რის შედეგადაც, ხეობის მოსახლეობამ უარი უნდა თქვას საქართველოს მოქალაქეობაზე და რუსეთის მოქალაქეობა მიიღოს. გავრცელებული ინფორმაციით, სპეცსამსახურები იმ ქართველებსაც გამოიყენებენ, რომლებიც გარკვეული მიზეზის გამო დაპირისპირებული არიან ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ცხინვალში მყოფი მოსკოველი სტუმრები არც მალავენ, რომ მათი რეგიონში საქმიანობის შედეგად ჩიხში უნდა მოექცეს ქართულ-ოსური მოლაპარაკებები და ქართულ მხარეს არ მიეცეს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების მიერ 10-13 ივლისს ბათუმში მიღებული დეკლარაციის განხორციელების საშუალება.

იმავე წყაროს მტკიცებით, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ რუსეთის მოქალაქე, ეკონომისტი იური მოროზოვი, უშიშროების მინისტრად ანატოლი იაროვი, მანამდე კი თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებად ასევე რუსეთის მოქალაქეები ანატოლი ბარანკევიჩი და მიხეილ მინძაევი დაინიშნენ, დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ცხინვალში დამოუკიდებლად ვერც ერთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას ვერ იღებს.

## ევროკავშირი ქართველ უკანონო ემიგრანტებს აძევებს

ევროკავშირი ევროპაში უკანონოდ ემიგრირებული საქართველოს მოქალაქეების უკან დაბრუნებას ითხოვს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მსგავს მოთხოვნას ევროპის კავშირი სხვა ქვეყნებსაც უყენებს და ამგვარად, საქართველოს მოქალაქეებთან მიმართებაში რაიმე დისკრიმინაციას ადგილი არა აქვს. სალომე ზურაბიშვილს არსებული პრობლემების უახლოეს მომავალში მოგვარება თითქმის შეუძლებლად მიაჩნია. საგარეო უწყების ხელმძღვანელი ამის მიზეზად სახსრების უქონლობასა და საქართველოში არსებულ რთულ სოციალურ მდგომარეობას ასახელებს.

„ასობით ათასი უკანონო ემიგრანტის უკან მიღება საქართველოს არ შეუძლია“, — აცხადებს სალომე ზურაბიშვილი. მისი თქმით, აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში საქართველოს თავად ევროკავშირიც დაეხმაროს. საუბარია პირველ რიგში მატერიალურ და ფინანსურ დახმარებაზე, რათა დაბრუნებულების ყოფა სამშობლოში მეტ-ნაკლებად ასატანი გახდეს. ზურაბიშვილი დახმარებას საქართველოს მთავრობასაც სთხოვს. მინისტრის აზრით, საჭიროა სათანადო პროგრამებისა და გეგმის შემუშავება, რათა ევროპიდან უკანონო ემიგრანტების დაბრუნებამ ქვეყანას გადაულახავი პრობლემები არ შეუქმნას.

## საზოგადოებრივი ტელევიზიის დირექტორი ვერ აირჩიეს

საზოგადოებრივი მაუწყებლობა ისევ ახალი ხელმძღვანელის მოლოდინშია. სამეურვეო საბჭომ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის არჩევის თაობაზე ვერ მიიღო. ამ პოსტზე ხელახალი კონკურსი იწყება იმავე კრიტერიუმებითა და პირობებით. განცხადებების მიღების ბოლო ვადა 6 აგვისტომდეა.

სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებმა წარდგენილ ოთხ კანდიდატს — დოდო შონავას, დავით პაიჭაძეს, ლაშა ბაქრაძესა და ბადრი კოპლატაძეს შორის არჩევანი ვერც ერთზე ვერ შეაჩერეს და ამის მიზეზად ის გარემოებაც დასახელდა, რომ წარმოდგენილ კანდიდატებს არა აქვთ მართვის სათანადო გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ სამეურვეო საბჭოს წევრთა 2 ხმა მიიღო ერთ-ერთმა კანდიდატმა ბადრი კოპლატაძემ. მათ სხვა კანდიდატებისთვის ხმის მიცემაზე თავი შეიკავეს. საზოგადოებრივი ტელევიზიის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად კვლავ ზაზა შენგელია რჩება, რომელმაც მიმართა სამეთვალყურეო საბჭოს, გაეთავისუფლებინათ მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან, თუმცა სამეურვეო საბჭომ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

## არუთინიანს 3-თვიანი პატიმრობა შეუფარდეს

თავისუფლების მოედანზე 10 მაისს აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გამოსვლისას მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილ ვლადიმერ არუთინიანს აღკვეთის ღონისძიება — 3-თვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდეს.

ფაქტის გამოძიებაში ჩართულია ამერიკული მხარე. მათ ქართულ მხარეს სთხოვეს, რომ კომენტარები ნაკლებად გაკეთდეს.

ვლადიმერ არუთინიანს ბრალი წაუყენეს ორი მუხლით — განზრახ მკვლელობა და იარაღის უკანონო ტარება-გამოყენება. განზრახ მკვლელობა 10-დან 20 წლამდე, ასევე სამუდამო პატიმრობას ითვალისწინებს, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარება 5 წლამდე პატიმრობას. ჯერჯერობით არუთიანიანისთვის ტერორიზმის მცდელობაში ბრალი არ წაუყენებიათ.

www.interpressnews.com
უახლესი ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში
ნახე ეს საიტი!

## ოპოზიცია ვერ თანხმდება

შუალედურ არჩევნებამდე ოპოზიცია პრაიმერის (ანუ წინასწარი არჩევნების) ჩატარებაზე ვერ თანხმდება. პრაიმერის ჩატარებაზე უარი რესპუბლიკელებმა თქვეს, რადგან დავით უსუფაშვილი საერთო კანდიდატის გამოსავლენად სოციოლოგიურ გამოკვლევას ამჯობინებს.

პრაიმერის ჩატარების ინიციატორები კონსერვატორები იყვნენ და ამ საკითხებზე კონსულტაციები ახალი მემარჯვენეების ოფისშიც გაიმართა. დავით გამყრელიძე აცხადებს — ხელისუფლებას არ უნდა მივცეთ საშუალება, რომელიმე ჩვენგანი განხეთქილების ვაშლად გამოიყენოს. ერთი-ორი პარტიის გამოკლება ოპოზიციის თანამშრომლობას ხელს ვერ შეუშლისო.

ოპოზიციის ერთიანობის მომხრეა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. პრაიმერში მონაწილეობას არ მიიღებენ ეროვნულ-დემოკრატები, მათ უკვე წამოაყენეს საკუთარი კანდიდატი ისნის რაიონში, — გოგა გოგნიაშვილი, რომელიც ნაციონალ ბიძინა ბრეგაძეს დაუპირისპირდება.

## მონადირეთა საზოგადოებაში მილიონები დაიტაცეს?!

საქართველოს მონადირეთა საზოგადოების წევრები ამავე ორგანიზაციის პრეზიდენტის რეზო ჭიჭინაძის დასჯას მოითხოვენ და აცხადებენ, რომ ჭიჭინაძე 1992 წლიდან საზოგადოების ქონებას ანადგურებს.

როგორც მონადირეთა საზოგადოების წევრმა ირაკლი ჯაფარიძემ განაცხადა, მათი საზოგადოება საკმაოდ სოლიდურ ქონებას ფლობდა, თუმცა რეზო ჭიჭინაძის მოსვლის შემდეგ ეს ქონება გაიყიდა: „რეზო ჭიჭინაძემ კვმ 2 ლარად გაყიდა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე მდებარე მონადირეთა ათოთახიანი ოფისი ფიჭვნარიანი შემოგარენით, ქარხანა „მონკავშირი“ უნიკალური იაპონური დანადგარებით, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება (ტერიტორიის საერთო ფართი 50 000 კვმ-ს შეადგენს). რეზო ჭიჭინაძემ საზოგადოებას მილიონობით ლარის ზარალი მიაყენა!“

როგორც ჯაფარიძე აცხადებს, მონადირეთა საზოგადოების წევრებმა არაერთხელ მიმართეს გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს, რომელმაც საქმის გამოძიება ფინანსურ პოლიციას დაავალა, თუმცა რეზო ჭიჭინაძეს უთქვამს, „კრიშა“ მყავს და ვერაფერს დამიშავებთო...

## მოლაშვილის პროცესი — პოლიტიკური ანგარიშსწორება?!

თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი თეა თუთბერიძე კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სასამართლო პროცესს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს და პატიმრის უფლებების უხეშ დარღვევაზეც ლაპარაკობს.

„მოლაშვილის დაპატიმრება ბრალდებით, თანამშრომლებს პრემიები უკანონოდ დაურიგეო, სასაცილოა მაშინ, როდესაც ძველი ხელისუფლების კორუმპირებული თანამშრომლები თავს მშვენივრად გრძნობენ“, — აცხადებს თეა თუთბერიძე და დასძენს, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ოჯახზე ზეწოლა ხდებაო. „მოლაშვილის წამების ფაქტს ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა. მის ოჯახს ემუქრებიან, უგზავნიან ხალხს და გარიგებებს სთავაზობენ“, — აცხადებს თუთბერიძე.

## კვების პროდუქტებში უცხო სხეულები მომრავლდა

ღამურიანი პურის ელდა განელებული არ გვქონდა, როდესაც გორიდან ახალი ცნობა მოვიდა — ნაყინში თაგვის თავი იპოვნესო. გორელებს არც კასპელები ჩამორჩნენ და პურში ქსოვილის ნაჭერი „შეაყოლეს“.

კასპელი თამრიკო შოშიაშვილი ამბობს, — დილით ჩვეულებრივად ვიყიდე მაღაზიაში პური, ბავშვებს საუზმისთვის დავუჭერი და შიგ დაახლოებით 5 სმ სიგრძის ქსოვილის ნაჭერი აღმოვაჩინე. ამის შემდეგ ბავშვები პურს ველარ ეკარებიანო.

თაგვიანი ნაყინისა და ნაჭრიანი პურის მწარმოებლები თავს იმართლებენ — კონკურენტები ცდილობენ ჩვენს ჩაძირვას, სახელს გვიტეხენ, თორემ ყველაფერს სანიტარიული ნორმების დაცვით ვამზადებთო.

## „არუთინიანი მარტოხელა ტერორისტია“

სანამ მედიკოსები ვლადიმერ არუთინიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას იკვლევენ, დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი ავთანდილ იოსელიანი საგულისხმო კომენტარს აკეთებს. იოსელიანის თქმით, — „არუთინიანი უცხო ქვეყნის აგენტი რომ ყოფილიყო, დაინტერესებული ქვეყნის სპეცსამსახურები აუცილებლად იზრუნებდნენ საქართველოდან მის გაყვანაზე. ის უფრო ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს ჰგავს, რომელშიც დროდადრო დესტრუქციული ენერგია იფეთქებს. დაკავებული მარტოხელა ტერორისტია, თუმცა შესაძლოა ჰყავდეს მეგობრებიც“. ავთანდილ იოსელიანი მიიჩნევს, რომ ვაშლიჯვარის ოპერაციის უკეთ დაგეგმვა შეიძლებოდა, — არუთინიანი ჯერ არ უნდა დაეკავებინათ. მიზანშეწონილი იქნებოდა შეესწავლათ ეჭვმიტანილის კავშირები, მისი ხასიათი და მოქმედების სტილი, ასე ალბათ მსხვერპლსაც აიცილებდნენ თავიდან.

## ბაღაფშის ავანტიურა

ქართული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, აფხაზეთში იმ სახლების აღწერა იწყება, სადაც ბოლო 10 წლის განმავლობაში არავინ ცხოვრობდა. დე ფაქტო რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის განკარგულება უკვე გაეგზავნა აფხაზეთის ყველა რეგიონს. სახლების აღწერა 1-ელი ოქტომბრისთვის უნდა დასრულდეს, რის შემდეგაც მათ აუქციონზე საჯაროდ გაყიდიან. ეს ძირითადად ის სახლებია, რომელიც ქართველმა მოსახლეობამ აფხაზეთის ომის დროს დატოვა.

ბაღაფშის განკარგულებითვე აღწერა არ შეეხება რუსულენოვანი მოსახლეობის კუთვნილ შენობებს. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერის ალექსანდრ ანქვაბის განცხადებით, ქართული სააგენტოების მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია ტყუილია. ის ირწმუნება, რომ მსგავსი განკარგულება ბაღაფშს არ გამოუცია.

## ტყე-პარკები ნადგურდება

მთაწმინდის ტყე-პარკში ცეცხლი ერთდროულად რამდენიმე ადგილას გაჩნდა. ხანძრის ჩასაქრობად 8 სახანძრო მანქანასთან ერთად, შსს-ს საგანგებო სიტუაციათა სამსახურიც იყო მობილიზებული. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარმა 8 ჰექტარი ფართობი გაანადგურა.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გიორგი პაპუაშვილის განცხადებით, ხანძარი შეიძლება გამოეწვია ძლიერ სიცხეს, თუმცა ცეცხლის გაჩენის მიზეზებზე მოკვლევა მაინც ჩატარდება.

ხანძარი გაჩნდა ბაგებში, ზურაბ წერეთლის სახელოსნოს სიახლოვესაც. როგორც ქალაქის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის უფროსი გიორგაძე აცხადებს, წინასწარი ინფორმაციით, ცეცხლის განგებ წაკიდებას ჰქონდა ადგილი — ვიღაცას აქ მშენებლობის წამოწყება უნდა და მწვანე საფარს შეგნებულად ანადგურებსო.

## ავარია ენერგოსისტემაში

იმერეთისა და ქართლი-2-ის მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებზე მომხდარი ავარიის გამო ქვეყნის ენერგომომარაგების პარალიზება მოხდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში მუშაობა შეწყვიტა მეტროპოლიტენმა. საქართველოს ელექტროსისტემის ინფორმაციით, მაღალი ძაბვის ხაზებზე კონტროლს კომპანია „საქრუსენერგო“ ახორციელებს და ავარიის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. „საქრუსენერგოს“ ხელმძღვანელობა კომენტარისაგან თავს იკავებს: ავარიის გამო რამდენიმე საათის განმავლობაში დენი არც სასიცოცხლო ობიექტებს მიეწოდებოდა.




## მსოფლიოს ტერაქტების ტალღამ გადაუარა

88 დაღუპული, 200-ზე მეტი დაშავებული და თითქმის დანგრეული სასტუმროები, ასეთია ეგვიპტის საკურორტო ქალაქ შარამ-შეიხში მომხდარი ტერაქტების შედეგი. დაღუპულთა და დაშავებულთა შორის ქართველები არ აღმოჩნდნენ (ამ დროს ეგვიპტის ამ ქალაქში 6 ქართველი ტურისტი იმყოფებოდა, 15 ქართველი კი სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობს იქ). ეგვიპტის ტერაქტებში 8 ბრიტანელი და 1 რუსეთის მოქალაქე დაშავდნენ. დაზარალდნენ უკრაინის, იტალიის, ჰოლანდიის, გერმანიისა და ესპანეთის მოქალაქეები.

პასუხისმგებლობა მომხდარზე ალ-ქაიდასთან დაკავშირებულმა ორმა ორგანიზაციამ აიღო.

აფეთქება მოხდა სტამბოლის ცენტრშიც. ასაფეთქებელი მოწყობილობა ყავახანაში ამოქმედდა — დაშავებული სამი ადამიანი ნიდერლანდების მოქალაქეა. ექსპერტების განცხადებით, ბომბი საათის მექანიზმით ააფეთქეს. მომხდარზე პასუხისმგებლობა, ალ-ქაიდას დაჯგუფების ადგილობრივმა ორგანიზაციამ უკვე აიღო.

აფეთქება მოხდა დაღესტანშიც, ელექტრომატარებელში, რომელიც მახაჭკალიდან გამოვიდა. ბომბი მატარებლის 1-ელი ვაგონის ქვეშ აფეთქდა, თუმც მატარებელი ლიანდაგიდან არ გადასულა. დაიღუპა 1 და დაშავდა 6 ადამიანი. მნიშვნელოვნად დაზიანდა რკინიგზის რელსები.

ეგვიპტის საკურორტო ზონაში მომხდარმა ტერაქტების სერიამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ტერორისტების ახალი სტრატეგია თანდათან ძალას იკრებს — ისინი ეცდებიან, გამოჩნდნენ ყველგან, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, რათა მათთვის სასურველი სახელმწიფოს ხელისუფლებაზე გავლენა მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინებით მოახდინონ. როგორც ჩანს, ტერორისტული ქსელის ავტონომიურ რეჟიმში გადაყვანა ალ-ქაიდამ მას მერე გადაწყვიტა, რაც 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ შეერთებული შტატების თაოსნობით ევროამერიკულმა გაერთიანებულმა სარდლობამ მსოფლიო ტერორიზმის სავარაუდო ცენტრებზე მასირებული შეტევა განახორციელა — ჯერ ავღანეთში, შემდეგ კი ერაყში. ალბათ, სტრატეგიას ანტიტერორისტული ალიანსიც გადახედავს, თუმცა მთელ მსოფლიოში მეტასტაზებად გაშლილი, დამოუკიდებლად მოქმედი ფანატიზმის აღკვეთა საკმაოდ ძნელი იქნება. საზოგადოებაში გავრცელებული ავისმომასწავებელი პროგნოზების მიუხედავად, საქართველოს საფრთხე საერთაშორისო ტერორისგან ალბათ, ნაკლებად ემუქრება — არა იმიტომ, რომ ბრიტანეთზე ან ეგვიპტეზე უკეთესი დაზვერვა გვყავს. უბრალოდ, საქართველოში მოხალისე კამიკაძე-ტერორისტების მოძებნა გაძნელდება, რაც შეეხება ჩვენს სპეცსამსახურებს, მიუხედავად ტყუდ გამოცხადებულ სკვერში პანიკური სირბილისა, სადაც ბევრი „არამკითხე მოამბეც" დასეირნობდა, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ საქართველოში სპეცსამსახურებიც პრაქტიკულად, თავიდან ყალიბდება. ჯორჯ ბუშის გამგზავრებიდან საკმაოდ მცირე დროში მასზე თავდასხმაში ეჭვმიტანილის პოვნა (მიუხედავად ლაფსუსებისა), თუნდაც იმავე ამერიკული სპეცსამსახურების დახმარებით, არცთუ ურიგო ამბავი უნდა იყოს, რასაც ამერიკის საელჩოც დადებითად აფასებს: *„აშშ-ის საელჩო მიესალმება 2005 წლის 10 მაისს თავისუფლების მოედანზე პრეზიდენტ ბუშის გამოსვლის დროს ხალხში ხელყუმბარის სროლაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ფაქტს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ აშშ-ის ფედერალურ საგამოძიებო ბიუროსთან თანამშრომლობით, გულმოდგინე გამოძიებითა და საქმისადმი თავდადების წყალობით შეძლო ეჭვმიტანილის დაკავება. აშშ-ის მთავრობა აფასებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაწეულ მძიმე შრომას, ისევე როგორც ქართველ სამართალდამცველთა სიმამაცესა და თავდადებას. ეჭვმიტანილის დაკავების პროცესში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიღუპა შინაგან საქმეთა სამინისტროს მამაცი ოფიცერი ზურაბ ქვლივიძე. ჩვენ პატივს მივაგებთ მის ხსოვნასა და თავგანწირვას და გულწრფელ თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახსა და მეგობრებს".*

შესაძლებელია, მავანთ პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური თუ სხვა მოტივაციიდან გამომდინარე, ამერიკასთან საქართველოს მეგობრობაზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. მაგრამ ფაქტი, ფაქტად რჩება — უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველომ თავისი ბედი სწორედ ამ ერთადერთ ზესახელმწიფოს დაუკავშირა. ამ ურთიერთობას ათასგვარი სახელი შეიძლება დაერქვას — „პატრონაჟით" დაწყებული და „სტრატეგიული პარტნიორობით" დამთავრებული. როგორც დღევანდელი გადასახედიდან ჩანს, საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში ქართული არმიის, ეკონომიკის ან, უბრალოდ, საზოგადოების განვითარებისთვის იმდენი ჯერ არც მტრად მოსულ მოყვარეს გაუკეთებია და არც მოყვრად მოსულ მოყვარეს (თუ, საერთოდ, ასეთი გვყოლია...), რამდენიც ამერიკამ გააკეთა. შესაძლოა, მავანმა თქვას, რომ „მწვანე დოლარების" სანაცვლოდ კულტურული და რელიგიური ექსპანსია გვემუქრება. ასეც რომ იყოს, დოლარი ჯალალედინის ხმლისგან იმით განსხვავდება, რომ რწმენის შეუცვლელობის შემთხვევაში მეტეხის ხიდზე თავის მოჭრით არავინ დაგემუქრებათ. ხმლისგან დაცვას ფიზიკური წინააღმდეგობა სჭირდება, ფულისგან დაცვას კი სულიერი. ქართველებს პირველი ყოველთვის გვაკლდა, მეორეთი კი მომხდურსაც და მოყვარესაც ერთნაირად ვაოცებდით. მაშინ, საგანგაშო რა უნდა იყოს? დღევანდელი მსოფლიო უძველეს, მაგრამ გადაშენებულ ერებსაც იცნობს და უძველეს, მაგრამ გამათხოვრებულ ერებსაც — ესეც სიკვდილის ტოლფასი უნდა იყოს... ბრძენს კი უთქვამს — თუ ერმა თავი არ მოიკლა, მას ვერაფერი მოკლავსო...

მახსოვს, უცხოეთში ყოფნისას ერთმა ჭარმაგმა დიპლომატმა მითხრა — ერთი შეხედვით ნებისმიერ ქვეყანაში მეორე ქვეყნის გავლენა საელჩოს შენობის მასშტაბებით იზომებაო... ჯერჯერობით თბილისში ყველაზე დიდი შენობა რუსეთის საელჩოს აქვს. თუმცა, როგორც ამერიკის საელჩოში მითხრეს, რამდენიმე თვეში შეერთებული შტატების დიპლომატიური კორპუსი ახალ ელჩთან ერთად, ახალ, საკმაოდ გრანდიოზულ შენობაში გადავა. შესაბამისად, სხვა ფაზაში გადავა საქართველო-ამერიკის ურთიერთობაც, რადგან ჯონ ტეფტის, რომელსაც საქართველოში ელჩობისთვის ამზადებენ, თავისი წინამორბედის მსგავსად, საკუთარი, „ვიწრო დიპლომატიური" სპეციალიზაცია აქვს — ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია. მანამდე კი, „საგანგებო სიტუაციათა" ელჩი, რიჩარდ მაილსი უფლებამოსილებათა გადაბარებას ძველ საელჩოში ელის. მასთან ინტერვიუ „კვირის პალიტრას" ამ ორიოდე წლის წინ ჰქონდა — ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. მაშინ ბატონი ელჩი დაგვეთანხმა, რომ ათწლიანი სახელმწიფოებრიობის ფონზეც კი ქვეყანაში უამრავი პრობლემა იყო — იქნებოდა ეს დემოკრატიის შეზღუდვა, კორუფცია თუ ზოგადად, ადამიანის უფლებების დაცვა.

რას ფიქრობს დღეს ქართული პოლიტიკის თავისებურებებზე; არის თუ არა კმაყოფილი ვარდების რევოლუციის შედეგებით; რაში მდგომარეობს დიპლომატის „ნოუ-ჰაუ"; რა გეგმა არსებობს აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით — ამ და სხვა, ქართული საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხების გარკვევას **რიჩარდ მაილსთან** ექსკლუზიურ ინტერვიუში შევეცადეთ:

**— თქვენი დიპლომატიური მოღვაწეობა საქართველოში საკმაოდ რთულ პოლიტიკურ კატაკლიზმებს დაემთხვა. როგორ ახერხებდით, ხელი შეგეწყოთ**

# „მსოფლიოში არსად არ არსებობს იდეალური დემოკრატია"



## დიპლომატები მიდიან და მოდიან, ქვეყანა კი რჩება

### საქართველოდან გამგზავრებამდე კიდევ ერთხელ ჩავალ სოხუმში

**დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის ისე, რომ დიპლომატისთვის აუცილებელი ნეიტრალური პოზიციაც შეგენარჩუნებინათ? იმავდროულად, დიდი წვლილი მიგიძღვით რევოლუციის დროს მხარეთა შორის ურთიერთობის მშვიდობიანი დარეგულირებაში...**

— თქვენი შეკითხვა საკმაოდ რთულია. ისევე, როდესაც მხატვარს ეკითხებიან, თუ როგორ მიმდინარეობს უშუალოდ ტილოს ხატვის პროცესი. ამიტომ მასზე რომ გიპასუხოთ, ერთგვარად, დიპლომატის „ნოუ-ჰაუზეც" მომიწევს საუბარი... რასაკვირველია, დიპლომატს აქტიურობა მართებს, თუმცა მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ის თავისი სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წარმომადგენელია იმ ქვეყნის ხელმძღვანელობასთან, სადაც მუშაობს. აქედან გამომდინარე, თუ აქტიურობითა და ქმედებით ხელს უშლის და მიუღებელი ხდება ადგილობრივი სახელმწიფოსთვის, მაშინ დიპლომატიური მისიაც ჩავარდნილია. დიპლომატის ხელოვნებაც სწორედ ამაში მდგომარეობს. მან საკუთარი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა რეგულარულად უნდა ჩააყენოს საქმის კურსში, თუ რა პროცესები მიმდინარეობს მისდამი დიპლომატიურად უფლებამოსილ ქვეყანაში. ამის შესახებ ამომწურავი და ობიექტური ინფორმაციის ფლობას კი კომუნიკაცია, მუდმივი ურთიერთობა სჭირდება როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ისე ოპოზიციასთან, მედიასთან და არასამთავრობო სექტორთან, ან გნებავთ, უბრალო ადამიანებთან. დიპლომატიური პრაქტიკის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი გახლავთ ის, რომ ოპოზიციასთან ურთიერთობით ადგილობრივი ხელისუფლების გაღიზიანება არ გამოიწვიოთ. თუმცა, როგორც წესი, როდესაც ელჩი ოპოზიციური პარტიის ლიდერს ხვდება, ხელისუფლებისთვის უკვე ეს ფაქტიც არასასიამოვნოა ხოლმე... ისევე როგორც ექიმმა, დიპლომატმაც ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ კარგის გაკეთების სურვილით არ ავნოს — დიპლომატები მიდიან და მოდიან, ქვეყანა და მისი ხალხი კი რჩება და განაგრძობს ცხოვრებას იმ ცხოვრებით, რომლის განვითარებაში გარკვეული, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანეთ. მიუხედავად ამისა, მაინც ერთს ვიტყვი: მხოლოდ და მხოლოდ ხალხია პასუხისმგებელი იმაზე, როგორი მთავრობაც ჰყავს, როგორ პირობებშიც და როგორი კანონებითაც ცხოვრობს. რადგან მთავრობა, რომელიც მის ცხოვრებას წარმართავს, საბოლოო ჯამში, მხოლოდ მისდამია ანგარიშვალდებული.

**— თქვენ პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპაში დიპლომატიური მოღვაწეობის დიდი გამოცდილება გაქვთ. ამავდროულად კარგად იცნობთ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტსაც — თუ აქვს რაიმე განმასხვავებელი ნიშანი თუ თავისებურება ქართულ პოლიტიკას?**

— თითოეული ქვეყანა, სადაც მე მიმსახურია, პოლიტიკური განვითარების საკუთარ დონეზე იყო. ამ ქვეყნებში განსხვავებულად არის განვითარებული ეკონომიკაც. ამდენად, თითოეული მათგანი თავისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტებით განუმეორებელია. რაც შეეხება საქართველოს — მას აქვს ერთი საკმაოდ სერიოზული განმასხვავებელი ნიშანი და იგი ტერიტორიულ მთლიანობაში მდგომარეობს. დღეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორია თბილისის კონტროლს არ ემორჩილება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს საკითხი მსოფლიო თანამეგობრობის თვალთახედვის ქვეშ არის მოქცეული. გაერო, ეუთო და სხვა საერთაშორისო სტრუქტურები ამ კონფლიქტის გადაჭრაზე აქტიურად მუშაობენ. საქართველოში კონფლიქტური რეგიონების შემორიგება ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესსაც წარმოადგენს...

**— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედებები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტური ვითარების მოწესრიგების მიზნით მართლაც მნიშვნელოვანი იყო. თუმცა, სამწუხაროდ, ეს აქტივობა სხვადასხვა ფორმატში გამართულ უშედეგო შეხვედრებს და ასევე უშედეგო რეზოლუციებს არ გასცდენია. როგორც ელჩი, როგორ ხედავთ ვაშინგტონის როლს ამ კონფლიქტის მოგვარების საქმეში?**

— საქართველოში ჩემი ელჩად მოღვაწეობის დროს აფხაზეთში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი: მათ შორის, სოხუმში ვიყავი ორჯერ, რაც იქ არჩევნები ჩატარდა და ბატონ ბაღაფშს ორივეჯერ შევხვდი. საქართველოდან გამგზავრებამდე მე კიდევ ერთხელ ჩავალ სოხუმში — ვნახავ, იქ რა სიტუაციაა და დავემშვიდობები კიდეც. უნდა გითხრათ, ამჟამად უფრო მეტი ოპტიმიზმით ვუყურებ აფხაზეთთან კონფლიქტის მოგვარებას, იმ პერიოდთან შედარებით, როცა იქ სხვა ხელმძღვანელობა იყო. როგორც ჩანს, ბაღაფში და მისი გუნდი უფრო მეტად პრაგმატულები არიან, ვიდრე იდეოლოგიურები. თუმცა, ძალიან დიდი შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ პრობლემა ადვილად მოსაგვარებელია. მოლაპარაკებები ძალიან დიდი გაჭირვებით ვითარდება და ეს, ალბათ საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნება — მაგრამ არა შეუძლებელი, რადგან ომის შედეგები ქართველებსაც ახსოვთ და აფხაზებსაც. იცით, ერთ-ერთი, რაზეც საქართველოდან წასვლის წინ ძალიან სერიოზულად მწყდება გული, ის არის, რომ აფხაზეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესში ძირეული ცვლილების მიღწევა ვერ მოხერხდა...

**— არაერთხელ აღინიშნა, რომ აფხაზებთან და ოსებთანაც ქართველები საერთო ენას დიდი ხნის წინ გამონახავდნენ, რომ არა მესამე ძალის ფაქტორი. რუსეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები ხშირად არცთუ დადებით გავლენას ახდენენ კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესზე. მცირე ხნის წინ კი რუსეთის პრეზიდენტის ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე პუტინმა აფხაზეთი კოსოვოს შეადარა — თუ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ გვიკვირს, არც აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა გაგვიკვირდესო...**

— მე ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ვარ და როგორც დიპლომატმა, უხერხული იქნება, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკაზე ვისაუბრო. ერთი კი შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთი იყო და რჩება გაეროსთან არსებული საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის წევრი. გეტყვით იმასაც, რომ კონკრეტულად, აფხაზეთის თემაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არაერთხელ ჰქონდა საუბარი რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან. ალბათ, გახსოვთ, რომ პრეზიდენტმა პუტინმა პირადად, პრეზიდენტ ბუშის თანდასწრებით, კიდევ ერთხელ საჯაროდ აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუვალობა და ისიც თქვა, რომ ყველაფერს იღონებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ მართლაც არსებობს მიმართულებები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთის როლი ამ კონფლიქტში პოზიტიურად შეიძლება იქნას გამოყენებული. ამას მხოლოდ იმისთვის კი არ გეუბნებით, რომ კულტურული ფორმა შევინარჩუნო და დიპლომატიური ეტიკეტი არ დავარღვიო. ცხრა წელი ვცხოვრობდი რუსეთში — მოსკოვშიც, ლენინგრადშიც, შემდეგ უკვე პეტერბურგში... ზოგადად, მიმაჩნია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის კარგი ურთიერთობები გაცილებით უფრო დადებით შედეგს მოიტანს, ვიდრე ცუდი. სამწუხაროდ, ამაზე მეტის თქმა ჩემი მხრიდან ამჯერად მიზანშეწონილი არ იქნება...

**— რამდენად რეალური შეიძლება იყოს საქართველოში ახალი კონფლიქტური კერების გაჩენის შესაძლებლობა — ვგულისხმობ ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზის გაყვანის შემდეგ ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობის შესაძლო გართულებას...**

— აქ რამდენიმე მომენტია. პირველი ის გახლავთ, რომ ამჟამად იქ მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზა ადგილობრივ მოსახლეობას რატომღაც საკუთარი სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტად მიაჩნია. ვფიქრობ, რომ ეს გადაჭარბებული და გაზვიადებული წარმოდგენაა. მაგრამ ის არსებობს — საქართველოს მთავრობამ იცის ამის შესახებ და მის მოგვარებაზეც მუშაობს. მეორე მომენტი ეკონომიკური ფაქტორი გახლავთ. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი სწორედ ამ ბაზაშია დასაქმებული და საკუთარ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ფიქრობს. ამის შესახებ იცის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ და ზრუნავს კიდეც მის მოგვარებაზე — ამერიკის რამდენიმე სახელმწიფო უწყება რეგიონში უკვე ჩასულია — მათ შორის, აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და აშშ-ის განვითარების სააგენტო. მათი წარმომადგენლები ყველანაირად იზრუნებენ იმაზე, რომ რუსული ბაზის გასვლის შემდეგ ახალქალაქის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა არა თუ არ გაუარესდეს, არამედ, გაუმჯობესდეს კიდეც. დარწმუნებული ვარ, რომ ამ შედეგს მიაღწევენ, რადგან შეერთებული შტატების მთავრობა ამ საკითხის მოგვარებაში დიდი ფულადი და ინტელექტუალური რესურსების ჩადებას აპირებს. ამ რეგიონზე სერიოზული დახმარება იქნება გათვალისწინებული. გარდა ამისა, ქართველების დასაქმებისა და ეკონომიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით ბევრი რამ არის გათვალისწინებული ბაქო-ჯეიჰანის პროექტშიც. როდესაც ვამბობ „ქართველები", ამ სიტყვაში მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს კი არ ვგულისხმობ, არამედ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების მოქალაქეს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალქალაქის რეგიონში თბილისთან დამაკავშირებელი გზის მშენებლობასაც, რაც თავისთავად გამოაცოცხლებს ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობას და ინტეგრაციასაც ხელს შეუწყობს. ეს არის ამ საკითხის მოგვარების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი.

**— რევოლუციის შემდგომ საქართველოში დემოკრატიასა და საჯაროობასთან დაკავშირებით მრავალი პრობლემა გადაიჭრა, თუმცა მრავალი კითხვის ნიშანი კვლავ ღიად რჩება. ეს ყოველივე როგორ ჩანს თქვენი გადასახედიდან?**

— ქართველები სულსწრაფი ხალხი ხართ, გინდათ, რომ რამდენიმე თვეში ყველა პრობლემა გადაიჭრას. ერთდროულად, კორუფციასთან ბრძოლაც იყოს და სამუშაო ადგილებიც შეიქმნას, გამოსწორდეს ეკონომიკური სიტუაცია. ვფიქრობ, კარგიც არის, როდესაც ამ მოუთმენლობას პრეზიდენტი სააკაშვილი იჩენს და შეუპოვრად იბრძვის ამ საკითხების მოგვარებისთვის. რაც შეეხება იმ ადამიანების გამოთქმებს, რომლებიც კრიტიკულად არიან განწყობილი ახალი ხელისუფლების მიმართ და ამბობენ, რომ რაღაც არ გაკეთდა ან გაკეთდა და არასწორად. მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოში არსად არასდროს არ უარსებია იდეალურ დემოკრატიას. აუცილებელია მუდმივი ბრძოლა, რომ საზოგადოება საერთაშორისო სტანდარტების დონემდე მივიდეს. ვფიქრობ, თითოეული მოქალაქე უნდა მონაწილეობდეს ამ ბრძოლაში.

მე პირადად 68 წლის გახლავართ, ჩემი მეუღლე 65 წლის არის. რამდენიმე კვირაში დავამთავრებ დიპლომატიურ მოღვაწეობას და ჩვენ ამერიკაში გავემგზავრებით. იქ კი კვლავაც ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ ამერიკა უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე დღეს არის. ვფიქრობ, მთელი საზოგადოება ასე უნდა იყოს.

**— რითი აპირებს ცხოვრებას და თავის რჩენას მაილსების ოჯახი პენსიაზე გასვლის შემდეგ?**

— საბედნიეროდ, ამერიკული პენსიები ცოტათი უფრო მაღალია, ვიდრე ქართული და მე ამით შემიძლია ვიცხოვრო. ამჟამად ორი მიზანი მაქვს — პირველი ის გახლავთ, რომ აღარ მსურს ცხრიდან ექვს საათამდე მუშაობა. მეორე — მსურს, შემოვიაროთ მსოფლიოს ის ადგილები, სადაც არ ვყოფილვართ... არის სხვა გეგმებიც, რისთვისაც ადრე დროის დათმობა არ შემეძლო. მაგალითად, მინდა ლათინური ენის შესწავლა. მე და ჩემს მეუღლეს გვსურს, მცირე ფერმა შევიძინოთ. თავადაც ფერმაში ვარ გაზრდილი და ამაზე ხშირად მიოცნებია. ვიქნები საზოგადოებრივ ასპარეზზეც — მაქვს წინადადება ქენანის ცენტრიდან, სადაც მრჩეველთა საბჭოს ვუხელმძღვანელებ. ეს ცენტრი გამოჰყოფს სტიპენდიებს აღმოსავლეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენლებისთვის. საბჭო, რომელსაც ვუხელმძღვანელებ, სწორედ სტიპენდიების გაცემის საკითხს გადაწყვეტს. ეს არ იქნება „სრულშტატიანი" სამსახური, რადგან საბჭოს წევრები წელიწადში სულ რამდენიმე დღით იკრიბებიან ხოლმე...

***დაჩი გრძელიშვილი***

# ...გზა როდია ასე იოლი



გარდაიცვალა მიხეილ ქვლივიძე, პოეტი, რომლის ლექსები საქართველოში მაშინ შეიყვარეს, როცა თბილისის ქუჩებში მეფესავით დადიოდა გალაკტიონი... ეს კი იოლი არ იყო... ლექსები, რომლებსაც არ უბეჭდავდნენ, ხელნაწერებად ვრცელდებოდა და კითხულობდნენ ყველგან, სადაც სილამაზეს აფასებდნენ... სამშობლო მისთვის მაშინაც კი არ გახუნებულა, როცა გაჭირვებამ, უსახლკარობამ რუსეთს გადახვეწა. იქაც მხოლოდ სამშობლოზე წერდა. ამიტომაც ჰქონდა უფლება, ეთქვა: *„არა, ქართველთა გზა როდია ასე იოლი/თვითმკვლელობაა ჩვენში დიდი საქმის დაწყება, / სარკმელს გაალებს ამღვრეული გალაკტიონი / და ქვაფენილზე შურდულივით დაენარცხება“*, ან: „უბედურია ქართველი, ვინც უცხოეთში ცხოვრობს. მისი სხეული ადგილზეა, სული კი სამშობლოში. ბრწყინვალედ ვიცოდი რუსული ენა, მაგრამ ერთი ლექსიც არ დამიწერია რუსულად. იმიტომ კი არა, ვერ დავწერდი, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნად ერთადერთი სიმდიდრე, ჩემი ენა გამაჩნდა და არ მინდოდა უცხო სიტყვებით შევხებოდი. როცა დავწერდი, თბილისში ვრეკავდი და მეგობრებს ვუკითხავდი. რუსთაველზე, რომ მეტყოდა ვინმე, შენ გენაცვალე, ეს რა დაგიწერიაო, თბილისში მეორე ჩამოსვლამდე მაცოცხლებდა...

ჩვენ, ქართველები, სხვა ხალხი ვართ — მართალია, ჩვენნაირად ერთმანეთის მტრობა არავინ იცის, არც ჩვენნაირი სიყვარული იცის ვინმემ. ომის დროს დედა რომ გარდამეცვალა, ჩემზე ღარიბმა სტუდენტმა მეგობრებმა დამასაფლავებინეს პურის ტალონებში ალებული ფულით და მშივრები დარჩნენ... მეგობარი მყავდა, ავადმყოფობით ფეხები რომ წაერთვა, ერთი თვე ზურგზე მოკიდებული მატარა სკოლაში. აი, ეს ხალხი ვართ ჩვენ...“

პოეტმა, რომელიც მუდამ მზად იყო ბრძოლისათვის, თავისი გაიტანა, — 60 წლის ასაკში დაუბრუნდა მშობლიურ მიწას და თავიდან დაიწყო ცხოვრება. ...მარადიულობასაც ქართული მიწიდან შეუერთდა.

***ეთერ ერაძე***

# აუქციონზე გაყიდული „თვალები“

## სად სცალიათ კანცელარიაში სასიმღეროდ

სულ ახლახან ქართველი ჟურნალისტები მაყურებლის წინაშე პოდიუმზე წარდგნენ და დაამტკიცეს, რომ არა მარტო კალმის, დიქტოფონის ან კამერის კარგად „მართვა“ შეუძლიათ, არამედ გარეგნული ღირსებების წარმოჩენაც მშვენივრად ეხერხებათ. ამჯერად კი მასმედიის წარმომადგენლებმა პუბლიკას ცეკვა-თამაშით დაახვიეს თავბრუ. სანახაობის შემდეგ ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთმა ნაწილმა, რომელიც ცხელი ივლისის დღეებში ჯერ კიდევ შემორჩენოდა თბილისს და თვალსა და გულს ჟურნალისტების დიმპი-



ტაურით ართობდა, მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა, — პოდიუმზე ხომ „ვარსკვლავებს წყვეტთ“, თურმე ცეკვა-თამაშსა და სიმღერაშიც ტოლს ვერავინ გიდებთ. ზურგი შეაქციეთ ჟურნალისტობას, თქვენც დაისვენეთ და ჩვენც დაგვასვენეთო.

ისე, პოლიტიკოსებსაც რომ გამოუჩნდებოდეს ვინმე მადლიანი და ასეთივე ღონისძიებებს მათი მონაწილეობით ვიხილავდეთ, ურიგო არ იქნებოდა. პოლიტიკოსების შოუ (რომელიც ნამდვილად არ გვაკლია) იქით იყოს და ჩვენმა კოლეგებმა თავი ნამდვილად ისახელეს. „კვირის პალიტრა“ პროექტის ავტორსა და ორგანიზატორს, თეატრ „ნაბადის“ სამხატვრო ხელმძღვანელს **ნინო ტურაბელიძეს** ესაუბრა.

— 14 იანვარს ჩვენს თეატრში ჟურნალისტებისათვის საგანგებოდ გამართულ საღამოზე აღმოვაჩინე, რომ ბევრს სიმღერისა და ცეკვის ნიჭი აქვს. ამასთან, თქვენი კოლეგები ხშირად მსაყვედურობდნენ, ჩვენთვის სასწავლო ჯგუფს რატომ არ ქმნიო. მეც გადავწყვიტე ამ პროექტის მომზადება. სექტემბრის ბოლოს კი გაიმართება ფესტივალი, სადაც საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვლენ ჟურნალისტები და თავიანთ ხელოვნებას წარმოადგენენ. ჩვენი დევიზია: მთელი საქართველო უნდა ამღერდეს და აცეკვდეს.

— **პოლიტიკოსებიც?**

— რა თქმა უნდა, მაგათთვისაც მოვიცლით. საკვირაო სეირნობისას რუსთაველზე პოლიტიკოსების ფოტოებს მიზანში სროლისათვის იყენებენ. ამის ნაცვლად უფრო სახალისო და გასართობი პროგრამის მოფიქრება შეიძლება პოლიტიკოსების მონაწილეობით.

— **ჟურნალისტების თვალების „გაყიდვა“ რამ გაფიქრებინა?**

— რეპეტიციების დროს ჟურნალისტები ფაფახს რომ იზომებდნენ, მაშინ გადავწყვიტე, მოდი, თვალებს გადავიღებ-მეთქი. ჯერ გამოვფენდით ფოტოებს, მერე კი გავაჩუქებდით. მაგრამ 202-ელმა მაია სიხარულიძემ მოგვაწოდა იდეა, აუქციონზე გავყიდოთ „თვალები“, შემოსული თანხა კი უსინათლოთა დასახმარებლად გადავრიცხოთო. ამიტომაც მოვაწყვეთ აუქციონი. ვისაც ღია ფერის თვალები ჰქონდა, თითქმის ყველას მზერა ერთმანეთისას ჰგავდა. ნატა ნიჟარაძემ ეს პარადოქსი ასე ახსნა, ყველა ჟურნალისტი რაღაცას ეძებს და ამიტომაც აქვთ ერთნაირი თვალებიო.

— **ისე როგორი შეგირდები იყვნენ ჟურნალისტები?**

— შესანიშნავი. ძალიან ნიჭიერი ხალხი ხართ. ჟურნალისტების უმრავლესობას აქამდე ხელიც კი არ ჰქონდა გაშლილი ქართულის საცეკვაოდ. მაგრამ სწავლა დაიწყეს თუ არა, აცეკვდნენ და ამღერდნენ. რეპეტიციები საარქივოდ გადავიღე, მოვა დრო და ყველაფერ ამას დიდი სიამოვნებით გავიხსენებთ. თავიდან მონაწილეების საცეკვაო ტანსაცმლით შემოსვა არ მიფიქრია — არც 50 ფორმა მაქვს და ვერც მოვარგებდი, მაგრამ თავად მოინდომეს და თავისი ზომის სამოსი ბევრმა თვითონ იშოვა.

პროექტში „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ. „ბომონდელი“ ეველინა მენთეშაშვილი, ნათია ჟივიძე ჟურნალ „გზიდან“ და ჟურნალ „რეიტინგის“ ღირსების დამცველი დიანა ჭანკოტაძე წარმატებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

**ეველინა მენთეშაშვილი:** — როდესაც ცეკვა შემომთავაზეს, მაშინვე დავთანხმდი, მაგრამ მერე შევცბი და თავს შემოვუძახე — გამბედავი კი ხარ, მაგრამ სინდისი ხომ გაქვს, აქამდე ხელი არ გაგინძრევია და გინდა თავი მოგეჭრასმეთქი. როდესაც მითხრეს, ჩვენს ცეკვას პროფესიონალურ დონეზე არავინ შეაფასებდა, რეპეტიციაზე მივედი. გარეკახური საცეკვაო შემირჩიეს, შენს ხასიათს ეს ცეკვა მოუხდებაო. რეპეტიციების დროს როცა „პედაგოგები“ ილეთს მიწუნებდნენ, მაშინვე ვპასუხობდი — აბა, სცადეთ ჟურნალისტობა, როგორ გამოგივათ-მეთქი.

**ალანა გაგლოევა** (პრეზიდენტის პრესსპიკერის მოადგილე) — კონცერტში მე საზოგადოებრივი ტელევიზიის სახელით ვმონაწილეობდი. კინოფილმიდან „ხევსურული ბალადა“ და ეროვნული ოსური სიმღერები, მგონი, ცუდად არ შევასრულე. სტუდენტობისას გოგონათა კაპელაში ვმღეროდი, ხალხურ და კლასიკურ სიმღერებს ვასრულებდი, ახლა კი რეპეტიციებზე აღმოვაჩინე, რომ ხმა დამჯდარი მაქვს და ვარჯიშიც მჭირდება.

— **იქნებ კანცელარიაშიც გევარჯიშათ და გარშემომყოფებიც აგეყოლიებინათ?**

— (ეცინება) კანცელარიაში მე მარტო ჩემი და ჩემი უფროსის, ბატონი გელა ჩარკვიანის მუსიკალური შესაძლებლობები ვიცი. სხვებისა კი რა მოგახსენოთ, ჯერ ვინმეს სიმღერა კი არა, ღიღინიც არ გამიგონია. სად სცალიათ კანცელარიაში სასიმღეროდ.

***ეკა ლომიძე***


# ახალი წიგნები

## სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

ახალი

**გამომცემლობა „კვირის პალიტრა“**

| | |
|---|---|
| ოტია იოსელიანი | |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მ.ყდ) | 8 |
| გოჩა დვალი – ანტიდეპრესანტი | 5 |
| ყველაზე სასაცილო (კურიოზების კრებული) | 5 |

| გამომცემლობა „დიოგენე“ | ფასი |
|---|---|
| ვახუშტი კოტეტიშვილი – „მოუკრეფავნი“ | 6 |
| მიშელ ფუკო „სიტყვები და საგნები“ | 10.4 |
| „ზოგადი ენათმეცნიერების კურსი“ | 6.5 |
| პიტერ მალანჩუკი | |
| – „საერთაშორისო სამართალი“ | 15.6 |
| „ბიზნეს ინგლისური (კასეტებით)“ | 26 |
| **საბავშვო** | |
| ასტრიდ ლინდგრენი „ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“ (ნაწ. I) | 6.5 |
| „კარლსონი ისევ მოფრინდა“ (ნაწ. II) | 8.9 |
| „კარლსონი ისევ ოინბაზობს“ (ნაწ. III) | 8.9 |
| „საქართველოს ატლასი მოზარდთათვის, ბუნება და კულტურა“ | 15.6 |

ახალი

| გამომცემლობა „არტანუჯი“ | ფასი |
|---|---|
| საქართველოს ისტორია XIX საუკუნე | 14.30 |
| საქართველოს ისტორია XX საუკუნე | 14.30 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.60 |
| ქართლ-კახეთის თავადაზნაურები | 7.80 |
| ძვ. საქართველოს სამხედრო ისტორია | 10.40 |
| პირთა ანოტირებული ლექსიკონი | 9 |

ახალი

| გამომცემლობა „ინტელექტი“ | |
|---|---|
| ნობელიანტი ეკონომისტები | 13.00 |
| ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადები | 6.50 |
| მე ენერგიის ახალ წყაროს აღმოვაჩენ | 6.50 |

| გამომცემლობა „ცხოვრება“ | |
|---|---|
| სამკურნალო წიგნი | 10 |
| ხალხური მედიცინის ენციკლოპედია | 10 |

| გამომცემლობა „ელფი“ | |
|---|---|
| საქართველოს საბავშვო ატლასი | 15 |
| ჩემი პირველი ლექსიკონი | 6 |
| ჩემი საქართველო | 20 |
| საქართველოს დიდი მეფეები | 16 |
| ცხოვრების 7 საიდუმლო | 7 |
| კომპიუტერის სახელმძღვანელო | 11 |
| ინტერნეტის სახელმძღვანელო | 12 |
| ელფის პატარა მკითხველი 4 ტომი | 26 |
| **სერია – ჯიბის სასაუბროები** (ახალი) | ლარი - 12.50 |
| „ქართულ-ესპანური სასაუბრო“ | |
| „ქართულ-იტალიური სასაუბრო“ | |
| „ქართულ-ფრანგული სასაუბრო“ | |
| „ქართულ-გერმანული სასაუბრო“ | |
| „ქართულ-ინგლისური სასაუბრო“ | |
| **სერია – 10 და 100 საუკეთესო** (ახალი) | ლარი - 19 |
| „10 მსოფლიოს საუკეთესო ზღაპარი“ | |
| „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“ | |
| „100 საუკეთესო იგავ-არაკი“ | |
| „100 საუკეთესო საბავშვო ლექსი“ | |
| „100 ინგლისური საბავშვო ლექსი“ | |

| ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| დინოზავრები | 19 |
| ადამიანის ორგანიზმი | 19 |
| კოსმოსი | 19 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| ბიბლიის ატლასი | 23 |
| ფიფქია და სხვა ზღაპრები | 12 |
| წითელქუდა და სხვა ზღაპრები | 12 |
| სამი გოჭი და სხვა ზღაპრები | 12 |
| ხუთკუნჭულა და სხვა ზღაპრები | 12 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე | 12 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი (ახალი) | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| მხიარული სიტყვები გერმანულ-ქართული ლექსიკონი | 14 |
| მხიარული რიცხვები | 14 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| ბუნების საოცრებები | 19 |
| **გაცოცხლებული ისტორია** | |
| ძველი ეგვიპტე | 19 |
| ძველი რომი | 19 |
| ძველი საბერძნეთი | 19 |
| **პროზა** | |
| პაულო კოელიო – „ალქიმიკოსი“ (ახალი) | 6 |
| პაულო კოელიო – „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა“ | 9 |
| პაულო კოელიო – „თერთმეტი წუთი“ | 11 |

ტ: 42-43-40
33-26-73



# ამ წიგნის კითხვის დაწყება ნებისმიერი გვერდიდან შეიძლება

სულთან რუქნადინის ტყვედ ჩაგდებული სარდალი მელიქ ფაჰრ-ადდინ ბაჰრამ-შაჰი თამარ მეფემ დამცირების მიზნით ჯორის ნალში გაცვალა.

„ეეჰ, მაგას ბერია თუ დაიჭერს...“ – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ფეხბურთელმა ვლადიმერ ბარქაიამ, როდესაც მატჩის წინ პელეს ვარჯიში ნახა.



ჰიტლერის არმიის საჯარისო შენაერთს, რომელიც მხოლოდ ალპინისტებით იყო დაკომპლექტებული, „ედელვაისი“ ერქვა. იალბუზზე სწორედ მათ აიტანეს გერმანიის დროშა, რომელიც შემდეგ სვანმა ალპინისტებმა ჩამოხსნეს.

იპოლიტე ხვიჩია ამბობდა: „სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ იმის კი მეშინია, სასაფლაოდან ყველა რომ წამოვა და მე კი იქ დავრჩებიო“. ამბობენ, დასაფლავების შემდეგ პირველი ღამე სასაფლაოზე მას კარლო საკანდელიძემ გაუთენაო.

# სიახლე

## ოტია იოსელიანის ახალი ზღაპრების კრებული




„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემა

წიგნების ბითუმად შეძენის მსურველებმა დარეკეთ: 899-10-66-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აგენტის „დავერბოვკება“ მხოლოდ ფულით არ ხდება

## ვინც ხელყუმბარის ჩაგდება დაგეგმა, არ სურდა, რომ ეს ხელყუმბარა აფეთქებულიყო



## ტერორისტი თუ შეურაცხადი

ვაშლიჯვარში ჩატარებული სპეცოპერაციის შემდეგ საქართველოს დედაქალაქი კიდევ ერთხელ მოექცა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. კაცი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტის დროს ხელყუმბარა ისროლა ხალხით გადაჭედილ მოედანზე, დაპატიმრებულია. უცხოელი და ქართველი ექსპერტები სპეცოპერაციას დადებითად აფასებენ. მრავალი დღის მანძილზე დაიკითხა ათასობით მოწმე, ეჭვმიტანილის ძებნაში გადამოწმდა ათასობით ფოტოსურათი. პოლონელი ფოტოჟურნალისტის მიერ გადაღებული ფოტოს მოძებნას, სადაც ეჭვმიტანილი წითელ ცხვირსახოცში გახვეული ხელყუმბარით არის დაფიქსირებული, კარგა ხანი დასჭირდა. ამ ფოტოსურათმა კი სამართალდამცველები ვაშლიჯვარში მიიყვანა. დაკავების ოპერაცია 19 ივლისის დილით დაიგეგმა. ორი დღის მანძილზე მოხდა მთელი საცხოვრებელი კორპუსის ბლოკირება. ეჭვმიტანილის — ვოვა არუთინიანის აყვანა 20 ივლისის ღამეს იყო დაგეგმილი. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი შემთხვევა. საღამოს სამალავიდან სახლში დაბრუნებული არუთინიანი პირისპირ შეეფეთა სადარბაზოში მყოფ გადაცმულ სამ პოლიციელს. ეტყობა იგრძნო, რომ ისინი მის დასაკავებლად იყვნენ მოსული და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გახსნა. შედეგად, ადგილზევე დაიღუპა 37 წლის პოლიციელი ზურაბ ქვლივიძე. როგორც შემდეგ გაირკვა, მას რვა ტყვია აქვს მოხვედრილი. თუმცა, საპასუხო ორი გასროლა მაინც მოასწრო, რის შედეგადაც ვოვა არუთინიანი დაიჭრა და ამის შემდეგ მისი აყვანა აღარ გასჭირვებიათ.

ვინ არის ვოვა არუთინიანი და რამ მიიყვანა იგი ასეთი ნაბიჯის გადადგმამდე? როგორც ირკვევა, იგი ვაშლიჯვარში დედასთან ერთად ცხოვრობდა. დედამისი — ანჟელა არუთინიანი ფრანგული ენის სპეციალისტი, ბოლო წლებში ბაზრობაზე ხელსაწმენდების გაყიდვით ირჩენდა თავს. მამა — ვლადიმერ არუთინიანი მშენებლობის სამინისტროში მუშაობდა და ჯერ კიდევ 20 წლის წინ გარდაიცვალა. თავად ეჭვმიტანილი არსად მუშაობდა, რის გამოც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ. აღნიშნულს მათი მეზობლებიც ადასტურებენ. არუთინიანების მეზობლები იმასაც ამბობენ, რომ დედა-შვილი არავისთან არ მეგობრობდა და ეჭვმიტანილი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა. ეს არის და ეს, რაც არუთინიანების ოჯახის შესახებ არის ცნობილი. დეტალებზე საუბრისგან სამართალდამცველებიც თავს იკავებენ. თუმცა ცნობილია, რომ ჩხრეკისას ამოღებულია ასაფეთქებელი მოწყობილობები, ნაპოვნია რუსული ლიტერატურა სამხედრო სწავლებისა და მომზადების წესების შესახებ. ამ უკანასკნელმა გარემოებამ ეჭვი დაბადა, ხომ არ არის არუთინიანი რუსული სპეცსამსახურების აგენტი? ეს არის უმთავრესი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს. ჯერჯერობით კი დაკავებული დუმილის უფლებას იყენებს, თუმცა აღიარებს, რომ ხელყუმბარა სწორედ მან ჩააგდო და ყოველივე ამას ბუშისადმი უსაზღვრო სიძულვილით ხსნის. არსებობს ვერსია, რომ არუთინიანი ფსიქიკურად დაავადებულია და თანამზრახველების გარეშე, მარტო მოქმედებდა. ამ ვერსიის სისწორეს უახლოეს მომავალში ფსიქიატრიული ექსპერტიზა დაადგენს. თუმცა ქართველი სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ არუთინიანის უკან შეიძლება მართლაც იკვეთებოდეს უცხოეთის სპეცსამსახურების ინტერესები. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეცსამსახურების ექსპერტ-ანალიტიკოსი **დავით მაისურაძე** დღემდე გამოუქვეყნებელ მოსაზრებას გვთავაზობს: — მართალია, ექსპერტიზის ჩატარებამდე მის ჯანმრთელობაზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ არსებობს უამრავი დეტალი, რომელიც მეტყველებს, რომ არუთინიანის უკან შეიძლება მართლაც იდგეს რუსული სპეცსამსახურები. ამის ეჭვს იგივე ლიტერატურა თუ ასაფეთქებელი მოწყობილობები ბადებს. ყველაფერი იქით მიდის, რომ არუთინიანი საფუძვლიანად ემზადებოდა ამ ნაბიჯისთვის. ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ იარაღის შოვნას მოახერხებდა.

— **არუთინიანის მეზობლები ამბობენ, რომ იგი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. სპეცსამსახურების აგენტი რომ ყოფილიყო, ფულიც ხომ ექნებოდა?**

— აგენტის „დავერბოვკება“ და საკუთარი მიზნისთვის გამოყენება მხოლოდ ფულით არ ხდება. შეიძლება ადამიანს ისეთი კომპრომატი დაუდონ, რომ ნებისმიერ საქმეზე უსასყიდლოდ დაითანხმონ. მე არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო და წინასწარ გავაკეთო დასკვნები, მაგრამ გამორიცხული არ არის, არუთინიანი სწორედ ამ გზით დააშანტაჟეს და საფუძვლიანი დამუშავების შემდეგ სწორედ ამ მისიისთვის შეამზადეს. ქართველი გამომძიებლები არუთინიანის „ზურგის“ დადგენას ცდილობენ. ეს ძალიან ძნელი იქნება და შეიძლება დიდი არც არაფერი გაირკვეს, მაგრამ რაღაც საფეხურზე გასვლა მაინც შეიძლება და ესეც საკმარისი იქნება, რომ სამომავლოდ მსგავსი ინციდენტების ალბათობა კიდევ უფრო შემცირდეს. არც ის გამიკვირდება, არუთინიანის ამერიკაში წაყვანა რომ მოითხოვონ. თუმცა, საქმის საფუძვლიანი შესწავლა ალბათ აქაც შესაძლებელი იქნება.

— **ანუ თქვენ გამორიცხავთ, რომ არუთინიანი შეიძლება შეურაცხადი იყოს?**

— გამორიცხული არაფერია. სპეცსამსახურების ისტორიაში არაერთი მსგავსი პრეცედენტი არსებობს. ფანატიკოსი ტერორისტი ხშირად მარტო მიდის დანაშაულზე. მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაშიც კი ტერორისტის უკან რაღაც ჯგუფი არსებობს. თანაც არის ერთი საყურადღებო დეტალიც, რომელზეც დღემდე არავის გაუმახვილებია ყურადღება. ეს თვით ხელყუმბარას ეხება. რატომ არ აფეთქდა იგი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა საქმეს ბევრს სიახლეს მოჰფენს.

— **არუთინიანი რომ სპეცსამსახურების აგენტი ყოფილიყო, მას მწყობრიდან გამოსულ ხელყუმბარას არ მისცემდნენ...**

— სწორედ ამ საკითხს სჭირდება საფუძვლიანი ანალიზი. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს გარემოებაც არუთინიანის სპეცსამსახურებთან კავშირზე უნდა მეტყველებდეს. ჩემი დაკვირვებით, ვინც ხელყუმბარის ჩაგდება დაგეგმა, არ სურდა, რომ ეს ხელყუმბარა აფეთქებულიყო.

— **ცოტა გაუგებარია...**

— რა აზრი ჰქონდა იქ ხელყუმბარის აფეთქებას? პრეზიდენტებამდე აფეთქების ტალღა შესუსტებული თუ მიაღწევდა ანუ მათ არაფერი ემუქრებოდა. აფეთქებით დაშავდებოდნენ მხოლოდ ახლომახლო მდგომი ადამიანები. ამას კი არავითარი აზრი არ ჰქონდა. მათ, ვინც ყველაფერ ამის უკან დგას, უბრალოდ უნდოდა დაეფიქსირებინა, რომ ამერიკული და ქართული სპეცსამსახურების ჯიბრზე, ბუშთან ახლოს ხელყუმბარის მიტანაც შეუძლიათ და მისი ჩაგდებაც. ამიტომ შესაძლოა არუთინიანმა არც იცოდა, რა ხელყუმბარა ეჭირა ხელში, ანუ იმ სპეცსამსახურებმა, რომლებიც არუთინიანის ნებას წარმართავდნენ, საკუთარი ძალის დემონსტრირება მოახდინეს. არუთინიანს მარტო რომ ემოქმედა, ამ ხელყუმბარის აფეთქების ალბათობა უფრო დიდი იქნებოდა. ეს კი უკვე გაცილებით სავალალო შედეგს მოიტანდა.

— **მაგრამ შეიძლება არუთინიანმა ეს ხელყუმბარა თვითონვე იყიდა და მას მწყობრიდან გამოსული ნივთი შეაჩეჩეს.**

— ესეც შეიძლება, მაგრამ იმდენი იარაღი აქვს, ნაყიდი რომ იყოს, აუცილებლად დაფიქსირდებოდა სადმე. აქ კი როგორც ჩანს, ეს იარაღი მას სპეციალურად გადასცეს, ანუ არ დატოვეს არავითარი კვალი. ამიტომ ვიმეორებ, რომ მე მის კავშირს უცხოურ სპეცსამსახურებთან უფრო ვხედავ. ის კარგად არის დამუშავებული და იცის, როგორ უნდა მოიქცეს აყვანის შემთხვევაში. ერთ-ერთი გზა ფსიქოსიმულაციაა, რომლის გამოაშკარავებაც რთული არ არის. ასე რომ, უახლოეს მომავალში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

**დავით დევიძე**

# საქართველოში ქართულ ძეგლებს გვედავებიან

## „როგორც კი აქედან რუსული სამხედრო ბაზა გავა, ასეთ პროვოკაციებს ბოლო მოეღება“

## სეპარატისტული ამბიცია თამაშობს დიდ როლს

**აქ** რამდენიმე დღის წინ ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარში უძველესი ეკლესიის სარესტავრაციოდ ჩასული სტუდენტების ჯგუფი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა კინწისკვრით გამოყარეს სოფლიდან. ერთ-ერთი სტუდენტი ტვინის შერყევით საავადმყოფოშიც კი მოხვდა. სამსარის სოფლის მოსახლეობა იმუქრება, რომ ქართველ სტუდენტებს ეკლესიაში ფეხსაც ვერ შედგმევინებენ(?!). მუქარის საბაბიც სახელდება: ადგილობრივი მცხოვრებნი მტკიცედ თვლიან, რომ ეს უძველესი სომხური ეკლესიაა, რაზეც აქ არსებული სომხური წარწერებიც მეტყველებს. ქართველი სტუდენტები კი ამ წარწერების ნაშლას აპირებენ, რათა მერე ეკლესია ქართველებმა დაისაკუთრონ...

რამდენად სამართლიანია სამსარელთა ასეთი განწყობა? საქმეში ჩახედულნი თუ დაეუფლებიან, ყოველივე იმას, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, პროვოკაციის სუნი ასდის. თუმცა, სანამ პროვოკაციის თემაზე გადავალთ, უპრიანი იქნებოდა გაგვერკვია, სოფელ სამსარში მართლაც არის თუ არა სომხური ძეგლი. ეს კითხვა მას შემდეგ გაგვიჩნდა, როცა ინციდენტის შემდეგ არაერთი მოქალაქე დაგვიკავშირდა და გვკითხა: იქნებ მართლაც სომხურია ეს ძეგლები და ამიტომაც იცავენ ასე თავგამოდებითო. ამ კითხვაზე პასუხი რომ გაგვეცა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მივმართეთ. აი, რა გვიამბო ამავე სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ **პაატა გაფრინდაშვილმა**:

— სამსარის ტაძარზე არც ერთი სომხური წარწერა არ არის. მთელ ჯავახეთში სომხური წარწერები მხოლოდ თმოგვის ციხესთან გვხვდება, მე-19 საუკუნიდან და ისიც საფლავის ქვებზე. ვიმეორებ, ისტორიულ ძეგლებზე სომხურ წარწერებს ვერ ნახავთ.

მაგალითად, კუმურდოს ტაძარზე ოდითგანვე დაობდნენ, სომხური ძეგლიაო. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით არ გაგვემწვავებინა სიტუაცია. რომ დაგვეწყო იმის მტკიცება, ეს ქართული ძეგლია-თქო, გამორიცხული არ არის, ვიღაცებს ქართული წარწერები დაეზიანებინათ.

— **მაგრამ ეს საკითხი თვითონ სამსარელებმა წამოჭრეს.**

— გასაგებია, მაგრამ ხომ გითხარით, როგორც კი მათ საპირისპიროს მტკიცებას დაუწყებ, მაშინვე მოსპობენ ყველაფერს. რამდენჯერაც ავიყვანეთ კუმურდოზე რესტავრაციის გასაკეთებლად ხარაჩოები, იმდენჯერ მოგვპარეს და მუშაობის საშუალება არ მოგვცეს(?!). საკმარისია ნებისმიერ ძეგლზე ახვიდე მანქანით, მანქანასაც გაგიძარცვავენ და შეიძლება ესეც არ გაკმარონ.

— **არის თუ არა სომხური ძეგლები ჯავახეთში?**

— შეიძლება რომელიმე სოფელში თანამედროვე სომხური ეკლესია იდგეს, მაგრამ სომხურ ისტორიულ ძეგლს ვერსად ნახავთ. ამაზე დავა აბსურდულად მიმაჩნია. სამცხე-ჯავახეთში სიტუაციას ახლა დაძაბვა და გამწვავება არ სჭირდება. ჩემი აზრით, სტუდენტების ჩასვლა იქ ყოვლად მიუღებელი იყო.

— **მაშ დაგვიკარგავს ეს ძეგლები და ის არის...**

— ჩვენ გვაქვს ბრძოლის საუკეთესო საშუალება, ის მეცნიერულ დონეზე უნდა ვაწარმოოთ. სხვათა შორის, სამსარის ძეგლზე მამაჩემი უფრო მეტ ინფორმაციას მოგაწვდით. ის იქ ორმოცდაათი წელია, რაც კვლევებს აწარმოებს...

ასე შევხვდი უფროს მეცნიერ თანამშრომელს **გივი გაფრინდაშვილს**. იგი ჯავახეთის ძეგლებზე 1958 წლიდან მუშაობს. როცა სიტყვა ამ ძეგლების სომხურ წარმომავლობაზე ჩამოვუგდე, სასაცილოდ არ ეყო: — თქვენ რომ იცოდეთ, რომელი პერიოდის ძეგლებზე ლაპარაკობთ, ასეთი კითხვა არც დაგებადებოდათ. სამსარში ორი ძეგლი გვაქვს: ზედა და ქვედა, იგივე დიდი და პატარა სამსარი. ეს ძეგლები ერთ ეპოქას განეკუთვნება და ჩვენს კლასიკურ პერიოდს — მე-7 საუკუნეს ემთხვევა. ორივე კლდეში ნაკვეთი ქალაა, რომლებიც მე-10 საუკუნეში ჯვარგუმბათოვან ეკლესიად გადაკეთებულა, მაგრამ პირვანდელი სახე არ დაუკარგავს. სამსარი იმითაც არის საინტერესო, რომ აქ უნიკალური წარწერები გვხვდება...

— **რომლებზეც ამბობენ, რომ სომხურია?!**

— აქ არის ნუსხახუცური დამწერლობა და მას სომხურთან არაფერი აქვს საერთო. 1958 წელს, როცა იქ ჩავედი, სომხების ოჯახში ვცხოვრობდი. მაშინ არავინ ამბობდა, რომ ეს ძეგლები სომხურია. პირიქით, აქეთ მეხმარებოდნენ სარესტავრაციო სამუშაოებში.

საერთოდ, მე-19 საუკუნემდე იქ სომხური კვალი არ ფიქსირდება. ერთი კურიოზული ისტორია მახსენდება: თმოგვის სომხურ საფლავებს ქართველები უვლიდნენ. მივიდნენ სომხები და საფლავის ქვები დაარბიეს — ქართული წარწერები ეგონათ. როცა გაიგეს, რომ ეს სომხების საფლავები იყო, გაოცდნენ.

— **ანუ ადრეც არბევდნენ?**

— იშვიათად. უბრალოდ, ერთ რამეს დავაკვირდი, როგორც კი პოლიტიკური ამბავი გართულდებოდა, მაშინვე იწყებდნენ ლაპარაკს, ჯავახეთი ჩვენიაო.

— **თქვენ ბრძანეთ, რომ სამსარის ერთ-ერთი ღირსება მისი წარწერებია. რას მოგვითხრობენ ისინი?**

— მაგალითად, არის ასეთი წარწერა: „ოდეს ეს ეკლესია აღეშენა, ეს ადგილი ტყისგან არა ჩანდაო“. დღეს კი იქ ბალახიც არ ხარობს. აი, მეორე წარწერის ფრაგმენტიც: „მაშინ დავწერე, ოდეს მცხეთის ეკლესია დაწვეს და წმინდა ნინოს ხელი ტყვედ წარიტანესო“. რაზეა ლაპარაკი? ან რას ნიშნავს ნინოს „ხელი“? ეს არის ნინოს მიერ დასმული ქრისტეს ჯვარი, რომელზეც შემდეგ მცხეთის ეკლესია დაშენდა. მართლაც, „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „მოვიდნენ არაბები, კახეთი მოაოხრეს. გამოვიდნენ არაგვის პირზე და დაწვეს მცხეთის ეკლესია. ჯვარი კი წაიღეს. მაგრამ შემდეგ შეეშინდათ ღვთის წყრომის და უკანვე დააბრუნეს...“ ანუ ცნობა, რომელიც სამსარში იკითხება, „ქართლის ცხოვრებითაც“ დასტურდება.

ახლახან საპატრიარქოში ქართველი და სომეხი მღვდელმთავრების შეხვედრაზე მიმიწვიეს. რაც თქვენ გითხარით, იმათაც იგივე მოვახსენე. ბოლოს დაასკვნეს, რომ მდგომარეობის გართულება საჭირო არ არის და მოსახლეობას ახსნა-განმარტებითი საუბრები უნდა ჩაუტარდეს.

— **როგორ ფიქრობთ, დღეს სამსარში რომ მოინდომოთ კვლევების გაგრძელება, იქაურები მოგცემენ ამის საშუალებას?**

— ვერ გეტყვით... ახლა ძალზე გამწვავებულია სიტუაცია. რომელიღაც სომხური პარტია აბუნტებს ხალხს...

რატომ შეიცვალა ასე რადიკალურად სომეხი მოსახლეობის განწყობილება და რატომ „აქციეს“ უძველესი ქართული ძეგლები სომხურად, კარგად იცის ყველა ჩვენგანმა. აქ სეპარატისტული ამბიცია თამაშობს დიდ როლს — თუ გინდა, რომ ჯავახეთის სომხური წარმომავლობა დაამტკიცო, მაშინ ისიც უნდა ამტკიცო, რომ აქ არსებული ძეგლებიც სომხურია. ცხადია, მათი მისწრაფება უნიადაგოა, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში ამ აზრის გავრცელებას დაბეჯითებით ცდილობს მავანი და მავანი. ყველაზე მეტად დავით რასტაკიანის „ვირქი“ და მანველ სალათელიანის „ჯავახქი“ აქტიურობენ. „ჯავახქი“ და „ვირქი“ თანამოაზრეები არიან და ორივეს „ერთიანი ჯავახქის“ ლიდერი ვაგინ ჩახალიანი ხელმძღვანელობს.



პატარა სამსარი. ისტორიული ქართული ნუსხახუცური წარწერა ტაძრის ფასადზე

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

ევროპაში ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალზე, უშბაზე ბოლო 21 წლის განმავლობაში მესამედ დატრიალდა ტრაგედია. 1984 წელს უშბიდან დაშვებისას ექვსი ვაჟკაცი იმსხვერპლა ზვავმა: დევი თარხნიშვილი, ირაკლი გელდიაშვილი, გოგი ზუმბაძე, გია თუშური, დათო კომახიძე და მურად ჭიჭინაძე. მოგვიანებით, 2001 წელს, უშბაზე გაბრიელ ხერგიანის გზით ამავალი ვანო გულედანი დავკარგეთ. ამჯერად კი მერაბ ხაბაზითა და ზაალ ქიქოძით ტრაგედია გასამდა. დატრიალებულმა უბედურებამ უამრავი კითხვა გააჩინა, რადგან ქართულ-ჰოლანდიური ჯგუფიდან გადარჩენილი ჰოლანდიელების ნაამბობი ტრაგედიის მიზეზებისა და შედეგების შესახებ ზუსტ სურათს ვერ იძლეოდა. ერთადერთი, სასწაულებრივად გადარჩენილი გელა ოთარაშვილი კი თითქმის სამი დღის განმავლობაში საავადმყოფოში იყო და ექიმები მასთან საუბარს ოჯახის წევრებსაც კი უკრძალავდნენ.

გელა ოთარაშვილმა ხუთი საშინელი დღე გარდაცვლილი მეგობრის, მერაბ ხაბაზის ცხედრის გვერდით მიწოლილმა შიმშილში, აუტანელ სიცივესა და სულიერ ტკივილში გაატარა. ამ ხნის განმავლობაში კლდეზე თოკით ეკიდა მისი უფროსი მეგობრის, ზაალ ქიქოძის ცხედარი და მარტო დარჩენილ გელა ოთარაშვილს არანაირი ძალა არ შესწევდა საიმისოდ, რომ ცხედარი ზევით აეწია და ე.წ. თაროზე დაესვენებინა. გელასთან ერთად მარშრუტის გარჩევამდე ალპინისტთა უმრავლესობა ვარაუდებით მსჯელობს, თუმცა, იმას ერთხმად ამბობენ, რომ ქართულ-ჰოლანდიური ჯგუფის უშბაზე ასვლისას შეცდომები იქნა დაშვებული. მთა კი, მათი თქმით, შეცდომებს არ გვპატიობს. თანაც ყველაზე რთულ, მიშლიაევის გზაზე (ეს სახელი რუსი ალპინისტის პატივსაცემად დაერქვა) ყველაზე დიდი შეცდომა ჯგუფის გაყოფა იყო. არა მარტო ალპინისტთა, არამედ საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულთა აზრი ასეთია — ჰოლანდიელებს ქართველები არ უნდა მიეტოვებინათ. მათ ქართველებთან დაშორების შემდეგ მაშველს უხმეს, თანაც ისიც თქვეს, რომ ქართველებთან ერთად ლაშქრობდნენ, მასპინძლები ჩამორჩნენ და მათ ბედზე არაფერი იციან. ალპინისტების ამბავს ჰოლანდიაში ქალბატონ სანდრა რულოვსს ატყობინებენ. თავის მხრივ, იგი თავის დაცვის უფროსს უკავშირდება თბილისში, რომელიც ცდილობს ყველა საქმის კურსში ჩააყენოს. საქართველოში ყველა ფეხზე დგება და იმედოვნებენ, რომ ბიჭებს გადაარჩენენ. როგორც ამბობენ, კარგი ამინდი რომ ყოფილიყო, მაშველები რომ დროულად მიშველებოდნენ, ასეთ სიტუაციებში საჭირო შვეულმფრენი რომ ჰყოლოდათ, ყველაფერი უკეთ დამთავრდებოდაო. ვინ იცის, ეგებ ასეც ყოფილიყო.

„კვირის პალიტრა“ ტრაგედიის დეტალებზე **გელა ოთარაშვილს** ესაუბრა:

— მოხდა ის, რასაც არც ერთი ჩვენგანი არ ელოდა. შემთხვევითობათა გრიგალი დატრიალდა. წლევანდელი ზამთარი უხვთოვლიანი იყო და ამიტომ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ავდიოდით, დიდი წყალი მოდიოდა, თორემ სხვა დროს მწვერვალზე ჩვეულებრივად ადიოდა ხალხი.

**— მიშლიაევის გზით ადიოდნენ?**

— არა. მიშლიაევით კარგა ხანია არავინ ასულა, მაგრამ ვიცოდით, რომ გზა ნორმალური უნდა ყოფილიყო. ჩვენ დაბრკოლებას დამამთავრებელ ეტაპზე წავაწყდით. ვერტიკალურ კედელზე არის ღარი და მის ბოლოს 250 მეტრია გასავლელი. ზედა ნაწილი მშრალი იყო, მაგრამ ბოლო 30 მეტრზე მოდიოდა დამდნარი თოვლის შედეგად დაგროვილი წყალი, რომელიც დღის მეორე ნახევარში, მზის მიდგომის შედეგად დნებოდა.

ჰოლანდიელებმა ჩამოსვლისთანავე გვთხოვეს, წინ ჩვენ ვივლითო, მაღალი კვალიფიკაციის მთამსვლელები არიან და ჩვენც უარი არ გვითქვამს, დამოუკიდებლად შეეძლოთ მუშაობა. ღარში მშრალად გავიდნენ. უკან მე, ზალიკო და ბოლოს მერაბი მივყვებოდით. სამივე დავსველდით, განსაკუთრებით მერაბი. წყალი სამი საათიდან დაღამებამდე მოდიოდა. მერაბი გადაცივდა.

**— რამდენ ხანს გაუძლო მერაბმა გაცივებას?**

— მთელი ღამე ნორმალურად იყო, მაგრამ დილისთვის ძალიან ცუდად გახდა. როგორც ჩანს, ფილტვების ანთება დაემართა. მისი სიმპტომების აღწერის შემდეგ ბიჭებმა მითხრეს, ფილტვები შეშუპებიაო. როცა ცივდება კაცი, მთაში ძალიან სწრაფად ვითარდება დამამძიმებელი პროცესები. პირველად მერაბი გარდაიცვალა, ეს იყო 16 ივლისის დღის პირველ ნახევარში, დაახლოებით 12 საათამდე.

**— როგორ ფიქრობთ, იყო მისი გადარჩენის შანსი?**

— შანსი? რა გითხრათ... ჩვენი უცხოელი მეგობრები დასარეკად წავიდნენ, მათ მობილური კავშირის საშუალებები ჰქონდათ, ჩვენ კი არა. ერთ-ერთი პრეზიდენტ სააკაშვილის მეუღლის ახლობელი იყო. სწორედ მან დარეკა ჰოლანდიაში და იქიდან ატყდა მთელი ამბავი — მაშველები მოითხოვეს და ა.შ. მათ დაგვტოვეს, დარეკვის შემდეგ კი სამხრეთის მიმართულებით დაიწყეს დაშვება. რამდენიმე ხანში მაშველი გამოჩნდა, მაგრამ ამინდი ხელს უშლიდა მთასთან მისვლაში.

**— მედიკამენტები რომ გქონოდათ, მერაბს ვერ უშველიდით მაშველის გამოჩენამდე?**

— მედიკამენტები გვქონდა, მაგრამ მერაბს რომ გაუჭირდა, მივეხმარე და ამ დროს ერთი ზურგჩანთა, რომელშიც მედიკამენტები გვქონდა, გადაგვივარდა. უცხოელებსაც ჰქონდათ მედიკამენტები, მაგრამ მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო მერაბის გადაცივების გამო, რომ არა მგონია, რამე შველებოდა.

**— უცხოელებმა დახმარება არ შემოგთავაზეს?**

— არა, მე კი ვთხოვე დარჩენილიყვნენ, იყო იმის შესაძლებლობა, რომ მერაბი უკეთეს ადგილზე გადაგვეყვანა, მაგრამ ჩათვალეს, რომ არ ღირდა. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონაც ძალიან დაღლილები იყვნენ(?!).

რა გვექნა, ჩვენ ხომ ვერ ვთხოვდით, დარჩით და დაგვეხმარეთ, შველა გვჭირდება-თქო. ამ დროს თვითონ უნდა მოიფიქრო და გადაწყვიტო როგორ მოიქცე. რაღა თქმა უნდა, მერაბის გადარჩენის შანსი იყო, თავისთავად ზალიკოც გადარჩებოდა.

**— ზაალ ქიქოძეს რაღა დაემართა?**

— მერაბი რომ გარდაიცვალა, ზალიკომ თქვა, როგორმე უნდა დავეშვათ, თორემ ჩვენც იგივე დაგვემართებაო. ერთიანად სველები და გათოშილები ვიყავით. ზალიკო პირველი დაეშვა, მე ზევიდან დაცვას ვუკეთებდი. იმ ღარიდან არ უნდა გადმოვარდე, თორემ ვერტიკალურ კედელზე დაეკიდები. როგორც ჩანს, წონასწორობა ვერ დაიცვა ზალიკომ, გადაეკიდა და პირდაპირ ჩანჩქერის ქვეშ მოექცა. ვეძახდი, მაგრამ ვერ გავაგონე. მერე ჩავედი, მოვხსენი ზურგჩანთა, ამოვიტანე, ჩავუტანე ჟუმარები, მაგრამ უკვე ძალიან მძიმედ, უგონოდ იყო და ვეღარ შევძლებდი აყვანას.

**— როგორ გაძელით გათოშილმა ხუთი დღე ყინვაში, ამბობენ, პრიმუსიც არ დაუტოვებიათ ჰოლანდიელებსო.**

— ჰოლანდიელებზე ლაპარაკი აღარ მინდა... მე როგორ გავძელი? ყველაფერი სველი მქონდა, თან წვიმდა და თოვდა. ვიწექი და ველოდებოდი მაშველს, იმედი წამითაც არ დამიკარგავს. თუმცა გაძლება, რა თქმა უნდა, ძნელი იყო. სასწაულმა გადამარჩინა. ახლა ვაანალიზებ ყველაფერს და მიკვირს, რომ მოყინულიც კი არ მაქვს არაფერი. ვერ გამიგია, ეს როგორ მოხდა.

**— თქვენი მეგობრებისგან გავიგე, რომ თურმე ლოცულობდით.**

— კი. გამუდმებით. მართლა საოცარია ღვთის განგება, რომ არა მისი წყალობა, ვერაფერი მიხსნიდა. მხოლოდ გამოფიტული ვარ, სხვა არაფერი მიჭირს.

**— მერაბი თუ გესაუბრებოდათ გონების დაკარგვამდე?**

— კი. ძალიან გადაღლილი იყო, შეიძლება ავადაც ყოფილიყო მანამდე, სანამ გზაზე გავიდოდით.

**— წინათ ასეთ რთულ მარშრუტზე გასვლისას სამედიცინო შემოწმებას არ გადიოდით?**

— რა თქმა უნდა, აწყობილი სისტემა იყო ალპინიზმში. სპეციალური დისპანსერი გვქონდა, სადაც მთამსვლელების შემოწმება სავალდებულო იყო. ახლა სამედიცინო შემოწმება სავალდებულო აღარ არის, თანხის გადახდაა სავალდებულო. წინათ კი სამედიცინო შემოწმების გარეშე არც ბანაკი მიგიღებდა და, რა თქმა უნდა, ჯგუფშიც არ აგიყვანდნენ.

ახლა კი...

**— ანუ ალპინიზმი კვდება საქართველოში?**

— სამწუხაროდ, ასეა. უმძიმესი ვითარებაა. მე კლდიდან მფრინავმა დათო აბალოიძემ მომხსნა, ძალიან დიდი რისკის ფასად. სულ სამი კაცია ასეთი მფრინავი. გმირები არიან. ასეთ სიტუაციაში ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში იყენებენ სამაშველო სამსახურებს, მათ სპეციალური ვერტმფრენები ჰყავთ, ისეთი კი არა, რომლითაც ჩვენ მოგვხსნეს. საკმარისი იყო, ერთი კუდი მოექნია და უბედურება დატრიალდებოდა. რომ არა ის ბიჭები, დღეს ისევ იქ ვიქნებოდი.

**— როცა მთაში მიდიოდით, ვისი დახმარების იმედი გქონდათ, ვის უნდა დაკავშირებოდით საჭიროების შემთხვევაში?**

— ერთადერთი კავშირის საშუალება ღარის გავლის შემდეგ 400 მეტრის სავალზე იყო. აღმოსავლეთ მხარეს, „მაგთის“ დაჭერის ზონაში მოვხვდებოდით და იქიდან შევძლებდით კონტაქტს ბართან.

**— ეს სახიფათო არ იყო?**

— რა გვექნა. არც რაციები გვაქვს და არც სატელიტური ტელეფონები. კავშირი რომ გვქონოდა და სპეციალური ვერტმფრენიც გვყოლოდა, არაფერიც არ მოხდებოდა. რაც ჩვენ დაგვემართა, ხშირად ხდება სხვაგანაც. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ხალხი არ ილუპება, თუ ქვეყანა მზად არის ხსნისთვის. ჩვენ დიდი ხანია, ასე, კავშირის გარეშე დავდივართ. ახლაც გვთხოვეს ჰოლანდიელებმა და წავედით.

**— რას ეტყვით დღეს თქვენს კოლეგებს, ღირს ისე გარისკვა, როგორც თქვენ გარისკეთ?**

— მაშველების საკითხს სერიოზულად დავსვამთ. სხვანაირად სამთო ტურიზმის განვითარებაზე ლაპარაკი ფუჭი იქნება. წარმოიდგინეთ, მთელ მსოფლიოში რომ გავრცელდება ცნობა, უშბის მწვერვალზე, გაგანია ზაფხულში ორი კაცი დაიღუპაო, ვინ ჩამოვა აქ? აღარავინ.

მერაბ ხაბაზი 44 წლის იყო, ზაალ ქიქოძეს ოქტომბერში შეუსრულდებოდა 58 წელი. მისი მეგობარი, ასევე პროფესიონალი მთამსვლელი შალვა ლეჟავა „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ზუსტად იხსენებს საბედისწერო მარშრუტის დაგეგმვის დეტალებს: — ეს კომერციული მარშრუტი კი არა, მეგობრული ჟესტი იყო ჰოლანდიელების პატივსაცემად. მათ ზაალი კარგად იცნობდა. მარშრუტი 8 ივლისს უნდა დაწყებულიყო, თუმცა 14-მდე გადაიდო.

ჩვენ შევეცადეთ ბატონ **შალვა ლეჟავასთან** ერთად ვარაუდების საფუძველზე გაგვეანალიზებინა მომხდარი.

— წინათ, საბჭოთა კავშირის დროს, ალპინისტები სპეციალურ ბანაკებში გადიოდნენ საგანგებო მომზადებას. იწყებდნენ იოლი მარშრუტებით. სავალდებულო იყო ნორმატივების ჩაბარება. შესაბამისად, ალპინისტი რთულ მარშრუტს მაქსიმალურად მობილიზებულად ადგებოდა, რაც უზრუნველყოფდა მის უსაფრთხოებას. ამას ემატებოდა კარგად ორგანიზებული სამაშველო სამსახურის დაცვა, რაც დღეს ფაქტობრივად აღარ არსებობს. ამასთან, თითქმის სავალდებულო იყო ჯგუფის წევრების ფსიქოლოგიური შეთავსებადობა. რთულ მარშრუტზე მიმავალთ მთაში ერთად სიარულის გამოცდილება უნდა ჰქონოდათ. მთამსვლელობა ფილოსოფიური საქმიანობაა. მთაში პიროვნული მარტოობა კიდევ უფრო აშკარა ხდება და თუ იქ ვინმესთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდება, ის შენი სულის თანაზიარი უნდა იყოს. ამიტომ მარშრუტებში თანამგზავრებად ახლობლებს ვარჩევდით. ახლა მარშრუტის დაგეგმვის იდეალიზების პროცესი დაკნინდა. უფრო პრაგმატულად უდგებიან ჯგუფის შერჩევას.

დღეს, 21-ე საუკუნეში ჩვენს სამაშველო სამსახურს არ აქვს ნორმალური კავშირის საშუალებები. მეტიც, ცალ-ცალკე უნდა არსებობდეს მთაში, წყალში და ა.შ. მომხდარი შემთხვევებისთვის სამაშველო ჯგუფები, რომ მთაში მყვინთავი კი არა, მთამსვლელი მაშველი წავიდეს. არც მუდმივი ტრანსპორტი, საწვავი აქვთ მაშველებს. ამ სამსახურის ენთუზიაზმით მუშაობა არ შეიძლება. ბიძინა გუჯაბიძე 15 თუ 20 წთ-ის ასული იყო მყინვარზე, ბიჭების ამბავი რომ გაიგო, იმავე ღამეს ჩამოვიდა მთიდან, მეგობრის ვაჟი დახვდა მანქანით და იმან ჩამოიყვანა თბილისში, აქ უცებ დავტრიალდით, მაგრამ... მაშველები მეგობრებისა და ძმაკაცების იმედზე არ უნდა იყვნენ. ჰოლანდიელებს ვერ წარმოედგინათ, რომ ქვეყანაში, სადაც ამდენი მთაა, არ არსებობს სამაშველო სამსახური. არადა, შესანიშნავი კადრები გვყავს — ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, გია აფაქიძე, შოთა კომახიძე, ნიკა ერქომაიშვილი და სხვები, ყველანი პროფესიონალი ალპინისტები არიან. ნიკამ შვეულმფრენიდან გადახტომისას ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც აგრძელებდა მუშაობას. თუნდაც მფრინავები რად ღირს: შამილ ქორთოშიძე და დათო აბალოიძე, რომლებმაც უშბის ოპერაცია ჩაატარეს, უმაღლესი კლასის მფრინავები არიან.

მთას, თანაც უშბას, მთის მცოდნე კაცი სჭირდება, მაღალი კვალიფიკაციის ალპინისტები კი დაქსაქსული არიან. მათი სასწრაფო მოძებნა და ჯგუფის ორგანიზება შეუძლებელია. ესეც იმაზეა დამოკიდებული, მანქანა გყავს თუ არა, საწვავი თუ გაქვს. საგანგებო სიტუაციათა სამსახურს უნდა ჰქონდეს ეს საკითხი მოწესრიგებული. ელემენტარული ინფორმაცია მაინც უნდა ჰქონდეს პროფესიონალების ადგილსამყოფლის შესახებ, რომ მათთან დროულად დაკავშირება შევძლოთ.

**— ბატონო შალვა, რამდენად გამართლებულად მიგაჩნიათ ქართულ-ჰოლანდიური ჯგუფის მიერ დაგეგმილი ლაშქრობა?**

— თუ ძალზე პრაგმატულად მივუდგებით ამ საკითხს, ჯგუფის მთაზე ასე ასვლა არ არის გამართლებული. მაგრამ მერაბის, ზაალისა და გელას მსგავს, მაღალი კვალიფიკაციის ალპინისტებს ხომ ვერ უბრძანებ საათბურე პირობებში ყოფნას. ამ საკითხს ყველა თავად წყვეტს. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ რა ვქნა, მე მაინც ვერ ვამტყუნებ მათ. აქ გაიბა დამთხვევათა ჯაჭვი, რისგანაც საუკეთესოდ აღჭურვილი და დაცული ალპინისტებიც არ არიან დაზღვეული. მთაში ექსტრემალურ სიტუაციათა ალბათობა ძალზე დიდია. მერაბი რომ ჩანჩქერში არ მოხვედრილიყო...

ჰოლანდიელებს შეეძლოთ მეტი ეაქტიურათ. მათი წასვლა გამართლებულია მარტო ერთი მიზეზით — კავშირი რომ დაემყარებინათ ბართან. მაგრამ შემდეგ შეეძლოთ ისევ დაბრუნებულიყვნენ ბიჭებთან და დახმარებოდნენ მათ.

სამწუხაროდ, ჰოლანდიელები სხვა მენტალიტეტით აზროვნებენ ან კიდევ ეგონათ, რომ სამაშველო სამსახური მიხედავდა ბიჭებს.

ახლა მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, მერაბი და ზაალი გავიხსენოთ. მერაბი ჩვენი მომდევნო თაობა იყო, შესანიშნავი ქართველი, რომელიც მარტო ალპინისტებს კი არა, მთელ ერს დააკლდა. მე და ზაალი სიცოცხლის ბოლომდე ვმეგობრობდით. მრავალმხრივ განათლებული და საინტერესო პიროვნება იყო, რომელსაც უჩვეულო აზროვნებითა და ცხოვრების წესით ყველგან გამოარჩევდი. ერთ დროს, როდესაც ქუჩებში ნაგვის ურნები იშვიათობა გახდა, საფერფლით დადიოდა, სიგარეტის ნამწვავი ძირს რომ არ დაეგდო. ჩვენ ერთად ვიყავით სამაშველო სამსახურში „სანთელი“. ეს ერთადერთი ასეთი სამსახური იყო მაშინ. როდესაც სოხუმში ტრაგედია დატრიალდა და ხალხის ტალღა ჭუბერზე წამოვიდა, ჩვენ კარვები გვქონდა გაშლილი, სადაც ქალებსა და ბავშვებს ვაპურებდით. ახლაც თვალწინ მიდგას მოხუცი, დავარდნილი ქალი, რომელიც უმწეო ჩვილივით დაჰყავდა ზალიკოს. ჭუბერიდან დაბრუნების შემდეგ დიდხანს ცუდად იყო, უძილობა სჭირდა, ვერ ივიწყებდა ნანახს. მას ცხოვრების წესად ჰქონდა საზოგადო მოღვაწეობა.

**დათო ჩანტლაძე**: — ზაალი და მერაბი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს ხასიათით. ზალიკო მოწოდებით გმირი იყო, მერაბი მთასავით მშვიდი და ჯიუტი, უზომოდ მოსიყვარულე. მყინვარწვერზე ავდიოდით ხშირად. 1999 წელს ევერესტზეც ერთად ვიყავით. მთა ფანატიკურად უყვარდა. არც მიკვირს. მთა კაცური სიყვარულის აპოგეაა, კაცურ სიყვარულს ბარში ისე ვერ გამოხატავ, როგორც მთაში. იქ ერთი სიტყვით მოფერება კოშკების დადგმის ტოლფასია. იქ რომ მეგობარი გეტყვის, ლილი შეიკარი, არ გაცივდეო, ე. ი. გულით გეუბნება, გეფერება. მიგრძნია, დამინახავს, ღამით კარავში ბიძინა ან სხვები როგორ წამომდგარან, საბანი გაუსწორებიათ ჩვენთვის. ან ცდილობდნენ, უკეთეს ადგილზე დავეწვინეთ. თვითონ კი მთელი ღამე ცივ ლოდს ყოფილან მიყრდნობილი. რასაც ჩვენ, ალპინისტები, მთაში ვნახულობთ, იმას ვერასოდეს ნახავთ ბარში. სიყვარული დაგვატარებს მთებზე.

*ეკა ლომიძე*

*„კვირის პალიტრა“ თანაგრძნობას უცხადებს დაღუპული მთამსვლელების ოჯახებსა და ახლობლებს.*




ზაალ ქიქოძე

მერაბ ხაბაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრიორიტეტების ძიებაში

# „კაცი ერთხელ რომ არ ივარგებს, სხვაგან კი არ უნდა გადაიყვანო, უნდა მოხსნა"

რა არის ქვეყანაში გასაკეთებელი, როგორ უნდა იქცეს საქართველო მოწინავე ქვეყნად, რა გაკეთდა ცუდად და რა უნდა შევცვალოთ, ამ კითხვებზე პასუხს „კვირის პალიტრა" ისევ ეძებს. რუბრიკის „პრიორიტეტების ძიებაში" სტუმარი ამჯერად აკადემიკოსი, ცნობილი ფიზიკოსი **ნოდარ ცინცაძეა**, რომელიც აშშ-ის, ევროპისა და აზიის არაერთ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს...

—ზოგჯერ ასე მგონია, ჩვენი ნიჭიერება გვიშლის ხელს, რომ კარგად ვიცხოვროთ — ზოგიერთი ვერ ეგუება გვერდით სხვა ნიჭიერ კაცს და ეს ქვეყანას ძვირი უჯდება.

ბევრი მხოლოდ სუფრასთან არის პატრიოტი. ქვეყნის სიყვარული ხმამაღალი სადღეგრძელოები არ არის. სამშობლო ისევე უნდა გიყვარდეს და ზრუნავდე მასზე, როგორც საკუთარ ოჯახზე. ვისაც რა შეუძლია, ის საქმე უნდა აკეთოს კარგად. არ შეიძლება, მაღალ პოსტებზე უცოდინარი ხალხი იყოს. ასეთების ხელში ინგრევა ქვეყანა, რადგან „არაოსტატები" ოსტატებს თავისზე წინ არ გაუშვებენ. შევამჩნიე, ამბიციური უმეტესად ის ხალხია, რომელსაც ნიჭიერება აკლია. თუ ადამიანი ნიჭიერია და მიღწევები აქვს, მისი საქმე ლაპარაკობს მის ნაცვლად. დღეს ზოგიერთი გაზეთში გამოქვეყნებული სტატიებით იცავს სადოქტოროს და გეუბნება, მეც მეცნიერი ვარო. ასეთებს როგორ უნდა დავარქვათ მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები?!

ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად მისი სიყვარულია საჭირო. ქართველებს საქართველოს სიყვარული გვაკლია და უპირველესად ამაში უნდა დავინახოთ ჩვენი პრობლემების სათავე. 37 მეცნიერებათა კანდიდატი აღვზარდე, გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც შემეძლო ჩემი ქვეყნისთვის და მისი სახელი მსოფლიოში გავიტანე. 1965 წელს ინგლისში, საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ბევრი ნობელის პრემიის ლაურეატი ესწრებოდა, ჩემზე გამოაცხადეს — მოხსენებას რუსეთის წარმომადგენელი გააკეთებსო. ავდექი და ამხელა აუდიტორიის წინაშე ვთქვი, რუსი კი არა, ქართველი ვარ-მეთქი. ასეთი შემთხვევა მერეც არაერთხელ ყოფილა, ყოველთვის ვიცავდი ჩემი ქვეყნის სახელს, მიუხედავად იმისა, რომ კა-გე-ბე გვმეთვალყურეობდა მეცნიერებს.

როდესაც ტელევიზიით ვიგებ, ამა და ამ მაღალჩინოსანმა ფული მოიპარაო, ზოგჯერ ვამბობ — ჯანდაბას 30% მოიპარონ, 70% კი სახელმწიფო ბიუჯეტში შეიტანონ-მეთქი. მაგრამ არა, სულ მიაქვთ... გამდიდრებაზე გამეცადინებული ხალხი ვერ ააშენებს ქვეყანას. შენი ხალხი რომ მშიერი და გამათხოვრებულია, კიდევ იმას ჰპარავ? ასეთები ყველასა და ყველაფერს გაყიდიან, ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად.



**„ვისაც „ბლატი" ჰქონდა, ყველა რექტორი და აკადემიკოსი გახდა"**

**გამდიდრებაზე მეოცნებე ხალხი ქვეყანას ვერ ააშენებს**

ბევრი რამ არც მე მომწონს, მაგრამ უნდა ვაცადოთ მთავრობას მუშაობა. იდეალური მთავრობაც რომ გვყავდეს, თავი გადადოს და ყველაფერი კარგად გააკეთოს, მაინც გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ბრძოლას დაუწყებენ. კაცი რომ რაღაცას აკეთებს, არ შეიძლება, შეცდომა არ დაუშვას. ახალგაზრდები მოვიდნენ, ცდილობენ ნოვატორული იდეების ხორცშესხმას და მათ ხელის შეწყობა სჭირდება. არ შეიძლება, ჩაუსაფრდე და ყველა მის ნაბიჯში ცუდი ეძებო. პრეზიდენტი ხშირად ამბობს, ბანანის ქვეყანა ვერ გავხდებითო. თუ მეცნიერებას და განათლებას ყურადღება არ მიექცევა და სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება ხელშეწყობა, ბანანის რესპუბლიკაზე უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით — მათ ბანანი მაინც აქვთ, ჩვენ კი — არა.

დღეს მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს განათლების რეფორმა. არადა, უნდა გვიხაროდეს, აქამდეც უნდა დაეწყოთ. არ შეიძლება ყველა მეცნიერის გათანაბრება — ზოგიერთს თანამდებობა უკავია და სინამდვილეში კი მეცნიერებაში არაფერი გაუკეთებია. მეცნიერს სტიმულირება სჭირდება. მან არც თანამდებობაზე უნდა იფიქროს და არც ოჯახის გამოკვებაზე — თუ მისი გონება სხვა აზრებით დაიტვირთა, რას შემატებს მეცნიერებას? საჭიროა კარგი პოტენციალის მქონე მეცნიერების გამოვლენა. მათი კვლევები უნდა გამოვიყენოთ ამ ქვეყნის ასაშენებლად. ხელის შეწყობა ნიჭიერ ხალხს სჭირდება და არა ისეთებს, რომელთაც ვილაცის რეკომენდაციებითა და ბიძაშვილ-მამიდაშვილობით დაიცვეს ხარისხი. ისიც საკითხავია, როგორ ტარდებოდა მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნები.

— **როგორ ფიქრობთ, ნამდვილი მეცნიერი რამდენი იქნება მათგან?**

— ათი თითი ეყოფა. მეტს ნუ მათქმევინებთ... 30 წელი რომ პარტიულ მუშაობას ეწეოდა კაცი და მერე უცებ აკადემიკოსი გახდა, რა, ბნელა მთვარიან ღამეს?! სად ჰქონდა მას იმის დრო, რაიმე ნაშრომი შეექმნა. ზოგჯერ მრცხვენია, ვთქვა, აკადემიის წევრი ვარ-მეთქი. ქართველებმა ყველაფრის გაუფასურება ვიციით. ერთხანს, ვისაც უნდოდა, ყველა პროფესორი გახდა, ახლა სადოქტოროებს იცავენ და რაში, კაციშვილმა არ იცის. აქამდე ყველაფერი ჩაწყობით, დარეკვითა და ნაცნობობით ხდებოდა. ამის წყალობით ხალხმა დიდი პოსტებიც მიიღო და მეცნიერებაშიც მოვიდა და იცით ეს რატომ მოხდა? საბჭოთა კავშირში აკადემიკოსებს კარგ ფულს აძლევდნენ. რაკი ფულს აძლევენ და მაღალ პენსიასაცო, ვისაც „ბლატი" ჰქონდა, ყველა რექტორი და აკადემიკოსი გახდა. რექტორი როგორ მოიცლის ნაშრომების საწერად, როცა იმხელა ორგანიზაცია აქვს მისახედი. თუ ეს პროცესი ისევ გაგრძელდა, ცხადია, მეცნიერება წინ ვერ წავა. ქვეყნის შველა ის იქნება, თუ ღირსეულ ადამიანებს მიეცემა გასაქანი. თუ ასე მოვიქცევით, ქვეყანა აყვავდება. საქართველოში 4 მილიონი კაცი ცხოვრობს და ყველას შეუძლია შეძლებულად და ბედნიერად იცხოვროს.

— **როგორ?**

— ქვეყანას აქვს ამდენი შემოსავალი და იმიტომ. უპირველესად, სოფლის მეურნეობაა ასაღორძინებელი, მიწის თითოეული გოჯი უნდა გამოვიყენოთ. ოქრო და ნავთობიც კი გვაქვს. 4 მილიონი მცხოვრებისთვის ეს იმაზე მეტიცაა, რაც გვჭირდება. ამ პოტენციალს გამოყენება უნდა. მოინახება ხალხი, რომელიც ჩვენი ქვეყნის აღორძინების გეგმას შეიმუშავებს. სამწუხაროდ, დღეს მათ არავინ არაფერს ეკითხება. რაკი ქვეყნის სათავეში მოხვდებიან, ჰგონიათ ყველაზე ჭკვიანები არიან. ისეთი სისტემა უნდა დაინერგოს, როგორიც საზღვარგარეთ არის. ამას წინათ ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტმა ორჯერ მომმართა — ამა და ამ კაცის პროფესორად არჩევა გვინდა და თქვენი მოსაზრება გაგვიზიარეთო. პასუხი გავუგზავნე და მადლობაც დავიმსახურე — თქვენმა ხმამ გადაწყვიტა ამ ნიჭიერი კაცის ბედიო. ასეთი არჩევნები, კონკურსები დაგვეხმარება იმაში, რომ კარგი ლექტორები შევიდნენ აუდიტორიებში (ამას წინათ უნივერსიტეტის კედელზე სტუდენტის მიერ გაკეთებული წარწერა ნახეს — „ლექციას მე არ ვაცდენ, ლექცია მაცდენს მე"(!). — ავტ.). არ შეიძლება სტუდენტთან 30 წლის წინ დაწერილი წიგნიდან ნასწავლით შეხვიდე. ასეთ ლექტორს სტუდენტი მეორედ აღარ მოუსმენს. თუ მეცნიერულ სამზარეულოში არ ხარ ჩართული, არ იცი, რა სიახლეებია შენს სფეროში, თავად არ წერ ნაშრომებს, კარგ ლექციას ვერ წაიკითხავ. ისეთ სტუდენტს ვერ გაზრდი, რომ ის საერთაშორისო დონეს აკმაყოფილებდეს. თუ კონკურსები ობიექტურად ჩატარდება უნივერსიტეტებში, ამას რა სჯობია, ეს პროგრესულ. ნაბიჯი იქნება.

საქმეში ისე ვარ ჩაფლული, ბევრი არც მიფიქრია, ამ ქვეყნის უკეთ მოწყობა როგორ შეიძლება-მეთქი, მაგრამ ის კი ვიცი, რა არის უპირველესად გასაკეთებელი. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემებია უპირველესად მოსაგვარებელი. მეურნე კაცი არ ვარ და ვერ ვიტყვი, რისი გაკეთება როგორ აჯობებს, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ ზოგი რამ ცუდად გაკეთდა. შეცდომები ახალ ხელისუფლებასაც აქვს — თუ კაცმა ფული მოიპარა, მოსახლეობა და ქვეყანა აზარალა, მას ფული კი არ უნდა წაართვა, პასუხი უნდა აგებინო. ამა და ამ კაცმა 100 მლნ მოიპარა და 10 მილიონი დაადებინესო რომ ამბობენ, ის 90 მილიონი ხომ დარჩა მოპარული და შერჩა ხახვივით? ხალხის უბედურების ხარჯზე გამდიდრებულებმა პასუხი უნდა აგონ. არც ის არის სწორი, 100 მილიონის მომპარავს 10 მილიონს ხაზინაში რომ ადებინებენ, 10 მილიონზე კი ეუბნებიან — მე მომეცი და დანარჩენი შენი იყოსო. ამაზე ხალხი ლაპარაკობს და ცუდია, თუ მართლაც ასე ხდება.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)




# როგორ იარაღს ვყიდულობთ?!

## „გაშიშვლებული“ ტანკები კარგად შეჯავშნულთა გვერდით

„კვირის პალიტრა“ მკითხველს ხშირად აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ახალი საბრძოლო ტექნიკით მარაგდება ქართული არმია. თუმცა საიდუმლოების გაცემა რომ არ დაგვაბრალონ (ისე, სულაც არ არის გამორიცხული, ინფორმაცია ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან უფრო გადიოდეს), ვცდილობთ, ეს მონაცემები არ დავაკონკრეტოთ.

ცოტა ხნის წინ გაეროს რეესტრში გამოქვეყნდა უკრაინის მთავრობის ინფორმაცია, რომლის თანახმადაც „უკრსპეცექსპორტმა“ შარშან საქართველოს მიჰყიდა 6 ერთეული თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С3 Акация, 28 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 და 13 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80. იმავე რეესტრში, უკვე საქართველოს ანგარიშში მითითებულია, რომ ქვეყანაში კიდევ შემოვა 40 ერთეული БМП-2 და 10 БТР-80.

ამის გარდა 26 მაისის სამხედრო აღლუმზე, კერძოდ კი ორფოლოს პოლიგონზე, საარტილერიო და ჯავშანსატანკო სწავლებების დროს, ადგილობრივთან ერთად უცხოურ პრესას და სამხედრო ატაშეებს შეეძლოთ ენახათ თითქმის ყველა ის საბრძოლო ტექნიკა, რომელიც ბოლო თვეებში შეემატა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს; მათ შორის იყო დამრტყმელი Ми-24-ის მარკის შვეულმფრენები და Т-72 ტიპის ტანკებიც.

ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელზე შევჩერდებით. ორფოლოს პოლიგონზე ჯავშანსატანკო სწავლების დამამთავრებელი საჩვენებელი წვრთნის დროს ერთმანეთის გვერდით რამდენიმე მოდიფიკაციის Т-72 ტიპის ტანკი გამოჩნდა.

ზოგიერთისთვის ყველა Т-72 ერთი და იგივეა, მაგრამ მათი ჯავშნის სისქე სულ ერთი არ არის ტანკსაწინაალმდეგო კუმულაციურქობინიანი რაკეტებისთვის, ისევე როგორც ამ ტანკებში მსხდარი ეკიპაჟებისთვის.

დღემდე ქართულ არმიას შეიარაღებაში ათიოდე წლის წინ, ნადიბაიძის მინისტრობის დროს, ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზიდან გადმოცემული 30 ცალი Т-72Б1 ტიპის ტანკი ჰყავდა. ეს შედარებით ახალი მოდიფიკაცია გახლდათ, რადგან ტანკის ჯავშანი დინამიკური დაცვის კონტეინერებით იყო დაფარული.



ორფოლოს პოლიგონი. კარგად დაცული (როგორც ფალშ-ბორტებით, ისე დინამიკური დაცვის კონტეინერებით), Т-72Б1 ტიპის ტანკის უკან „გაშიშვლებული“ ჩეხური Т-72М მოჩანს

ათი წლის განმავლობაში ეს კონტეინერები ცარიელი იყო (ქართველმა მეცნიერებმა სცადეს მათში ე.წ. „მცოცავი ჯავშნის“ განთავსება, თუმცა ამით სამხედროები ნაკლებად დაინტერესდნენ), საბედნიეროდ, წლეულს ეს პრობლემა, ჩვენი ინფორმაციით, გადაიჭრა — შეისყიდეს საჭირო რაოდენობის პლასტიკური ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც კონტეინერებში უნდა ჩაიდოს.

წლეულს უკრაინაშივე შეისყიდეს ორ ათეულამდე (ზუსტ ციფრს და თითოეული ტანკის ღირებულებას არ დავასახელებთ) Т-72А ტიპის ტანკი. იგი 1979-85 წლების გამოშვებაა და ჩამორჩება Т-72Б1 მოდიფიკაციას. თუმცა საქართველოსთვის მიყიდვამდე მოდერნიზებული იქნა Т-72АВ-ს დონემდე, ანუ მასაც გაუჩნდა დინამიკური დაცვის კონტეინერები და, შესაბამისად, გაიზარდა ამ ტანკების მდგრადობა კუმულაციურქობინიანი რაკეტების მიმართ.

ორფოლოს პოლიგონზე Т-72 ტანკის კიდევ ერთი მოდიფიკაცია გამოჩნდა — Т-72М ტიპის მოდიფიკაცია. იგი, ფაქტობრივად, საბჭოთა Т-72А-ს წარმოადგენს, მაგრამ ლიცენზიით დამზადდა ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში.

საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, რა თქმა უნდა, პოლიტბიუროს მკაცრი მითითებით, ერთსა და იმავე ტექნიკას ხშირად სამი კატეგორიის მიხედვით ამზადებდა. პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდა საბჭოთა არმიის ალსაჭურვი ტანკები, თვითმფრინავები თუ სხვა სახის იარაღი, მეორე კატეგორიაში შედიოდა ვარშავის ხელშეკრულების აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გასაყიდი შეიარაღება, მესამე კატეგორიის, ყველაზე დაბალი შესაძლებლობების საბჭოთა იარაღს მოსკოვი მსოფლიოს მესამე ქვეყნებში ყიდდა.

ყველაფერი ეს ეხება Т-72 ტიპის ტანკების მოდიფიკაციებსაც. ჩეხოსლოვაკიაში გამოშვებული Т-72М ტიპის ტანკს უფრო მარტივი შეიარაღების მართვის სისტემა და, რაც მთავარია, უფრო სუსტი ჯავშანი ჰქონდა, ვიდრე იმავე მოდიფიკაციის საბჭოთა Т-72А-ს.

ამიტომაც არის საკვირველი, რატომ შეიძინა თავდაცვის სამინისტრომ დინამიკური დაცვის არმქონე და შეთხელებულჯავშნიანი Т-72М-ები ჩეხეთიდან, როდესაც მანამდე დაახლოებით იმდენივე (ერთით მეტი) Т-72АВ ტიპის, ბევრად უკეთ დაცული ტანკი უკრაინიდან შემოიტანა?!

მათ შორის განსხვავება ფასშიცაა. მართალია, უკეთესი დაცვის მქონე საბჭოთა წარმოების თითოეული Т-72АВ უკრაინაში დაახლოებით 27 ათასი დოლარით მეტი დაჯდა, ვიდრე ჩეხური, მოძველებული Т-72М-ები, მაგრამ ამ უკანასკნელთ არ გააჩნიათ სპეციალური სამაგრები დინამიკური დაცვის კონტეინერების დასამაგრებლად და დაზოგილი 27 ათასი დოლარი შეიძლება არც ეყოს თითოეული ტანკის თანამედროვე დონემდე გაძლიერებას. თანაც ჩეხეთში ნაყიდ ტანკებს გვერდებზე არ აქვთ ფალშ-ბორტები, სავალი ნაწილის ნახევრად დასაფარავად, რაც ასევე ზრდის მათი დაზიანების ალბათობას კუმულაციურქობინიანი რაკეტების მოხვედრის შემთხვევაში.

ტანკების დაცვის გაძლიერების აუცილებლობა ჩეჩნეთის პირველმა ომმა გამოაჩინა. გროზნოს ქუჩებში ბრძოლებისას ჩეჩნები РПГ-7 ტიპის ხელის ყუმბარმტყორცნებიდან ნასროლი კუმულაციურქობინიანი რაკეტებით ძირითადად სწორედ იმ რუსულ Т-72А, Т-72Б და Т-80Б ტიპის ტანკებს აფეთქებდნენ, რომლებსაც მოხსნილი ჰქონდათ ფალშ-ბორტები და დინამიკური დაცვის კონტეინერები, ან ეს კონტეინერები ცარიელი იყო.

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანალიტიკურ მასალებში, რომლებიც მხოლოდ სამსახურებრივი მოხმარებისთვისაა გათვალისწინებული, აღნიშნულია, რომ ფალშ-ბორტებისა და დინამიკური დაცვის კონტეინერების არმქონე ტანკების აფეთქება გარანტირებული იყო რამდენიმე კუმულაციურქობინიანი რაკეტის (2-3) მოხვედრის შემდეგ. ამ და სხვა მიზეზების გამო, მარტო სამ თვეში (1994 წლის 31 დეკემბერი — 1995 წლის 1-ელი აპრილი) რუსეთის ფედერალურმა ძალებმა ჩეჩნეთში 225 ერთეული ჯავშანტექნიკა, მათ შორის — 62 ტანკი სამუდამოდ დაკარგეს (მათი გარემონტება შეუძლებელი იყო).

„გაშიშვლებულ“ — ფალშ-ბორტებისა და დინამიკური დაცვის კონტეინერების არმქონე ტანკების შესყიდვაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გასული საუკუნის 70-80-იანი წლების ეს საბრძოლო მანქანები უკვე „ადვილი ლუკმა“ ხდება 5-10 წლის წინ გამოშვებული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისა. ჩვენი ინფორმაციით, სეპარატისტების (როგორც ცხინვალის რეგიონში, ისე აფხაზეთში) შეიარაღებაში უკვე გამოჩნდა შედარებით თანამედროვე კუმულაციურქობინიანი როგორც მართვადი, ისე უმართავი რაკეტებიც. მათ შორის „ორთავიანებიც“, რომლებსაც ორი კუმულაციური ქობინი ერთმანეთის მიყოლებით ტანდემურად აქვთ განთავსებული — პირველი აფეთქებს დინამიკური დაცვის კონტეინერს, მეორე კი უშუალოდ ტანკის ჯავშანზე მოქმედებს.

ასეთ დროს ალბათ უფრო იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ დამატებით როგორ გავაძლიეროთ ქართული ტანკების ჯავშანი და არა იმაზე, როგორ ვიყიდოთ (თუნდაც ცოტა იაფად) ცუდად დაცული ტანკების ძველი მოდიფიკაციები.



# ტერორიზმში ეჭვმიტანილი წითელმა ცხვირსახოცმა გასცა

## არუთინიანს მოედანზე, სომხურის ნაცვლად, რუსული ხელყუმბარა რომ ესროლა, ტრაგედია გარდაუვალი იქნებოდა

„ამერიკელი სპეციალისტები ალბათ ეცდებიან ტერორისტის დნმ-ის პოვნას ცხვირსახოცზე, რაც უფრო მნიშვნელოვანი ნივთმტკიცებაა, ვიდრე თვით აუფეთქებელი ხელყუმბარა“, — ეს ციტატა არის 16 მაისის „კვირის პალიტრის“ სტატიიდან, „ხელყუმბარა სასწაულით არ აფეთქდა“.

ეჭვმიტანილი ამოიცნეს სწორედ იმ წითელი ცხვირსახოცით, რომელშიც ბომბი იყო გახვეული — მოედანზე გადაღებულ ფოტოსურათებზე ნათლად ჩანს, როგორ უჭირავს გულთან მიდებულ მარჯვენა ხელში სწორედ ეს ცხვირსახოცი შავსათვალიან, შავთმიან ახალგაზრდას.

საინტერესოა, რომ ორშაბათს, 18 ივლისს, შსს-ს მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ ეჭვმიტანილის ფოტოსურათებზე წითელი ცხვირსახოცი რატომღაც ამოშლილი იყო, ხოლო მანამდე, კვირას, 17 ივლისს, საპატრულო პოლიციასა და მესაზღვრეებს დაურიგდათ იგივე ფოტოსურათები დახურული პაკეტებით. მათზე ეს ცხვირსახოცი ჩანდა!

„კვირის პალიტრამ“ ეჭვმიტანილის ეს ფოტოსურათები დაახლოებით ერთი თვის წინ მოიპოვა. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი იყო ამ





ეჭვმიტანილს გულთან წითელ ცხვირსახოცში გახვეული ხელყუმბარა უჭირავს (მარცხნივ)

რგოლმოხსნილი და უკვე გადაგდებული იმავე ცხვირსახოცში გახვეული ხელყუმბარა (ზემოთ)

სწორედ ამ სამგანზომილებიანი ფოტორობოტის მეშვეობით ამოიცნეს ეჭვმიტანილი ფოტოსურათზე (ქვემოთ)



სენსაციური სურათების გამოქვეყნების ცდუნება, მაგრამ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, თავი შევიკავეთ. მხოლოდ 27 ივნისის „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, „ბუშისკენ ხელყუმბარა ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდამ გადააგდო“, ვწერდით: — „ფოტორობოტით თავისუფლების მოედანზე გადაღებულ ვიდეოკადრებში სავარაუდო ეჭვმიტანილი ამოიცნეს... კადრებში ჩანს, რომ მას ამინდის შეუფერებლად, თბილად აცვია“.

11 ივლისს კი სათაურით, „სად არის „თბილისელი ბომბისტი?“ — აღვნიშნეთ: „ერთი ვერსიით, ქართული სპეცსამსახურები უახლოეს დროში საზოგადოებას ამცნობენ დაზუსტებულ ინფორმაციას არშემდგარი ბომბისტის შესახებ.“ არც შევცდით, რადგან ამ სტატიის დაბეჭდვიდან კვირის თავზე შსს-მ გამოაქვეყნა ეჭვმიტანილის ის ფოტოსურათები. ყოველივე ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ეჭვმიტანილ ვოვა არუთინიანის ოთახში სხვადასხვა სამხედრო ლიტერატურასთან ერთად „კვირის პალიტრის“ ეს ნომრებიც აღმოჩნდა.

შსს-მ მართლაც რომ კოლოსალური სამუშაო ჩაატარა ეჭვმიტანილის ამოსაცნობად. თუმცა შსს-ს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებულ ტექსტში არაფერია ნათქვამი, თუ თავიდან როგორ მოიპოვეს ეჭვმიტანილის ფოტოსურათი.

შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ჰაბიტოსკოპია-ფონოსკოპიის მიმართულების უფროსმა მიხეილ ყანდარელმა მოედანზე მყოფი ქალბატონისა და მისი შვილის დახმარებით შექმნა ეჭვმიტანილის სამგანზომილებიანი ფოტორობოტი. სწორედ ამ ფოტორობოტის მეშვეობით ამოიცნეს ეჭვმიტანილის ფოტოსურათი. სურათზე გამოჩენილმა წითელმა ცხვირსახოცმა კი ეჭვი უფრო გაამძაფრა.

20 ივლისს, ვაშლიჯვარში განხორციელებულ ოპერაციას ეჭვმიტანილის დასაკავებლად, მთლად წარმატებულს ვერ ვუწოდებთ — არა იმიტომ, რომ დაიღუპა ქართველი ოფიცერი ზურა ქვლივიძე (რედაქცია თანაუგრძნობს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გმირულად დაღუპულის ოჯახს), არამედ...

ჩვენი ინფორმაციით, იქ არ ყოფილა დაგეგმილი სპეცოპერაციის ჩატარება — სამი ოპერმუშაკი ინფორმაციის გადასამოწმებლად მივიდა ამ კორპუსში. მათ ზურგს სპეცრაზმი არ უმაგრებდა, იგი მოგვიანებით გამოიძახეს. ერთი მხრივ, ეს გასაგებია — შსს ინფორმაციის გადასამოწმებლად გასულ ყველა ოპერჯგუფს სპეცრაზმს ვერ გააყოლებდა.

ის ფაქტი, რომ ეჭვმიტანილს ჩანთით თან ჰქონდა ავტომატი სათადარიგო მჭიდებით და ორი ხელყუმბარა, ეცვა „უდაბნოს ქარიშხლის“ ოპერაციის აშშ-ის მებრძოლების კომუფლირებული შარვალი, მიუთითებს, რომ ის პატარა „ომისთვის“ უკვე მზად იყო და უბრძოლველად ჩაბარებას არ აპირებდა!

20 ივლისს, სპეცოპერაციისას, სპეციალისტებს არეულ-დარეულობამ შეუშალა ხელი, გაეგოთ, სად მიიმალა დაჭრილი ეჭვმიტანილი.

ამ ქაოსს მარტო ჟურნალისტებისა და უბრალო ცნობისმოყვარეების გაცხოველებული ინტერესი როდი ქმნიდა. ბევრი სამართალდამცველი, რომელთა იქ ყოფნა იმ დროს ალბათ სულაც არ იყო აუცილებელი, ცდილობდა, უფროსობის თავის მოსაწონებლად, ყველგან ჩაჩრილიყო.

ამის გამო კინოლოგიური სამსახურის დაგეშილმა ძაღლებმა ერთხელ დაკარგეს კიდევაც კვალი. როცა მეორედ აღებინეს სუნი დაჭრილის სისხლზე, ძაღლებმა სპეცრაზმელები კორპუსის ახლოს, პატარა ტყეში მიიყვანეს, სადაც ეჭვმიტანილი იმალებოდა.

შემთხვევის ადგილიდან, ეჭვმიტანილის ბინიდან, სარდაფიდან და ქოხიდან ამოღებული ნივთმტკიცებები დაილუქა და მის სკრუპულოზურ შესწავლას ქართული მხარე მხოლოდ ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად აპირებს.

მიუხედავად ამისა, „კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა, ძირითადად რა შეიარაღება და აღჭურვილობა ამოიღეს ეჭვმიტანილისგან — ეს არის 5,45 მმ კალიბრიანი „კალაშნიკოვის“ ავტომატი, რამდენიმე მჭიდი, ღამის ხედვის მოწყობილობა, თვითნაკეთი სასროლი იარაღი და, რაც მთავარია, საბჭოთა წარმოების ორი ხელყუმბარა — РГ-42 და РГД-5.

ჩვენი ვარაუდით, თავისუფლების მოედანზე სასროლად ეჭვმიტანილმა საბჭოთა РГД-5-ს სომხური წარმოების ხელყუმბარა იმიტომ არჩია, რომ ეს უკანასკნელი უფრო მოზრდილი და მძიმეა. მას რომ საბჭოთა РГД-5 აერჩია, შედეგი შეიძლება მართლაც სავალალო ყოფილიყო თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა და შემდგომში რუსული ხელყუმბარები, დამზადების ტექნოლოგიითა და ხარისხით სომხურს ჯობს.

ასევე, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ეჭვმიტანილის სარდაფიდან ამოღებულია სწორედ ის დათბილული მუქი ფერის ქურთუკი, რომელიც 10 მაისს თავისუფლების მოედანზე გადაღებულ ფოტოსურათზე გამოსახულ ეჭვმიტანილს აცვია!

მართალია, ეჭვმიტანილი თავისივე ინიციატივით აღიარებს ტერაქტის მცდელობას, მაინც რჩება ეჭვი, რომ მის უკან გარკვეული ჯგუფი შეიძლება იდგეს.

თუმცა ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ იგი მარტოხელა ტერორისტია, რომელსაც ცხოვრებაში არ გაუმართლა და ქვეცნობიერად მსოფლიოს ისტორიაში შესვლა უნდოდა (რაც მან მოახერხა კიდეც). როგორი სახელით, ეს სხვა საქმეა.

# „მესამე მსოფლიო ომს“ ტერორისტები იწყებენ

## ტერაქტები დიდ ბრიტანეთსა და ეგვიპტეში



ეგვიპტეში განხორციელებული ტერაქტის შედეგად დანგრეული სასტუმრო

21 ივლისს ლონდონის მეტროში კინაღამ განმეორდა 7 ივლისის ტრაგედია, როდესაც ბომბების აფეთქების შედეგად 56 ადამიანი დაიღუპა და ასობით დაიჭრა.

ამჯერადაც სამი აფეთქება გაისმა მეტროში და ერთი — ავტობუსში, მაგრამ, საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა. სავარაუდოდ, აფეთქდა ჩანთებში მოთავსებული დეტონატორები და არა მთლიანად ბომბები.

ლონდონის მეტროში კი პოლიციამ ხუთი გასროლით მოკლა პიროვნება, რომელიც მათ არ დაემორჩილა და გაქცევას აპირებდა. პოლიციელმა იგი კამიკაძე-ტერორისტად მიიჩნია, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ტერორისტებთან და შესაძლოა პოლიციამ სრულიად უდანაშაულო ადამიანი მოკლა.

ეს კი, პირველ რიგში იმ მასობრივი ფსიქოზითაა გამოწვეული, რომელიც სისხლიანი ტერორისტული აქტების შემდეგ იწყება სამართალდამცველებს შორის — მათ ყველა ჩანთიანი ან აზიური წარმომავლობის პიროვნება უკვე პოტენციურ ტერორისტად ეჩვენებათ. დაახლოებით ამავე სინდრომითაა შეპყრობილი მოსკოვის მილიცია ჩეჩნეთის მიერ განხორციელებული ყოველი მორიგი აფეთქების შემდეგ.

თუკი ლონდონელებს 21 ივლისს გაუმართლა და დეტონატორების აფეთქებებს მსხვერპლი არ მოჰყოლია, ეგვიპტის ქ. შარმ-ელ-შეიხის მცხოვრებნი ამას, სამწუხაროდ, ვერ იტყვიან.

23 ივლისს, გამთენიისას, ამ ცნობილ საკურორტო ქალაქში ერთმანეთის მიყოლებით სამი დიდი აფეთქების ხმა გაისმა. ერთი კამიკაძე-ტერორისტი ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე ავტომობილით ფეშენებელური სასტუმროს მისაღებს დაეჯახა. აფეთქების ძალამ სასტუმრო თითქმის მთლიანად დაანგრია. მეორე აფეთქება სხვა სასტუმროს წინ მოხდა, მესამე ტერორისტმა კი „ჯოჯოხეთის მანქანა“ ძველი ბაზრის ტერიტორიაზე აამოქმედა.

უეჭველია, რომ ტერორისტული აქტების დამგეგმავები, პირველ რიგში, რაც შეიძლება მეტი ტურისტის განადგურებას ფიქრობდნენ.

პირველადი მონაცემებით, ტერაქტების შედეგად დაიღუპა 80 კაცი, 200-ზე მეტი დაიჭრა. თუმცა დანგრეული სასტუმროების განმენდის შემდეგ მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

საგულისხმოა, რომ ტერაქტების განხორციელების დღეს ეგვიპტეში უნდა აღენიშნათ სახელმწიფო დღესასწაული — 1952 წლის რევოლუციის მორიგი წლისთავი.

ეგვიპტეში ტერაქტები ბოლო დროს იშვიათობას აღარ წარმოადგენს. „ალ-ქაიდას“ „შვილობილი“ ტერორისტული დაჯგუფებები ყველანაირად ცდილობენ, აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილ ეგვიპტეს მთავარი შემოსავალი — ტურისტული ბიზნესი დააკარგვინონ. ამისთვის ტერორისტები მათივე რწმენის ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის (რომლებიც სასტუმროებში მომსახურე პერსონალია) განადგურებასაც არ ერიდებიან.

**რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა**



# ზონის „მაყურებლის“ საიდუმლო წერილები



— კოლონიაში გელას გარდა კიდევ ხუთი ქურდია. სეფესიტყვას კი მაინც ეს კავკასიელი ამბობს. ვერაფრით ამიხსნია, როგორ ახერხებს ეს ხალხი სხვებზე მბრძანებლობას. თითქოს არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი ბოროტმოქმედია. გარეგნულადაც არ არის ყარამან ყანთელი, — კოლონიის უფროსი უფრო თავისთვის ლაპარაკობდა, ვიდრე სხვების გასაგონად, — გუშინ უარი ვუთხარი რიგგარეშე პაემანზე, დღეს კი სამი ათასი კაცი სამუშაოდ აღარ გავიდა. არადა შაქრის ჭარხლის აღების სეზონია. ეს წუთია, ქარხნის დირექტორმა დამირეკა — თუ შუადღემდე ჭარხალს არ მივაწვდით, შაქრის ქარხანა გაჩერდება და შემდეგ მის ამუშავებას მთელი კვირა დასჭირდებაო. ამით მიმანიშნა, პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათო. ამაში კი რაიონული და საოლქო კომიტეტების ბიუროებიც იგულისხმება... აუცილებელი საკადრო ცვლილებებით. ასე რომ, ქურდი, თანაც პატიმარი ქურდი, მოგვერია. ფაქტობრივად, აქაურობას ის მართავს...

კოლონიის უფროსი ახალდანიშნული იყო, ამ ადგილზე პარტიის რაიკომიდან გადმოიყვანეს, სადაც ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას კურირებდა და არცთუ ურიგოდ. როგორც ჩანს, იფიქრეს, ღირსეულ კადრს ვაგზავნითო ეგრეთ წოდებულ „ცხელ წერტილში“. აქ კი აღმოჩნდა, რომ კოლონიაში ფაქტობრივი უფროსი და განმკარგულებელი ვიღაც კავკასიელია, ვლადიმირ სემიონოვიჩი კი მხოლოდ საბუთების მიხედვით არის ამ თანამდებობაზე.

— არ დაგავიწყდეთ, რომ ეგ კაცი ქართველია, ამხანაგო მაიორო, ქართველებს კი ყველგან და ყველაფერში პირველობა უყვართ. ერთმა გალეულმა ქართველმა ხუთი რუსი ქურდი დაჯაბნა. ისე, ციხე-კოლონიებს ჩვენში ქურდები მართავენ და გუშინდელ თქვენს უარზე — ახლობელი შეგხვედრებინათ მისთვის — ყველას ასეთივე რეაგირება ექნებოდა, სამუშაოდ არავის გაუშვებდნენ, — ვითომ უფროსის დამშვიდება სცადა მისმა მოადგილემ პოლიტაღმზრდელობით დარგში.

— ჰოდა, მეც მათრახს ავამუშავებ, — გაცხარდა ვლადიმირ სემიონოვიჩი, — აგერ, ინსტრუქციაში წერია, რომ ასეთ დროს შეგვიძლია კარცერში ჩავსვათ პატიმარი. ახლავე ჩააყუდეთ... მთელი ათი დღით.

— ჰოდა, მთელი ათი დღე არავინ გავა სამუშაოდ. მაგათი ინსტრუქცია ჩვენისგან განსხვავებით საათივით მუშაობს.

— არ ვიცი ასეთ პირობებში როგორ ვიმუშაო!

— რას იზამთ, არც სხვებს სიამოვნებთ, მაგრამ მუშაობენ.

ვლადიმირ სემიონოვიჩი ჩაფიქრდა. რა თქმა უნდა, სმენოდა, რომ ციხე-კოლონიებში ყველაფერს ქურდები წყვეტენ, მაგრამ თუ მას, პარტიის რაიკომიდან მოვლინებულ ხელმძღვანელს ამისთანა რამეს გაუბედავდნენ, ნამდვილად ვერ წარმოედგინა. საბედნიეროდ, ჭკვიანი კაცი გამოდგა — არ გაჯიუტებულა და ტლინკები არ უყრია. კოლონიის პატიმარს, გელა გლუნჩიძეს (გვარ-სახელები აქ და შემდგომში შეცვლილია) იმ დილასვე ნება დართეს, რომ რიგგარეშე შეხვედროდა თავის ნათესავს, რომელსაც ბედად ჯერ კიდევ არ დაეტოვებინა ქალაქის სასტუმრო და თერთმეტ საათზე შაქრის ჭარხლის პლანტაციებს ათასობით პატიმარი შეესია.

— თავის მოჭრას გადავრჩით, მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ეგ პატიმარი აქედან მოვიშოროთ. არ მითხრათ ახლა, ეს წავა და სხვა გამოჩნდებაო. ეს უკვე ვიცი. ოღონდ გლუნჩიძე მოვაშოროთ აქაურობას და სხვისგან იქნებ ავიტანო კიდეც ასეთი თავნებობა.

სხვათა შორის, გლუნჩიძემ გუშინწინ გამომიცხადა, ვინმე ჩვენებური სამართალდამცველი მოიწვიეთ, მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი. არ მინდა, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სხვას ჩავუგდო ხელთო. ახლა ჩვენს ქალაქში ვეძებ ვინმე ქართველს, ვისაც თბილისელ სამართალდამცველად გავასაღებთ, — თავისი „გამჭრიახობით“ კმაყოფილმა კოლონიის უფროსმა კოლეგებს გადახედა. აინტერესებდა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა სხვებზე მისმა რეპლიკამ.

— გგონიათ, ასე იოლად გააცურებთ გლუნჩიძეს? გეტყობათ, კარგად არ იცნობთ კოლონიის მაყურებელს. ამ მეთოდით მხოლოდ კომკავშირის რაიკომში შეიძლება მუშაობა, — კოლონიის უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში ასეთ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდა. ამ დაწესებულებაში მართლაც ჭიპმოჭრილი კაცი ვერ იტანდა პარტიული ნიშნით დაწინაურებულ კადრებს.

— მართალი ბრძანდებით, — ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა ვლადიმირ სემიონოვიჩმა, — დღესვე დავუკავშირდეთ თბილისს. იქნებ მოავლინონ ვინმე.

## ალსარება თუ...

— შენ უნდა ნახვიდე, დავით. მართალია, პატიმარს არ იცნობ, მაგრამ რუსებთან ურთიერთობა გეადვილება და ეს ცოტას როდი ნიშნავს. გლუნჩიძე სოხუმელია, ადრე იქვე გაასამართლეს ქურდობისთვის. სასჯელის მოხდის შემდეგ რუსეთში გადაბარგდა და ამჯერად მკვლელობისთვის ზის. რუსმა კოლეგებმა კანონიერი ქურდის ტიტული უბოძეს და ახლა ვორონეჟის ერთ-ერთი კოლონიის მაყურებელია. სოხუმელებში ვერაგი, დაუნდობელი კაცის სახელი აქვს. ჯერჯერობით მხოლოდ ეს ვიცით. აეროპორტში აფხაზეთის სისხლის სამართლის სამძებროს ოპერმუშაკი შემოგიერთდება. ეს ახალგაზრდა კარგად იცნობს გლუნჩიძეს და როგორც ამიხსნეს, მისი თანდასწრებით ბლეფს ვერ გააგორებს. ვნახოთ, იქნებ მართლა საინტერესო რამეს გვთავაზობს რუსეთში ქურდად მონათლული ჩვენი თანამემამულე, — მინისტრის მოადგილემ თვითმფრინავის ბილეთები და სამივლინებო ფურცელი გაუწოდა დავითს. მეორე დღეს ჩაფრინდა დავითი ვორონეჟში სოხუმელ კოლეგასთან ერთად. ვლადიმირ სემიონოვიჩმა სიხარულით მიიღო სტუმრები. — მე აქ ახალი დანიშნული ვარ, დავით. ჩემი წინამორბედები კი გლუნჩიძეს ორი პატიმრის მკვლელობაშიც ადანაშაულებენ, მაგრამ მტკიცებულებები არ გვაქვს ხელთ. მთელი კოლონია ისე ჰყავს აყვანილი (მათ შორის, ჩემი თანამშრომლებიც), რომ ჩვენებას არავინ იძლევა. მაგას რომ მომაშორებდეთ, მგონი, შევძლებ წესრიგის დამყარებას. მე კარგად ვიცნობ რუსულ ხასიათს და ამათთან საერთო ენის გამონახვა არ გამიჭირდება. მეცით პატივი და მიშუამდგომლეთ თქვენს ხელმძღვანელობასთან გლუნჩიძის საქართველოში გადაყვანის შესახებ.

— შევეცდები... თუ შესაბამის არგუმენტსაც გამოვნახავთ, — უპასუხა კოლონიის უფროსს.

„მართლაც გეტყობათ, რომ ახალი ხართ, ვლადიმირ სემიონოვიჩ. ძველი თანამშრომელი ასე აშკარად როგორ გაამხელდა თავის ჩანაფიქრს. პატიმარი წაიყვანე, რომელსაც ოცდახუთი წელი აქვს მისჯილი მკვლელობისათვის. ამის შემდეგ აქ ზონაში კიდევ ორი კაცი მოკლა და კოლონიასაც თავის ჭკუაზე აბურთავებსო. ასეთს ვინ წაიყვანს, ჩემო ძმაო. თქვენ გყავდეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ“, ფიქრობდა დავითი. მან მაშინვე გადაწყვიტა, რომ გლუნჩიძეს საქართველოში არ დააბრუნებდა... არანაირი გარიგების სანაცვლოდ. არადა, იცოდა, რომ პატიმრის პირველივე მოთხოვნა საქართველოში ექსტრადიცია იქნებოდა. არც შემცდარა. გლუნჩიძეს არ ესიამოვნა სოხუმელი მილიციელის დანახვა. უემურად მიესალმა და იატაკზე მიჭედებულ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— აბა, გისმენთ, გელა, რა გაქვს სათქმელი? ღირდა კი ამ სიშორეზე ამისათვის ორი კაცის ჩამოსვლა?

— ჯერ ერთი, მე ორი კაცი არ მომითხოვია. მეორეც — მალე დარწმუნდებით, რომ ღირდა, ოღონდ ამის შესახებ მაშინ შეიტყობთ, როცა თბილისში გადამიყვანთ.

— აგაშენა ღმერთმა. მაგას რა სჯობია, მაგრამ შენ ხომ იცი, რომ ეს საკითხი მხოლოდ რესპუბლიკის პროკურორის დონეზე წყდება. მე კი რაღაც ისეთი უნდა მქონდეს ხელთ, რითაც ხელმძღვანელობის დაინტერესებას შევძლებ. სხვანაირად არაფერი გამოვა.

გლუნჩიძე მიხვდა, რომ მის წინ ძველი, გამოცდილი მაძებარი იდგა.

— გეტყვით, მთავარს გეტყვით. დეტალებზე კი შემდეგ ვისაუბროთ. მკვლელობის საქმეა. უფრო სწორად, გაუხსნელ საქმედაა სამტრედიის მილიციაში დარეგისტრირებული. არადა, ის კაცი სამი წლის წინ მოკლეს. დაფნარის რესტორანში რომ დიდი ჩხუბი მოხდა, იქიდან გამოსულს ზედ რიონის ხიდზე წამოეწივნენ, მოკლეს და ხიდიდან გადააგდეს, მაგრამ წყალში კი არა, ნაპირა ბურჯის სიახლოვეს, შამბნარში ჩავარდა გვამი. ახლა იქ მხოლოდ ჩონჩხი თუ იქნება დარჩენილი, მეტი არაფერი.

— ამას გადავამოწმებთ. დავუშვათ და მართლაც ვნახეთ ჩონჩხი, მაგრამ ამით მხოლოდ საქმის კვალიფიკაცია შეიცვლება. ბარემ ისიც უნდა გვითხრა, ვინ მოკლა, — ჩაეკითხა დავითი.

გელა გლუნჩიძემ უცნაურად მოწკურა თავისი ბოროტი, ჭროლა თვალები.

— ამაზე საქართველოში ვილაპარაკოთ...

დავითი მიხვდა, რომ მეტს ვერაფერს დააცდენინებდა. სამტრედიაში დარეკა და მითითებული ადგილის გადამოწმება სთხოვა. ცოტა ხანში იქიდან დაუდასტურეს, ადამიანის ჩონჩხი მართლაც ვიპოვეთ ხიდის ქვეშ, შამბნარშიო.

— ვლადიმირ სემიონოვიჩ, იქნებ გეკითხათ ოპერმუშაკებისთვის, თუ აქვთ რაიმე დოსიეს მაგვარი გლუნჩიძეზე. ვის ხვდება, ვისთან მეგობრობს, წერილებს თუ იღებს და ვისგან?

— არაფერიც არ აქვთ. აკი გითხარით, მისი ეშინიათ და ახლოსაც ვერ ეკარებიან.

— გამოდის, რომ ვერც გაჩხრეკენ?

— გამოდის კი არა, ეგრეა.

— მაშინ ასე გავაკეთოთ: მე მას გამოვიძახებ. თქვენ ის ორი, მაგის შესტიორკა გამოიყვანეთ ოთახიდან რაიმე საბაბით და ამ დროს გაჩხრიკეთ. არ შეიძლება რამე მამხილებელი არ უპოვოთ.

გლუნჩიძის ოთახის ჩხრეკამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წერილებისა და სხვა ქაღალდების ასლები გადაიღეს და დედნები ადგილზე დააბრუნეს. მანამდე კი დავითი ერთხელ კიდევ გაესაუბრა პატიმარს. უთხრა, რომ მისი ინფორმაცია დადასტურდა და ახლა მზადაა სამინისტროს ხელმძღვანელობას რესპუბლიკის პროკურორთან შუამდგომლობა სთხოვოს.

იმ ღამეს თვალი არ მოუხუჭავთ დავითსა და ანზორს. მთელი მიმოწერა გადაიკითხეს. ქრონოლოგიურად დაალაგეს და მეტად აღმაშფოთებელი სურათი მიიღეს.

## წერილები... წერილები

„ჩემო ძვირფასო გელა! ამ წერილს კოსტრომიდან გწერ. ლენკა ვარ, დუსიას მეზობელი. რამდენი ხანია, არ მინახავხარ. ასე როგორ გადაიკარგე. არადა, ხომ დამპირდი სიკეთეს სიკეთით გადაგიხდიო. არა, ისე არ გამიგო, თითქოს ძებნილი კაცისა არ მესმოდეს, მაგრამ კარგად ვერ გამოგივიდა. განა რა დიდი ამბავი უნდოდა ჩემთან მოსვლას. შენ კი გადამაგდე. მე შენთან არაფერი შემშლია. მთხოვე, დუსიას უთვალთვალე, ვის ხვდება, რა კატეგორიის ხალხთან აქვს საქმეო და მეც ყველაფერს დაწვრილებით გიყვებოდი. მარტოსული, ლამაზი ქალი იყო, იმ კატეგორიისა, უკაცოდ რომ ვერ ძლებენ... შენ ექვს თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებოდი. შეგითანხმდა და შენივე რჩევით საყვარელი გაიჩინა. ფულიანი კაცი. ხომ ეუბნებოდი, მე ძებნილი ვარ, უფულო. ერთი ისეთი ვინმე გვჭირდება, ორივენი რომ შეგვინახოსო. შენ კი მერე იმ კაცის გაძარცვა მოინდომე, მაგრამ დუსიამ არ ქნა. გეუბნებოდა, იმის ნახევარს მოგცემ, რითაც მე დამასაჩუქრებსო და გაძლევდა კიდეც. იმ დილით კი დუსიას რომ გავუარე, საოცრად ბედნიერი იყო. მითხრა, დღეს იმდენად მდიდარი ვარ, სამასი მანეთი უნდა გაჩუქოო და ფული ჩანთაში ჩამიტენა. ქალი მენდობოდა და თავისი სიხარული გამიზიარა. მე კი შენი წაქეზებით ჩემი დაქალი ჩავუშვი. ყველაფერი დაწვრილებით მოგიყევი და გახსოვს, რა წაისისინე: დიდი ფული უჩუქებია იმ კაცს დუსიასათვის. წესით, წუხელ უნდა ეთქვა, მაგრამ არ მენდო, ესე იგი მიმალავს. ვანანებ მაგ კახპას. ამალამვე ვანანებო. მე კი დამამშვიდე — შენ არხეინად იყავი, ლენკა, ინფორმაციის სანაცვლოდ წილს მიიღებო. მერე დუსიასთან ნახვედი და ფული მოსთხოვე, მაგრამ ვერაფერი ათქმევინე და ქალის კაუჭზე დაკიდე ფეხებით. კერპი ქალი იყო და არ გატყდა, მანამდე სცემე, ვიდრე ყველაფერი არ დააფქვევინე. გითხრა, როგორ შეაცოდა თავი საყვარელს — მერიდება ამ სოროში რომ გილებ, ან პატარა სახლი ამიშენე, ან ბინა მიყიდეო და მანაც ულაპარაკოდ დაუდო მაგიდაზე თხუთმეტი ათასი მანეთი. სამალავიც გითხრა და ფულზე დახარბებულს ქალის ჩამოხსნა დაგავიწყდა, ნაცემ-ნაგვემი ჭერზე დაკიდებული დუსია დილით მკვდარი ვიპოვეთ და ამის გამო დღემდე მოსვენება აღარ მაქვს. რატომ, ვისი გულისთვის გავწირე მოსიყვარულე დაქალი. მეგონა, იმ ფულიდან ჩემს წილს მომცემდი და ესეც არ გააკეთე. მეხუთე წელია გეძებ და მხოლოდ ახლახან შევიტყვე შენი ადგილსამყოფელი. ახლა კი კარგად მომისმინე: არ მაინტერესებს, გიჭირს თუ გილხინს. ან იმ ფულის ნახევარს გადმომიგზავნი, ანდა ყველაფერს მოვუყვები აქაურ პროკურორს. მეტყვი, მეტი რაღა მომივა, ოცდახუთი წელი მაქვს მოსჯილიო. მე კი გეუბნები, რომ ამის იქით სიკვდილით დასჯა არსებობს. ასე რომ, თუ გინდა სიცოცხლე შეინარჩუნო, გააკეთე, რასაც გირჩევ. არადა შენს თავს დააბრალე“.

მეორე დღესვე შეხვდა დავითი გლუნჩიძეს. წერილებზე კრინტი არ დასცდენია. მეტიც, კოლონიის ხელმძღვანელობასაც კი არ გაანდო მათი შინაარსი. იცოდა, პატიმარს დააფრთხობდნენ და ამიტომ მნიშვნელოვანი არაფერიაო, განაცხადა. გლუნჩიძეს კი უთხრა: რესპუბლიკის პროკურორი თავს იკავებს შენი საქართველოში ეტაპირებისგან. თბილისში წავალ და ვეცდები, დავარწმუნოო. თვითონ კი ადგა და ანზორთან ერთად კოსტრომაში გაემგზავრა. იქაურ კოლეგებს ჭერში დაკიდებული ქალის მკვლელის შესახებ უამბო და გარიგება შესთავაზა.

— ხელცარიელი არ მოვსულვარ — მკვლელობის ეს საქმე გახსნილია და შეგიძლიათ დღესვე მოითხოვოთ პატიმრის თქვენთან ეტაპირება. სამაგიეროდ, თხოვნა გვაქვს. გვინდა გლუნჩიძისათვის რაღაც წვრილმანი შეღავათების საფასურად ჩვენს გაუხსნელ მკვლელობაზეც იმუშაოთ, — და დავითი რიონის ხიდის ქვეშ ნაპოვნი ჩონჩხის ამბავს მოჰყვა.

— ახლა გლუნჩიძისათვის სულერთია, ერთ განზრახ მკვლელობას აღიარებს თუ რამდენიმეს. ჩვენთანაც არ იტყოდა უარს თანამშრომლობაზე, მაგრამ სანაცვლოდ საქართველოში გადაყვანას ითხოვს. ამას კი ვერ დავუშვებთ. მეტისმეტად აგრესიული პატიმარია. ვიდრე დახვრეტენ, კიდევ ბევრ ცოდვას დაატრიალებს. მაშინ მიხვდება, რომ ჩვენ გავშიფრეთ და ჩონჩხის შესახებ აღარაფერს იტყვის. ახლა საჭიროა ლენკას დავაწერინოთ წერილი აქაური პროკურორის სახელზე, სადაც ბოლომდე გახსნის კარტს. დანარჩენს კი თვითონ მოვლენების განვითარება გვიკარნახებს. არ გამოვრიცხავ, რომ გლუნჩიძემ კიდევ სხვა მკვლელობებიც აღიაროს.

თავდაპირველად ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დავითი ვარაუდობდა. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლებმაც ამოიცნეს, პატიმარმა კატეგორიული უარი განაცხადა დუსიას მკვლელობაზე. მაგრამ, როცა დუსიასავით კაუჭზე ჩამოკიდება დაუპირეს, იკივლა, ამას ნუ იზამთ და დიდ ფულს გადაგიხდითო. ოთახს გარეთ მყოფმა დავითმა ოპერმუშაკებს ანიშნა, დაეთანხმეთო და გლუნჩიძემაც დიდსულოვნად მისცა მათ წერილი ერთ მოსკოველ ბარიგასთან. როგორც გაირკვა, მასთან ასი ათას მანეთს ინახავდა. ფული უპრობლემოდ ამოიღეს დავითმა და მისმა კოსტრომელმა კოლეგებმა, თუმცა გლუნჩიძეს განუცხადეს — მოგვატყუე, მოსკოვში არ ცხოვრობს ასეთი კაცი. მეზობლებმა გვითხრეს, ოდესღაც კი ათევდა ღამეს ამ ბინაში, მაგრამ კარგა ხანია ისე წავიდა აქედან, მისამართი არ დაუტოვებიაო. ასე რომ, გაგვაცურე, ძმობილო. ახლა კი ნამდვილად ჩამოგკიდებთ, თუ სხვა უფრო დიდ საქმეებს არ მოგვცემ.

გლუნჩიძემაც დაიჯერა დავითის შეთხზული ლეგენდა და გინება და წყევლა-კრულვა გაუგზავნა მოსკოველ ბარიგას, რომელიც თურმე არც ადრე მოსწონდა, მაგრამ ამდენს თუ გაუბედავდა, ნამდვილად არ ეგონა.

— მე არავინ მომიკლავს და არც სხვა მკვლელების ვინაობა ვიცი, მაგრამ თქვენ იმ ფულს, ანუ ასი ათას მანეთს მაინც მიიღებთ. აი, წერილი. კიევში ებრაელ არონა ედმანს ნახავთ და ის გადმოგცემთ, ნაღდი კაცია. მაიმუნობას არ დაიწყებს.

არონამ კაპიკ-კაპიკ, ხელიდან ხელში ჩაუთვალა დავითსა და მის მეგობრებს ასი ათასი მანეთი, რომელიც მოსკოვში ამოღებული ფულის მსგავსად იმავე დღეს ბანკში შეიტანეს. მერე კი „გამხეცებულები“ დაბრუნდნენ უკან.

— იმ ებრაელმა გამოგვიცხადა, არც ვინმე გლუნჩიძეს ვიცნობ და არც ვინმეს ფული შემინახავსო. მეორედაც მოგვატყუე, არა? ახლა გვიყურე! — მილიციის ზონზროხა თანამშრომელი თვალებიდან სულ ნაპერწკლებს ყრიდა. ერთბაშად ქეჩოში სწვდა პატიმარს და ის იყო, იატაკზე უნდა დაეგდო, რომ ამ უკანასკნელმა იყვირა: იარაღის სამალავს მოგცემთ. იქ მთელი არსენალია, ოღონდ ხელი არ დამაკაროთო. „მუჟიკობისათვის“ უკვე განწირული ქურდი ხავსს ეჭიდებოდა, რომ ქურდული ჩარჩოდან არ ამოეგდოთ.

რაღა თქმა უნდა, არც იარაღი „აღმოჩნდა“ ადგილზე: ერთი დაჟანგული, უვარგისი „ნაგანი“ ვიპოვეთ მიწაში, მეტი არაფერიო, უთხრეს და გლუნჩიძე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ახლა ნამდვილად მოკლავდნენ. სამი მკვლელობა დაამღერა იმ დღეს. მათ შორის იმ ძველი საყვარლისა და ვიღაც ორი ფულიანი საქმოსნის. დავითი კი სამტრედიის საქმეს ელოდებოდა. კოსტრომელებმა გარიგება შესთავაზეს პატიმარს — შენ დიდხანს იცხოვრე საქართველოში. მათ შორის, სამტრედიაშიც. იქაურ მილიციაში ერთი ჩვენი თანაკურსელი მუშაობს და ხუთი გაუხსნელი მკვლელობა აქვს წარმოებაში. გვინდა დავეხმაროთ. თუ ერთ-ორ ასეთ საქმეს მოგვცემ, ხელმძღვანელობასთან გიშუამდგომლებთ, რომ დახვრეტა არ მოგისაჯონო და ამჯერად მართალი იყვნენ ოპერთანამშრომლები. ასეთ გარიგებას ნამდვილად ითვალისწინებდა მაშინდელი კანონმდებლობა. გელა გლუნჩიძემ ამოიოხრა. მერე ხელი ჩაიქნია და დაიწყო:

— იყო ასეთი საქმე. სამტრედიაში ცოლისძმამ სიძეს მანქანის საყიდელი ფული სთხოვა სესხად, ოცდაათი ათასი მანეთი. სიძე გასტუმრებას არ აპირებდა და მე მომელაპარაკა, თუ ჩემს ცოლისძმას მოკლავ, ათი ათას მანეთს მოგცემო. ვიცოდი, ის კაცი სიმთვრალეში ჭირვეული იყო. ჩავუსაფრდი და ერთ ღამესაც დაფნარის რესტორანში აყალმაყალის შემდეგ უკან გავყევი. ზურგში დანა გავუყარე და ხიდიდან გადავაგდე.

P.S. იმ დღეს გლუნჩიძემ თავისი და სხვების კიდევ ხუთი მკვლელობაც დაამღერა და კოსტრომელმა მილიციელებმა დაპირებისამებრ ხელმძღვანელობასთან უშუამდგომლეს — გლუნჩიძეს სიცოცხლე შეუნარჩუნეთო. თუმცა, კონსპირაცია ვერ დაიცვეს, ჩაშვების საქმე გახმაურდა და პატიმრებმა გლუნჩიძე საკანში მიახრჩვეს.

ვაჟა გავაშელი

# დაბადების დღეზე მირთმეული იურისტის ყალბი დიპლომი

## რა სამართლიანობაზე შეიძლება ელაპარაკო ყალბდიპლომიან სამართალდამცველს?!



— სოხუმში, ყველა გავლენიანმა პირმა ჯერ კიდევ ქალაქის დაცემამდე მოახერხა ქონების თბილისსა თუ ფოთში გადაზიდვა. მე მაშინ სოხუმის ნავსადგურში ვმუშაობდი და მინახავს, როგორ ტვირთავდნენ ფოთიდან მოსახლეობის გასაყვანად გამოგზავნილ გემებსა და ბარჟებში ავეჯს. ჩემი მეუღლე საპასპორტო განყოფილებაში მუშაობდა. რაც გვეცვა, მხოლოდ იმით გამოგვიყვანა სამშვიდობოს. ერთი შეუვსებელი პასპორტიც კი არ გამოუყოლებია ხელს. არადა, ყველამ იცის, თავად პოლიციელების მიერ მოპარული პასპორტები თბილისში რა ფასად იყიდებოდა. პასპორტებს თავი გაანებეთ, ათასობით დაბადების მოწმობის ბლანკსაც მამასისხლად ყიდდნენ. მოკლედ, ყველამ ხელი მოითბო.

სოხუმის უნივერსიტეტის სეიფიდან 500-მდე შეუვსებელი დიპლომი წაიღეს. თითოს 1.000-1.500 დოლარად ყიდდნენ. წარმოიდგინეთ, 500 ყალბი დიპლომით მომუშავე მოსამართლე, პროკურორი და გამომძიებელი, რომლებსაც ხალხის ბედის გადაწყვეტა აქვთ მინდობილი. ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, 500 ყალბდიპლომიანი ვაისპეციალისტი კატასტროფაა, — მითხრა რედაქციაში მობრძანებულმა ქალბატონმა, რომელიც **ცირა ტყებუჩავად** გამეცნო. ბუნებრივია, მისმა ნათქვამმა დამაინტერესა და მასთან საუბარს თქვენც გთავაზობთ:

— როგორც გითხარით, ჩემი მეუღლე სოხუმის საპასპორტო მაგიდის თანამშრომელი იყო. რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მისგან მსმენია იმ განუკითხაობის შესახებ, რაც აფხაზეთის საპასპორტო სისტემაში ხდებოდა. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაახლოებით 500 ათასზე მეტი მოქალაქე ცხოვრობდა. არძინბას მითითებით, აფხაზეთის მთავრობას შეუვსებელი პასპორტების დიდი მარაგი ჰქონდა. მოგეხსენებათ, ქართველ მოსახლეობას ეროვნების შეცვლას აიძულებდნენ. ამ გეგმის ბოლომდე მიყვანა სეპარატისტებს არ დასცალდათ, აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალები შევიდნენ. საპასპორტო მაგიდის განყოფილებებში ათასობით შეუვსებელი პასპორტი დარჩა, სამშობიარო სახლებში კი დაბადების მოწმობები. როდესაც სეპარატისტები რუსეთის შეიარაღებულ ძალებსა და ჩრდილოკავკასიელ ბანდფორმირებებთან ერთად გადამწყვეტ შეტევაზე გადმოვიდნენ, საქართველოს სამხედრო დიდჩინოსნებმა და პოლიციელებმაც უკვე იცოდნენ, რომ აფხაზეთი დაკარგული იყო. მათაც დაიწყეს დარჩენილი ქონების უსაფრთხო ადგილას სასწრაფოდ გატანა. გასატანი რომ აღარაფერი დარჩა, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა (ამჟამად იგი გარდაცვლილია და ამიტომ მის ვინაობას არ ვასახელებთ. — ავტ.) აფხაზეთის შს სამინისტროს ქვეგანყოფილებებში ათასობით სახელმწიფო ნიშნის მქონე დოკუმენტის, მათ შორის, პასპორტებისა და დაბადების მოწმობების ამოღება ბრძანა. მართალია, ზოგიერთმა განყოფილების ხელმძღვანელმა ბრძანება არ შეასრულა, მაგრამ ყველა დოკუმენტი მაინც გაქრა და მოგვიანებით მთელ საქართველოში გავრცელდა.

— **საიდან იცით?**

— ჩემი მეუღლე გამოცდილი პოლიციელი და საპასპორტო მაგიდის ძველი თანამშრომელი იყო. მას კარგი ურთიერთობები ჰქონდა აფხაზეთის შს სამინისტროს სამართალდამცველებთან. მათგან იცოდა, რომ ის დოკუმენტები კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებმა იყიდეს. ზოგჯერ აფხაზურ პასპორტს თბილისელებიც ყიდულობდნენ. ალბათ, იკითხავთ, შეუვსებელ, უბეჭდო პასპორტს რა ძალა ექნებოდაო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ომის შემდეგ აფხაზეთის არც ერთი სახელმწიფო სტრუქტურა, მათ შორის, რაიონების შს განყოფილებები და საპასპორტო მაგიდები არ გაუქმებულა. თუ კარგი ნაცნობი გყავდა, პრობლემას არ წარმოადგენდა პასპორტის შევსება და ბეჭდის დასმაც. კარგი გასავალი ჰქონდა დაბადების მოწმობებსაც. შეავსებდი მოწმობას და არარსებული ბავშვი წლების განმავლობაში სახელმწიფოსაგან დახმარებას იღებდა.

— **თქვენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალიდან გატაცებული დიპლომებიც ახსენეთ.**

— ლტოლვილთა უმრავლესობა დაგიდასტურებთ, რომ ომის შემდეგ რამდენიმე წელიწადის განმავლობაში თბილისში პრობლემას არ წარმოადგენდა დიპლომის ყიდვა. უბედურება ის არის, რომ უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალიდან გატაცებულ ხუთასივე დიპლომში, სპეციალობის გრაფებში „სამართალმცოდნეობა" წერია, იმ გრაფაში კი, სადაც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებაა, წერია: „მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია".

— **საიდან იცით, რა წერია ყალბ დიპლომებში?**

— ჩემი ნათესავის ბიჭს დაბადების დღეზე ბიძამისმა საჩუქრად ასეთი დიპლომი მიართვა(?!). ჩემი თვალით ვნახე. ნამდვილისგან ვერ განასხვავებ. მე ხომ ვიცი, რომ ჩემს ნათესავს შორიდანაც არ დაუნახავს სოხუმის უნივერსიტეტის ფილიალი...

იმის დასადგენად, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ცირა ტყებუჩავას მიერ მოყვანილი ფაქტები, ჟურნალისტური გამოძიება დავიწყეთ. შევიტყვეთ, რომ თბილისში მოქმედი ერთ-ერთი სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ყალბი დიპლომი ჰქონია, მაგრამ რადგან იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია ამ საქმეს იკვლევს, უდანაშაულობის პრეზუმფციას არ დავარღვევთ და ნოტარიუსის გვარსახელს ჯერჯერობით არ ვაკონკრეტებთ.

თავდაპირველად, მოვიპოვეთ ნოტარიუს მაია ა.-ს დიპლომის ქსეროასლი, რომელიც მისი პირადი საქმიდან ამოვიღეთ. „დიპლომი მიეცა მაია ა.-ს, რომ იგი 1984 წელს შევიდა აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1990 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სოხუმის ფილიალის იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი, სპეციალობით სამართალმცოდნეობა. სახელმწიფო კომისიის 1990 წლის გადაწყვეტილებით, მაია ა.-ს მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია". სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის, კომისიის წევრებისა და მდივნის ხელმოწერაც დიპლომში ვერ ამოვიკითხეთ. სამაგიეროდ ვნახეთ დიპლომის შევსების თარიღი: 1990 წლის 4 ივლისი.

საქმის დეტალების შესასწავლად თბილისში, ჭიქიას ქუჩაზე მდებარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს ოფიციალურად მივმართეთ. მალე მივიღეთ წერილი (№000240), სადაც ვკითხულობთ (სტილი დაცულია): „1. თქვენ მიერ წარმოდგენილი დიპლომი, გამოწერილი მაია ა.-ზე არ არის ჩვენ მიერ შევსებული და გაცემული; 2. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ქსეროასლზე გაურკვეველია, ხოლო პრორექტორ რ. ხარებავასა და მდივან მ. ფარულავას ხელმოწერები გაყალბებულია.

დირექტორი პროფესორი ოთარ ჟორდანია."

მიუხედავად ამ ოფიციალური წერილისა, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ მაინც ვეწვიეთ თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს, სადაც სასწავლო მეთოდური განყოფილების უფროსს **მაია სიჭინავას** გავესაუბრეთ: — 1992 წლის 16 სექტემბერს, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა სოხუმზე პირველი მასირებული შეტევა განახორციელეს, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა სასწრაფოდ დავტოვეთ შენობა. ერთ-ერთ სეიფში დაახლოებით 450 ცალი შეუვსებელი დიპლომი დაგვრჩა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ვარაუდი არსებობს), უნივერსიტეტის ერთ-ერთ თანამშრომელს გაუტეხია სეიფი და ახლა ამ დიპლომებით უამრავი „იურისტი" საქმიანობს და ჩვენს უნივერსიტეტს სახელს უტეხს. 450 ყალბი დიპლომი ჩვენი სამართალდამცავი. სისტემისთვის მოწყობილი დივერსიაა და სხვა არაფერი.

ყველა დიპლომი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კურსდამთავრებულებზეა გაცემული, ჩემი განყოფილების თანამშრომლების შევსებულია. მე ამ თანამდებობაზე სოხუმშიც ვმუშაობდი და კარგად ვიცი და მახსოვს ყველა ჩემი თანამშრომლის ხელწერა, ანუ კალიგრაფია. ამიტომ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს დიპლომი არც ჩვენი შევსებულია და არც ჩვენი გაცემული. ეს ყალბი დიპლომია. ადრე ამის თაობაზე ინფორმაციებს შესაბამის ორგანოებს ვაწვდიდი. რამდენიმე თვის განმავლობაში ვიჯექი გენერალურ პროკურატურაში და ჩვენი დიპლომების ნამდვილობას ვამოწმებდი. ბევრ ყალბ დიპლომს მივაგენი, შესაბამისი დასკვნაც დავწერე, მაგრამ უშედეგოდ.

— **გარდა კალიგრაფიისა, კიდევ რით ადასტურებთ, რომ დიპლომი ყალბია?**

— ყალბი დიპლომების გამკეთებლებმა ვერ გაითვალისწინეს ის, რომ სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმასწავლებლები ღვთის მადლით ცოცხლები არიან და არც სკლეროზი აწუხებს რომელიმეს. კარგად გვახსოვს, ვინ სწავლობდა ჩვენთან და ვინ მიიღო დიპლომი. მართალია, ბევრი დოკუმენტი სოხუმში დარჩა და დაიწვა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ სტუდენტთა სიების გადარჩენა. სწორედ ეს ვერ გაითვალისწინეს. არის კიდევ სხვა ნიუანსებიც, რომლითაც ამა თუ იმ დიპლომის ნამდვილობის დამტკიცება შეიძლება.

(გაგრძელება იხ. გვ. 34)




# მარინე — ქრისტეს გონიერი მტრედი

## წმინდა მარინეს მკლავი ზუგდიდშია დაბრძანებული

30 ივლისს წმინდა დიდმოწამე მარინეს ხსენების დღეა. სახელი მარინე საქართველოში პოპულარობით თითქმის ტოლს არ უდებს ნინოს, მაგრამ განსხვავებით წმინდა ნინოსაგან, რომლის ცხოვრებაც ყველასათვის ცნობილია, მარინეს მარტვილობის შესახებ არცთუ ბევრმა იცის.

ქრისტიანობის გავრცელების პირველი საუკუნეები სულიერებით ჭეშმარიტად აღმატებული პერიოდია ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. ეს საუკუნეები გამორჩეულია ქრისტესთვის თავდადებულ მოწამეთა სიმრავლით. მიუხედავად იმისა, რომ მთელი რომის იმპერია ცეცხლითა და მახვილით აღუდგა წინ ქრისტეს „უსუსურ“ აღმსარებლობას, არ დარჩენილა იმპერიის არც ერთი კუნჭული, სადაც მხსნელ მოძღვრებას არ შეეღწია.

სწორედ ასეთი თავდადების, ქრისტეს ვნებების თანაზიდვისა და თანაგანცდის ბრწყინვალე მაგალითია წმინდა დიდმოწამე მარინე. იგი პასიდიის ანტიოქიაში მცხოვრები წარმართი ქურუმის ოჯახში დაიბადა. დედა ადრეულ სიყმაწვილეშივე გარდაეცვალა და დაობლებულ შვილზე ზრუნვა მამამ ძიძას მიანდო. კეთილმსახურმა გამდელმა მართლმადიდებლური სარწმუნოების ერთგულებით აღზარდა ნეტარი. როცა მამამ შეიტყო ეს, საშინლად განრისხდა და საკუთარი ასულისადმი სიძულვილით აღსავსემ უარი განაცხადა მასზე.





წმინდა მარინეს მკლავი

ამასობაში იმპერატორმა დიოკლეტიანემ ქრისტიანობის სასტიკი დევნა დაიწყო. მართლმორწმუნეთა დასასჯელად ანტიოქიაში მიმავალი ეპარქი ოლიმბრი გზად თხუთმეტი წლის მარინეს გადაეყარა, მოიხიბლა მისი მშვენიერებით და ვინაობა და წარმომავლობა გამოჰკითხა. სათნო ქალწული თავმდაბლად პასუხობდა შეკითხვებზე. არც ის დაუმალავს, რომ ქრისტიანი იყო და აპირებდა, ქრისტესთვის მიეძღვნა ცხოვრება. ეს რომ შეიტყო, ოლიმბრმა თანხმლებ მეომრებს მისი შეპყრობა უბრძანა. ეპარქმა თან წაიყვანა ასული. იმედი ჰქონდა, ადვილად დაიყოლიებდა რწმენის უარყოფაზე და ცოლადაც შეირთავდა.

მეორე დღეს ქალწული სამსჯავროზე წარადგინეს. ეპარქმა ურჩია, კერპებისთვის მსხვერპლი შეეწირა, მაგრამ ვერც პირფერობამ გაჭრა და ვერც მუქარამ — ქრისტეს მხევალი მზად იყო, მომკვდარიყო ქრისტესთვის.

ასეთმა სიჯიუტემ მტარვალები უფრო გააღიზიანა და გააბოროტა. ქალწული კი დაუდუმებლად ლოცულობდა. მაცხოვარმაც წყალობის თვალით მოხედა თავის მსასოებელს: მარტვილის თავს ზემოთ მანათობელი ჯვარი გაბრწყინდა და განკვეთა წყვდიადი. ჯვარს თეთრი მტრედიც დაადგა და ზეგარდმო მოისმა: „გიხაროდენ, მარინე, ქრისტეს გონიერო მტრედო, რამეთუ დათრგუნე მხდომის სივერაგე; გიხაროდენ, რამეთუ ბრძენ ქალწულთა თანა ღირს იქმნები შესლვად ქორწილსა შინა სიძისა შენისასა, უკვდავისა მეუფისა ზეცათასა“. მადლმოსილი სიტყვებით გამხნევებულმა მოწამემ იგრძნო, რომ წყლულებიც უმრთელდებოდა, გული სიხარულით აღევსო, ადიდა უფალი და მეორე დღეს სულით და ხორცით მრთელი წარდგა მსაჯულის წინაშე.

ეს სასწაული ეპარქმა კერპებს მიაწერა და მარინეს კვლავ მათი თაყვანისცემა მოსთხოვა, ნეტარმა აღმსარებელმა კი ისევ ჭეშმარიტი ღმერთი ადიდა.

ულმერთოებმა ახალ-ახალი სატანჯველი დაატეხეს წმინდანს.

მმართველმა ბრძანება გასცა, გაკოჭილი მარინე წყლით სავსე უზარმაზარ კოდში ჩაეხრჩოთ, მარტვილი კი უფალს შესთხოვდა, ეს სასჯელი ნათლისღებად ქცეულიყო მისთვის. უეცრად ნეტარი ღვთაებრივმა ნათელმა გაცისკროვნა, საკვრელები თავისით შეეხსნა და თავს ზეციდან გარდმომხდარი თეთრი მტრედი დაადგა, რომელსაც ნისკარტით ოქროს გვირგვინი მოჰქონდა. უფლის რჩეული ნათლისღების ემბაზში იდგა და ყოვლადწმინდა სამებას განადიდებდა. ემბაზიდან იგი კვლავ წყლულებდაამებული ამოვიდა. ამ სასწაულმა განაცვიფრა ხალხი. ბევრმა ირწმუნა და ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი, ეპარქი კი გააფთრდა და ბრძანა, ამოეჟლიტათ ყველა, ვინც ქრისტეს აღიარებდა. ათას ხუთასი ქრისტიანის სული შეერთო ცათა სასუფეველს... ამის შემდეგ აღარც წმიდა მარინეც დაუნდვიათ. მას თავი მოჰკვეთეს. დიდმოწამის ღვაწლი ამ მოვლენათა თვითმხილველმა ფეოტიმემ აღწერა.

სანამ ჯვაროსნები 1204 წელს კონსტანტინოპოლს აიღებდნენ, წმინდა მარინეს უხრწნელი ნაწილები კონსტანტინოპოლში იყო დაცული. სხვა ცნობებით, 908 წლამდე ისინი ანტიოქიაში ესვენა, იქიდან კი იტალიაში გადაასვენეს. დიდმოწამე მარინეს პატიოსანი მკლავი ათონზე, ვათოპედის მონასტერშია დაბრძანებული, მეორე მკლავი კი საქართველოშია (ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში). სამწუხაროდ, არავინ იცის, თუ როგორ მოხვდა ჩვენში ეს უდიდესი სიწმინდე. სავარაუდოდ, იგი საქართველოში თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებისა და ბიზანტიის იმპერიის დაშლის შემდეგ შემოიტანეს.

P.S. ულოცავთ ყველა მარინეს ანგელოზის დღეს.

## რას გვეტყვი, მამაო?

**— როცა ჩემი პატარა შვილიშვილი რაიმეს დააშავებს, დედამისს მაშინვე აღსარების სათქმელად იძულებით მიჰყავს მოძღვართან. რამდენად სწორია ეს?**

— ბავშვის სული ძალზე ფაქიზია და მას სათუთი მოპყრობა სჭირდება. საფრთხილოა მისი აღსარებაც, რომელსაც 7 წლის ასაკიდან ვისმენთ. არ შეიძლება, ბავშვს მოძღვარმა ან მშობელმა აღსარება ან ამა თუ იმ საქციელის თქმა აიძულოს, დაუშვებელია მოძღვართან ამპის მიტანა — ეს ჩაიდინა, მალავს და ა.შ. ასე ბავშვის სული ტრავმას იღებს.

რაც შეეხება ზიარებას, ბავშვი, რაც შეიძლება ხშირად უნდა ეზიარებოდეს, მაგრამ ამის სურვილი თავად უნდა ჰქონდეს.

**— შეიძლება თუ არა ღამით ლოცვების ხმამაღლა წაკითხვა და მეტანიის შესრულება?**

— ღამით ლოცვების ხმამაღლა წაკითხვაც შეიძლება და მეტანიის გაკეთებაც, ცხადია, თუ ამით სხვა ადამიანს არ შეაწუხებთ.

**— აზიარებს თუ არა ეკლესია ადამიანს, რომელიც ფსიქიკური დარღვევის გამო თავს ვერ აკონტროლებს და ჩაეთვლება თუ არა ცოდვად, თუ ასეთი ადამიანი თავს მოიკლავს?**

— ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანს ეკლესია აზიარებს. მათ საზიარებლად ეკლესიაში საგანგებო ადგილიც კი არსებობს — სტასიდი. ხოლო თუ ასეთი ადამიანი თვითმკვლელობას ჩაიდენს, მასზე საეკლესიო წესის აღსრულებაც შეიძლება.

**— ბავშვობაში მოვინათლე. რამდენიმე წლის შემდეგ ჯვარი დამეკარგა. ძლიერ განვიცდი. როგორ მოვიქცე?**

— მოინანიეთ მოძღვართან, ახალი ჯვარი აკურთხებინეთ თქვენს სახელზე და ის ატარეთ.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

*მოამზადა მანანა ჯანელიძემ*




# ცოცხალი სიკვდილი

*ერთხელ, საუბრისას ქალბატონმა ლალი გუნთაიშვილმა მითხრა: ნათლობის სახელი ელენე მქვიაო. მას შემდეგ მოფერებით დედა ელენეს ვეძახდი. ქალი, რომელმაც გამიგო. ჩემს ცხოვრებაში იშვიათია ასეთი ადამიანი. მონასტრის სენაკში, წლობით ნაფიქრალში ისე ლამაზად შემოვიდოდა, რაღაცებს ისე მიალაგ-მოალაგებდა, გაოცებული ვუყურებდი და ვფიქრობდი — ეს ქალი მონაზონი ხომ არ არის-მეთქი. ხანდახან დამიწუნებდა: ამას ვერ გავუშვებო. რამდენიმე ხნის შემდეგ ვხვდებოდი, მართალი იყო. განსაკუთრებით უყვარდა დავითგარეჯის ლავრა და ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.*

***ვუძღვნი ქალბატონ ლალი-ელენეს ხსოვნას***

### გარეჯა

„განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისა. შევიდე მას შინა და აუარო უფალსა. ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა“ (წარწერა დავითგარეჯის ლავრის კარიბჭეზე).

მეუფეო ზეცათა, სულო ჭეშმარიტებისაო, მომეც მე უნარი განსჯისა და განმიხვენი ბჭენი სიმართლისა!

„ვინ უწყის, რამდენია ადამიანში მცდარი წარმოდგენა, რომელიც სულში სხვადასხვაგვარი გზებით შეიჭრა, ანგარიშმიუცემლად მიიღო გონებამ. განსჯის მეშვეობით საგანზე არსებული წარმოდგენის ანალიზს ინყებ“ (წმ. გაბრიელ ეპისკოპოსი). გარეჯა გარედან განსჯას ნიშნავს. გარეს გასვლას, გარედან ხედვას, ანუ ხორციელი, მატერიალური სამყაროდან გასვლას და მისი სულიერი თვალით ხედვას, რაც ბერმონაზვნური აზროვნების სათავეა.

ესე არს ბჭე უფლისა — კარი, რომლითაც მართალთა სამყაროში უნდა შეხვიდე, ხილულიდან უხილავში გადახვიდე. „მე ვარ კარი. ჩემ მიერ თუ ვინმე შევიდეს, ჰსცხონდეს“ (იოანე 10,9) და „ამ კარებს ჭუჭყიანი ხელებით ვერ შეეხები (არ ვგულისხმობ ხორციელ სისუფთავეს)“. კარიბჭეზე, ნარნერის მაღლა, ქვაში გამოკვეთილია გამოხატულებანი, რომელთაც, დროთა განმავლობაში, ლავრის ჰერალდიკის სახე შეიძინეს: ორი ნუკრიანი ირემი, არწივი — კლანჭებით თევზის მპყრობელი და ორი ყორანი — ნისკარტით ვაშლების სადღაც წამღები. სამივე სიმბოლო ნიშანია იმისა, თუ როგორ ასაზრდოებს უფალი სამოღვაწეოდ უდაბნოში გასულ ბერ-მონაზვნებს.

მეოთხე სიმბოლოა ჯაჭვებით დაბმული ორი ლომი — ნიშანი ხორციელზე სულიერის გამარჯვებისა, ხრწნადის უხრწნადით დათრგუნვისა, რამეთუ „გახრწნადი ხორცი ამძიმებს სულს და ეს მიწიერი კარავი ტვირთად აწევს ფიქრით სავსე გონებას“ (სიბრძნე 9,15).

### შეხვედრა

გარეჯის უდაბნოში ცხელოდა. ქვაში გამოკვეთილი კიბეებით მამა დავითის ცრემლების წყაროზე ავდიოდი. ფიქრით ვიყავი გართული.

უცბად რაღაცამ შესაზარი ხმით დაისისინა, გავშეშდი. ორიოდ ნაბიჯზე, კიბეზე წამონოლილ, უზარმაზარ გველს თავი წამოეწია და მიმზერდა, სისინით გამაფრთხილა, არ მიახლოებოდი. თვალებში შევხედე. საშინლად გაყინული, ცივი მზერით მნუსხავდა. გამყინა... გახსოვდეს სიკვდილი!

ძველებრაულად გველის სახელია ნეჰეშ, რაც ნიშნავს გაშიფვრას, ამოჩენას, ცოდნის განდობას. ქართული სიტყვა „გველის“ ორაზროვანია: ის, რაც მომავალში გველოდება და მეორე მნიშვნელობით გველის — ქვეწარმავლის საკუთრებაა. სიკვდილი გველის, სიკვდილი გველისაა, რამეთუ მისგან შევიდა ადამიანში ცოდვა. სიკვდილი არის ცოდვის შედეგი: „ცოდვა იგი სრულ-იქმნის და შვის სიკვდილი“ (იაკ. 1,15) ...და მე მის თვალებში ვიხილე „გველი დასაბამისა“ — ცოცხალი სიკვდილი. რატომღაც სიკვდილად წარმოუდგენიათ ადამიანის ჩონჩხი ცელით ხელში. რა სასაცილოა მასთან შედარებით, რაც შევიცანი: ბელიარი — არარას თავადი.

„ხოლო გველი იყო უგონიერესი ყველა მხეცს შორის ქვეყანაზე, რომლებიც შექმნა უფალმა ღმერთმა“ (დაბ. 3,1) — შექმნის შემდგომ უფალი ამბობს — კარგია, კეთილია. გველი სამოთხეში ბინადრობს და მხეცთაგან ყველაზე ახლოს არის ევასთან, ამიტომაც იქცა იგი იარაღად ადამის წინააღმდეგ. არარას თავადს სხეული არ გააჩნდა, სუსტი იყო ადამთან ბრძოლაში. სატანამ გველის სხეული გამოიყენა, ქალის სხეულში შევიდა, იქიდან დასცა ადამი. რა მზაკვრული გეგმაა!

რამდენი ხანი ვიყავი გაშეშებული? — ალბათ მარადისობა... დროის გარეთ, დროში აღარ მყოფი. გველმა თვალი მომაშორა, ნამოიზლაზნა და ტანის ნარ-ნარი რხევით კლდის ნაპრალში ამაყად გაუჩინარდა, ვითარცა ლამაზი ქალი, საკუთარ სილამაზეში დარწმუნებული.

გაჩერებული, თუ სადღაც დაკარგული დრო ძველებურ რიტმს დაუბრუნდა. „სადა არს სიკვდილო, საწერტელი შენი“.

***მღვდელმონაზონი ანთიმოზი (ბიჩინაშვილი)***

ჩვენი გაზეთის მკითხველს შეუძლია „საოჯახო-მართლმადიდებლური საკითხავი გვერდის“ ნებისმიერი რუბრიკისთვის შემოგვთავაზოს მასალები. ჩვენი საფოსტო ყუთების ადგილმდებარეობა იხ. გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში ქართულ ძეგლებს გვედავებიან

## „როგორც კი აქედან რუსული სამხედრო ბაზა გავა, ასეთ პროვოკაციებს ბოლო მოეღება“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

ამ ანტიქართულად განწყობილი პარტიების ლიდერები ამბობენ, რომ მათ რიგებში 7 ათასი კაცია გაერთიანებული და საჭიროების შემთხვევაში, უფრო ბევრსაც გამოიყვანენ(?!). ამავე დროს ამაყობენ, რომ ქართული არ იციან და იმის მიუხედავად, რომ იგი სახელმწიფო ენაა, მის შესწავლას არც აპირებენ. კიდევ ერთი საინტერესო გარემოება: იმის მიუხედავად, რომ მოსკოვმაც კი ხელი აიღო ახალქალაქზე და აქედან საკუთარი ბაზის გაყვანას აპირებს, რასტაკიანიც და სალათელიანიც ნიშნის მოგებით ამბობენ: ვნახოთ, აქედან ჯარს როგორ გაიყვანენო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართული სპეცსამსახურების აზრით, რეგიონში საგანგაშო მდგომარეობა არ არის, ამ პარტიების ლიდერებს საკუთარი უფუნქციობა აშინებთ. ადგილობრივ მცხოვრებლებს იმითაც აშინებენ, რომ ყარსი-ახალქალაქის გზის გახსნის შემდეგ ისინი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. არადა, იქაურებს სწორედ ამ გზის იმედი აქვთ, რადგან ყარსი-ახალქალაქი-თბილისის სარკინიგზო და საავტომობილო მონაკვეთი აქ მთელ ინფრასტრუქტურას შეცვლის. ეს კი ადგილობრივთა სოციალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით ჯავახეთში მოქმედი ქართული სპეცსამსახურების წარმომადგენელმა (მის ვინაობას გასაგებ მიზეზთა გამო არ ვასახელებთ), საინტერესო მოსაზრება გამოთქვა: — სტუდენტების დარბევა სამსარში მართლაც აღმაშფოთებელი ინციდენტია და დამნაშავეები აუცილებლად დაისჯებიან. მაგრამ, მერწმუნეთ, როგორც კი აქედან რუსული სამხედრო ბაზა გავა, ასეთ პროვოკაციებს ბოლო მოეღება.

**— რატომ, ადგილობრივი სომხები უარს იტყვიან „სომხურ“ ძეგლებზე?**

— აქ ყველამ კარგად იცის, რომ ეს ქართული ძეგლებია. უბრალოდ, ნუსხახუცურმა წარწერებმა ზოგიერთ პარტიას პროვოკაციული გეგმების განხორციელების საშუალება მისცა — ხალხში დადიან და ქადაგებენ, რომ ქართველები სომხური წარწერების განადგურებას ცდილობენ. ამას წინათ რამდენიმე სომეხი მანქანით კუმურდოში წავიყვანე. ვუთხარი, თუ ეს წარწერები სომხურია, წამიკითხეთ და პირველი მე დაგიდგებით მხარში-მეთქი.

**— მერე?**

— რა უნდა წაეკითხათ. ნუსხახუცური ბევრმა ქართველმა არ იცის და სომხები როგორღა წაიკითხავდნენ?!

**— მეცნიერები ამბობენ, რომ სტუდენტების ექსპედიცია საჭირო არ იყო.**

— ასეც არის, ამ ეტაპზე მოთმინება გვმართებს. ვიმეორებ, რუსული ბაზის გაყვანა აქ მთელ ინფრასტრუქტურას შეცვლის. ყველა პროვოკაციული პარტია იძულებული გახდება თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს. მაშინ აღარავინ უბიძგებს მშვიდობიან მოსახლეობას პროვოკაციებისკენ. ეს უახლოესი მომავლის საქმეა, მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

P. S. სამცხე-ჯავახეთში კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა არსებობს — კერძოდ, ქართული ძეგლების რაოდენობა აღრიცხული არ არის. ამის მიზეზად კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში დაუფინანსებლობას ასახელებენ. თუმცა, იმედი აქვთ, რომ ყველაფერი გამოსწორდება და ძეგლთა პასპორტიზაციის პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება. ეს მართლაც საშური საქმეა. თავის დროზე ეს ძეგლები ჩვენმა წინაპრებმა წვალებითა და ოფლის ღვრით ააშენეს. ჩვენ კი მათი აღრიცხვაც და რიგიანად მოვლაც ვერ მოგვიხერხებია.

*დავით დევიძე*

# საქართველოს სამოციქულო, ავტოკეფალური, მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს ერთობლივი განცხადება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო გამოვთქვამთ შეშფოთებას და გულისტკივილს ბოლო დღეებში ახალქალაქის რაიონის სოფელ სამსარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამის მიზეზი გახდა სოფლის მოსახლეობის არასწორი ინფორმირება, რასაც მოჰყვა ქართველი სასულიერო პირების, მონოზვნებისა და სტუდენტების მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა.

საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსოს მეთაური გულწრფელად წუხს და ბოდიშს იხდის დაზარალებულთა წინაშე.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ადგილობრივი სომეხი ეროვნების მცხოვრებთა გარკვეული ნაწილი ცდილობდა სტუდენტებისა და მონოზვნების დაცვას თავდასხმებისაგან, რის გამო თვითონაც დაშავდნენ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის საეპისკოპოსო, კატეგორიულად ვგმობთ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას და ვაცხადებთ, რომ წინ აღვუდგებით კონფლიქტის პროვოცირებას, რაც დიდი ზიანის მომტანია ორივე მხარისათვის და ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალების ინტერესებში შედის.

ჩვენს ეკლესიებს შორის არსებული საუკუნოვანი ძმური ურთიერთობა გვაძლევს რწმენას იმისა, რომ ყველა საკითხი დიალოგის, ქრისტიანული სიყვარულისა და თანხმობის გზით გადაიჭრება. ამიტომაც, მოვუწოდებთ მოსახლეობას, არ გახდნენ გაუგებრობის მსხვერპლნი, გამოიჩინონ სიმშვიდე და კეთილგონიერება.

ჩვენ ჩვენი მხრივ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა ხელი შევუწყოთ სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესს და რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას.

*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით, საგარეო განყოფილების თავმჯდომარე ეპისკოპოსი გერასიმე (შარაშენიძე)*

*სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სახელით საქართველოში სომხეთის ეკლესიის ეპარქიის მეთაური ეპისკოპოსი ვაზგენ მირზახანიანი*

*20 ივლისი, 2005 წელი*

# გამდიდრებაზე მეოცნებე ხალხი ქვეყანას ვერ ააშენებს

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

6-7 წლის წინ მეცნიერები შიმშილით იხოცებოდნენ, სამგზავრო ფულიც კი არ ჰქონდათ. ერთხელ, თებერვლის ცივ, ყინვიან დღეს ინსტიტუტიდან გამოვედი და შორიდან დავინახე, კაცი მოდიოდა. მომიახლოვდა და ერთი ცნობილი აკადემიკოსი აღმოჩნდა — ტრანსპორტის ფული არ მაქვსო. ვაჟაფშაველას ბოლოდან ფურცელაძის ქუჩამდე ფეხით მიდიოდა აკადემიკოსი, ინსტიტუტის დირექტორი. ზოგიერთი მაშინ გამდიდრდა, ნამდვილი აკადემიკოსები ჩამოდნენ, „ყალბები“ კი — ფერზეც კარგად იყვნენ და ჯანზეც.

დღეს საქართველოს გადარჩენაზე დგას საქმე. რეფორმები ყველა სფეროშია საჭირო. ვინც დაკისრებულ მოვალეობას არ შეასრულებს ან ხელი წაუცდება, უნდა დაისაჯოს. ქვეყნის გადარჩენის საქმეში წაფორხილება და ვინმესთვის ხელის დაფარება არ გამოგვადგება. მარტო ვაჟრობით ხალხის დასაქმება არ შეიძლება. გასავითარებელია წარმოება, რომ ადამიანმა ადამიანად იგრძნოს თავი. ხალხს სამუშაო უნდა მისცე. ქართველები თავმოყვარე ხალხი ვართ და ხელისუფლებამ საშუალება უნდა მოგვცეს ღირსეულად ვიცხოვროთ.

ხელისუფლებას პრინციპულობა მართებს. კაცი, რომელსაც რალაც სფერო ჩააბარეს და იქ არ ივარგა, სხვაგან კი არ უნდა გადაიყვანონ, უნდა მოხსნან. არ შეიძლება ერთგული, მაგრამ უუნარო ხალხი ატრიალონ წრეზე. ბევრია ჭკვიანი და ნესიერი ხალხი, ასეთები უნდა მოიყვანონ თანამდებობაზე.

პარლამენტზეც მინდა ვთქვა ერთიორი სიტყვა. რა უნდათ იქ რეჟისორებსა და სპორტსმენებს? რა კანონი უნდა შეიმუშაოს სპორტსმენმა? ერთ მაგალითს მოგიყვანთ: უნივერსიტეტის რექტორი იყო დავით ჩხიკვიშვილი. ერთხელ დამირეკა, შემოდი, საქმე მაქვსო. ამ დროს მასთან ცნობილი ფეხბურთელები შემოვიდნენ სპორტის კათედრის გამგესთან ერთად, რომელმაც ბატონ დავითს უთხრა — უნივერსიტეტში უნდათ მოწყობაო. კი ბატონო, ჩავრიცხავთ, მხოლოდ განცხადება დაწერონო. ჩემ თვალწინ დაიწყეს განცხადების წერა — პირველმა გაჭირვებით დაწერა, გთხოვთ, ჩამრიცხოთ უნივერსიტეტშიო, მეორემ კი განცხადებაც ვერ დაწერა და ვერც მოხვდა უნივერსიტეტში. ეს რომ გამახსენდება, ყოველთვის ვფიქრობ, სპორტსმენს პარლამენტში რა უნდა-მეთქი. რომ ეხვეწნათ, პარლამენტში როგორ წავიდოდი — კანონები არ ვიცი. ან რა საჭიროა 235 კაცი რომ ზის? ორმოცდაათკაციანი პარლამენტიც ეყოფა ჩვენნაირ პატარა ქვეყანას. ამიტომაც არის იქ ამდენი ჩხუბი და რია-რია. ამ ხალხს ხომ ვაფუჭებთ და სახელმწიფოსაც მუქთა ფულს ვახარჯვინებთ მათზე. როგორც მეცნიერებში არიან თითებზე ჩამოსათვლელი ღირსეული და მცოდნე ადამიანები, ისე თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს პოლიტიკოსებიც. პოლიტიკოსის ლაპარაკმა და საქმემ ქვეყანაში მდგომარეობა უნდა გამოასწოროს. მტერიც კი უნდა მიხვდეს, რომ მის ნალაპარაკევში სიმართლის მარცვალია. ამათ კი პოლიტიკოსობა ვილაცის ლანძღვა ჰგონიათ.

ოპოზიციის არგუმენტებს რომ ვუსმენ, ერთ რამეს ვხედავ — თვითონ უნდათ პირველობა და არაფერ ისეთ მნიშვნელოვანს და საყურადღებოს არ ამბობენ, რაც ქვეყანას გამოადგება. არ სთავაზობენ ხელისუფლებას ქვეყნის უკეთესი განვითარების მოდელს. ამიტომ, ვამბობ ხოლმე ხელისუფლებას ვაცალოთ-მეთქი.

ქვეყანაში წესრიგს კანონის დიქტატურა დაამყარებს. არ შეიძლება სატელეფონო ზარით კანონისა და სამართლის შეცვლა. არ შეიძლება უბრალო კაცისთვის მოქმედებდეს კანონი და ვილაცისთვის კი არა. როცა ამას ხალხი დაინახავს, ხელისუფლებას არ დაუჯერებს, მისი პატივისცემა დაეკარგება.

ყველამ თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს — ხელისუფლებამ ქვეყანას უნდა მოუაროს, ხალხმა კი დაკისრებული სამუშაო კეთილსინდისიერად შეასრულოს. ეს არის უპირველესად გასაკეთებელი, ეს გადაარჩენს ქვეყანას. ალბათ, მკითხავთ, სად არის სამუშაო. მართალია, დღეს ქვეყანას იმდენი ფული არ აქვს, რომ საწარმოები აამუშაოს, მაგრამ ხომ გვყავს ისეთი პატრიოტი ბიზნესმენები, რომლებიც ფულს ჩადებენ წარმოებაში და იმ წელსვე არ მოითხოვენ ასპროცენტიან მოგებას (ამის გამო უცხოელებმა მითხრეს კიდეც, ქართველებმა ბიზნესი არ იცით, კარგი ბიზნესი წელიწადში 3-4%-იან მოგებას გულისხმობს, თქვენ კი 100%-იანი მოგება გინდათო). მთელი მსოფლიო მაქვს შემოვლილი, საქართველოსნაირი ქვეყანა არსად მინახავს, ამ უნიკალურ ქვეყანას უნდა ვუპატრონოთ და ზღაპრული ქვეყანა გვექნება...

*იზო რუკაძე*


ნატურალური ტკივილის მარეში!

GV ჯეოვიტი

***თავის ტკივილი, ტკივილი სახსრებში, კუნთებში. . .***

***ტკივილი იმდენად ძლიერია, რომ ჩვენ გვავიწყდება რამდენად სერიოზული გვერდითი მოვლენები გააჩნია სინთეზური ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების ხშირ მიღებას.***

სინთეზური ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები ხსნიან ტკივილს, მაგრამ პარალელურად, ზიანს აყენებენ სხვა ორგანოებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა ართრიტის სამკურნალო პრეპარატები. არსებობს მონაცემები, რომ მათი მიღება შესაძლოა იწვევდეს ინფარქტებისა და ინსულტების რისკის მატებას. თითქოს გამოსავალი არ გვრჩება: მრავალი ქრონიკული მდგომარეობა აიძულებს ადამიანებს მიიღონ ტკივილგამაყუჩებლები ხანგრძლივად, რითაც საკუთარ ჯანმრთელობას უდიდეს ზიანს აყენებენ.

სასწრაფო დახმარება საჭიროა!

სულ უფრო მეტ ექიმს ესმის, რომ ზოგიერთ მდგომარეობაში ბალახეულს და ბიოდანამატებს, აგრეთვე სხვა ნატურალურ საშუალებებს შეუძლიათ შეავსონ, ზოგჯერ კი საერთოდ შეცვალონ, მათ მიერ დანიშნული და გაყიდვაში ურეცეპტოდ მყოფი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. ნატურალური ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები საკმაოდ ეფექტური და უსაფრთხოა, თუმცა სინთეზურებზე მთლიანად უარის თქმაც არ არის საჭირო! სინთეზური პრეპარატები გაცილებით სწრაფად მოქმედებს, ვიდრე ნატურალური. ამიტომ, თუ ტკივილი მეტად ძლიერია, დალიეთ ერთი აბი. . . მაგრამ ამას სისტემატურ ხასიათს ნუ მისცემთ!



არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებები ეფექტურად ახშობენ ტკივილს, მაგრამ იწვევენ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს. ფაქტობრივად, ამ კლასის ანალგეტიკების გამო, კუჭის წყლულით, ყოველწლიურად, საავადმყოფოში 100.000 ადამიანი ხვდება. ხოლო მათთვის, ვისაც კუჭ-ნაწლავის პრობლემები აწუხებს, ტკივილის შემთხვევაში, ასეთი ანალგეტიკების მიღება ყოვლად დაუშვებელია!

ბუნებრივი პრეპარატები მოქმედებენ უფრო ნელა, მაგრამ ეფექტს უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებენ და ტკივილისგან უფრო იოლად თავის დაღწევის საშუალებას იძლევიან.

**თავის ტკივილი**

თავის ტკივილი ლიდერობს რეცეპტის გარეშე გაყიდვადი ანალგეტიკების მიღების მიზეზებს შორის.

ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული პრეპარატები ეფექტურია პერიოდული თავის ტკივილებისას. თუმცა მათი მეტად ხშირი ხმარებაც, შესაძლოა, თვით თავის ტკივილის მიზეზი გახდეს. ასეთ რეაქციას „ასახულ თავის ტკივილებს“ ეძახიან.

ქრონიკული თავის ტკივილების დიდ წილს – შაკიკი წარმოადგენს. პროგრესირებად ფაზაში შაკიკის საწინააღმდეგო მეტად ეფექტურ საშუალებას ამჟამად წარმოადგენს პრეპარატები, რომლებსაც ტრიფტანებს უწოდებენ. ნატურალურ პრეპარატებს შორის, მათ მიეკუთვნება „სეროტეინი“. ეს არის ახალი და საკმაოდ ეფექტური პრეპარატი, რომელიც გამოიყენება შაკიკის მკურნალობაში, რომლის მექანიზმიც სეროტონინის გამომუშავების სტიმულაციას ეფუძნება. შაკიკით დაავადებული ადამიანების ნახევარს, მაგნიუმის დაბალი დონე გააჩნია. ეს შესაძლოა ტვინში ქიმიური ცვლილებების მიზეზი გახდეს, რასაც სწორედ შაკიკამდე მივყავართ. ამიტომ, თუ თქვენ შაკიკის შეტევების პროფილაქტიკა გადაწყვიტეთ, გირჩევთ მიიღოთ ნატურალური დანამატები, რომლებიც არანაკლებ 600მგ მაგნიუმს შეიცავენ.

**სახსრების ტკივილი**

ქონდროპროტექტორები ხშირად ინიშნება ოსტეოართროზითა და სახსრების უმოძრაობით გამოწვეული ტკივილისას, რომელთა მიზეზიც – ხრტილოვანი ქსოვილის დესტრუქციაა (დაშლა). გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ეს პრეპარატები ამცირებენ ოსტეოართროზის სიმპტომებს, საშუალოდ 40%-ით. „მუვ ფრი“ - ნატურალური ქონდროპროტექტორია, რომელიც მიიღება კიბოსებრთა ნიჟარისგან, და დამატებით შეიცავს ჰიალურონის მჟავას; სხვა მსგავს პრეპარატებთან შედარებით გაცილებით ეფექტურია და მისი მიღება, მრავალი წლის მანძილზე, რეკომენდებულია ამერიკის ართრიტის ფონდის მიერ.

ნახევრად უჯერი ცხიმოვანი მჟავები კი, კერძოდ, „ომეგა-3 კომპლექსი“, დადებით ზემოქმედებას ახდენს რევმატოიდული ართრიტით გამოწვეულ ტკივილსა და შეშუპებაზე.

**კუნთოვანი ტკივილები (მიალგიები)**

**ვიტამინი C** – ჩვენში გავრცელებული ყველაზე ცნობილი პროფილაქტიკური საშუალებაა. ამერიკელი მეცნიერების გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ვიტამინი C ფიზიკურ დატვირთვებთან დაკავშირებული ტკივილის შემცირებას უწყობს ხელს. ვიტამინი C-ს რეკომენდებული დოზაა – 1000მგ დღეში.

თუ თქვენ დაინტერესდით ან დაგებადათ კითხვები ამ და სხვა ნატურალურ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებზე, ინფორმაციისთვის მიმართეთ ვიტამინ-ცენტრ „ჯეოვიტის“ სპეციალისტებს, რომლებიც გაგიწევენ კონსულტაციას ნებისმიერ სამედიცინო საკითხზე (კონსულტაცია უფასოა).

Schiff 60

ამერიკული კომპანია „შიფის“ ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“

„ჯეოვიტი“ მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.41
ასევე დავით ტატიშვილის სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ცენტრი „ნაუტილუსი“, მის: ილია ჭავჭავაძის გამზ.78
აფთიაქები თამარაშვილის ქ.№1, თამარ მეფის გამზ.№19
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია: 29-20-91
899 10-99-20; 899 14-35-56.
საინფორმაციო-სამედიცინო სამსახური: 25-22-45

# აშშ საქართველოს მადლობას უხდის

**აშშ-ის საელჩო მადლობას უხდის ქართველ სამართალდამცველებს, ჯორჯ ბუშის თავდასხმაზე ეჭვმიტანილის ოპერატიულად დაკავებისთვის. ამერიკის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოების შეთანხმებული მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის მაგალითად უნდა იქცეს. აშშ-ის ადმინისტრაციის სახელით საელჩომ უმაღლეს დონეზე შეაფასა ქართველ პოლიციელთა გმირობა და სამძიმარი გამოუცხადა ოპერაციის დროს დაღუპული ოფიცრის ოჯახს.**

**20 ივლისს თბილისში განვითარებულ მოვლენებს ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიო პრესა და ტელევიზია.**

დიდი ბრიტანეთის გაზეთი **„გარდიანი"** წერს: „საქართველოს დედაქალაქში სერიოზული ოპერაციის შედეგად პოლიციამ დააკავა პირი, რომელმაც ამა წლის 10 მაისს ბომბი ისროლა თბილისის მთავარ მოედანზე მაშინ, როცა ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ტრიბუნაზე სიტყვით გამოდიოდა. იმ დღიდან საქართველოს დედაქალაქში აქტიურად მუშაობდნენ FBI-ის წარმომადგენლები ქართველ კოლეგებთან ერთად. დაიკითხნენ თვითმხილველები, აღწერილობის მიხედვით შეიქმნა საეჭვო პირის ფოტორობოტი. სახელმწიფომ დააწესა პრემია — 80.000 დოლარი მისთვის, ვინც ძიებას დაეხმარებოდა.

ეჭვმიტანილი, ვლადიმირ არუთინიანი დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობს. ოპერაციის დროს მან სასიკვდილოდ დაჭრა გამოძიების ფედერალური სამსახურის ოფიცერი და თავადაც დაჭრილმა თავი შეაფარა მახლობელ ტყეს. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სპეცრაზმის წარმომადგენლებმა მოახერხეს მისი აყვანა. გაჩხრიკეს ეჭვმიტანილის ბინა, სარდაფი და საცხოვრებელი კორპუსის წინ მდებარე ბაღი, სადაც მას ქოხი ჰქონდა. ყველგან ნაპოვნია ცეცხლსასროლი იარაღი, ყუმბარები, დისტანციური მართვის ასაფეთქებელი საშუალებები."

„შეტევა ერთდროულად ორ პრეზიდენტზე". ამ სათაურით აქვეყნებს სტატიას **„ნიუ-იორკ ტაიმსი"**. „ეს ინციდენტი მოხდა 2005 წლის 10 მაისს, საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, თავისუფლების მოედანზე. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ამბავი აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ქვეყნიდან გამგზავრების შემდეგ გაახმაურა. ქართველმა კანონდამცავებმა მოახსენეს აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლებს, რომ ვიღაცამ 30 მეტრიდან სცენისკენ ისროლა წითელ ცხვირსახოცში გახვეული რუსული წარმოების ბომბი. საქართველოს ხელისუფლებამ 150 ათასი ლარის ოდენობის პრიზი დააწესა მისთვის, ვინც დაეხმარებოდა ეჭვმიტანილის პოვნაში, რომლის ფოტორობოტი უჩვენა ტელევიზიამ. ვილაც-ვილაცებმა ფოტორობოტში ამოიცნეს უმუშევარი ვლადიმირ არუთინიანი, სომეხი, რომელიც დედასთან ერთად ცხოვრობს. დედამ სამართალდამცველებს უთხრა, რომ ვლადიმირი ბოლო 3 დღის განმავლობაში შინ არ ყოფილა და ზუსტად იმ დღეს გამოჩნდა, როცა მის ასაყვანად მივიდა პოლიცია. FBI-ის თანამშრომლებმა არუთინიანის სახლში აღმოაჩინეს უამრავი საეჭვო ლიტერატურა და იარაღი.

„ბუშზე თავდასხმაში ეჭვმიტანილმა FBI-ის თანამშრომლებს ინგლისურ ენაზე აგინა" — წერს **„რეგნუმი"**. მასში ნათქვამია, რომ თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოთავსებულია ტერორისტობაში ეჭვმიტანილი არუთინიანი. მან FBI-ის წარმომადგენელი ბრაიან პარმანი უშვერი სიტყვებით ინგლისურად ლანძღა. გაიძახოდა, — შანსი რომ მომეცეს, იმავეს გავიმეორებდიო.

„ნამდვილი ბრძოლა გაიმართა ტერორისტსა და საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმს შორის, რომელიც ოთხი საათი გაგრძელდა. მძიმედ დაჭრილი არუთინიანი 21 ივლისს, ღამის 1-ელ საათზე შეიპყრეს, მანამდე კი მან კონტრდაზვერვის სამმართველოს ოფიცრის მოკვლა მოასწრო. პირველსავე დაკითხვაზე ტერორისტმა განაცხადა, რომ არაფერს ნანობს და შემთხვევა თუ მიეცემოდა, კვლავ ესროდა ყუმბარას პრეზიდენტებს", — წერს გაზეთი **„იზვესტია"** და დასძენს, რომ არუთინიანის სარდაფში იარაღისა და ტყვია-წამლის გვერდით „რუსული სამხედრო ფორმა, სამხრეები, დურბინდი და რუსულ ენაზე გამოცემული სპეციალური სამხედრო ლიტერატურა აღმოჩნდა." ამის თაობაზე ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების უფროსმა ვლადიმირ ყუფარაძემ დაუყოვნებლივ განაცხადა: — არუთინიანს არასოდეს უმსახურია ჩვენს ჯარებში, ხოლო რუსული სამხედრო ფორმა საქართველოში ბევრს აქვს — სამოქალაქო პირსაც და ყოფილ სამართალდამცველ მუშაკებსაც. მისი შეძენა საქართველოში დღეს ძნელი არ არისო.

გაზეთ **„პრავდის"** ვარაუდით, „საქართველოს შსს-ს არუთინიანის დაკავება არ ჰქონია დაგეგმილი. ეტყობა, პოლიციელები მხოლოდ 150 ათასი ლარის მაძიებელი ანონიმური ინფორმატორის შეტყობინებას ამოწმებდნენ, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი საშიში ბოროტმოქმედის შესაპყრობად მხოლოდ სამი კაცი გაეშვათ. ეს მაშინ, როცა საქართველოში ვიღაც წვრილი ბიზნესმენის დაკავებას მთელი პოლკი ახორციელებს, ხანდახან სამხედრო ტექნიკის გამოყენებითაც".

# ტყვია სახელმწიფო მინისტრისთვის

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკიდან მიღებული ცნობები ფრონტის ხაზიდან მოსულ ამბებს ჰგავს. გადაკეტილია რეგიონის თითქმის ყველა სამანქანო გზა. ფეხით გადასვლას ძალიან გულადები თუ ბედავენ. ქართული მოსახლეობა ულტიმატუმს უყენებს ოსეთის მხარეს — დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ 6 ივლისს გატაცებული 4 ქართველი — სამი ძმა ხაჭაპურიძე და მათი მეგობარი მამუკა ლომიძე, ან თუ დახოცილები არიან, მათი ცხედრები გადასცენ ჭირისუფალს. კონფლიქტის ზონაში ჩასულ საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას სროლით შეხვდნენ — მისი ავტომობილის თავზე ავტომატის ტყვიები წიოდა. ეს კანონადა მოაწყო ლევან ხაჭაპურიძემ — გატაცებულთა ბიძაშვილმა. შემდეგ ჩამოსვლაზე ხაინდრავა ტყვიას მიიღებს შუბლში — მთელი ჩვენი უბედურება მისნაირებისგან გვჭირსო, — ამბობს ის.

რეგიონში ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას სამშვიდობოების მეთაურის, გენერალ-მაიორ მურად ყულახმეტოვის დაუფიქრებელმა ნათქვამმაც შეუნთო ცეცხლი: — სამწუხაროა, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, გატაცებული ქართველები ცოცხლები აღარ იყვნენ, რადგან კარგა ხანია მათზე არაფერი ისმისო.

გიორგი ხაინდრავამ თბილისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, რის შესახებაც მან მოახსენა პრეზიდენტსა და ეროვნული უშიშროების კომიტეტს. მის მიმართ გამოთქმულ მუქარას კი მშვიდად შეხვდა და თქვა, — როცა საჭირო იქნება, მაშინ ჩავალ რეგიონშიო. მინისტრის აზრით, წყალს მესამე ძალა ამღვრევს — ადგილობრივ ქართველ მოსახლეობას ცენტრალური ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებს. სიტუაციის გართულების ერთ-ერთი მიზეზი სამხრეთ ოსეთში მაღალ პოსტებზე რუსეთიდან ჩამოსულების დანიშვნა და რუსეთის უშიშროების ფედერალური ბიუროს თანამშრომლების საქმიანობაა. სახელმწიფო მინისტრი ქართულ ხელისუფლებასაც საყვედურობს: — მესმის იმ ხალხის გულისტკივილი, ვინც ნათესავები დაკარგა, მაგრამ მაკვირვებს, როგორ აძლევს ხელისუფლება ლევან ხაჭაპურიძეს და მის რაზმს კონფლიქტის ზონაში იარაღით ხელში სეირნობის უფლებასო.

ბოლო მონაცემებით, ოსეთის მხრიდან გამოჩნდა ჯგუფი, რომელიც თითქოს მზად არის უპასუხოს ოთხი ქართველის გატაცებასთან დაკავშირებულ კითხვებს. ისინი გიორგი ხაინდრავას ჩასვლას ითხოვენ...

# „წინ აუღიარებელ სახელმწიფოთა სამხედრო კავშირია"

## ინტერვიუ აფხაზეთის თავდაცვის მინისტრ სულთან სოსლანიევთან

REGNUM



*— 1992-96 წლებში აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი იყავით... რა შეიცვალა მას შემდეგ აფხაზურ არმიაში?*

— მე აფხაზეთში 1992 წლიდან ვიმყოფები. მაშინ ჩვენი ჯარი არ არსებობდა. ის ბრძოლების დროს ჩამოყალიბდა. ეს პროცესი ომის შემდეგაც გაგრძელდა. ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ, მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებსა და რეზერვისტებში ნელ-ნელა მცირდება ნაომართა რაოდენობა, ხოლო ახალი თაობა, რომელმაც არ იცის, როგორია დენთის სუნი, სხვა თვალით უყურებს შეიარაღებულ ძალებში სამსახურს. მართალია, სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენს არმიაში დისციპლინა გაცილებით უკეთესია, მაგრამ ახალგაზრდები ხანდახან არასერიოზულად უდგებიან ჯარში გაწვევას და არღვევენ სამხედრო დისციპლინას.

*— მზად არის აფხაზური არმია რესპუბლიკის დასაცავად და ხომ არ ბრკოლდება მისი მოდერნიზაცია-აღჭურვა?*

— ჩვენს პოტენციურ მოწინააღმდეგეს წამითაც რომ ეეჭვებოდეს, ნებისმიერ დარტყმას საკადრისად ვერ ვუპასუხებთ, ხვალვე შემოგვიტევდა. ბევრი ამბობს, ყველა პრობლემის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით შეიძლებაო. მაშინ ჩვენი მოწინააღმდეგე რატომ ემზადება ასე საგულდაგულოდ — ტექნიკურად იარაღდება, იწვევს ამერიკელ, და არა მარტო ამერიკელ, ინსტრუქტორებს. ეტყობა, ჩვენს დასუსტებას ელოდებიან. მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენი არმია მარტო ამ 18 წლის ბიჭებისგან არ შედგება, არამედ მთელი ხალხისგან — ხალხი რეზერვშია, აფხაზეთის მოქალაქეებს 55 წლამდე შეუძლიათ იარაღის ხმარება და პირველსავე დაძახებაზე თოფს დაავლებენ ხელს. რაც შეეხება მოდერნიზაციას... რასაკვირველია, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს, ჩვენც გვინდა თანამედროვე შეიარაღება — ერთადერთი მიზნით — თავის დასაცავად. ფსოუსა და ენგურს იქით არაფერი გვესაქმება. მაგრამ, როცა საქართველო დღედაღამ სწავლებებს გადის კავკასიის, შვეიცარიის, ამერიკის პოლიგონებზე, სპეციალური ბატალიონები თანამედროვე იარაღით ჰყავს აღჭურვილი, მილიტარიზაციას ეწევა ზღვაზე, ჰაერსა და ხმელეთზე, ცხადია, ჩვენც ვეძებთ ტექნიკური აღჭურვილობის დონის ამაღლების საშუალებებს.

*— როგორ აგვარებთ ამ პრობლემას?*

— ახლა საბაზრო ეკონომიკის კანონებია, როცა ყველაფრის გაყიდვა და ყიდვა შეიძლება. რასაკვირველია, არმიის რეფორმირება გრძელდება. ცხადია, საბრძოლო მოქმედებების ახალი ვარიანტები სულ სხვანაირი იქნება, ვიდრე 1992-93 წლებში, რადგანაც მოწინააღმდეგეს საკმარისი საშუალებები გააჩნია საზღვაო დესანტის გადასასხმელად, კავკასიონის ქედზე მთავარი პოზიციების დასაკავებლად და იმ ბატალიონების ასამოქმედებლად, რომლებიც ახლა წვრთნას გადიან. ჩვენ ცოდნისა და ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებისკენ ვისწრაფვით. ეს არის მთავარი.

*— როგორი ურთიერთობა გაქვთ სამშვიდობოებთან?*

— სამშვიდობო მისიას ერთი ქვეყანა ასრულებს — რუსეთი. ჩვენ საერთო პრობლემები გვაქვს და მათი გადაწყვეტის საშუალებებს ვეძებთ, რადგან ერთადერთი ძალა, რომელიც შეჯახების საშუალებას არ გვაძლევს — სამშვიდობო ძალებია. სხვა ურთიერთობა მათთან არა გვაქვს.

*— ქართული მხარე წარამარა აცხადებს, გვირჩევნია, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სხვა ქვეყნის კონტინგენტი იდგესო. ისინი სამშვიდობოთა მისიის ფორმატის შეცვლას ემხრობიან. როგორია აფხაზური მხარის პოზიცია?*

— ჩვენ რეალური გამოცდილებით ვხელმძღვანელობთ. რუსი სამშვიდობოები 12 წელია აქ დგანან და მათი წყალობით შეჯახება არ მომხდარა. ვისი ყოფნა უნდათ ქართველებს აქ და რატომ — ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ვხვდებით.

*— თქვენი აზრით, როცა რუსეთი საქართველოდან თავის ჯარს გაიყვანს, მის ადგილზე ნატოს ბაზები აღმოჩნდება?*

— პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, არსებობს დროებითი ინტერესები და, რასაკვირველია, ამას ვითვალისწინებთ კიდეც, მათ შორის ვითარების ასეთ შემობრუნებასაც. ჩვენთვის მთავარია აფხაზეთის პოლიტიკური კურსი — დამოუკიდებლობა. ხვალ ან ზეგ შეიძლება ვიღაცას ეს კურსი აღარ მოეწონოს. მაგრამ ჩვენ ყველაფერი გათვლილი გვაქვს და ყველაფერზე პასუხს ვაგებთ, არც შესაძლო აგრესიას გამოვრიცხავთ.

*— თუ წარმოგიდგენიათ აფხაზეთის და სხვა აუღიარებელი სახელმწიფოების, კერძოდ, დნესტრისპირეთის, სამხრეთ ოსეთის და მთიანი ყარაბაღის სამხედრო თანამშრომლობა?*

— არა მარტო წარმომიდგენია, არამედ ამისკენ მივილტვით, რადგან ერთნაირი პრობლემები გვაქვს. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა, მხოლოდ თავის დაცვა გვსურს.

*— რას იტყვით იმ ინციდენტზე, რომელიც თურქულ სეინერს შემთხვა — ეს ხომ პირველად არ მომხდარა აფხაზეთის აკვატორიაში. როგორ რეაგირებას აპირებს აფხაზური მხარე ასეთ შემთხვევებში?*

— საქართველოსა და აფხაზეთს შორის ხელმოწერილ ყველა ხელშეკრულებაში კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზეა ლაპარაკი. მაგრამ ქართული მხარე სისტემატურად არღვევს ყველა ხელშეკრულებას. დე იურე აფხაზეთი კვლავ ეკონომიკურ ბლოკადაშია მოქცეული. საინტერესო ამბავია — გამოცხადებულია ბლოკადა, გვართმევენ ტვირთებს და ყველაფერ ამას ის ქვეყანა აკეთებს, რომელმაც თავის დროზე აგრესია წამოიწყო. საქართველო საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის მიცემულ პირობას არ ასრულებს, ეს ყველამ მშვენივრად იცის. აღარაფერს ვლაპარაკობ თურქ მესხებზე. მაგრამ როცა საქმე აფხაზეთს ეხება, მაშინვე ურიცხვ ლტოლვილზე ალაპარაკდებიან და ზღვაზე ყაჩაღობას იწყებენ. შეგახსენებთ, რა მოხდა 1992-93 წლებში, როცა ქართული იარაღით დატვირთული ხომალდები შევიპყარით. ახლაც შეგვიძლია ამის გაკეთება, მაგრამ თავს ვიკავებთ, რადგან ხელმოწერილ ხელშეკრულებას ვასრულებთ. 20 ივლისს ჩვენი დელეგაცია თბილისში უნდა გამგზავრებულიყო მოლაპარაკებებზე, მაგრამ უარი ვთქვით, რადგან ქართულმა მხარემ კვლავ დაარღვია რუსეთის შუამავლობით ხელმოწერილი ხელშეკრულება.

**გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა**





# ალმა მატერი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სკოლა და მრავალპროფილიანი კოლეჯი აცხადებს მიღებას

**სკოლის სპეციალიზებულ ჯგუფებში:**

ინგლისური ენა, გერმანული ენა, სამართალმცოდნეობა, ეკონომიკა და ბიზნესი, ქიმია-ბიოლოგია, ჟურნალისტიკა.

მაღალკვალიფიციური პედაგოგთა კორპუსი, უახლესი ტექნოლოგიები, მაღალკომფორტული გარემო განაპირობებს მოსწავლეებში სწავლისადმი გონივრული მოტივაციის ფორმირებას და, შესაბამისად, მაღალ აკადემიურ მოსწრებას, ამასთან, მათ მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის. სკოლაში ხორციელდება აშშ რიზეთის აკადემიასთან ერთობლივი პროგრამა, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ რიზეთის აკადემიის ატესტატს.

მსურველები გაიგზავნებიან როგორც ენის შემსწავლელ საზაფხულო სკოლაში, საზღვარგარეთ, ისე შეერთებულ შტატებში დამამთავრებელი წლის სრული კურსის გასავლელად და მიიღებენ შესაბამის ატესტატს.

სკოლაში მიიღებიან მოსწავლეები ცხრა კლასის ატესტატით.

**კოლეჯის შემდეგ სპეციალობებზე:**

სამართალმცოდნეობა; ორთოპედიული სტომატოლოგია; ფინანსები; ტურიზმის მენეჯმენტი; ტელერეჟისორის ასისტენტი; ტელეოპერატორი; ფარმაცია; საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, ანალიზი და კონტროლი.

უახლესი პედაგოგიური ტექნოლოგიები,თანამედროვე ტიპის სასწავლო რესურსის გამოყენებით უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების აღზრდას, მეორე მხრივ, მათ მომზადებას ეროვნული გამოცდებისათვის. მოსწავლეებს ფართო არჩევანი აქვთ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობისათვის. კოლეჯის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები მიიღებენ კვალიფიკაციის დამადასტურებელ დიპლომს არჩეული სპეციალობის მიხედვით.

კოლეჯში მიიღებიან როგორც ცხრაკლასდამთავრებული მოსწავლეები, ისე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

მის: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის №6
ტელ: 38-44-06; 38-58-49; ფაქსი: 25-19-81

ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები გვიითხრობენ

4 წლის **დეა დევიძე** მამამ მუშთაიდის ბაღში წაიყვანა. სხვადასხვა კარუსელზე გული კარგად რომ იჯერა, მამას სთხოვა — ახლა იმ ძალიან დიდ კარუსელზე ამიყვანეო და ხელი ე. წ. „ეშმაკის ბორბლისკენ“ გაიშვირა. მამას სიმაღლის შიში ჰქონდა და დეას უთხრა:

— ეგ „ეშმაკის ბორბალია“, მანდ პატარა გოგონები არ სხდებიანო.

დეასთვის ეს არასაკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა და მაინც თავისი გაიტანა. დასხდნენ „ეშმაკის ბორბალზე“. დეა აქეთ-იქით იყურება და რაღაცას თუ ვიღაცას გაფაციცებით დაეძებს. შემდეგ უცებ მამას მიუბრუნდა და უსაყვედურა:

— რატომ მომატყუე, ეს არ არის „ეშმაკის ბორბალი“!

— რატომ? — გაუკვირდა მამას.

— აბა, „ეშმაკის ბორბალი“ თუა, ეშმაკები რომ ვერსად დავინახე?

***

დედამ წიწიბურა მოამზადა და შეფუთა. პატარა **სოფო** ცოტა ხანში ეკითხება:

— დედა, შეიძლება გამოვფუთო და ვჭამო?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ბოსტნეული მცენარეა, მოტკბოა და ყვითელი, მისი ხშირი სტუმარია ყურებგრძელი კურდღელი“.**

I



## ვისაუბროთ სწორად!

| | | | |
|---|---|---|---|
| დაუსხამს | და | არა | დაუსხია |
| ჰგავს | და | არა | გავს |
| თანაუგრძნობს | და | არა | უთანაგრძნობს |
| ვტირი | და | არა | ვტირივარ |
| აბამს | და | არა | აბავს |

II მოძებნე ორი ერთნაირი ნავი ერთნაირი მგზავრებით, ორი სხვადასხვა ნავი ერთნაირი მგზავრებით და ორი ერთნაირი ნავი სხვადასხვა მგზავრით



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა



შემეცნებით-გასართობი ჟურნალი პატარებისთვის

III აბა, გამოიცანი

**1. რომელ საუკუნეში აშენდა გელათის სამონასტრო კომპლექსი?**

ა) XIს-ში; ბ) XIIIს-ში; გ) Xს-ში; დ) XIIს-ში.

**2. რომელი მწერი იწვევს მალარიას?**

ა) რწყილი; ბ) კოღო; გ) ტილი; დ) ბუზი.

**3. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი იყო მხატვარი?**

ა) დავით კაკაბაძე; ბ) სანდრო ახმეტელი; გ) უშანგი ჩხეიძე; დ) დავით კლდიაშვილი.

**4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში?**

ა) ოჯალეში; ბ) ციცქა; გ) ალადასტური; დ) იზაბელა.

ზღაპარი

## რატომ იმალება დღისით ბუ?

ეს ამბავი უხსოვარ დროში მოხდა.

ერთ ზაფხულს საშინელი სიცხე დაიჭირა. გვალვამ მიწა დახეთქა, წყაროები დაშრა. ხევებში მდინარეებმაც განაბეს სული. ტყეში ფრინველებს წყურვილით პირი უშრებოდათ.

ერთ დღეს ტყეში ქედანი მოფრინდა, მაღალი წიფლის კენწეროზე ჩამოჯდა და ხმამაღალ ღუღუნს მოჰყვა.

— ქედანი მოფრინდა, ქედანი, იქნებ სადმე წყარო იპოვა! — წამოიძახეს ერთხმად ფრინველებმა და ყველა ქედნისკენ გაეშურა.

— წყარო ხომ არ გიპოვია სადმე, წყარო, — ჟივჟივით შემოეხვივნენ ფრინველები ქედანს.

— ჯერ არა, მაგრამ მე თუ გამომყვებით, ვიპოვით.

— სად? როგორ? — ეკითხებოდნენ ფრინველები.

ქედანმა ფრთები შეიბერტყა და დაიწყო:

— საყორნიას კლდეზე, გამოქვაბულის წინ, წყალი მოჟონავს. ყველანი რომ მივესიოთ და ამოვქექოთ მიწა, ჩანჩქერი გადმოვარდება, ეტყობა, წყალი მიწაში ჩადის და იკარგება.

— ახლავე წავიდეთ, დროს ნუღარ ვკარგავთ! — აურიამულდნენ ფრინველები, სადაც წყალს უნდა ამოეხეთქა, ფრინველების ტევა აღარ იყო, ყველა საქმიანად ფუსფუსებდა, მხოლოდ ბუ არ იღებდა მონაწილეობას მათ საქმიანობაში.

— ეი, შენ, მანდ უსაქმოდ რომ ზიხარ და თავზე დაგვცქერი, ჩვენთან მუშაობა არ გეკადრება?! — უთხრა გაბრაზებულმა ძერამ.

— მე ხომ ტყის მეფე ვარ, როდის იყო, რომ მეფე მუშაობდა; მე ბუნებამ დამაჯილდოვა დიდი თავითა და ყვითელი, ნაზი ფეხებით, ამ ფეხებს ტალახით ვერ გავისვრი, — თვალების ბრიალით წარმოთქვა ბუმ.

— ჩემზე უფრო ნაზი ფეხები აქვს მაგას?! — აღუღუნდა გვრიტი და დასისხლიანებული, მართლაც მეტად ნაზი ფეხები ფრინველებს დაანახვა.

— წყალი ხომ უნდა, წყალი! — გასძახეს ერთმანეთს ფრინველებმა.

— მე ტყის მეფე ვარ, წყალს ვერავინ ამიკრძალავს!

— როგორ, ჩვენ ვიწვალოთ, წყალი ვიპოვოთ და მაგან დალიოს?! — დაიჩხავლა ყვავმა, ნისკარტი თავში ჩაარტყა და გატალახიანებული ფეხები ისე მაგრად მიაბჯინა გულზე, რომ ბუს თავბრუ დაესხა.

— დასჯის ღირსია, დასჯის! — შესძახეს ერთხმად ფრინველებმა, მიცვივდნენ და სათითაოდ ყველამ ჩაუნისკარტა.

ბუმ ერთხანს სცადა გასძალიანებოდა, გამწარებული იბრძოდა ბრჭყალებით და ნისკარტით, მაგრამ რას გახდებოდა იმდენ ფრინველთან ბრძოლაში! ისინი უმოწყალოდ უნისკარტებდნენ და ბრჭყალებით კაწრავდნენ, ბოლოს, როგორც იქნა, გაუსხლტა მათ და ტყეში მიიმალა.

ფრინველებმა ისევ განაგრძეს მუშაობა. დიდი წვალების შემდეგ ძლივს იპოვეს წყარო. გახარებული ფრინველები მაშინვე დაეწაფნენ ცივ წყალს.

ამის შემდეგ ბუ დღისით ველარ ჩნდება ფრინველების შიშით და ხის ფუღუროში იმალება. ზარმაც, უსარგებლო ბუსთან მეგობრობა არავის არ უნდა.




„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 55-ზე მეტი ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს:

1. ○ მელია და მწყერჩიტა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნაცარქექია
4. ○ მძინარე მზეთუნახავი
5. ○ კომბლე
6. ○ ირმისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ წითელქუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთკუნჭულა
11. ○ მაკნაზუნა
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ სამი გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ მაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნამცეცა
22. ○ ნახევარქათამა
23. ○ სამი ფორთოხალი
24. ○ გოგონა და ურჩხული
25. ○ წიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ღორების მწყემსი
28. ○ მძლეთამძლე
29. ○ ქოჩორა რიკე
30. ○ უფლისწული ბაყაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონკია
34. ○ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ○ კატა, მამალი და მელა
36. ○ ცეროდენა
37. ○ გაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული სამეფო
40. ○ გოგონა და სამი დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმელები
42. ○ მოჯადოებული კატა
43. ○ მეჩონგურე
44. ○ თხისყურებიანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლომი და კურდღელი
47. ○ მოჯადოებული ტყე
48. ○ არვიციას ამბავი
49. ○ ჯიუტი სილუკა
50. ○ შრომის ფასი
51 ○ ვარსკვლავბიჭუნა
52. ○ გენერალი ფანტა-გირო
53 ○ კოკროჭინა
54 ○ სამი და
55 ○ ზარმაცი მზეთუნახავი
56 ○ ასფურცელა

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# თანამედროვე ხელოვნების ფუძემდებელი — კონგო



თანამედროვე ხელოვნების ფუძემდებელი გახდა შიმპანზე „კონგო". მისი შედევრები მილიონობით დოლარი ღირს.

ლონდონის აუქციონზე, პირველად ისტორიაში, რენუარის ტილოების გვერდით, გაიყიდა შიმპანზე კონგოს ნამუშევრები.

კონგომ ასობით ტილო შექმნა. მისი ნამუშევრები სათანადოდ შეაფასეს ცნობილმა მხატვრებმა. ერთი მათგანი პიკასოს საკუთრებაა. დიდი მხატვარი განცვიფრებული იყო მაიმუნის ნიჭიერებით. ერთხელ, ლონდონის ზოოპარკში (სადაც პრიმატი ცხოვრობდა) მივიდა ესპანელი მხატვარი ხუან მირო მიროსი და კონგოს პატრონს ერთი შედევრი დასჭირდა. უფრო სწორად, კონგოს ერთ ტილოში ორი თავისი გაუცვალა. როცა სალვადორ დალიმ პრიმატის ნამუშევრები ნახა, წამოიძახა: — ამ შიმპანზეს ზეადამიანური ხელი აქვსო. კონგოს ორიგინალები გამოფენილია ლონდონის ისტორიის მუზეუმში, ბუკინგემის სასახლეში, ერთ-ერთი ნახატი შეიძინა ედინბურგის ჰერცოგმა.

*მირორი*

# სასჯელი ეგოიზმისთვის

55 წლის იაპონელ სატოში ნაკაგავას 3,5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. მისი დანაშაული ის არის, რომ მთვრალმა რამდენჯერმე გამოიძახა სამედიცინო დახმარება, რათა შინ მიეყვანათ. როგორც სასამართლოში გაირკვა, ამ საქციელს უგუნებობით ხსნიდა და 2003 წლის აგვისტოდან ამგვარად არაერთხელ მოქცეულა. მოსამართლეების განსაკუთრებული გულისწყრომა გამოძახების ბოლო შემთხვევამ გამოიწვია — სიმულანტის გამოძახებაზე მასთან მივიდა მანქანა, რომელსაც მძიმედ დაზარალებულთათვის იყენებდნენ.

ფერშალმა „პაციენტის" მდგომარეობის გარკვევის შემდეგ ის შინ არ წაიყვანა, რისთვისაც მთვრალმა სატოშიმ სილა გააწნა. — ეს კაცი, რომელმაც სერიული ეგოისტური დანაშაული ჩაიდინა, დამნაშავეა, — დაადასტურა მოსამართლემ.

*დენგი №27*

# ჰიტლერის „საჩუქარი"

ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში სენსაციური სტატია გამოაქვეყნა გერმანიაში მცხოვრებმა რუსმა ისტორიკოსმა პაველ პოლიანმა (მუშაობს ფრაიბურგის უნივერსიტეტში). პოლიანი ყოფილი საბჭოთა კავშირის პარტარქივში 1940 წლის 9 თებერვლით დათარიღებულ მეტად უცნაურ წერილს წააწყდა — სახალხო კომისართა საბჭოს განსახლების სამმართველოს უფროსი ევგენი ჩეკმენევი სწერს საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ვიაჩესლავ მოლოტოვს გერმანელების წინადადებაზე საბჭოთა კავშირში ორ მილიონზე მეტი ებრაელის გადასახლების შესახებ.



ამ წერილამდე ორი თვით ადრე მოსკოვსა და ბერლინს შორის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის პაქტი დაიდო და, ამდენად, ისინი მოკავშირეები გახდნენ. გერმანელები სტალინს სთავაზობდნენ აღმოსავლეთევროპელი (ანუ დაპყრობილი პოლონეთიდან, ავსტრიიდან და ჩეხოსლოვაკიიდან) ებრაელების გადასახლებას ციმბირში, ბირობიჯანში, სადაც 1934 წლიდან ებრაული ავტონომიური ოლქი არსებობდა.

თუმცა გერმანული რასის სიწმინდის დამცველების წინადადება მაცდუნებელი ჩანდა, მაგრამ საბჭოთა მხარემ ის მაშინვე უარყო — საბჭოთა კავშირს თავისი ებრაელებიც ჰყოფნისო.

ეგრეთ წოდებული ებრაელების საკითხი „მესამე რაიხის" ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. იქ სხვა ვარიანტებიც განიხილებოდა, საკმაოდ უცნაურებიც კი. მაგალითად, 1940 წლის ზაფხულში სერიოზულად მსჯელობდნენ მთელი ევროპის ებრაელობის გადასახლებაზე მადაგასკარში, სადაც მათ სოფლის მეურნეობა უნდა განევითარებინათ. ზღვაზე ინიციატივა მოკავშირეებს ხელში რომ არ ჩაეგდოთ, შეიძლება ეს ასეც მომხდარიყო და მაშინ ამდენი ებრაელიც არ დაიხოცებოდა.

*მირ ნოვოსტეი №29*

# ინგლისური ხახვი ვაშლზე ტკბილია

არავინ იცის, საიდან გამოჩნდა დიდ ბრიტანეთში ხახვის სახეობა, რომელსაც ვაშლის ან ატმის გემო აქვს. ბრიტანელები ამ ხახვს ჩაროზად მიირთმევენ. მეცნიერებს ვერ დაუდგენიათ მიზეზები, რის გამოც ხახვის გემომ ასეთი მეტამორფოზა განიცადა.

სპეციალისტების აზრით, ბოსტნეულის გემოზე შეიძლება ზეგავლენა მოეხდინა ნიადაგის სახეობას, ნალექის რაოდენობას, აგრეთვე ვეგეტაციის პერიოდში მზიანი დღეების სიჭარბეს. სოფლის მეურნეობის მუშაკები ხაზგასმით მიუთითებენ, რომ წელს მოყვანილი ხახვი ძალიან ტკბილია და ურჩევენ მოსახლეობას მის შეძენას სუპერმარკეტებში თუნდაც მხოლოდ გასასინჯად.

*ლიზა*

# ტაილანდში ძროხებმა იქორწინეს



გასულ კვირას, ბანგკოკის ახლოს, იშვიათი ჯიშის ბრაჰმანის ჯიშის ფურისა და კურის ქორწილი ჩატარდა. ქორწილს დაესწრო 2 ათასი კაცი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კურის პატრონმა გასამრჯელოდ მისთვის საცოლე ყიდვა მოინდომა, მაგრამ ფურის პატრონმა გადაწყვიტა ცივი უარი განეცხადა. მაშინ ფერმერები შეთანხმდნენ, რომ ცხოველები საქორწილო კავშირით შეეერთებინათ.

ქორწინებამ ნაციონალური ტრადიციების ყველა წესით ჩაიარა, ხოლო მზითვის სახით „ახალგაზრდებმა" ბალახი, სიმინდი და 100 ათასი ბატი (2,5 ათასი აშშ დოლარი) მიიღეს.

*რია ნოვოსტი*

# ყველაზე მხიარული მონარქი

როგორც ცნობილია, მსოფლიოში ყველაზე მხიარული მონარქი არის დანიის დედოფალი მარგრეტი. ექიმების პროტესტის მიუხედავად, ზის თავის კაბინეტში სიგარეტით, წინ სავსე საფერფლე უდგას და წერს ბრძანებებს. ახლახან მის ბრწყინვალებას 65 წელი შეუსრულდა და იუბილეს აღსანიშნავად დანიელ ხალხს აჩუქა მემუარები, სახელწოდებით „მარგრეტი". 280-გვერდიანი წიგნი ცოცხალი ენით არის დაწერილი, არც ჟარგონი აკლია და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

დედოფალი დილის 8 საათზე დგება და ქმართან ერთად საძინებელში საუზმობს. მათი მენიუ უცვლელია — ყავა, პური, კვერცხი. 10 საათზე ის უკვე საწერ მაგიდას უზის, ადიუტანტთან ერთად დღის წესრიგს განიხილავს და მოხსენებებს ამზადებს. 13 საათზე მეუღლესთან ერთად სადილობს, შემდეგ მიდიან ბაღში და ვარდებით ტკბებიან. საღამოს, თუ მიღება ან ბანკეტი არ არის, დედოფალი ხატავს ან ქარგავს, შუაღამისას წვება და ანდერსენის ზღაპრებს კითხულობს. მისი საყვარელი კერძია შვრიის ფაფა, არ არის პუნქტუალური...

*ტაიმი*

# ფრაუ შრედერი ქმარს მართავს



მილიონობით გერმანელი აღშფოთებულია გერმანიის პირველი ლედის საქციელით — მისი კარნახით არის მიღებული კანცლერის ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაო. 41 წლის დორის შრედერ-კოპფი, გერმანიის კანცლერის გერჰარდ შრედერის მეოთხე ცოლი, ევროპაში ყველაზე გავლენიანი ქალია. მან ურჩია ქმარს გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებაში უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ყველაზე დიდი ცვლილებების გატარება. გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების შესახებ მიღებულ იქნა ამა წლის მარტში, კანცლერის ჰანოვერის ვილაში. დორისი ქმრისა და ფრანც მანტეფერინგის საუბარში (სდპ-ის თავმჯდომარე) ჩაერია და განაცხადა, — არ მინდა ჩემმა ქმარმა პოლიტიკური კარიერა ისევე სამარცხვინოდ დაამთავროს, როგორც ჰელმუტ შმიდტმა 1982 წელსო. რამდენიმე დღის შემდეგ შრედერი დაჟინებით ურჩევდა პარტიის ხელმძღვანელობას, წასულიყო ვადამდელ არჩევნებზე და ამ გადაწყვეტილებას თავისად ასაღებდა.

ამ მინიატურულმა ქალმა შარშან შრედერსა და ბუშს შორის ერაყის ომის გამო დაძაბული ურთიერთობის სასიკეთოდ შემოტრიალებაც კი შეძლო. ქალი ჰანოვერში, თავის სახლში უყურებდა განვითარებული ქვეყნების ლიდერების შეხვედრას. მისი ქმარი შირაკსა და ბუშს შორის იდგა და ფრანგს ელაპარაკებოდა. მაშინვე მობილურით დაურეკა გერჰარდს და სთხოვა, ყურმილი შირაკს გადაეცაო. სანამ გერმანიის პირველი ბანოვანი საფრანგეთის პრეზიდენტს სრულიად უმნიშვნელო რაღაცებზე ელაპარაკებოდა, შრედერი უსაქმოდ რომ არ მდგარიყო, იძულებული გახდა, ჯორჯ ბუშს გასაუბრებოდა. მაშინ მათ შორის შედგა პირველი ხანგრძლივი საუბარი და მალე ურთიერთობა აშშ-სა და გერმანიას შორის საგრძნობლად „გათბა".

„სამზარეულოს კაბინეტი", რომლის თავკაციც შრედერ-კოპფია, ჟურნალისტების აზრით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. დორისს ქმრის კანცელარიაში საკუთარი კაბინეტი აქვს. იქ მართალია, ქველმოქმედებას ეწევა, მაგრამ მალე მისი კულისებს მიღმა მოღვაწეობა უკვე ოფიციალურად გაცხადდება. კანცლერის მეუღლე გარდაქმნების კომიტეტის წევრი გახდება.

*შტერნი*

# ნეანდერტალელი „ფრანკენშტაინი"

ვაშინგტონელმა ანთროპოლოგებმა მეცნიერების ისტორიაში პირველად ჩაატარეს ნეანდერტალელის ჩონჩხის სრული რეკონსტრუქცია. მთლიანი ჩონჩხი, რომელსაც მეცნიერებმა „ფრანკენშტაინი" შეარქვეს, ორი ნეანდერტალელისაგან შეადგინეს, ასევე დაუმატეს სხვა, წინარე ადამიანის ძვლების ნაწილებიც. შედეგმა გააოცა ანთროპოლოგები — ჩონჩხს არ ჰქონდა წელი. „როგორც ჩანს, ნეანდერტალელების სხეულის ფორმა საგრძნობლად განსხვავდებოდა დღევანდელი ადამიანის ფორმისგან", — განაცხადა მეცნიერმა ჰარი სოიერმა.

*ორაკული №7*

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ბეთჰოვენის სიტყვებს ამოიკითხავთ.

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | თ | ქ | ვ | ე | ნ | ი | მ | ე | გ | ო | ბ | ა | რ | ი | ა |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ს | ე | რ | ი | ს | ე | ი | ნ | ა | ე | ე | ი | რ | ი | უ | ი | ნ | ა | ი | ლ | ზ | რ | ა | ტ | ს | ლ | ი | ტ |

პ. ცხენის რძე; ფ. ფასიანი ქაღალდი; ი. ... არაფატი; რ. რუსი პაროდისტი; ი. სათანადო დოკუმენტების წარდგენით ფულის მიღება რწმუნებულის დავალებით; ს. იტალიური მაკარონი; პ. კუჭის წვენის ფერმენტი; ს. განთიადი; ლ. ლელით დაფარული ადგილი; ი. დაგირავებული უძრავი ქონება; ტ. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა; რ. მდინარე დასავლეთ საქართველოში; ა. თიხის ვიწროყელიანი ჭურჭელი ძვ. საბერძნეთსა და რომში; თ. საქართველოს დედაქალაქი; ძ. იგივეა, რაც გამოქვაბული; ვ. ქალის ქუდზე მიმაგრებული გამჭვირვალე ქსოვილი; ე. რუსეთის ექსპრეზიდენტი; ნ. ქართველი მსახიობი მამაკაცი; ი. სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა; მ. აშშ-ში საცხოვრებლად მოწყობილი ავტომისაბმელი; ე. ო. მეღვინეთუხუცესის კინოსახე ფილმში „ნატვრის ხე"; გ. კუჭი ბერძნულად; ო. თავაშვებული ღრეობა; ბ. სქელი, წებოვანი; ა. რაიმე საგნის მონახაზი, კონტური; რ. ერთად შეკრული და ყდაში ჩასმული ფურცლები; ი. ცისფერყანწელი პაოლო ...; ა. ამა თუ იმ სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოების საიდუმლო თანამშრომელი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**
პ. პათოსი; ა. არენდა; ლ. ლიახვი; ი. ისტორია; ტ. ტერტერა; რ. რვალი; ა. აკლდამა; ა. ამური; უ. უბრალო; ც. ცვირი; ი. იადონი; ლ. ლიანა; ე. ერნესტო; ბ. ბროლი; ე. ერთაოზი; ლ. ლახტი; ი. ინჯია; ს. სმეტანა; ი. იორდანე; ა. ანგარი; მ. მზალო; ო. ოსმალო; ვ. ვერონა; ნ. ნეილონი; ე. ელცინი; ბ. ბახალა; ა. ამერიკა; ა. არსენა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: თეატრალურიდან ოთხჯერ გამრიცხეს.

# სიახლე იუ-ჯი-თისგან — „მიიღეთ მონაწილეობა ქართული ვინდოუსის შექმნაში“

*ქართული „Windows“-ის შექმნაში „კვირის პალიტრის“ მკითხველიც იღებდა მონაწილეობას. კომპანია UGT-იმ ქართულად ნათარგმნ ინგლისურ ტერმინებზე აზრის გამოთქმის საშუალება შეძლებისდაგვარად ყველას მისცა.*

*UGT-ის Windows-ის გაქართულების პროექტის მენეჯერი* ***ირაკლი უჯმაჯურიძე:***



— Windows-ი ევროპული ენების გარდა თურქულად, აზერბაიჯანულად, რუსულად და უკრაინულად არის ნათარგმნი. ჩვენ ვართ შემდეგი ქვეყანა, ვისაც მშობლიურ ენაზე გვექნება Windows-ი.

**— ძალიან გაგიჭირდათ ტერმინებისთვის შესატყვისების მოძებნა?**

— იოლი ნამდვილად არ იყო. ქართული მდიდარი ენაა, მაგრამ კომპიუტერული ტერმინოლოგია არ არსებობდა. ამიტომ ბევრი ახალი სიტყვა შევქმენით. მუშაობა ჩვენი საზოგადოების აქტიურმა მონაწილეობამაც გაგვიიოლა. უამრავი შენიშვნა და წინადადება მივიღეთ ვებგვერდისა და თქვენი გაზეთის საშუალებით. ჩვენ ისინი ჩავსვით იმ ნუსხაში, რომელიც Microsoft-ის სათავო ოფისში არის გადასაგზავნი.

**— ენათმეცნიერები და ლექსიკოლოგები თუ იყვნენ ამ საქმეში ჩართული?**

— რა თქმა უნდა. კომპანია UGT-ის ინიციატივით, შეიქმნა საპროექტო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ასევე მუშაობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო საბჭო. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის საშუალებითაც მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაგვიზიარა და მონაწილეობა მიიღო Windows-ის გაქართულებაში.

**— იქ, სადაც ყველაფერი ეს უნდა გადააგზავნოთ, ცხადია, ქართული ენა არ იციან. საბოლოო სიტყვა მაინც მათზე იქნება?**

— Microsoft-ში ქართულად არ მეტყველებენ, მაგრამ ცენტრალურ (რედმონდის) ოფისში არის რამდენიმე თანამშრომელი, რომლებმაც იციან ქართული, შეუძლიათ ქართული ტერმინების ინგლისურთან შედარება. მაგრამ ისინი, ძირითადად, ჩვენს შედგენილ ტერმინებს დაეყრდნობიან. ამიტომ გვინდა, რომ ჩვენ მიერ გადაგზავნილი ტერმინოლოგია მაქსიმალურად ხარისხიანი იყოს. რა თქმა უნდა, ჩვენ გვექნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციაც ამ ტერმინების ინგლისურ ტერმინებთან შესაბამისობაზე. გარდა ამისა, საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოსული იყვნენ და მომავალშიც ჩამოვლენ Microsoft-ის ლოკალიზაციის სპეციალისტები, რომლებიც გვიწევენ კონსულტაციებს პროექტის მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე.

**— ჩვენი გაზეთის ან ინტერნეტის საშუალებით მოწოდებულ შენიშვნათაგან რომელი იყო თქვენთვის საინტერესო?**

— ასეთი ბევრი იყო. შემოგვთავაზეს საკმაოდ საინტერესო ტერმინები, როგორც „კვირის პალიტრის“, ასევე ვებგვერდის თუ სატელეფონო საუბრების მეშვეობით. განსაკუთრებით გამოვყოფდი ერთ რესპონდენტს, პარლამენტის წევრს, ირაკლი კენჭოშვილს, რომელმაც ყველა პრობლემატურ ტერმინზე მოგვაწოდა საკმაოდ საინტერესო და საყურადღებო ალტერნატიული ტერმინი.

**— რამდენიმე მათგანს მაგალითად ხომ არ მოიყვანთ?**

— მაგალითად, Disk drive. საპროექტო ჯგუფის მიერ შეთავაზებული იყო „დისკწამყვანი“. მოსახლეობამ მოგვაწოდა ძალზე საინტერესო ალტერნატივა — „დისკმზიდი“, რომელსაც აუცილებლად გავითვალისწინებთ; loud speakes — ჩვენი ვარიანტია „ხმამაღლა მოლაპარაკე“. ამ შემთხვევაშიც მივიღეთ ძალზე საინტერესო ალტერნატივა — „ხმოვანი“; „ინდიკატორი“ ჩვენი ვერსიითაც ინდიკატორად დარჩა, მაგრამ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მის ქართულ შესატყვისად „თვალპაჭუნა“ შემოგვთავაზა.

## „Microsoft-ში ქართულად არ მეტყველებენ, მაგრამ...“

**— როგორც ვიცი, მუშაობას მალე დაასრულებთ...**

— აგვისტოში ტერმინოლოგიაზე მუშაობა დასრულდება. ვგულისხმობ Microsoft-ში გადასაგზავნ ტერმინოლოგიას, რომელიც გაივლის რამდენიმე ტესტირებას და საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი ტერმინი შეიცვლება. პარალელურად დაიწყება ფრაზების თარგმნა, რაც სავარაუდოდ 2005 წლის ბოლომდე გაგრძელდება. ასე რომ, წლის ბოლოსთვის მოსახლეობას საშუალება ექნება ისარგებლოს ქართული Windows-ით.

**— კონკრეტულად, რას ელოდებით Windows-ის გაქართულების შემდეგ?**

— კომპიუტერის მომხმარებელთა წრე გაიზრდება, რადგან ყველას ექნება საშუალება მშობლიურ ენაზე მართოს კომპიუტერი. ჩასწვდეს ბევრ ისეთ ნიუანსს, რომელსაც ინგლისური ენის საუკეთესო ცოდნის შემთხვევაშიც შეიძლებოდა ვერ ჩასწვდენოდა. ენობრივი ბარიერი მოეხსნებათ იმ პირებს, რომლებსაც სახელმწიფო თუ კომერციულ სტრუქტურებში მუშაობისთვის ინგლისურის შესწავლას სთხოვდნენ, მხოლოდ კომპიუტერთან მუშაობის საჭიროების საბაბით. სკოლის მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდანვე შეეძლებათ კომპიუტერული ტერმინოლოგიის მშობლიურ ენაზე ათვისება, რაც გაზრდის მათ ინტელექტუალიზმს და ხელს შეუწყობს მომავალი პროფესიონალების ჩამოყალიბებას. მიუხედავად იმისა, რომ ვიცი ინგლისური ენა და კომპიუტერი, პირადად მეც შემქმნია მუშაობის პროცესში პრობლემა და სპეციალისტის დახმარება დამჭირვებია მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლომდე ვერ ჩავწვდი კონკრეტული ფრაზის შინაარსს. მშობლიურ ენაზე მსგავსი პრობლემების გადაჭრა გაცილებით იოლია.

**— ძალიან მცირე დრო ხომ არ გქონდათ ასეთი სერიოზული სამუშაოსათვის?**

— ყველა ქვეყანაში დაახლოებით ამ დროში ითარგმნა Windows-ი. ჩვენ ამ მცირე დროშიც ძირეულად დავამუშავეთ თითოეული სიტყვა. მომხმარებლისთვის ყველა ტერმინი მისაღები და გასაგები უნდა იყოს. ამიტომ ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას მოსახლეობის აზრს. მადლობას ვუხდით ყველას, ვინც გამონახა დრო და თავისი წვლილი შეიტანა ამ საშვილიშვილო საქმეში. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო „კვირის პალიტრას“ მხარდაჭერისათვის. ერთსაც დავძენ, Windows-ის ქართული ტერმინები არ არის არც UGT-ისა და არც Microsoft-ის საკუთრება. ეს ქართველი ხალხის საკუთრებაა.

P. S. „კვირის პალიტრა“ უკვე ერთი თვეა, აწარმოებს გამოკითხვას. კითხვა ასეთია: მოგწონთ თუ არა Windows-ის გაქართულების იდეა?

*გამოკითხვას 717 მკითხველი გამოეხმაურა. 88%-მა დადებითად შეაფასა აღნიშნული იდეა, 3%-მა უარყოფითად, 9%-მა კი თავი შეიკავა პასუხისაგან.*

***ლელა ჯიყაშვილი***





ესთეტიკური პლასტიკის ქირურგიული ცენტრი

აშშ-ში სტაჟირებულ ექიმთა ჯგუფი აკადემიკოს
ბესიკ იაშვილის ხელმძღვანელობით
(ექიმები პაატა ჯანაშია, ლაშა იაშვილი) მაღალი კლასის
უცხოური აპარატურით და თანამედროვე მეთოდებით გთავაზობთ

ყველა სახის პლასტიკურ ოპერაციას

შედეგის წინასწარი კომპიუტერული იმიტაციით:

◆ სახის დაჭიმვა ◆ ქუთუთოების პლასტიკა ◆ მკერდის გადიდება-დაპატარავება, კორექცია, აღდგენა ◆ მუცლის დაჭიმვა ◆ ზედმეტი ცხიმების მოშორება (ლიპოსაქცია) ◆ გუჩების ფორმის შეცვლა

ცხვირის პლასტიკა უახლესი მეთოდით

სახის პროპორციების გათვალისწინებით ესთეტიკური და ძგიდის რეკონსტრუქციული ოპერაცია ერთდროულად. ტამპონადის გარეშე. სრულიად უმტკივნეულოდ, როგორც ოპერაციის დროს ასევე ოპერაციის შემდგომ პერიოდში. ზოგადი ნარკოზის გარეშე. ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი 7-9 დღეში.

სიახლე!

ვიზაჟის უახლესი აპარატურით არაოპერაციული მეთოდით, ტუჩის და თვალის ირგვლივ არეში არსებული დაღარიანების მოშორება!

მის: თბილისი, კაპანაძის ქ. 3
(დამწვრობის ცენტრი).
ტელ: 96-85-93
(ოფისი, 10-17 სთ; შაბათ-კვირის გარდა)
ფაქსი: 96-70-85
22-76-54 (საღამოს); 877-41-97-11

თმის გადანერგვის კლინიკა
„თალიზი“

მრავალწლიანი გამოცდილება. ხარისხი. გარანტირებული შედეგები



უახლესი ამერიკული მეთოდები: მხოლოდ ჩვენთან ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაცია, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები
✔ თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
✔ გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა
✔ ასაკი შეუზღუდავია, კონსულტაციები უფასოა და ანონიმური

ბუდაპეშტის ქ. 22 მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართ.
☎ 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# უჩვენოდ პირი არ დააკარა თავის წილ ლუკმას...

*26 ივლისს ერთი წელი სრულდება, რაც ლალი გუნთაიშვილი ჩვენ გვერდით აღარ არის.*

*თითქოს გუშინ იყო... დადიოდა ჩვენ შორის, ფიქრობდა, გვეფერებოდა, გვმოძღვრავდა და ქმნიდა გაზეთს: საინტერესოს, ობიექტურს, ყველასთვის ახლობელს.*

*ლალი გუნთაიშვილი... მისთვის ყველაზე დიდი ტკივილი ადამიანის ბედი იყო. ამ სატკივრით ცხოვრობდა, ილვწოდა; ამ სატკივარმა შთააგონა შეექმნა ისეთი რამ, რაც შეჭირვებული ადამიანის სულს მიესალბუნებოდა.*

*ეს მაშინ მართალი სიტყვა იყო, პირუთვნელობა, სინდისიერება, სიმართლე სჭირდებოდათ ადამიანებს. ეს ყველაფერი შენივთდა და „კვირის პალიტრად" იქცა. ქალბატონი ლალი გუნთაიშვილი მისი პირველი მთავარი რედაქტორი იყო.*

*ერთი წელი გაილია... მონატრებით სავსე. ეს მონატრება გასდევს მისი ახლობლების, მეგობრების, კოლეგების სტრიქონებს, რომელთა მხოლოდ მცირე ნაწილი დაიტია ერთმა საგაზეთო გვერდმა...*



რაც ქალბატონი ლალი ზეციურ საქართველოში დაემკვიდრა, ყველას უსაშველოდ გვენატრება. ერთხელ ქოთნის ყვავილები ვნახე ყვავილების მაღაზიაში. ამას „დილა მშვიდობისა" ჰქვია, ყოველ დილით, მზის ამოსვლისას იშლება, თითქოს ესალმება ყველასო, — მითხრეს. მაშინ ქალბატონი ლალი სამსახურში აღარ მოდიოდა, თავს შეუძლოდ გრძნობდა, ვიფიქრე, ეს ქოთნის ყვავილი მიესალმებოდა ჩვენს ნაცვლად ყოველ დილით და საჩუქრად წავუღე. გაოცებული ვადევნებდი თვალს, როგორ ეალერსებოდა ჩვენი რედაქტორი მეწამულ ფოთლებს, თითქოს ძალიან ახლობელს, მეგობარს შეხვდა. ადრეც ვიცოდი და კიდევ ერთხელ დავინახე: სულ არ დაშორებოდა დედაბუნებას, მშვენიერ სამყაროს, რომელსაც ჩვენ ასე გვაშორებს ყოველდღიური საზრუნავი.

მთა სულ სხვაა, მწვერვალზე რომ ახვალ და გადმოიხედავ, თითქოს სიკვდილი და ხელახალი დაბადება განიცადე, გინდა იყვირო, ხელები გაშალო და გადაევლო ყველაფერს, — მითხრა ერთხელ, ჩვენი მასალების კითხვით დაღლილი თვალები კაბინეტში ჩამოკიდებულ მთების სურათს შეავლო, — ეს რომ მაქვს განცდილი, ძალა მეძლევა. ყველაზე მძიმე წუთებშიც ეს მეხმარება. ამდენი მშვენიერი რამ არსებობს ამქვეყნად და როგორ მიკვირს ამაზე რომ არავინ ფიქრობს და ერთმანეთის მტრობაზე იხარჯებიან.

საქართველოსათვის მძიმე დღეებში მოიწყენდა, თუმცა გამოსავლის ძიებაზე ფიქრში არ დაიღლებოდა. გაზეთის კორესპონდენტებს გვთხოვდა მაქსიმალური ინფორმაცია მოგვეპოვებინა, რომ მკითხველს სრულყოფილად გაეგო შექმნილი სიტუაციის მთელი არსი. ასეთ მძიმე დღეებში შემეკითხებოდა: „ისეთი" არაფერი მოგიტანია? ვიცოდი, რაც იყო „ისეთი" — ადამიანური, სითბოთი სავსე, მთისა და ბარის, საქართველოსა და სრულიად სამყაროს სიყვარულით სულსავსე ადამიანებთან ინტერვიუს მთხოვდა. ასეთ მასალას რომ წაიკითხავდა, როგორ მომენატრა საქართველოში ფეხით სიარულიო, — მეტყოდა ჩუმად.

უყვარდა ხეც, ბალახიც, ყვავილიც, იცოდა კარგი სიტყვის მადლიც. ამიტომაც შეეძლო უსულოსაც დალაპარაკებოდა ისე, როგორც სულიერს. მისი სულიერება გადამდები იყო. ქალბატონი ლალის დამსახურებაცაა, რომ ძალიან მინდა საქართველო ფეხით შემოვიარო...

***ლელა ჯიყაშვილი***

* * *

ჩვენი ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა 18 წლის გოგონები პირველად მოვწყდით მშობლიურ ბუდეს და მეორე კურსის სტუდენტები იმერეთის ფოლკლორულ ექსპედიციაში გავემგზავრეთ. ხუთნი ვიყავით: ლალი გუნთაიშვილი, ნუცა დუმბაძე, მანანა ჯანელიძე, თინიკო მარგველაშვილი და მე. ყოველ წელს, ყოველ ზაფხულს დავდიოდით საქართველოს მთასა და ბარში, ვაგროვებდით ხალხური შემოქმედების მარგალიტებს და გვეამაყებოდა, რომ თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივის დამაარსებლები ჩვენც ვიყავით.

მას მერე ორმოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ ის პირველი ექსპედიცია მაინც დაუვიწყარი იყო...

დილიდანვე გავდიოდით მთქმელებთან, საღამოს დაღლილი ვბრუნდებოდით და მწირ სუფრას შემოვუსხდებოდით ხოლმე. მალევე გვავიწყდებოდა დაღლა და გვიანობამდე ისმოდა მხიარული კისკისი და ლალის ტკბილი — „ბულბულს ენა, ვარდს სინაზე"... სიმღერა.

ივლისის ბოლო დღეები ლალის მოგონებების დღეებია და მინდა გავიხსენო იმერეთის სოფელ არგვეთში ყოფნის ერთი ეპიზოდი, რომელიც ლალის ბუნებას ნათლად ასახავს.

როგორც ყოველთვის, მოვედით სოფელს და როგორც ყოველთვის, დაღლილი დავბრუნდით. სკოლის შენობაში ვცხოვრობდით. ყველამ მოვიყარეთ თავი, ჩვენი ბიჭებიც მოვიდნენ, მარტო ლალი არ ჩანდა, რატომღაც იგვიანებდა. ეზოში, დიდი ხის ქვეშ ვისხედით და შაირობით ვერთობოდით, თანაც ძალიან გვშიოდა... უცებ ლალი გამოჩნდა, ამაყად შემოაბიჯა ეზოში, უკან ორი კაცი მოჰყვებოდა. ორივეს მოზრდილი კალათები ეკავა, მოგვიახლოვდნენ, კალათები იქვე დადეს, გვითხრეს, მათ წასაღებად ხვალ გამოვივლითო და დაგვემშვიდობნენ. მაშინვე მივცვივდით კალათებს და... ზღაპრული სუფრაც გაიშალა.

თურმე ლალი ორლობეში მიდიოდა, როცა მხიარული სიმღერის ხმა შემოესმა. დაინტერესდა და ფოლკლორული ამბების ძიებაში... საქორწილო სუფრაზე ამოჩნდა.

იჯდა თურმე მოწყენილი სავსე სუფრასთან და პირს არაფერს აკარებდა. შეწუხდნენ მასპინძლები, რაშია საქმე, ხომ არაფერი გაწყენინეთ, ნუთუ არაფერი მოგეწონათო. რას ბრძანებთ, ჩემი დასაწუნი აქ რა არის, მაგრამ ჭამა არ შემიძლია, როცა ჩემი მეგობრები მშივრები მეგულებიანო. იმ წამსვე დაფაცურებულან და ორი კალათა სანოვაგით გაუვსიათ.

წლები გავიდა. ყველამ ჩვენ-ჩვენი გზით ვიარეთ და ათი წლის წინ, ხუთივენი ისევ „კვირის პალიტრაში" შევიყარეთ. ეს ლალის დამსახურება იყო, რომ იმ გაჭირვებისა და უიმედობის წლებში კვლავ ერთად შეგვყარა მეგობრები და როგორც იმ შორეულ წლებში, ახლაც უჩვენოდ პირი არ დააკარა თავის წილ ლუკმას.

ასეთი იყო ჩვენი ლალი, კეთილი და სხვისი სიკეთის მნდომი, ლიდერი იყო და არც სხვისი პირველობა შურდა, ნიჭიერი იყო და სხვისი ნიჭის დამფასებელი, ლამაზი იყო და ყოველივე ლამაზის მოტრფიალე, გულში უდიდეს ტკივილს ატარებდა და ერთხელაც არ დაუწუწუნია, ზეციურ სამყაროში გადაინაცვლა და მაინც ჩვენთან არის, არ გვცილდება, იქიდან გვეფერება და გვამხნევებს.

ჩვენ კი, ჩვენ რაღა დაგვრჩენია მოგონებებისა და ლოცვის გარდა. გვახსოვხარ, ლალი, გვახსოვხარ და გვიყვარხარ. ჩვენში ხარ და ჩვენთანვე დარჩები, სანამ იქაც ერთად არ შევიყრებით.

***ნონა ღამბაშიძე***

* * *

ეს ერთი წელი ისე გაილია, როგორც ქვიშის საათში დრო. ახლა გაყუჩებული ტკივილი მახსენებს თავს, ტკივილი, მონატრებით რომ არის გამოწვეული.

...და ვიხსენებ. გასახსენებელი კი ბევრია — შემოდგომის მზესავით თბილი თვალები და უსაშველოდ ლამაზი ღიმილი.

ჩემს მთავარ რედაქტორს თავისი სამყარო ჰქონდა. მე იგი მახსოვს ბევრი, ბევრი ქაღალდებით (თუმცა საოცარი აკურატულობით) დაწყობილ მაგიდასთან მჯდომი, ზოგჯერ წარბშეხრილი რომ დასცქეროდა სამუშაო გვერდებს და თუ რამე განსაკუთრებულად მოეწონებოდა, მინაწერს გააკეთებდა: „ძალიან კარგია, დავბეჭდოთ!"

მისი სამყარო გაჯერებული იყო კეთილსინდისიერი შრომითა და ღირსების გრძნობით. მის სამყაროში მეფობდა წესი — შრომისმოყვარეობა და უზომო ერთგულება. ამავეს ითხოვდა სხვისგან. თუ ამ წესს დაარღვევდი, უნდა გცოდნოდა, რომ შენი ადგილი არ იყო იმ დიდ სახლში, რომელსაც „კვირის პალიტრა" ჰქვია.

რამდენი ფიქრი ჩამოვილვენთე, გაყუჩებულმა ტკივილმაც ისევ შემახსენა თავი და ელავს ხსოვნა კინოკადრივით. დღე პირველი, მის კაბინეტში მორცხვად რომ ვიჯექი და უხერხულობისა და მოკრძალებისაგან ვგრძნობდი, როგორ მეწვოდა სახე. მე მისი მზერა მახსოვს. თვალდახრილმა ქვევიდან რომ გამომხედა და გამიღიმა — წადი ახლა და იმუშავეო. მერე და მერე აღმოვაჩინე, რომ ეს ღიმილი მეგზურივით დამყვებოდა რედაქციის დერეფანსა და ოთახებში.



უსაშველოდ მენატრება ქალბატონ ლალისთან გატარებული ბოლო თვეები. ის დრო ჩემს ცხოვრებაში განსაკუთრებული იყო. მეგონა, ასე ახლოს მასთან არასდროს ვყოფილვარ. ახლაღა ვხვდები, შეფარვით როგორ მმოძღვრავდა და მასწავლიდა (მაშინ ამაზე არც დავფიქრებულვარ)...

დღესაც, ერთი წლის შემდეგ, ქალბატონი ლალის გადასახედიდან ვზომავ ყველაფერს... ახლა, როდესაც ის აღარ არის, არ მინდა დავაღალატო, იმედი გავუცრუო — მე ხომ მისთვის ყველაზე ძვირფას საქმეს ვემსახურები და ისევ და ისევ ვფურცლავ „კვირის პალიტრის" ძველ ნომრებს, რადგან ვიცი, გაზეთის ამ გვერდებს ბევრი რამის თქმა შეუძლია ჩემთვის.

***ლია იაკობაშვილი***

* * *

სტუდენტობის წლები, გარდასულ დღეთა მონატრება... შემოვლილი გვაქვს საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული, თითო გოჯი ბევრი მიწა. გართულდა მხოლოდ ვარძიაში წასვლა. შენს ძირძველ მხარეში შესასვლელად საგანგებო ნებართვა გჭირდება. ერთი თვე ირბინა ლალიმ, შეაჯერა ზემდგომ-ქვემდგომი, და... 30 საშვი გაშალა მაგიდაზე. ექსკურსია შედგა, მივეახლეთ ვარძიას, გაცოცხლდა წარსული, ტკივილიანი, საამაყო...

დაქანცულებს საღამოსღა გაგვახსენდა, რომ მთელი დღე არც წაგვიხემსია. ბატკანი ვიყიდოთო, — თქვა ვიღაცამ. სიხარულით ავყაყანდით... მოიყვანეს პაწია, უმანკო, მიუსაფარი, ულამაზესი ბატკანი. დღესაც ყურში მიწივის ლალის ნერვიული კივილი — არ დაკლათ ბატკანი!.. ჩვენც გული აგვიჩუყდა. დასტაცეს ხელი ბიჭებმა, შეაგდეს ავტობუსში და პატრონს მიჰგვარეს სხვაში გასაცვლელად. მოიყვანეს მეორე, ცოტა მოზრდილი.

მძღოლმა „ბარდაჩოკიდან" გალესილი დანა ამოიღო...

— ღმერთო, რა მშვენიერია, ხელი არახლოთ! — გადაუდგა წინ ლალი მძღოლს და ბატკანი გულზე მიიხუტა

— ვა, რა გინდათ?! — შემოგვწყრა კაცი.

ყველა დუმდა. მწუხარების ფერი დაედო ვარძიის ჩრდილებს.

— ჯანი გავარდეს, შინ წავიყვან, წავიდეთ, სხვა ვნახოთ, — „გაიზიარა" ჩვენი გულისტკივილი მძღოლმა.

მოიყვანეს მესამე — მეორეზე მოზრდილი, ვითომ ულაზათო, დასაკლავად გასამეტებელი.

ლალიმ სველ თვალებზე ხელი აიფარა და ტურბაზაში გაბრუნდა. უკანმოუხედავად გავყევით.

აღარ გამოუჩნდა იარებს წყლულზე მალამოს დამდები. დაკლა ხოშტომ (ასე ვეძახდით მძღოლს) ბატკანი, ხის ტოტზე დაკიდა, ჩამოატყავა, გამოაფეშხოვა და ყვირილი ატეხა: — აკი გშიაო, გამოდით, ხაშლამად მოვხარშო თუ...

ლალის გაფითრებულ სახეს მისი წითელი პერანგიც გაეფერმკრთალებინა. ისევ მე გავბედე. ანწყურში ნაყიდი სანელებლები გავიტანე... მალე ჩაქაფულის თავბრუდამხვევი სურნელი დატრიალდა. გოგოებს ტურბაზის დერეფანში სუფრა გაეწყოთ. ეს ჩვენი მძღოლი აავსებდა ჯამს, გააქანებდა, ჩამოარიგებდა და მობრუნდებოდა ისევ... წუთებში ამოხაპა ერთი ქვაბი ჩაქაფული. ტურბაზისკენ გავემართე. მინაზე ბინდი დაეცა სრულად.

ვხედავ ფანჯარაში ლალის სილუეტი მოჩანს. შევედი. — რა იყო? — ვკითხე გაოცებულმა. დიდხანს იდგა მდუმარედ. მერე ჩაილაპარაკა: — ისე შეშლილი არის სიცოცხლე, რომ სიკვდილზედაც არ იტყვის უარს...

სუფრასთან უკვე მღერიან. მერე კოცონთან გაცვივდნენ, მხიარულობენ, იკლებენ იქაურობას.

— წამოდი-მეთქი, გავიდეთ.

ფეხი არ მოიცვალა...

სისხამზე წამოვიშალეთ. თენდებოდა... ლალი ისევ ფანჯარასთან იდგა და ჩვენს ჟივილ-ხივილზე იღიმებოდა თბილად.

რედაქციის დერეფანში შემოსულს მისი სურათიდან იმ ღიმილის ხიბლი ლალისთან ცოცხლად შეხვედრის სიამოვნებას მგვრის. როცა ირგვლივ არავინაა, გავჩერდები, მივესალმები, შემომღიმებს და მინდა კიდევ შევეხმიანო — წამოდი-მეთქი, გარეთ გავიდეთ...

***ეთერ თარიმანი***

* * *

გახსენება არ მჭირდება, ყველაფერი მახსოვს, საკუთარ თავს ხომ ვერ დაივიწყებ... უნივერსიტეტიდან მოყოლებული ჩვენი „შვიდეულის" (როგორც მეგობრები გვეძახდნენ) ცხოვრება ისე იყო შვიდფერ გორგლად გადაფსკვნილ-გადაკვანძულ-შემტკიცებული, რომ „ჩემშენიანობის" გარჩევა ჭირდა. დღეს შევეცადე ერთი ულამაზესი ფერის გამოცალკევება, მაგრამ ვერ შევძელი, მას უმალ სხვებიც მოჰყვნენ. წამივით ჩამიქროლეს თვალწინ ლალის (ანუ ჩვენი) მზის ენერგიით დამუხტულმა დღეებმა — ოთახი მთაწმინდაზე, უნივერსიტეტის ბალის საღამოები, „გრუზავიკით" შემოვლილი ამერ-იმერი, „მარწყვისჭალა" და პირველი „წყევლა" — ვაი შენ და საძილე ტომარაში ძილი! პირველი მწვერვალი, სიყვარული... თანადგომა, ტკივილი, ცრემლი...

ეს არ არის მოგონებები წარსულიდან. ეს დღეები წარმავალ ჟამზე ამაღლებულა და დრო მას ვერ გაახუნებს.

და მაინც ერთს გამოვარჩევ, ჩვენს უკანასკნელ შეხვედრას.

...იწურებოდა დღეები ლალის ამქვეყნად ყოფნისა. ჩვენც, მისიანები, თითქოს მასთან ერთად ვილეოდით. უსაშველოდ მენატრებოდა, თან ვშიშობდი, არ დამემძიმებინა ჩემი ემოციით. სწორედ მაშინ გამოჩნდა დედა სარა, ფოკის მონასტრის მონაზონი, ლალის სანახავად ჩამოსულიყო. მონასტერს ლალისთვის მცირე ნობათიც გამოეგზავნა (ლალი ხომ მისთვის დამახასიათებელი უშურველობით უწვდიდა ხელს ფოკის მონასტერს). დედა სარამ რომ დამინახა, მონაზვნის სიმკაცრით შემომძახა: — რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი, ლალი ხომ ყოველ წუთს უფალს უახლოვდებაო... ძალა მოვიკრიბე და მივედით ლალისთან.

სავარძელში იჯდა. ძალიან გაიხარა ჩვენი მისვლით. თითქოს დედა სარას ჩემთვის ნათქვამი მოესმინოს, ისე ბუნებრივად გააგრძელა: — ჩემიანები რომ მოდიან, უჭირთ ჩემთვის თვალის გასწორება. თქვენ ხომ მაინც გჯერათ, რომ სიხარულით ვემზადები ჩემს საყვარელ უფალთან შესახვედრადო. და ისეთი რწმენითა და მხნეობით გადაიწერა პირჯვარი, რომ შემრცხვა ჩემი მცირედმორწმუნეობის.

მჯერა, ახლაც, როცა ამ სიტყვებს ვწერ, ლალი ხედავს, როგორ მიჭირს და იქიდან მიწვდის გასამხნევებლად ხელს...

***მანანა ჯანელიძე***

ამაღლების ცისკარი ჩათავდა... იერუსალიმის ქუჩები ისევ მყუდრო იყო და ჩუმი. ჩვენი ფიქრი იყო ხმაურიანი, ოღონდ ჩუმად, ჩვენდა გულებში ხმაურობდა — შემოქმედო ღმერთო, დაუსაბამოო, არ დაგვამორჩილო მაცდურებას და ბოროტებას, გვიმრთელე სინდისი, იხსენ დიდი განსაცდელის წინ მდგარი ჩვენი ერი და ქვეყანა, მკრეხელობისგან დაგვიცავ! განგვამტკიცე რწმენაში და მოგვმადლე მოტევება ცოდვათა... წინ ხომ შენი განკითხვის ჟამი გვიდგას...

ყოველივესთვის გმადლობთ, უფალო!..

*ლალი გუნთაიშვილი*

წიგნიდან „გაცოცხლებული სახარება"



# „ბავშვები პატარა ფიროსმანები არიან“

## „გთხოვთ, ჩემი ნახატი გააცოცხლოთ“

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში დიდებული გამოფენა გაიმართა. სიტყვა „დიდებული“ შემთხვევით არ მიხმარია. ეს იყო ფერეიდნელი ქართველი ბავშვების ნახატების გამოფენა, თავიანთი ნაოცნებარი ცისარტყელებითა და მშვენიერი საქართველოთი, ირანის ლამაზი ხედებითა და მათ გარშემო მცხოვრები ადამიანებით. გამოფენის გახსნას ფერეიდნელი სტუმრებიც დაესწრნენ. დარბაზში შემოსვლისთანავე გულში ჩაიკრეს მასპინძლები — „თქონ გენაცვალეთო“. დიდი სიხარულით ჩამოიარეს თავიანთი შვილების, შვილიშვილების ნახატებით, ფოტოებით სავსე სტენდები... კედელზე გამოკრული იყო პატარა ფერეიდნელის წერილიც, საქართველოში რომ მოსწერა მეგობარს: „ამოდით და გვნახეთ. მიყვარს შენთავიც და საქართველოც“.

პატარა, თვალებგაბრწყინებულ ფერეიდნელ ამირანს ვკითხე, ყველაზე მეტად რა მოგეწონა ჩვენთან-მეთქი და — ის, რომ დედა ენაი კარგად იციანო, — მიპასუხა გულახდილად. არაჩვეულებრივი, მოღიმარი და კეთილი ბატონი სოსო კი დინჯად უხსნიდა მასპინძელს: „დედასა უყორს შვილი, მაგრა შვილსა მაღლად უყორს დედაი. ფერეიდანი პატარა არს და მაღლად უყორს დედა საქართველო“.

განსაკუთრებული მადლიერებით ფერეიდნელებიცა და აქაური ქართველებიც ბატონ **ნოდარ ბეგიაშვილს** ახსენებდნენ. სწორედ ის გახლავთ ამ გამოფენის სულისჩამდგმელი, ბავშვების ნახატების შემგროვებელი და „გამცოცხლებელი“. ჩვენმა მკითხველმა ალბათ იცის ფილმი „პონტო, შავი, შავი ზღვა“ — ნოდარ ბეგიაშვილს ბავშვების ნახატებით 5 მულტიპლიკაციური ფილმი აქვს გადაღებული, რომლებიც 9 სხვადასხვა საერთაშორისო პრიზით დაჯილდოვდა. ფერეიდნელებსაც უჩვენეს თავისი „გაცოცხლებული“ ნახატები (კომპიუტერული გრაფიკით ნახატი ამოძრავეს ეკრანზე). მომავალში მათ ნახატებზე ფილმის გაკეთებაც იგეგმება, უკვე არსებობს სცენარებიც. ბატონ ნოდართან საუბარი ცოტა შორიდან დავიწყეთ და ნახატების გაცოცხლების იდეაზეც ვკითხეთ:

— გახსოვთ ალბათ, რა მძიმე იყო 1993 წელი. ახალდამთავრებული ომი, ჯიხურების პერიოდი... ხილიანის ქუჩაზე მივდიოდი. დავინახე, ბავშვები იდგნენ ჯიხურთან და კანფეტებს ათვალიერებდნენ. ერთი მეორესეუბნებოდა: — ეს მე მაქვს გასინჯული, ეს ჩემმა მეზობელმა გასინჯაო. უნდოდათ, „სნიკერსი“ ეყიდათ, მაგრამ ფული არ ჰქონდათ. არც მე მქონდა. მომინდა, რაღაც გამეკეთებინა ბავშვებისთვის. ჩემს შვილს, თომას, ერთი ნახატი ჰქონდა. ტელევიზიაში მივუტანე ჩემს მეგობარს, თემო ბანძავას და ვთხოვე, იქნებ ეს ნახატი „გააცოცხლო“-მეთქი. მართლაც, ამოძრავა. ლალი კეკელიძემ გამხოვანა და ტელევიზიით ვუჩვენეთ კიდეც. ეთერში 12 გადაცემა გავიდა. საქართველოს ყველა კუთხიდან ბევრი ნახატი მივიღეთ.

**— გაქვთ რომელიმე ბავშვის ნახატი, გამორჩეულად რომ მოგწონთ?**

— ყველა ნახატი მიყვარს, მაგრამ ზოგიერთი მართლაც ძალიან „ჩემიანია“. განსაკუთრებულია თითქმის ყველა ფერეიდნელი ბავშვის ნახატი. იქ ხატავენ ცას, დიდ ვარსკვლავებს, როგორ უყურებენ ადამიანები ვარსკვლავებს — ასეთი რამ საქართველოში არავის დაუხატავს.

**— შეგიძლიათ თქვათ, რომ იმავე ესთეტიკურ სიამოვნებას იღებთ ბავშვების ნახატებისგან, როგორსაც ცნობილი მხატვრების ტილოსაგან მიიღებდით?**

— ბავშვები პატარა ფიროსმანები არიან, ამიტომ მათგან შემიძლია დიდი ესთეტიკური სიამოვნება მივიღო, ისინი, თავისი ნახატებით, ყველაზე სადა, ადამიანური ენით მელაპარაკებიან.

**— გცნობენ პატარები?**



ფერეიდნელი პატარები

— ხშირად სადარბაზოში მხვდებიან თავისი ნახატებით. [illegible]

**— ცოტა ხნის წინ ფერეიდანში ყოფილხართ. იქ რა მიზნით ბრძანდებოდით?**

— ისპაჰანის საბავშვო ფილმების ფესტივალზე ვიყავი მიწვეული. [illegible] ლი ქართველი. ვსაუბრობდით, უნდილაძის მინიატურას ვეძებდით.

[illegible] რომ მათი გაიგო. „პონტო, შავი, შავი ზღვა“ რომ ნახეს, ბავშვებმა ჟრიამული [illegible] ნამუშევრების ნახვა.

*ლელა ჯიჯაშვილი*

## ნუ დაუმალავთ ამ ისტორიას საკუთარ თავსა და შვილებს



# გზა „ჯუნგლებიდან“ „ბელურებამდე“

*ყველა აღმართი დამღლელი არ არის. ამ აღმართს ეს ბავშვები „ბელურებში“ აჰყავს. ორმოცდაათამდე „ქუჩის ბავშვად“ წოდებული მოზარდი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „ბავშვი და გარემოს“ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში — „ბელურები“ ცხოვრობს, იმ ბედნიერ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს, რომლებზეც ბედმა თუ ადამიანებმა მეტ-ნაკლებად იზრუნეს...*

მისი პერსპექტივა ცოტა ხნის წინ ციხე, ნარკომანობა ან მეძაობა იყო.

რეალობა — ის მეძავის შვილია.

და მაინც, მის შემთხვევაში, ეს რბილად ნათქვამია.

ახლა, ჭუჭყიანი კაბის კალთებაკეცილი, თმაში ტილებმოფუთფუთე, ნახევრად შეშლილი დედამისი, თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, მიწისქვეშა გადასასვლელის კიბეზე, ახალშობილით ხელში ზის და პურს არსობისას ხელგაწვდილი თხოულობს.

ე.ი. ანო შეშლილი მათხოვრის შვილია?

კაცმა არ იცის ეს ტრაგიკული ქალი შეშლილია, თუ უბრალოდ, ცხოვრებისაგან გაბოროტებული, ადამიანი.

დედას არ უნდა, რომ ანო „აქ“ იყოს. მას ის „იქ“, ქუჩაში ხელგაწვდილი სჭირდება.

მაგრამ გოგონა „ბელურებში“ ბედნიერია.

არა, ბოლომდე ბედნიერი მაინც არ არის, რადგან უკვე იცის, რომ ნორმალური მშობლები რომ ჰყოლოდა, იმას, რაც გამოიარა, ისიც სხვა ბედნიერი ბავშვებივით, მხოლოდ წიგნში ან ჟურნალში ამოიკითხავდა.

წაიკითხავდა სიბნელეზე, სიცივეზე, შიმშილზე, გაყინულ ასფალტზე შიშველი ფეხებით სიარულის გამოცდილებაზე, სამათხოვროდ გაწვდილი ხელის უსიამოვნო სიმძიმეზეც და იმ აგვისტოს ხვატით ავადაგიზგიზებული ბინძური, პაწაწინა ოთახის სულისშემხუთავ სუნზეც, რომელსაც მისი სახლი ერქვა.

ასეთ შემთხვევებში ნანახს გაგონილი სჯობს!

მშობლებს მისი მოვლის ძალა რომ ჰქონოდათ, არც ის ეცოდინებოდა, რატომ იკეტებოდა დედა იმ პატარა, საძულველ ოთახში...

ყველასაგან გმირობას ვერ მოითხოვ, ვერც სიყვარულს.

დედა უყვარს და სძულს. ეს ორი გრძნობა ებრძვის და ღლის ანოს.

ახლა ამაზე არც ლაპარაკი სურს და არც ფიქრი. არც არავინ აიძულებს.

ის ერთი შეხედვით გულღია და ხალისიანი ჩანს, ამიტომ მასთან საუბარი რთული არ არის, მხოლოდ დიქტოფონი, კამერა ან კალამი არ უნდა დაანახვო, თორემ ჩაიკეტება, გაგექცევა. ან კი რა უნდა გითხრას ისეთი, რომ ვერ გაიგო, ვერ დაიმახსოვრო.

ის ახლა იწყებს იმის აღქმას — რა ბედნიერებაა დაბადება. წერა-კითხვა იცის და „აქ“ იმედი აქვთ, რომ ჩქარა იმასაც გაიგებს, რომ სიბნელე მხოლოდ გამორთულ ნათურას არ ნიშნავს.

გარეთ 21-ე საუკუნეა, ეს ბავშვი კი ჯუნგლის კანონებითაა გაჩენილიც და დარჩენილიც. ეს ცოდვილთა და მოწამეთა საუკუნეა. სინათლისა და სიბნელის საოცარი კონტრასტი, რომლის დანახვაც ძალიან იოლია, რადგან დედამიწა თითქოს დაპატარავდა და მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ხელისგულივით მოჩანს. დანახვა იოლია, საკუთარ ტყავზე გამოცდა — ძნელი.

ამას ტელევიზორში აკვირდება.

ცუდი ამბები, რომელთა ჩვენებაშიც ჩვენ, ჟურნალისტებს ბადალი არ გვყავს, ერთმანეთს ცვლიან, მაგრამ ეს მაგიური ყუთი სხვა ცხოვრებაზეც ჰყვება. ამ ცხოვრებაზე მოუთხრობენ მისი პედაგოგებიც „ბელურებში“.

და ანოს ის „სხვა“ ცხოვრება უნდა.

შეძლებს კი?

პერსპექტივა იცვლება. „ბელურებში“, საიდანაც წასვლის ნება მას ყოველთვის აქვს, ის დაცულად გრძნობს თავს. მას აცმევენ და აჭმევენ, სკოლაშიც დადის, მეგობრებიც ჰყავს. ოქროს კანონიც, რომ მეგობრობა მხოლოდ შენს ტოლ და სწორთან შეგიძლია, დაცულია. აქ ყველა მისი მსგავსია, ერთი ბედით და ისტორიით.

რაც მთავარია, ის უყვართ.

და როცა ბრაზობს, რაღაც რომ ვერ გაიგო, როცა ტირის ტკივილისას და ყვირის ღამის კოშმარისაგან — მას უყვავებენ.

გუშინ დედა მოვიდა.

დაიმალა, თუმცა იცის, რომ ეს ცუდი საქციელია.

— წავიყვან და ხვალვე დავაბრუნებ, არ ვამათხოვრებ, მხოლოდ მაჩვენეთ! — ყვირის დედა — რა უფლება გაქვთ?!

უფლება არ აქვთ!

უფლება, დაუმალონ საოცარი შრომის წყალობით მოსულიერებული ბავშვი მეძავ, ნახევრად შეშლილ ქალს, რომელსაც დედამისი ჰქვია, აქ არ აქვთ. რადგან გააჩინა, ე.ი. მისი ბედის წარმართვისთვის უფლებაც მიენიჭა?

ახლა სძულს დედა, მაგრამ მაინც მორჩილად მისდევს. მასში მოვალეობამ გაიღვიძა. არა, დედა უყვარს ანოს.

მომდევნო დღეებში ანოს შესახებ აქ არაფერი იციან. არც მომდევნო თვეებში. შემდეგ ვიღაცას ამბავი მოაქვს: ანო, მიძინებული ჩვილით ხელში, კიბეზე ნახეს. ე.ი. მისთვის ყველაფერი თავიდან დაიწყო. შიში, დამცირება, ტკივილი.

არ უნდა!

ახლა იცის, რომ მისთვის გამოსავალი არსებობს. მისი სახლი, მისი „ბელურები“.

იქნებ დედას გული მოულბეს?!

არა!

— გაიქეცი ანო, გაიქეცი!

ვერ გარბის. მის პატარა ძმას დიმედროლის დიდი დოზა მისცეს და ველარ იღვიძებს. მის გაღვიძებას დაელოდება და გაიქცევა. ფეხები დაუსივდა და დაუსკდა.

ასე როგორ დაბრუნდეს?!

ისევ შიში.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ცრემლები, დამცირება.

— დეიდა, დამეხმარე!

რიტორიკული კითხვა საზოგადოებას — როგორ უნდა გადარჩე სულიერად, თუკი ფიზიკურად განადგურდი?!

ვიღაც ისევ ჩასძახის — ანო, გაიქეცი.

გარბის.

„ბელურების“ გზა არასოდეს შეეშლება. ახლა აბანოთუბანი უნდა გაიაროს, ამერიკის პრეზიდენტის მოწონებულ უბანს თვალი შეავლოს და მაღლა, გრიშაშვილის აღმართს შეუყვეს.

— ერთი, ორი, სამი.

— ნაბიჯები დაითვალე და გაუძლებ.

განა ძალა არ აქვს? ასეთად რომ იქცა, რცხვენია.

გარეთ არავინ არის. ახლა ბავშვებს სადილის დრო აქვთ. სასადილოში არიან შეყუჟული.

კიბის ძირში ჯდება.

ჰო, ყველა კიბე საძულველი არ არის, ამ კიბეს მაღლა, „ბელურებში“ აჰყავს იგი.

*დეა ცუცქირიძე*


PSP ჯგუფი
ნაბიჯ-ნაბიჯ მხედველობისკენ

საქართველოს ფარმაციის ლიდერი

პასუხს აგებს მის ქსელში არსებული მედიკამენტების ხარისხზე

წამალი არსებობს მხოლოდ ერთი ხარისხის – უმაღლესი!

მედიკამენტების ხარისხი ყოველთვის საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ დღეს, ეს პრობლემა, განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მით უმეტეს, რომ ფალსიფიკატორებიც სწორედ იმ მედიკამენტებს ირჩევენ "სამუშაოდ", რომლებიც საზოგადოებისთვის ცნობილია, მომხმარებელიც ბევრია და რეალიზაციაც.

წამლის სააგენტოსა და ფინანსური პოლიციის აქტიური და ეფექტური მუშაობის შედეგად გამოვლინდა წამლის არაერთი "ფალსიფიკატორი",რაზეც საზოგადოებასთან ერთად ფარმაცევტული კომპანიებიც მადლიერებას გამოხატავთ. ჩნდება ათასი კითხვა: "სად ვიყიდოთ წამალი?" "როგორ გავარჩიოთ ხარისხიანი მედიკამენტი ყალბი, ფალსიფიცირებული ან უხარისხო მედიკამენტისგან?" და ა.შ.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია: მედიკამენტი შეიძინეთ აფთიაქში (არა ბაზრობასა და ჯიხურში) და სასურველია იმ აფთიაქში, სადაც კომპანია პასუხს აგებს მედიკამენტების გარანტირებულ ხარისხზე.

კომპანია "პე-ეს-პე"-ს გარანტირებული ხარისხის მედიკამენტებს უშუალოდ მწარმოებელი კომპანიები აწვდიან მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. "პე-ეს-პე" მუშაობას ახორციელებს სადისტრიბუციო ფირმის სამუშაო სტანდარტის მიხედვით. კომპანია "პე-ეს-პე"-სთვის მედიკამენტის მოწოდების ყველა ეტაპზე (მოწოდება, ტრანსპორტირება, ტრანსპორტირების დროს შენახვის პირობები, ლიცენზირება, ლაბორატორიული კონტროლი) პრეპარატები იმყოფება კონკრეტული პირების ზედამხედველობის ქვეშ, რაც გამორიცხავს პროდუქციის ხარისხის ნებისმიერი სახის დარღვევებს. აქედან გამომდინარე, ის მედიკამენტებიც კი, რომელთა სახელწოდებებმა ფალსიფიცირებასთან დაკავშირებით გაიჟღერა (მაგ. სუპრასტინი, ნიზორალი, კეტანოვი და ა.შ.), გარანტირებული ხარისხის უზრუნველყოფით თამამად შეგიძლიათ შეიძინოთ "პე-ეს-პე"-ს აფთიაქებში.

მართვის აწყობილი სისტემა გამორიცხავს უხარისხო მედიკამენტის მოხვედრას "პე-ეს-პე"-ს საფთიაქო ქსელში; "პე-ეს-პე"-ში არსებულ ყველა მედიკამენტს გააჩნია ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი, პრეპარატები ინახება შესაბამისი მოთხოვნებით გათვალისწინებულ პირობებში.

გარანტირებული ხარისხის უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ ყველა ეტაპზე პასუხისმგებელი პირის არსებობის შემთხვევაში.

"პე-ეს-პე"-ს საფთიაქო ქსელში მედიკამენტის შეძენის შემთხვევაში თქვენ იღებთ უშუალოდ მწარმოებელი კომპანიის მიერ მოწოდებულ გარანტირებული ხარისხის მედიკამენტს და დაცულნი ხართ ყველა სახის გაყალბებისგან!

## თქვენთვის, ბატონებო!

# ამ ორი ქალის გამო სიცოცხლე სატანჯველად მექცა...

— ძალიან კარგი მეუღლე მყავს — მიყვარს და პატივს ვცემ, ორი შვილიც გვეზრდება, ოჯახშიც საუცხოოდ გვესმის ერთმანეთისა, მაგრამ გულის გადაშლა მომინდა — ჩემს დიდ გრძნობაზე მინდა გელაპარაკოთ, — მითხრა ბატონმა ზურაბმა.

*— ალბათ, ვერ დაივიწყეთ პირველი შეყვარებული, არა?*

— 12 წლის შემდეგ, სრულიად მოულოდნელად შევხვდი და ძალიან ავფორიაქდი. მივხვდი, ამ ფორიაქის მიზეზი სიყვარულია... ძალიან მიყვარდა მაკა. ამ სიყვარულმა მთლიანად შეცვალა ჩემი, ქუჩის ბიჭის, ცხოვრება...

თბილისში პრესტიჟულ უბანში ვცხოვრობდით. მერვე კლასიდან სწავლაზე გული ავიცრუე, კითხვა ძალიან მიყვარდა, მაგრამ წიგნიც გვერდზე გადავდე და ქუჩას შევეჩვიე. სკოლაში თავზეხელაღებულს მეძახდნენ. რატომღაც უხეშობითა და მუშტი-კრივით მინდოდა საკუთარი თავის დამკვიდრება. საწყალ მამაჩემს ყოველ შაბათს პედსაბჭოზე იბარებდნენ და სკოლიდან ჩემი გაგდების საკითხს აყენებდნენ. მშობლებმა გადაწყვიტეს, მოვეცილებინე უბნისთვის და ფოთში გავეგზავნე ბიძასთან. ფიქრობდნენ, უცხო გარემოში დაწყნარდება და სწავლაზე გულს მოიბრუნებსო. ბიცოლაჩემი ფოთის ერთ-ერთი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო და დაპირდა მამას, „კალაპოტში" ჩავაყენებო. ახალ კლასში შევედი თუ არა, ბოლო მერხისკენ ავიღე გეზი და მოურიდებლად დავჯექი. მასწავლებელმა ფეხზე წამომაყენა, კლასელებს ჩემი თავი გააცნო, მერე კი მთხოვა, წინ გადმოვმჯდარიყავი, გოგონას გვერდით. ვიუკადრისე, მაგრამ მკაცრად რომ გამიმეორეს, ზანტად გამოვემართე წინა მერხისკენ. დავჯექი, კარგა ხანს არ გამიხედავს გვერდით, ცოტა ხანში ქაღალდი გადმოაცოცა ჩემმა „მეზობელმა", რომელზედაც ეწერა: „თუ ჩემ გვერდით ჯდომა გესირცხვილება, შემიძლია სხვას გავუცვალო ადგილი". ახლაღა შევხედე — მერხის მეზობელი ქერა, ლამაზი, ცისფერთვალება გოგონა წყენით მიყურებდა. გულზე თბილმა ტალღამ გადამიარა, უცებ მოვტყდი და ჩავილაპარაკე: ადგილის გამოცვლა რა საჭიროა-მეთქი.

ორი წელი გვერდიდან არ მოვშორებივარ. ჩემი უხეშობა, შემტევი ხასიათი წამში იცვლებოდა, როგორც კი მაკას დავლანდავდი, მის გვერდით ზრდილობიანობის ეტალონი ვხდებოდი. მეათე კლასიდან მშობლებმა კვლავ თბილისში დამაბრუნეს. იმ ერთი წლის მანძილზე ხან რას მოვიმიზეზებდი, ხან — რას ფოთში წასასვლელად.



სკოლა დავამთავრეთ. მაკა იმ წელსვე ჩაირიცხა უცხო ენათა ინსტიტუტში, მე კი უმაღლესი სასწავლებლის გარეთ დავრჩი. მამაჩემმა ჯარში მიკრა თავი — იქ გასწავლიან ჭკუასო. ბელორუსიაში გამამწესეს. დასვენების დღეებში ჩემი ამხანაგები ახერხებდნენ იქაურ გოგონებთან გართობას, მე კი მაკა ისე მიყვარდა, ღალატს გულში როგორ გავივლებდი! მის წერილებს უბეში ვინახავდი ხოლმე და ასე მეგონა, ბელორუსული ზამთრის ყინვიან დღეებს ის მითბობს-მეთქი. ერთი წლის მერე მაკას წერილები გაიშვიათდა, ბოლოს კი შეწყდა. როგორც იქნა, ჩამოვედი თბილისში. მაშინვე მივაკითხე იმ სახლს, სადაც მაკას ბინა ჰქონდა დაქირავებული. მითხრეს, კარგა ხანია აქედან გადავიდაო. საერთო მეგობრებს შევეხმიანე, იმათაც არაფერი იცოდნენ. 12 დღის უშედეგო ძებნის მერე პლეხანოვზე შემთხვევით გადავაწყდი ჩემს ფოთელ კლასელებს. ჩემს დანახვაზე შეცბნენ, აირ-დაირივნენ, რაღაც ვიგუმანე, ამათ მაკას შესახებ იციან ბევრი რამ და არ მეუბნებიან-მეთქი. თანაც, იმ დღეს მაკას დაბადების დღე იყო, მათ კი ხელში ყვავილები ეჭირათ. მაკაზე შეგნებულად არაფერი ვიკითხე. მაგრამ უკან უჩუმრად გავყევი. ისინი მარჯანიშვილის ქუჩას გაუყვნენ და ერთ-ერთი სახლის ეზოში შევიდნენ. ნახევარი საათის შემდეგ მეც იმ კარს მივადექი. კარი მაკამ გამიღო. ჩემს დანახვაზე ფერი ეცვალა. სუფრასთან ერთი უცხო ბიჭიც იჯდა. თავი ყინჩად ეჭირა. მაკა ოთახში დიდხანს ვერ ჩერდებოდა, წარამარა სამზარეულოში გარბოდა, მე კი აშკარად ვერ მისწორებდა თვალს. მოკლედ იმ დღეს გავარკვიე, რომ მაკამ სხვაზე გამცვალა და ხელი ჩავიქნიე. ახლა მწყდება გული ჩემს საქციელზე. ასე იოლად არ უნდა შევლეოდი, მაგრამ მაშინ საოცრად შეურაცხყოფილი ვიყავი. არ მეგონა, სხვაში თუ გამცვლიდა...

გავიდა დრო. ინსტიტუტიც დავამთავრე და მუშაობაც დავიწყე. მაკაზე ყურმოკვრით ვიცოდი, რომ არ იყო გათხოვილი, რომ ფოთში დაბრუნდა.

მეგობრის დაბადების დღეზე გავიცანი ლია, შემიყვარდა და ცოლად შევირთე. შემეძინა ქალ-ვაჟი. ბედნიერიც ვიყავი. ამ ოთხი წლის წინ სამსახურიდან ფოთში მიმავლინეს. რას ვიფიქრებდი, თუ იმ დაწესებულებაში, რომელსაც მე ვამოწმებდი, მაკას ვნახავდი. დარღვევები აღმოვაჩინე, მაგრამ მაკას ხელახლა აღმოჩენამ ისე გამახარა, მხოლოდ კარგი დავწერე იმ დაწესებულების მუშაობაზე. ერთი კვირის შემდეგ კვლავ ჩავედი ფოთში მაკას სანახავად.

*— მაკა გათხოვილი დაგიხვდათ?*

— არა და ამიტომაც გადავწყვიტე, მასზე მეზრუნა. არაფერს ვთხოვდი, ხან საჩუქრებით მივდიოდი, ხან ფულს ვუტოვებდი (ვიცოდი, უჭირდა), ხან სამსახურის საქმეებში ვეხმარებოდი. მოთხოვნილებად გადამექცა, თვეში ორჯერ მაინც მენახა.

*— თქვენს მეუღლეს მოუყევით ეს ამბავი?*

— მას ადრე ვუამბე მაკაზე, მაგრამ მერე, როცა ხელახლა ვიპოვე, აღარაფერი მითქვამს. ლიამ რომ გაიგოს, კვლავ აღვადგინე მაკასთან ურთიერთობა, არ მაპატიებს და გამეყრება. მე კი მიყვარს ჩემი ცოლი და არ მინდა გული ვატკინო.

*— მაკაც გიყვართ და ლიაც?*

— რა ვქნა, ეგრეა და... მაკას რომ მაშინ ჩემთვის ხელი არ ეკრა, თავს ვანაცვალებდი... ახლა რა ვქნა, ოჯახი დავანგრიო?

*— მაკას არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამს? — ყველა ქალს ხომ ქვეშეცნეულად სურს ცოლობა და დედობა.*

— მითხრა, უფლება არა მაქვს, შენი ცოლის ადგილი დავიჭიროო, თუმცა ერთხელ შემომაპარა — ბავშვი რომ გავაჩინო, უარზე ხომ არ იქნებიო?

*— მერე, რა უთხარით?*

— სასტიკად ვიუარე.

*— რატომ, მაკა ხომ გიყვართ, განა არ გინდათ საყვარელი ქალი დედა გახდეს?*

— ბავშვზე უარს იმიტომ ვეუბნები, რომ არ მინდა ჩემი შვილი უმამოდ იზრდებოდეს, როგორც გითხარით, ოჯახს ვერ დავანგრევ.

*— ამის გამო მაკა რომ დაგშორდეთ, რას იზამთ?*

— შეუძლებელია, მას ჩემ გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

*— ამ ინტერვიუთი გულზე მოგეშვათ?*

— ამ ინტერვიუთი უპირველესად ჩემს დიდ სიყვარულს საქვეყნოდ „ხარკი" გადავუხადე, მკითხველს კი (განსაკუთრებით მამაკაცებს) ვეტყვი, რომ თუ გულწრფელი ადამიანი ხარ, გრძნობაშიც წრფელი იქნები და იმისათვის, რომ ორმაგმა თამაშმა არ მოგიწიოს, პირველი სიყვარულისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო...

# შევედი და სახეზე ღიმილი შემეყინა



*ამ გაგანია საკურორტო სეზონზე მკითხველი ძალიან რომ არ გადავღალო მძიმე და დარდიანი ამბებით, სახალისო თავგადასავალს შემოგთავაზებთ.*

— მე და ჩემი ორი მეგობარი ბათუმში წავედით დასასვენებლად. რამდენიმე დღის შემდეგ ბულვარში დავლანდე გოგო, რომლის გაცნობასაც ვცდილობდი თბილისში. მართალი გითხრათ, ძალიან გამიხარდა მისი დანახვა, რადგან ვიფიქრე, კურორტზე უფრო გამიადვილდება მასთან დაახლოება-მეთქი. გუმანმა არ მიმტყუნა. თამუნა და მისი მეგობრები გავიცანით და კაფე „რეტროში" დავპატიჟეთ. თამუნა ხასიათითაც ისეთივე მშვენიერი აღმოჩნდა, როგორიც გარეგნობით. მესამე შეხვედრაზე ვიგრძენი, უკვე მიყვარდა. თამუნაცა და მისი მეგობრებიც დედებთან ერთად იყვნენ, მაგრამ მე ისინი ერთად არასდროს მინახავს. ერთხელ თამუნამ მითხრა, — გურიაში მივდივარ, ჩემმა ნათესავმა გაიგო, რომ ბათუმში ვარ და ეწყინება, თუ არ ჩავაკითხეო. მინდოდა გავყოლოდი, მაგრამ მივხვდი, უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდებდი, ამიტომ ესღა ვუთხარი: გელოდები, არ დაიგვიანო, ამ დასვენებას ნუ ჩამაშხამებ-მეთქი. დამპირდა: მეოთხე დილით ჩამოვალ, კაფე „რეტროში" დაგელოდებიო.

06.00, 10.00, 12.00 Новости. 06.10 Док. фильм "Лучшие звери на телевидении". 07.00 Сергей Столяров в фильме "ТАЙНА ДВУХ ОКЕАНОВ". 2-я серия. 08.10 Армейский магазин. 08.40 Дисней-клуб: "С добрым утром, Микки!". 09.10 "В мире животных" 10.10 "Непутевые заметки" 10.30 Пока все дома. 11.10 Дог-шоу. 12.10 Живой мир. "Прогулки с динозаврами". 13.20 Дисней-клуб: "Дональд Дак представляет". 13.50 Павел Кадочников в комедии "МЕДОВЫЙ МЕСЯЦ". 15.30 Алла Пугачева, Сергей Мазаев в юбилейном концерте Владимира Кузьмина. 16.50 "Смешные люди". 19.20 Мэтью Фокс в фильме "ОСТАТЬСЯ В ЖИВЫХ". 4-я часть. 21.00 Время. 21.20 Сигурни Уивер в последнем фильме "ЧУЖОЙ-4: ВОСКРЕШЕНИЕ". Со дня гибели лейтенанта Эллен Рипли прошло 200 лет, но военным ученым удается вновь вернуть ее к жизни с помощью клонирования. И весь этот рискованный эксперимент затеян ради одной цели: Рипли должна родить уникального ребенка - наполовину человека, наполовину "чужого" - совершенное орудие убийства. Эллен не в силах изменить ситуацию. В лаборатории космического корабля ребенок появляется на свет, и вскоре превращается в кровожадного монстра. Размножаясь с неимоверной скоростью, чудовище грозит уничтожить все население Земли. И Рипли вступает в смертельную схватку с собственным отпрыском... 23.20 Бокс. Роман Кармазин - Касим Оума. 00.20 Суперчеловек. "Ревность". "Последний неандерталец". Фильм 2-й. 01.20 Сериал "СЕКРЕТНЫЕ МАТЕРИАЛЫ" ("X-FILES"). 03.00 Рита Хейуорт в фильме "САЛОМЕЯ". 04.50 Сериал "ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ".

*ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზავრმა"*

# მედიცინა



## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**მყავს წლინახევრის ბიჭუნა, რომელსაც, უკვე რამდენიმე თვეა, აწუხებს ხშირი ბოყინი. რისი ბრალია ეს?**

**ნ. ლ.**

მცირეწლოვან ბავშვებში ბოყინი არცთუ იშვიათი მოვლენაა. ეს იმ აირთა გამოყოფის შედეგია, რომლებიც საკვების არასრულფასოვანი მონელებისას ჭარბად წარმოიქმნება. როგორც ჩანს, თქვენს პატარას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციები ბოლომდე ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული, არასრულფასოვანია ფერმენტული სისტემა და ბაქტერიული ფლორა, რაც მონელების პროცესს არღვევს. სასურველია, ბავშვს დაენიშნოს ბაქტერიული ფლორის მოსაწესრიგებელი ბიოპრეპარატები (ბაქტისუბტილი, ლინექსი, ბიფიდუმბაქტერინი) და ფერმენტული მედიკამენტები (მაგალითად, მეზიმ-ფორტე). ასეთი მკურნალობა მეტწილად აღადგენს საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირებას, ასაკის მატებასთან ერთად კი ფერმენტული სისტემაც ჩამოყალიბდება და ბავშვს დისპეფსიური ჩივილები გაუქრება.

**მყავს 4 წლის და 6 თვის ვაჟი. დაახლოებით 1,5 წლის ასაკიდან შევამჩნიე, რომ სავარძლის სახელურზე გადამჯდარი აკეთებდა რიტმულ, თითქოს სექსუალურ მოძრაობებს. თავდაპირველად ამგვარი ქმედება იშვიათი იყო, ბოლო ხანებში გახშირდა. თან ბავშვი ამას მაშინ აკეთებს, როცა მარტო რჩება ოთახში. როდესაც ვეკითხები, რატომ აკეთებს, მპასუხობს, რომ სიამოვნებს და ხელს იდებს ბოქვენზე. გთხოვთ, მირჩიოთ, რა ვქნა, ვის მივმართო?**

***თქვენი მკითხველი***

თქვენი შეშფოთება სავსებით გასაგები და დროულია. უნდა გითხრათ, რომ 3-4 წლის ასაკში მასტურბაციის მსგავს ქმედებას ბიჭუნებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით, მაგრამ ამას არ აქვს სექსუალური საფუძველი. მიზეზი შეიძლება იყოს სოკოვანი დაავადება, მოჭერილი ტრუსი, ჰიგიენის ნორმების დაუცველობა, მარილები შარდში, ფიმოზი (პათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც ასოს თავზე ჩუჩის გადაწევა შეუძლებელია), ან სხვა რამ, რაც ქავილის შეგრძნებას იწვევს. მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვის ასეთი ქმედება ქავილის შეგრძნებას უკავშირდება. ქავილის მიზეზი კი, როგორც ჩანს, პათოლოგიაა და თქვენ აუცილებლად გმართებთ ამ პათოლოგიის გამოვლენა. ამისთვის გირჩევთ, გაუკეთოთ პატარას შარდის საერთო ანალიზი, ამასთან ერთად გაასინჯოთ უროლოგს. ნუ გაკიცხავთ მიუღებელი ქცევისთვის — მას ხომ წარმოდგენაც არა აქვს, რას აკეთებს. თუ ბავშვს ქავილის მიზეზს არ მოუხსნით, 8-9 წლის ასაკიდან მას უკვე სექსუალური შეგრძნებები გაუჩნდება, ხოლო კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, შესაძლოა, მასტურბაცია მავნე ჩვევად ჩამოუყალიბდეს.

**18 წლის გოგონას დაახლოებით ერთი წლის წინ დაეწყო ძვლების ტკაცუნი. უტკაცუნებს ნებისმიერი პატარა ძვალიც კი. როცა შენიშვნას ვაძლევთ, განგვიმარტავს, რომ ძვლები თითქოს ეჭედება და იძულებულია დაატკაცუნოს. ხმა საკმაოდ ძლიერად ისმის. რამდენიმე ექიმს შევეკითხეთ და „დაგვამშვიდეს“, არაფერიაო. არადა, ბავშვს ასეთი მდგომარეობა დიდ დისკომფორტს უქმნის. არ ვიცი რამე კავშირშია თუ არა ამასთან, მაგრამ რამდენიმე თვის წინ გოგონა სვამდა ვირუსოლოგის მიერ დანიშნულ წამლებს და იკეთებდა ნემსებს. უმორჩილესად გთხოვთ, ის მაინც მირჩიოთ, ვის მივმართო.**

***პატივისცემით, თქვენი ერთგული მკითხველი მანანა ნოზაძე***
***ხაშური, სააკაძის 67***

გოგონას უნდა გაუკეთდეს ანალიზი სისხლში კალციუმის შემცველობაზე, სისხლის საერთო ანალიზი და ძვლების რენტგენოგრაფია. ამ გამოკვლევების შედეგები განსაზღვრავს ამა თუ იმ სპეციალისტის საჭიროებას. თქვენ მიერ აღწერილი სიმპტომების მიხედვით ეჭვი შეიძლება ვიქონიოთ კალციუმის ცვლის დარღვევაზე (რაც, თავის მხრივ შეიძლება ჰორმონულ პათოლოგიას უკავშირდებოდეს) ან პოლიართრიტზე (სახსრების ანთებით-დეგენერაციულ ცვლილებებზე).

## კარაბადინი

**მაქვს ქრონიკული ჩირქოვანი ბრონქიტი. დაავადება პერიოდულად მიმწვავდება და მეწყება შემაწუხებელი ხველა, მემატება ტემპერატურა. ამიტომ ხშირად მიწევს ანტიბიოტიკების მიღება. ბოლო დროს ვატყობ, რომ ანტიბიოტიკები სერიოზულ ზიანს აყენებს ჩემს ორგანიზმს. ამ ერთი თვის წინ წავიკითხე, რომ ხველისთვის ძალიან კარგია კვლიავი. დავამზადე ნაყენი იქ მითითებული რეცეპტით: 1 ს/კ კვლიავს დავასხი 200მლ მდუღარე წყალი, 10 წუთი გავაჩერე და გავწურე. ვსვამ თითო სუფრის კოვზ ნაყენს 3-ჯერ დღეში. უკეთესობას ნამდვილად ვგრძნობ: ნახველი გამითხელდა, იოლად ვახველებ, სუნთქვა გამიუმჯობესდა. თითქოს ჩირქიც გამიქრა ნახველში. გთხოვთ გამოაქვეყნოთ ეს რეცეპტი და ამიხსნათ, როგორ მოქმედებს კვლიავი ორგანიზმზე. წინასწარ გიხდით მადლობას.**

***იამზე სინაურიძე***

კვლიავი, იგივე ტყიურა, ტყეში იზრდება. იგი მრავალწლიანი მცენარეა. ღერო მეტრნახევარ სიმაღლეს აღწევს. ყვავილები თეთრია, უვითარდება მოგრძო ნაყოფი, რომელსაც წიბოები და ზეთის სავალი მილაკები აქვს.

კვლიავი შეიცავს ორგანულ ნაერთს — ფენოლს. მას აქვს ბაქტერიების საწინააღმდეგო (ხოცავს ბაქტერიებს), ამოსახველებელი, ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ათხელებს ლორწოს და აუმჯობესებს სუნთქვას.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**უკვე რამდენიმე წელია, დავკარგე ყნოსვა. ამას წინ უძლოდა მძიმე ფორმის გრიპი, რომელიც ფილტვების ანთებითა და ჰაიმორიტით გამირთულდა. ამჟამად თავს კარგად ვგრძნობ. არც გამონადენი მაქვს ცხვირიდან, მაგრამ ყნოსვა ვერა და ვერ აღვიდგინე. მინდა ვთხოვო ყველას, თუ ვინმეს ჰქონია მსგავსი მდგომარეობა და შეძლო ყნოსვის დაბრუნება, გამომეხმაურონ და მასწავლონ, როგორ უნდა ვიმკურნალო. თქვენი გულისხმიერების იმედი მაქვს.**

***ლ. კეპაშვილი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## მოვიშოროთ ღაბაბი

ღაბაბი, საერთოდ, არ არის საშიში, მაგრამ ესთეტიკურად ქალებისათვის ნაკლებსასიამოვნოა. იგი ცვლის სახის ფორმას და თანაც დაბერების საწყის ნიშანზე მიუთითებს. ღაბაბი შესაძლოა გაუჩნდეთ არა მარტო ხანში შესულებს, არამედ ახალგაზრდებსაც. თანაც, როგორც მსუქან ადამიანებს (უფრო ქალებს), ასევე გამხდრებს. ამის მიზეზია ზედმეტი წონა, გამრუდებული ხერხემალი, სიარულის დროს საკუთარი ფეხების ყურება, მაღალ ბალიშზე ძილი, დაწოლილი კითხვა. შედეგად — ყბის ქვემოთ ჩნდება ნაკეცი, რომელიც თანდათან ივსება ცხიმით. ღაბაბის მოშორება შეიძლება სწორი კვებით, რაც მთავარია, ვარჯიშით და სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალებით:

**ვარჯიში: 1.** დადექით სწორად, მხრებში გასწორდით. თავზე დაიდეთ მძიმე წიგნი და ოთახში იარეთ 5 წუთი. ყურადღება მიაქციეთ ზურგს, არ მოიხაროთ.

**2.** გადაწიეთ თავი უკან, მოეშვით, ოდნავ გააღეთ პირი, დაძაბეთ ნიკაპის კუნთები, ქვედა ყბა გაუსწორეთ ზედას ისე, რომ ქვედა ყბამ დახუროს ზედა. გაიმეორეთ ვარჯიში 5-8-ჯერ.

**3.** ღრმად ჩაისუნთქეთ, გადაწიეთ თავი უკან, ნელა ამოისუნთქეთ, თავი ისე ჩაღუნეთ, რომ ნიკაპით შეეხოთ მკერდს. გაიმეორეთ რამდენჯერმე.

**4.** გადაწიეთ თავი უკან, ეცადეთ, რაც შეიძლება გაჭიმოთ კისერი. დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ რამდენჯერმე.

**5.** ჩაიდეთ პირში ფანქარი და ჰაერში „დაწერეთ“ ანბანის მინიმუმ 10 ასო.

***სანი***

## სიცოცხლის ელექსირი

ავიტამინოზს დიდი ზიანი მოაქვს ორგანიზმისათვის, მისი მიზეზია ცუდი ეკოლოგია, ხშირი სტრესები, არასწორი და ქაოსური კვება. რა ვილონოთ? სასარგებლოა ახალგამოწურული წვენები, ოღონდ არა დიდი ხნის დაკრეფილი ხილისა, ვინაიდან მას უკვე დაკარგული აქვს სასარგებლო ნივთიერებები, თანაც გაწურული წვენი მაშინვე უნდა დავლიოთ, რადგან 25 წუთში მჟავდება და ზიანი უფრო მოაქვს, ვიდრე სარგებლობა.



ვიტამინები და მინერალები, რომლებსაც წვენები შეიცავს, არა მარტო კარგი განწყობის და ძლიერი იმუნიტეტის გარანტია, არამედ ბევრი დაავადების წამალიც.

*ვაშლის წვენს* ორგანიზმიდან გამოაქვს ნატრიუმის მარილი, ეხმარება დაამარცხოს შარდკენჭოვანი დაავადება, ნიკრესის ქარი.

*ანანასის წვენი* წვავს ცხიმებს და ეხმარება ორგანიზმს გახდომაში.

*ალუბლის წვენი* შეიცავს დიდი რაოდენობით ბეტა-კაროტინს, რის ხარჯზეც აუმჯობესებს სისხლის შემადგენლობას და ხელს უწყობს ჭრილობების შეხორცებას.

*ფორთოხლის წვენი* ებრძვის გულის დაავადებებს და ერთი ჭიქაც საკმარისია, რომ აღდგეს C ვიტამინის დღეღამური ნორმა.

კარგი მხედველობისა და ლამაზი კანისათვის აუცილებელ კაროტინს შეიცავს სტაფილოს, გარგარის, ქლიავის წვენები.

ნერვული სისტემის მოსაწესრიგებლად და სისხლის მიმოქცევის სისტემის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია ტომატის წვენი. სხვათა შორის, ის ისევე, როგორც ყურძენი — შესანიშნავი პროფილაქტიკური საშუალებაა ონკოლოგიური დაავადებებისათვის. ღვიძლის დაავადებას ებრძვის გრეიპფრუტისა და ატმის წვენები.

***ჟენსკიე დელა***




### საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

**გაზეთ „კვირის პალიტრის" მთ. რედაქტორს**

გაზეთ „კვირის პალიტრის" 2005 წლის 11 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „თეთრხალათიანების შავი ჟურნალი", რომელშიც პროფესორი დავით ხერხეულიძე აცხადებს: „სამინისტრო მისი საკითხის დახშვას აპირებს, მაგრამ მოულოდნელად ხომბლოურიმი ჯანდაცვის მინისტრთან ერთად დაინახა საზღვარგარეთ მივლინებებში სიარული. მივლინებების დროს მოხსენება ლადო ჭიპაშვილთან დაახლოება". ზემოთქმულის საფუძველზე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უფლებამოსილია განაცხადოს, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლ. ჭიპაშვილი არასოდეს მივლინებებში არ ყოფილა ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/ს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად, არც ქვეყნის შიგნით და არც მის საზღვრებს გარეთ.

*პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი მ. კონონაშვილი*

## სჯობს დიეტა, ვიდრე პაკეტის სუპი

მზა სადილები და საუზმეები, რომელთა გაცხელება შესაძლებელია ერთ წუთში, პაკეტის სუპები და ფაფები უდავოდ მოსახერხებელია, მაგრამ მათში არ არის ცოცხალი პროდუქტები. ისინი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ძნელად ამუშავებს კუჭი. ასეთებია: კონცენტრირებული ცილა (მაგალითად, ხორცი), სახამებელი (მაგალითად, მაკარონი ან კარტოფილი), აგრეთვე კონსერვანტები და საკვები დანამატები. ნახევრად მზა კერძებს, რომლებიც ნესი, არ პუოფის აუცილებელი საკვები ნივთიერებები, ცხიმები, რომ დიდხანს შეინახონ და გემოვნების ენერგეტიკული ღირებულება. ასე რომ, ერთდღე ძალიან იშვიათად მიირთვით ასეთი საკვები.

*სანი*

## ბალახექიმის რჩევები

**1.** ფეხების შეშუპებისა და ტკივილის დროს — 2ს/კ დაქუცმაცებულ მარწყვის ფოთოლს დაასხით 1/2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი და მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

**2.** ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონიის დროს — ნიახურის 4 ფესვი და 400 გ ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპში, ჩადეთ მინის ჭურჭელში, დაამატეთ 400გ თაფლი, კარგად აურიეთ, თავი მოუჭირეთ მარლით, გააჩერეთ 12 საათი თბილ ადგილას, 3 დღე-ღამე კი ცივ ადგილას. შემდეგ გაწურეთ და ნარევი მიიღეთ ჩაის კოვზით 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

*მაღალი წნევის დროს:*

**1)** 1ს/კ ძახველის ნაყოფს დაასხით 1ჩ/ჭ მდუღარე წყალი და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ ნაყენი ყოველდღე. 5-6 დღის შემდეგ იგრძნობთ უკეთესობას.

**2)** 3-ლიტრიან ქილაში 1/4-მდე ჩაყარეთ ძახველი, გაავსეთ მდუღარე წყლით, დაუმატეთ ცოტა შაქარი. გააჩერეთ ცოტა ხანს. სვით 1/2 ჩ/ჭ ყოველდღე (თანდათან დაუმატეთ წყალი).

*ეგზემის შემთხვევაში* — შეურიეთ ერთმანეთს 50-50გ ძახველის ფოთოლი და ნაყოფი, შავი მოცხარის ფოთოლი. ნარევს დაასხით 1ლ მდუღარე წყალი, მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ 2 საათი, გაწურეთ და გაიკეთეთ საფენები.

*ართრიტის შემთხვევაში:* — შეურიეთ ერთმანეთს 10გ მრომანის ყვავილი, 20გ ბარამბო, 30გ მარწყვა-ბალახი და 30გ ტეგანი. 1 ს/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩერეთ 15-20 წუთი. გააციეთ და გაწურეთ. მიიღეთ ყლუპ-ყლუპად დღის განმავლობაში.

*ლიზა*

**გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად**

**85 კომპლექტი ლარად!!!**

ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!

შპს „კონტრასტი"
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

პროფ. გ. უსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომონადულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №14
მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35

**ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება:**

სქოლიოზი, ოსტეოქონდროზი, რადიკულიტი, მტკივნეული მენსტრუაცია და კისტოზი, მასტოპათია, კიფოზი, ნევროზი, შიშები, დეპრესიები, შაკიკი, არითმია, პოსტინსულტური დამბლა, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t=37,2°C), სიგარეტის გადაგდება.

**კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა.**
მის: მ: „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18
ანატოლი შავიძე ☎ 61-65-03; 893-20-68-21

**„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება**

სექსოპათოლოგია

- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
- უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა

ფსიქოთერაპია

ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.

თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24

# ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ფალსიფიცირებული წამლების დამამზადებელი საამქროს მეპატრონე აღმოჩნდა

## ბოლო ორ თვეში აფთიაქებიდან 345 დასახელების 19 000 კოლოფი ფალსიფიცირებული წამალი ამოიღეს



წამლის სააგენტოს მიერ ამოღებული ფალსიფიცირებული მედიკამენტები და მათი შესაფუთი მასალები

ავადმყოფს კი არა, ჯანმრთელ კაცსაც შეეშინდება იმისა, რაც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ხდება — აფთიაქები გავსებულია ფალსიფიცირებული წამლებით. მარტო მაის-ივნისის თვეებში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს თანამშრომლებმა 200 ათასი დოლარის ღირებულების 345 დასახელების 19 600 კოლოფი ფალსიფიცირებული წამალი ამოიღეს. მათ შორის 5 ათასი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატია. ამას დაუმატეთ წამლების შესაფუთი ფოლგის რამდენიმეკილომეტრიანი ხვეული და მაღალპოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი წამლის შესაფუთი კოლოფები, რომლებიც წამლის სააგენტოს თანამშრომლებმა სხვადასხვა საწარმოსა და აფთიაქში აღმოაჩინეს.

„წამლის შესაფუთ ხვეულებს ვადაგასული ან ფალსიფიცირებული პრეპარატების ხელმეორედ შესაფუთად იყენებენ", — აცხადებს წამლის სააგენტოს ხელმძღვანელი **თინა ტურქილაძე** და დასძენს: „ახლახან ჩვენმა თანამშრომლებმა 87 ათასი დოლარის ღირებულების 30 ათასი კოლოფი გაურკვეველი წარმოშობის ორი დასახელების პრეპარატი აღმოაჩინეს. ფალსიფიკატორები უმეტესად იმ პრეპარატების ფალსიფიცირებას ახდენენ, რომლებზეც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა. გარდა ამისა, თბილისში, ზუგდიდსა და წყალტუბოში, სპეციალურ აფთიაქებში დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებებია დატაცებული. საქმეს შესაბამისი საგამოძიებო ორგანოები იძიებენ".

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, იოლი წარმოსადგენია, რა ხდებოდა საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე რამდენიმე წლის წინ. მაშინ წამლების ფალსიფიცირების დიდ მასშტაბებზე მხოლოდ საუბრებს სჯერდებოდნენ ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჩინოვნიკები. იმ წლებში არც ერთი ფალსიფიკატორის ვინაობა არ გახმაურებულა. რამდენიმე წლის წინ „კვირის პალიტრამ" ჟურნალისტური გამოძიების შედეგად ლილოს დასახლებაში ფალსიფიცირებული წამლის დამამზადებელ იატაკქვეშა საამქროს მიაგნო. ამის შესახებ სტატიაც დაიბეჭდა და მამხილებელი ფოტოსურათებიც გამოქვეყნდა. იმავე სტატიაში ვწერდით წამლების შესაფუთ მასალაზეც, რომელიც ლილოს ბაზრობაზე აღმოვაჩინეთ, მაგრამ ყური არავინ შეიბერტყა. ეტყობა, ფალსიფიკატორ პირებსა და საწარმოებს ძალზე გავლენიანი „კრიშები" ჰყავდათ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. სანამ იატაკქვეშა საამქროებსა და მათ მეპატრონეებს არ აღმოვაჩენთ, ამ საქმეს არაფერი ეშველება. გასულ კვირას ნაძალადევის რაიონში არალეგალურ, კუსტარულ საამქროს მიაგნეს. მეპატრონეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ დავით ჯიბლაძეს საამქრო ავტოფარეხში ჰქონდა გამართული. ის არა მარტო საამქროს მეპატრონე, არამედ ფალსიფიცირებული წამლების დამამზადებელიც გახლდათ. რეალიზაციაში მას რამდენიმე მოქალაქე ეხმარებოდა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ორი რეალიზატორის დაკავება მოახერხეს. დავით ჯიბლაძის საამქროში მზადდებოდა „პრედუქტალი", „ასპირინი", „დიაზეპამი", „კლარიტინი" და „სუპრასტინი". ეს იმ პრეპარატების ჩამონათვალია, რომლებიც გამომძიებლებმა აღმოაჩინეს. რაც ვერ იპოვეს და ჯიბლაძეს უკვე გასაღებული ჰქონდა, მათ სამართალდამცველები დაადგენენ. პოლიციის თანამშრომლებმა იმ აფთიაქსაც მიაკვლიეს, სადაც ჯიბლაძის საამქროში დამზადებული წამლები იყიდებოდა. როცა პოლიციელები თამარ მეფის გამზირზე მდებარე აფთიაქში შევიდნენ, თანამშრომლებმა ვერც ერთი ფალსიფიცირებული წამლის გადამალვა ვერ მოასწრეს. სამაგიეროდ, როგორც კი ხმა გავარდა, ამა და ამ აფთიაქს ფინანსური პოლიციის თანამშრომლები ამოწმებენო, თამარ მეფის გამზირზე მდებარე რამდენიმე აფთიაქი სასწრაფოდ დაიკეტა, მათი თანამშრომლები კი იქაურობას გაეცალნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ (და ვფიქრობთ, არცთუ უსაფუძვლოდ), რომ ფალსიფიცირებული წამლებით სხვა აფთიაქებიც ვაჭრობდნენ.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მკითხველს შევახსენოთ, ა. წ. აპრილის ბოლოს „კვირის პალიტრის" მიერ ჩატარებული კიდევ ერთი ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ფარმაკოტერორიზმის კავშირის" თანამშრომლის, ბექა ბურდულისა და მისი მეგობრის დახმარებით ჩავატარეთ. მაშინ სწორედ თამარ მეფის გამზირზე მდებარე იმ აფთიაქებს მივაკვლიეთ, რომლებიც ფალსიფიცირებული და ასევე ფსიქოტროპული წამლებით უკანონოდ ვაჭრობდნენ. დავით ჯიბლაძესაც მაშინ მოვკარით იქ თვალი და ფალსიფიცირებული ფსიქოტროპული პრეპარატის გამსაღებლისა და აფთიაქის პროვიზორის საუბრის ფარულად ჩაწერაც მოვახერხეთ (გამსაღებელი ჯიბლაძე პროვიზორს ფალსიფიცირებულ წამალს სთავაზობდა). შემდეგ გამსაღებელს კვალში ჩავუდექით, მაგრამ ბექა ბურდულის დაჟინებული მოთხოვნით მისი ვინაობა აღარ დამიდგენია. ბურდულმა და მისმა მეგობარმა მაშინ ამიხსნეს: „ჩვენ კარგა ხანია ვთანამშრომლობთ ფინანსურ პოლიციასთან და ფალსიფიკატორებზე ჩვენს ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია მიწოდებული გვაქვს. ოპერატიული სამსახურის თანამშრომლები ფალსიფიკატორების კვალს უკვე დაადგნენ და შეიძლება თქვენი ჩარევით ყველაფერი გააფუჭოთ." ამიტომ, როდესაც სტატია გამოვაქვეყნე, მივუთითე, რომ წამლის ფალსიფიკატორების აღმოსაჩენად შესაბამისი სამსახურები უკვე მუშაობდნენ. მას შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა მართლაც დააკავეს ნაძალადევის ერთ-ერთ უბანში არსებული ფალსიფიცირებული წამლების დამამზადებელი საამქროს მეპატრონე და ორი რეალიზატორი.

დასასრულ, ჩვენ ისევ შევეხმიანეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ფარმაკოტერორიზმის კავშირის" თანამშრომელს, ბექა ბურდულს, რომელმაც გვითხრა: „მახსოვს, მაშინ თქვენ არ გინდოდათ ფინანსური პოლიციისთვის პირველობა დაგეთმოთ. ეჭვიც გამოთქვით მათი შესაძლებლობების თაობაზე, მაგრამ ახლა ხომ დარწმუნდით, რომ მართალი ვიყავი. სხვათა შორის, მხოლოდ ის საამქრო როდი ამარაგებდა საქართველოს სააფთიაქო სისტემას ფალსიფიცირებული წამლებით. თბილისში ასეთი კიდევ რამდენიმეა. ჩვენ მათ აუცილებლად გამოვავლენთ. გარდა ამისა, უნდა აღვკვეთოთ ფალსიფიცირებული წამლების აზერბაიჯანიდან შემოტანა. ამას დრო დასჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენი და თქვენი შრომა ფუჭად არ ჩაივლის".

ყველა ფალსიფიცირებული წამლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს — 345 დასახელების წამლის ჩამოწერა ბევრს არაფერს მოგვცემს, რადგან როგორც წამლის სააგენტოში აცხადებენ, ფალსიფიცირებული წამლების გვერდით იმავე დასახელების ნამდვილი წამლებიც იყიდება, ამიტომ ჯერჯერობით გამოსავალი ერთია, გაიჩინეთ სანდო ფარმაცევტები აფთიაქებში!

*ზვიად ჩაკვეტაძე*

## ვიმკურნალოთ მუსიკით



მუსიკალური რიტმის დახმარებით ადამიანს შეიძლება აღუდგეს მოძრაობის ფუნქცია ინსულტის გადატანის შემდეგ. პარკინსონით დაავადებულებს მუსიკა ეხმარება მოძრაობის კოორდინაციის კონტროლირებაში. სამკურნალო მიზნით შეიძლება ნებისმიერი მელოდიის გამოყენება, მაგრამ სიარულში სავარჯიშოდ უმჯობესია მარში. წყნარი მუსიკა ამცირებს თავის ტვინის ელექტრომაგნიტური ტალღების ამპლიტუდას, რომელიც მნიშვნელოვანია ბავშვებისა და ჰიპერტონიკებისათვის. ყველაზე სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის კლასიკური მუსიკა. მისი ზემოქმედებით ხდება ვირუსისგან იმუნური დაცვის ერთ-ერთი ელემენტის, პროტეინების კონცენტრაცია.

*ოტდოხნი!*

## ვერცხლის კოვზი წამლად!

ყველაფერი ახალი — კარგად დავიწყებული ძველია. ჩვენი წინაპრები ვერცხლით მკურნალობდნენ. ეს მთვარის ლითონი ოდითგანვე ეხმარებოდა ადამიანს წონასწორობისა და ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, ახლაც დაგეხმარებათ... ქრილობაზე დაიდეთ ვერცხლის ფირფიტა და ნახავთ, როგორ სწრაფად წავა შეხორცების პროცესი. მეცნიერებმა დაამტკიცეს: ვერცხლი კლავს წყალში მავნე მიკროორგანიზმებს და ინარჩუნებს სასარგებლოს. ვერცხლის შემცველი პრეპარატებით მკურნალობენ დიზენტერიას, ყბაყურას, პნევმონიას, სტომატიტს, კონიუქტივიტს, ჰიპერტონიას და სხვა დაავადებებს. გარდა ამისა, ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ვერცხლის იონების ზემოქმედებით ხდება ორგანიზმის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. ვერცხლის ბეჭედი, რომელსაც ძილის წინ ნეკზე გაიკეთებთ, ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას. ვერცხლის კოვზებისა და დანა-ჩანგლის გამოყენება აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, იცავს ორგანიზმს მოწამვლისაგან.

*ზდოროვიე*

## დამნაშავეა თურქეთი?



ევროკონსტიტუციის ჩავარდნის მიზეზი, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, თურქეთი იყო. ევროკავშირში თურქეთის მიღების მოწინააღმდეგეები ფიქრობენ, რომ ჰოლანდიელთა და ფრანგთა უმეტესობამ სწორედ იმიტომ არ მისცა ხმა ევროკონსტიტუციის მიღებას, რომ ეგონათ, ეს დააჩქარებდა თურქეთის დიდ ევროპულ ოჯახში გაერთიანებას. ევროპელთა ნაწილისთვის მიუღებელია თურქეთი, ვინაიდან ის ბოლომდე არ ასრულებს ევროკავშირის მოთხოვნებს ადამიანის უფლებებისა და ეროვნული უმცირესობებისთვის მეტი უფლებების მინიჭების შესახებ. ანტითურქისტები დიდ პროპაგანდას უწევენ ახალ პროგრამას, რომელიც თურქეთის ევროკავშირში მიღებას არა, მაგრამ მასთან „პრივილეგირებულ პარტნიორობას" გულისხმობს. ერთ-ერთმა ფრანგმა პოლიტიკოსმა ისიც კი განაცხადა — ევროკავშირში 27 წევრი საკმარისიაო, რაც კავშირის გარეთ არა მხოლოდ თურქეთის, არამედ ხორვატიისა და ბალკანეთის სხვა ქვეყნების დარჩენასაც გულისხმობს. განცხადებას ამ ქვეყნების აღშფოთება მოჰყვა. ბულგარეთი და რუმინეთი კი პანიკამ მოიცვა — ისინი ხომ 2007 წელს ევროკავშირში შესასვლელად ემზადებიან. ზოგიერთი თურქი პოლიტიკოსი საფრანგეთსა და ჰოლანდიაში არაოფიციალური გამოკითხვის ჩატარებას სთავაზობს ევროკავშირს — მათ სურთ დარწმუნდნენ, მართლა თურქეთის გამო ჩავარდა თუ არა ევროკონსტიტუცია და თუ ასე არ არის, მაშინ აზრი იმის თაობაზე, რომ ევროპელთათვის თურქეთი მიუღებელია, გაქარწყლდებოდა.

*ნიუზუიქ*

## ევროპარლამენტში კოკაინის სუნი ტრიალებს

გერმანელმა რეპორტიორებმა ევროპარლამენტის სხვადასხვა შენობის 46 ტუალეტიდან აიღეს სინჯები, რომლებიც საანალიზოდ გადაეცა ნიურნბერგის ბიომედიცინისა და ფარმაცევტული გამოკვლევების ინსტიტუტს. 41 ტუალეტში ანუ ნიმუშების 90%-ში აღმოჩენილია კოკაინის კვალი — 0,00844-დან 19,3 მიკროგრამამდე. ყოველივე ეს ტელეარხ Sat.1-ის საინფორმაციო-ანალიტიკურ პროგრამაში აჩვენეს.

ხუთი წლის წინ ამავე ტელეარხის რეპორტიორებმა გამოიკვლიეს გერმანიის ბუნდესტაგი — 28 ტუალეტიდან კოკაინის კვალი 21-ში (80%) აღმოჩნდა. ზოგ შემთხვევაში ნაპოვნი ნარკოტიკის რაოდენობა 1-2 მიკროგრამს შეადგენდა. მაშინ ბერლინის პროკურატურამ უარი თქვა საქმის აღძვრაზე — ვინ იცის, ვინ შედის რაიხსტაგის შენობაშიო.

მალე ერთ-ერთმა ბრიტანულმა გაზეთმა ჩაატარა გამოკვლევა ბრიტანეთის პარლამენტის თემთა და ლორდთა პალატების ტუალეტებში — 22 სინჯიდან 4 დადებითი აღმოჩნდა.

— კოკაინის მოხმარება უფრო სერიოზული პრობლემაა, ვიდრე ამას ბევრი პოლიტიკოსი ფიქრობს. კოკაინის კვალი თითქმის ყველა საზოგადოებრივ დაწესებულებაში შეინიშნება, ამიტომაც არ გაგვკვირვებია, როცა ევროპულ პარლამენტშიც წავაწყდით, — ამბობენ ჟურნალისტები.

თავად პარლამენტარები პრობლემას შეთითხნილს უწოდებენ. ევროპარლამენტის პრესმდივანმა მარჯორი ვანდერ ბროკემ განაცხადა, — არაფერი ვიცი ამის შესახებ და ამ ინიციატივის გამო ჟურნალისტებს პასუხს ვაგებინებთო. ევროპარლამენტი აპირებს დააყენოს საკითხი გამოძიების კანონიერების შესახებ, რადგან ის მასთან შეუთანხმებლად ჩატარდა.

*ბი-ბი-სი*

## თეთრი სახლი ჩინეთს ბოდიშს უხდის

აშშ არ ფიქრობს, რომ ჩინეთი მშვიდობას და სტაბილურობას ემუქრება, როგორც ეს პენტაგონის მოხსენებაში იყო ნათქვამი, — განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა სკოტ მაკლელანმა. „ჩვენ მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ვიბრძვით ამ რეგიონში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩინეთს მტრად მივიჩნევთ", — უთხრა მაკლელანმა ჟურნალისტებს და დაურთო — აშშ ჩინეთთან კონსტრუქციული დიალოგის დაწყებას აპირებსო. თუმცა არც ის დაუმალავს, რომ თეთრი სახლი შეშფოთებულია ჩინეთის არმიის მოდერნიზაციის ტემპებითა და მასშტაბებით. აშშ ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს. მიუხედავად ამისა, პენტაგონის მოხსენებამ ჩინეთში მწვავე რეაქცია გამოიწვია. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იან ცზუჩიმ გამოიძახა აშშ-ის საელჩოს წარმომადგენელი სედნი და ჩინეთის მთავრობის სახელით ოფიციალური საპროტესტო ნოტა გადასცა, სადაც ნათქვამია, პენტაგონის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავსო. ჩინელი დიპლომატის აზრით, მოხსენებაში „უსაფუძვლოდ არის გაკრიტიკებული" ჩინეთის ლტოლვა თავისი არმიის მოდერნიზაციისკენ და აშშ-ს არავითარი საფუძველი არ გააჩნია საიმისოდ, ამტკიცოს, თითქოს პეკინი საშიშროებას წარმოადგენდეს აშშ-სა და აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებისთვის.

შეგახსენებთ, რომ პენტაგონის სპეციალურ მოხსენებაში, რომელიც ჩინეთის ჯარს ეძღვნება, ნათქვამია, — მოკლე ხანში პეკინის მზარდმა სამხედრო ძალებმა სავარაუდოა, დაარღვიოს აზიურ-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებული ძალთა ბალანსიო. მოდერნიზებული საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით ჩინეთს შეუძლია დედამიწის ნებისმიერ წერტილში მიზნის განადგურება, სამხედრო საზღვაო ძალთა ფორსირებული გაძლიერება და ოპერაციების ჩატარება ძალიან შორ მანძილზე.

*გაზეტა რუ*

## შავი ხუთშაბათი-2



7 ივლისის ლონდონის ტერაქტიდან ორი კვირის შემდეგ, 21 ივლისს, დიდი ბრიტანეთი კვლავ შოკში ჩავარდა: ისევ ხუთშაბათს ისევ ოთხი აფეთქება მოხდა, ზუსტად წინანდელი სცენარით — სამი მეტროში და ერთი ავტობუსში. საბედნიეროდ, ამჯერად არავინ დაღუპულა, მხოლოდ ერთი დაიჭრა. სპეციალისტები ამბობენ, — ეტყობა, მხოლოდ დეტონატორი აფეთქდა და არა თავად „ეშმაკის მანქანაო".

მეტროდან ამოსული თვითმხილველები ჰყვებოდნენ, — დავინახეთ ზურგჩანთიანი კაცი, რომელიც ძალზე შეშინებული ჩანდა. სწორედ ამ ზურგჩანთაში აფეთქდა რაღაცო. აფეთქების წინ კი ვაგონში ჩხუბიატეხილა — სამი კაცი ეჩხუბებოდა იმ ზურგჩანთიანს, გვერდით კი ბავშვიანი ქალი იდგაო, — იხსენებდნენ. პოლიციის აზრით, ერთადერთი დაჭრილი სწორედ ის კაცი შეიძლება აღმოჩნდეს, რომელმაც აფეთქება მოახდინა. ისევე, როგორც 7 ივლისის „შავ ხუთშაბათს", მეტროში აფეთქების შემდეგ სარეისო ავტობუსში აფეთქების ამბავიც მოვიდა. ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში, №26 ავტობუსში ბომბი აფეთქდა. საბედნიეროდ, მას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მხოლოდ შუშები ჩაიმტვრა ავტობუსის მეორე სართულის სალონში. თვითმხილველები ალაპარაკდნენ „ყუთის მსგავს ნივთზე", „რომელიც აფეთქდა, დაიშალა და აბოლდა". პოლიციამ მომხდარს „სერიოზული ინციდენტი" უწოდა.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა ბრიტანელებს სიმშვიდისკენ მოუწოდა: „ჩვენ ვიცით, რომ ეს ხალხის დასაშინებლად მოხდა", — განაცხადა მან.

ლონდონის პოლიცია გაფაციცებით ეძებს ოთხ კაცს, რომლებიც მეტროს სამ მატარებელსა და კიდევ ერთ ავტობუსში აპირებდნენ ბომბის აფეთქებას. ოთხივე ასაფეთქებელი მოწყობილობა იპოვეს, რომლებიც იმიტომ არ აფეთქდა, რომ არასწორად იყო აწყობილი. სამი მათგანი ზურგჩანთებით მიჰქონდათ ტერორისტებს, ერთი კი პლასტიკატის ყუთში იდო.

22 ივლისს, მეტრო STOCKWELL-ში პოლიციამ 5 გასროლით მოკლა აზიური გარეგნობის მამაკაცი, რომელიც, დაუდასტურებელი მონაცემებით, შესაძლოა, ტერორისტი ყოფილიყო. თუ მისი ტერორისტობა დამტკიცდა, მაშინ ეს ლონდონში ორი დღის განმავლობაში ტერაქტის მცდელობის მეხუთე შემთხვევა იქნება.

*გარდიანი*

## ქურთისტანის „ქორები" ტურისტებს უტევენ

თურქეთში დასვენება სულ უფრო სახიფათო ხდება. ტერორისტების სამიზნე ახლა სინაგოგები და დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიური მისიები კი აღარ არის, არამედ უცხოელი ტურისტები. ეგეოსის ზღვის სანაპიროზე ერთი კვირის მანძილზე ორი დიდი აფეთქება მოხდა — 5 ადამიანი დაიღუპა, 35 დაშავდა. ორივე ოპერაციაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ქურთისტანის მუშათა პარტიის შეიარაღებულმა ფრთამ — „ქურთისტანის განმათავისუფლებელი ქორები".

საკურორტო ქალაქ ყუშადასის პლაჟზე მიმავალი დამსვენებლებით სავსე მიკროავტობუსის აფეთქების შედეგად 4 ბრიტანელი და 3 თურქი დაიღუპნენ, [illegible] ქალბატონი კი საავადმყოფოში გარდაიცვალა. 13 დაჭრილიდან — 5 დიდი ბრიტანელია. ყუშადასში აფეთქებამდე „ქურთისტანის განმათავისუფლებელმა ქორებმა" იერიში მიიტანეს საკურორტო ქალაქ ჩეშმეშზე, სადაც 21 ადამიანი დაიღუპა. ქურთთა სხვადასხვა დაჯგუფების წარმომადგენლებმა „ქორებს" ტერორის შეწყვეტისკენ მოუწოდეს, მაგრამ ახალმა აფეთქებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ თურქეთში მცხოვრები ქურთების ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილება და დიდი არეულობაა. თურქეთის ეგეოსის ზღვის სანაპიროზე საკურორტო ცენტრებში უმაღლეს დონეზე არის ორგანიზებული უსაფრთხოების დაცვა, და არა მარტო ამ ბოლო დროს მომხდარი ტერაქტების გამო. საქმე ის არის, რომ 2003-2004 წლებში თურქეთის რამდენიმე ქალაქი „ალ-ქაიდას" სამიზნე გახდა და ახლა თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებს იმ ტრაგიკული [illegible] რების ეშინიათ.

*ნოვიე იზვესტია*

## დამწყებ მეწარმეთა საყურადღებოდ!
## გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი

აცხადებს დამწყებ მეწარმეთა შერჩევას ბიზნეს-ინკუბატორის პროექტში მონაწილეობის მიზნით. ბიზნეს-ინკუბატორის მიზანია ხელი შეუწყოს მცირე მეწარმეთა საქმიანობას უფასო ბიზნეს-კონსულტაციებისა და შეღავათიანი საბანკო სესხების გზით.

პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისში რეგისტრირებულ დამწყებ მცირე მეწარმეებს (რეგისტრაციის ხანგრძლივობა 2 წლამდე. მაგრამ არანაკლებ 6 თვისა).

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ბიზნეს-ინკუბატორის ცენტრალურ ოფისს 2005 წლის 1 აგვისტომდე მისამართზე: თბილისი, მელიქიშვილის გამზირი №12, ტელ 22-14-11; 22-12-87

## მოკლედ

**„ალ-ქაიდა"** ევროპას ახალი ტერაქტებით ემუქრება. კერძოდ, „ჯვაროსნებს: დანიას, ნიდერლანდებს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას და სხვა ქვეყნებს, ვისი ჯარისკაცებიც განაგრძობენ ერაყის მიწის თელვას", — ნათქვამია ერთ-ერთ ისლამისტურ საიტზე გამოქვეყნებულ „ალ-ქაიდას" დაჯგუფება „აბუ-ჰავს ალ-ბასრის" განცხადებაში. დაჯგუფება მათ ერთი თვის ვადას აძლევს თავიანთი სამხედრო კონტინგენტების გამოსაყვანად, თუ ეს 15 აგვისტომდე არ მოხდება, ტერორისტები დარტყმებს გააგრძელებენ.

**ეგვიპტის** საკურორტო ქალაქ შარმ-ელ-შეიხში, 23 ივლისს, გამთენიისას, ერთმანეთის მიყოლებით კამიკაძე-ტერორისტებმა ააფეთქეს ორი ფეშენებელური სასტუმრო და ძველი ბაზრის ტერიტორია.

პირველადი მონაცემებით, ტერაქტების შედეგად დაიღუპა 80 კაცი, 200-ზე მეტი დაიჭრა. თუმცა დანგრეული სასტუმროების გაწმენდის შემდეგ მსხვერპლთა რიცხვი ალბათ გაიზრდება.

**ჩეჩნეთის** სოფელ ზნამენსკოეს ცენტრში საშინელი ტერორისტული აქტის შედეგად 14 ჩეჩენი მილიციელი დაიღუპა, 36 დაიჭრა. ჩეჩნეთის შსს ეჭვობს, რომ ტერორის ორგანიზატორი შამილ ბასაევია, რაც იმას ნიშნავს, რომ №1 ტერორისტი კვლავ გააქტიურდა და ამ აფეთქებას კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი დივერსიები მოჰყვება.

**ერაყის** პრემიერ-მინისტრი იბრაჰიმ ალ-ჯაფარი თეირანს ეწვია. 1980 წლიდან ერაყის ხელმძღვანელის ეს პირველი ვიზიტია ირანში, რომელსაც უკვე ისტორიული უწოდეს. აღმოსავლეთის ორმა წამყვანმა და ერთმანეთის მოქიშპე სახელმწიფომ ხელი მოაწერა უსაფრთხოების სტრატეგიულ ხელშეკრულებას, რომელიც რადიკალურად შეცვლის გეოპოლიტიკურ სიტუაციას რეგიონში. ვაშინგტონის მიერ „მსოფლიოს ბოროტების ბუდედ" შერაცხულმა თეირანმა ბაღდადს ტერორიზმთან ბრძოლაში დახმარება შესთავაზა.

**ღაზის** სექტორის საზღვარზე შეტაკება მოხდა პოლიციასა და ებრაული დასახლების იმ მცხოვრებთა შორის, რომლებიც ღაზის სექტორის დატოვებაზე უარს ამბობენ. ამის გამო ისრაელი, არსებობის მანძილზე, პირველად აღმოჩნდა სამოქალაქო ომის ზღვარზე. ქვეყანაში ძლიერდება „ნარინჯისფერი მოძრაობა", რომლის წევრები ყველა ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ ღაზის სექტორიდან არ გავიდნენ ისრაელის ჯარები და ებრაული დასახლებები. ისინი პრემიერ არიელ შარონის გადადგომასაც ეცდებიან.

**ცენტრალური ესპანეთის** ტყეებს კვლავ მოედო ხანძარი. ცეცხლთან ბრძოლაში დაიღუპა 11 მოხალისე მეხანძრე, განადგურდა 10 ათასი ჰა ტყე, 4 სოფლიდან ევაკუირებულია 500 ოჯახი. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ხანძარი მოაგარაკეთა მიერ დანთებულმა კოცონმა გააჩინა.

**მოსკოვის** გარეუბანში, ზავიდოვოს რეზიდენციაში, შედგა რფ-ის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისა და ბელორუსიის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს არაოფიციალური შეხვედრა. პრეზიდენტებმა აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყანა ეკონომიკურად ძლიერდება და მათმა ურთიერთობამ ახალ დონეს მიაღწია. ლუკაშენკოს აზრით, საჭიროა მოიძებნოს „არატრადიციული მიდგომები" ახალ სამოკავშირეო სახელმწიფოში გაერთიანებლად.

**უკრაინის** პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ გააუქმა უკრაინის შსს-ს სახელმწიფო ავტოინსპექცია, რომელიც, მისი თქმით, მძღოლებისგან ფულის გამოძალვის მეტს არაფერს აკეთებდა. ახლა უკრაინის გზებზე არა მარტო ავტოინსპექცია აღარ ჩანს, არამედ ეკოლოგიური სამსახურიც, რომელიც მძღოლებს რაღაც „მწვანე ტალონებს" აჩეჩებდა — რა თქმა უნდა, გარკვეულ ფასად...

**საუდის არაბეთის** ახალი ელჩი აშშ-ში იქნება საუდის სპეცსამსახურის ყოფილი შეფი, „ალ-ქაიდას" ქსელის შემქმნელი და უსამა ბინ ლადენის ყოფილი უფროსი, პრინცი თურქ ალ-ფეისალი .

*გვერდი მოამზადა*
*ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის
სამ და ოთხკამერიანი
მწარმოებლისგან დამცავი ბადეები
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

შპს „გეოკორი" აწარმოებს
ბურღვით
სამუშაოებს
სასმელი და
ტექნიკური
წყლის
მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
ისარლის სასახლის უკან, ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

„ტრანსცენტრი" ფირმის
მეტალოპლასტმასის
კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 შ. „დიდუბის" გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ფულის გათეთრების“ ვადა 1-ელ აგვისტოს იწურება

1-ელ აგვისტოს ფინანსური ამნისტიით გათვალისწინებული ის 3 თვე იწურება, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს უკანონოდ ნაშოვნი ფულის ლეგალიზება შეეძლოთ. მიმდინარე წლის 26 თებერვლით დათარიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილება, დაფარული ქონების (შემოსავლის) მქონე პირებს, უფლებამოსილს ხდის 1-ელი მაისიდან 1-ელ აგვისტომდე ფულადი სახსრები საქართველოს რეზიდენტ კომერციულ ბანკებში ჩარიცხონ, როგორც ვადიან, ასევე შემნახველ ანაბარზე. მართალია, „ფულის გათეთრების“ ოფიციალური მექანიზმი მადისაღმძვრელად გამოიყურება, თუმცა მერყევი ხასიათის მთავრობა თავის კანონებიანად ეჭვის საბაბს იძლევა, რაც თავის შეკავების ძირითადი მიზეზი ხდება. ვისაც პასიურობა არ სჩვევია, წლების განმავლობაში ნაგროვები, მუთაქებიდან უკვე ოფშორულ ზონაში განათავსეს. ხოლო მათ, ვისაც მოსაფიქრებლად მხოლოდ 5 დღე დარჩენია, იქნებ ჩვენი პუბლიკაცია დაეხმაროს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

**რომან გოცირიძე**, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ფინანსური ამნისტიის ერთ-ერთი ავტორი: — იმის მიუხედავად, რომ კანონი ამნისტიისა და არადეკლარირებული ვალდებულებების შესახებ შეკვეცილი სახით არის მიღებული (ეს არ გახლავთ ის პირველადი ვარიანტი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ), ერთგვარ შედეგებს მაინც მივაღწიეთ. ჩვენი ინფორმაციით, მიმდინარე წლის ივნისსა და ივლისში, მოქალაქეების ანაბრები კომერციულ ბანკებში 47 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ საზოგადოების ერთმა ნაწილმა ამნისტიით მინიჭებული შეღავათები გამოიყენა. თუმცა აქვე გეტყვით იმასაც, რომ ფინანსური ამნისტიის კანონის პირველი შემუშავებული ვარიანტი რომ მიგვეღო, ქვეყანაში დიდი ოდენობის კაპიტალის მობილიზება მოხდებოდა. სამწუხაროა ისიც, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში არ მოხდა კანონის პოპულარიზება და მოსახლეობის სტიმულირება იმისათვის, რომ საკუთარი დანაზოგები ბანკებში შეეტანათ. საბანკო სექტორში ფულის განთავსებას ის უპირატესობაც აქვს, რომ ამ შემთხვევაში პირი არ იხდის ლეგალიზებული თანხის 1%-იან მოსაკრებელს. მინდა გავაფრთხილო მოსახლეობა, რომ დადგენილი კანონი იძლევა საიდუმლოების და კონფიდენციალობის სრულ გარანტიას. ამ პირობების შესრულებას საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს. გარწმუნებთ, რომ საბანკო სექტორში განთავსებული თანხების გამოყენება სამომავლოდ არც ეჭვის საფუძველს მოგვცემს და სხვა სახის სანქციებისგანაც გათავისუფლდება. ანაბარზე განთავსებული თანხა მილიონიც რომ იყოს, არ გადაეცემა ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. ამიტომ მოვუწოდებ ჩვენს საზოგადოებას თანხების ლეგალიზებისთვის დარჩენილი დღეები გამოიყენოს.

**— უკანონოდ შეძენილის ასეთი გზით დაკანონება ხომ არ ეწინააღმდეგება ფულის ლეგალიზების საერთაშორისო ნორმებს?**

— მართალია, ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც თავისი მოქალაქეებისთვის ასეთი სახის სეზონურ შეღავათებს აწესებს, „ფულის გათეთრების“ საერთაშორისო ნორმებთან შეუსაბამობაში ვარდება. მაგრამ ასეთია ჩვენი საკანონმდებლო ინიციატივა და ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს მართებულად გადადგმული ნაბიჯია. სხვათა შორის, მსგავსი კანონის მიღება ახლა რუსეთშიც სურთ, ოღონდ გაცხარებით მსჯელობენ იმაზე, გავრცელდეს თუ არა შეღავათები ჩინოვნიკებზე.

**დიმიტრი გაბუნია**, ადვოკატი: — უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში კანონი ამნისტიისა და არადეკლარირებული ვალდებულებების შესახებ ფაქტობრივად არ მუშაობს. ეს იყო მთავრობის მხრიდან მხოლოდ დეკლარირება ჰუმანურობისა, რომელსაც არც ერთი ქმედითი ნაბიჯი არ მოჰყოლია. ელემენტარულად არ მომხდარა მოქალაქეების ინფორმირება კანონით განსაზღვრული ვადების შესახებ, ხოლო კანონის არცოდნა ან მისი დროულად არწაკითხვა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისგან. მე, როგორც იურისტს მიმაჩნია, რომ ყველა ნორმალურ ქვეყანაში ბიზნესმენი და ნებისმიერი მოქალაქე უნდა დაემორჩილოს კანონსა თუ ნორმატიულ აქტს, რომელიც კანონის საფუძველზეა მიღებული. საზოგადოებაში არსებობს გარკვეული უნდობლობა მთავრობისადმი და ეჭვი, რომ დაფარული ქონების ლეგალიზების შემდეგ, ვილაცამ შესაძლოა ცვლილება შეიტანოს კანონში, რაც დეკლარანტების უსაფრთხოებისთვის შეიძლება სახიფათო იყოს. არსობრივად ასეთი რამ დაუშვებელია, თუმცა კანონს უკუქცევითი ძალა შეიძლება მიანიჭოს პარლამენტმა, რაც აშკარად ანტიკონსტიტუციური ნაბიჯი იქნება.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშების კონფიდენციალურობის საკითხს, შემიძლია გითხრათ, რომ დღევანდელი კანონმდებლობით, როდესაც 30.000 დოლარზე მეტი თანხის საბანკო გადარიცხვა ხორციელდება, ბანკი ვალდებულია ინფორმაცია ამის შესახებ საგადასახადო ორგანოს მიაწოდოს. მეტსაც გეტყვით, დღეს საგამოძიებო ორგანოებს უფლება აქვთ ნებისმიერი ჩვენგანის საბანკო ანგარიშზე შევიდნენ და მათთვის საინტერესო ინფორმაცია მოიპოვონ. ამნისტიის კანონმა უკან დასახევი გზა ფაქტობრივად არ დატოვა. ის, ვინც მას არ გამოიყენებს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა. მე როგორც იურისტი, მაინც ვურჩევდი ბიზნესმენებს, კანონით განსაზღვრულ შეღავათებს დაემორჩილონ, ხოლო მათ, ვინც ვერ მოასწრო განსაზღვრულ ვადაში თანხების ლეგალიზება მოეხდინათ, მთავრობას ამ ვადების გახანგრძლივების ინიციატივით მიმართონ.

*ემა ტუხიაშვილი*

# როგორ შევამციროთ ფალსიფიცირება

საქართველოს ბაზარი გაჯერებულია ფალსიფიცირებული პროდუქციით. ნებისმიერი პროდუქტის ყიდვისას არ არსებობს გარანტია, რომ შინ ჯანმრთელობისთვის საზიანო საქონელს არ მივიტანთ.

ამ თემებზე იმსჯელეს „შერატონ-მეტეხი-პალასში“ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და ჰოლანდიური კომპანია „მერტელ-კონსალტინგის“ მიერ გამართულ კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ დაცული პოლიგრაფიის ინდუსტრიის მსოფლიოში ცნობილი კომპანიების წარმომადგენლები, მათ სავაჭრო ნიშნებისა და ინტელექტუალური უფლებების დაცვის ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებზე ისაუბრეს.

საკონსულტაციო ფირმა AC Brains-ის წარმომადგენელმა ჰერმან ჰოლტესმა „ინტერპოლისა“ და FBI-ის მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ფალსიფიცირება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს პრობლემაა. მსოფლიოს ქვეყნებს შორის ფალსიფიცირებული პროდუქციის 80% ჩინეთზე მოდის. მას მოჰყვებიან ტაივანი, აშშ (ძირითადად, გვხვდება პროგრამული უზრუნველყოფის ფალსიფიცირება), ავღანეთი, რუსეთი, თურქეთი. ჰოლტესის თქმით, სავაჭრო ნიშნების დაცვა სტრატეგიაა, რომელშიც მწარმოებელმა ინვესტიცია უნდა ჩადოს, რათა ერთი მხრივ თავისი კომპანიის პრესტიჟი დაიცვას, მეორე მხრივ კი — მომხმარებელი, ანუ მოსახლეობა.

Royal Enschede Security Printers-ი ჰოლანდიის სამეფო კომპანიაა, რომელიც გრაფიკული ინდუსტრიის ლიდერია. კომპანია 300 წლისაა. ბეჭდავს ჰოლანდიურ ვალუტას, ევროს, სხვადასხვა ქვეყნის ფულს, მათ შორის, ლარსაც. კომპანიის წარმომადგენელმა სიჩბრანდ სპანენბურგმა დაცვის ყველაზე თანამედროვე მეთოდებზე — ორმაგი კოდირების ტექნოლოგიაზე ილაპარაკა.

ასეთი ჰოლოგრამებია დატანილი შენგენის ვიზებზე, ევროგაერთიანების პასპორტებზე. ფირმის წარმომადგენელი ჯორდან კრასტევი ამბობს, რომ ჰოლოგრამა, უპირველესად, ადვილად საცნობი უნდა იყოს.

მწარმოებლის დაინტერესების შემთხვევაში, რა ეღირება მათი მომსახურება, კომპანიის წარმომადგენლები არ ამხელენ: „ჩვენ არ გვაქვს სტანდარტული გადაწყვეტილებები. ყველა პროექტი ინდივიდუალურია, ამიტომ ფასებიც განსხვავებული“, — ამბობენ ისინი, თუმცა დასძენენ, რომ მწარმოებელმა თავისი პროდუქციის დასაცავად ინვესტიცია აუცილებლად უნდა ჩადოს, რადგან გაყალბების შემთხვევაში კომპანიას გაცილებით მეტი დანაკარგი ელის.

სტატისტიკით, საქართველოში უმეტესად მედიკამენტები, ალკოჰოლური პროდუქტი, მინერალური წყლები და პირველადი მოხმარების საგნები ყალბდება. რა უნდა გაკეთდეს, რომ საქართველოში ფალსიფიცირების მასშტაბი შემცირდეს? უცხოელი ექსპერტების რჩევა ასეთია — ინფორმაციის ურთიერთგაცვლა ბიზნესსა და მთავრობას შორის და მწარმოებლის უშუალო კონტაქტი მომხმარებელთან. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ კომპანიას დაეხმარებიან.

*თამარ სუჯაშვილი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 23 ივლისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8123 |
| ევრო | 2,2067 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1782 |
| რუსული რუბლი | 0,0634 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3688 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA
ახალი დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ ტელეფონებზე
დარეკეთ ფიქსირებული ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად
საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად
დროის წამობრივი აღრიცხვა
აკრეფის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-10-0+ მობილური ოპერატორის კოდი (99,77,93)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-10-0+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი
8-10
ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები
რუსთაველის გამზ. 31
ტელ.: 442828
www.telecom.ge

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ჩაშლილი სპექტაკლი



ამ კურიოზული ამბის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილმა ფუნქციონერმა მიამბო:

„სომეხი ეროვნების მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული საქართველოს ერთ-ერთ რაიონში რაიკომის პირველი მდივანიც ეროვნებით სომეხი გახლდათ. დავარქვათ მას პირობითად არტურ ბაბაიანი. ამ რეგიონში წარმატებულად მოქმედებდა სომხური თეატრი, რომელიც საკმაოდ კარგი სამსახიობო დასით იყო დაკომპლექტებული. დასში ერთი ძალზე ნიჭიერი და მომხიბვლელი მსახიობი ქალი ჰყავდათ, მასაც პირობითად დავარქვათ ოფელია საზანდარიანი (ნამდვილი გვარების დასახელებისგან თავს ვიკავებ). ერთხელაც, მორიგ პრემიერაზე, რაღა თქმა უნდა, რაიონის ხელმძღვანელობაც მოიწვიეს. რაიკომის პირველი მდივანი არტურ ბაბაიანიც მთელი თავისი ოჯახით საუფროსო ლოჟაში დაბრძანდა.

ბოროტ ენებს თუ დავუჯერებთ, მსახიობი ოფელია რაიკომის პირველი მდივნის საყვარელი ყოფილა. ეს ბევრმა იცოდა, ალბათ არტურის მეუღლის გარდა (მეუღლეები ან ყველაზე გვიან იგებენ ასეთ ამბავს, ან სულაც ვერ იგებენ...). ხსენებულ საპრემიერო სპექტაკლზე მთავარ როლს სწორედ ოფელია საზანდარიანი ასრულებდა. დასის მღელვარების მიუხედავად, სპექტაკლი წარმატებით მიდიოდა. პიესის მიხედვით, ერთ-ერთ სიუჟეტში ოფელიას გმირი თავის ბინაში საყვარელს ელოდება. გაისმა კარზე კაკუნი. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მასპინძლის კითხვა:

— ოვა (ვინ არის?)?

სწორედ ამ მომენტში ვიღაც თავხედმა დარბაზიდან „მოღალატურად“, ხმამაღლა დაიძახა:

— არტურ ბაბაიანა, ელი (არტურ ბაბაიანია, რა!)!.. ამას იმხელა აურზაური მოჰყვა — სიცილ-ხარხარი, ლანძღვა-გინება, გაწევ-გამოწევა... მოკლედ, სპექტაკლი ჩაიშალა“.

***იური ცუცქირიძე, თბილისი***

## 2. ერთხელ, ბათუმის მატარებელში...



ბაადური ნასვამი დაბრუნდა შინ. თანამეინახეებთან გადატანილი კამათის შემდეგ სახლში ეულად დარჩენილი სიდედრის შენიშვნა ვერ აიტანა და ისევ გარეთ გამოვარდა, ქალაქს უნდა გავეცალოო და რკინიგზის სადგურს მიაშურა. ბათუმის მატარებელზე აიღო ბილეთი: ერთი-ორი დღით გახურებული შუბლის ზღვაში გაგრილება გადაწყვიტა. ცივი ლუდი აიღო და კუპეში არხეინად მოკალათდა. კუპე უკვე შევსებული იყო, როცა კიდევ ერთი — ჰალსტუხიანი ზორბა მამაკაცი შემოემატათ. ბილეთების შედარების შემდეგ გაირკვა, რომ ბაადურს და შემოსწრებულ მამაკაცს ერთსა და იმავე ადგილზე ჰქონდათ პრეტენზია: ასეთი რამ არცთუ იშვიათი იყო მოლარეთა პრაქტიკაში. საქმე ლამის ხელჩართულ ბრძოლამდე მივიდა.

— მე სამი დღით ადრე შევიძინე ბილეთი, ამიტომ შენია ყალბი, ნადი და გაარკვიე! — ახალშემოსულმა თავისი ბილეთი ბაადურს მიუგდო და ისე მყარად მოკალათდა სკამზე, იფიქრებდი — ცოცხალი თავით ბათუმშიც კი არ ადგება ფეხზეო. ბაადურმა მამაპაპურად შეიკურთხა გაურკვეველი მისამართით, ბილეთებს ხელი დაავლო და კუპედან კისრისტეხით გავარდა.

— მე გოგალაძე არ ვიყო, შენ თუ არ განანო! — გაივლო გულში და ვიდრე სალარომდე მიაღწევდა, ორიოდე წუთის შუალედით ორივე ბილეთი ზედმეტ ფასად გაყიდა — ზაფხულის დღეები იდგა და ბათუმის მატარებელზე კიდევ 50 ბილეთიც რომ ჰქონოდა, ათ წუთში გაყიდდა!

...ნახევარი საათის შემდეგ სურამისკენ მიმავალ „მარშრუტკაში“ ბაადური უდარდელად თვლემდა. ამ დროს ზემოთ ნახსენებ კუპეში უკვე სამი კაცი ცდილობდა ჩხუბში ერთი და იმავე ადგილის დასაკუთრებას...

***გერონტი მესხი, თბილისი***

## 3. – გამიშვით!..



საგარეჯოელი ანიჩკა ლაფერიშვილი ღრმად მოხუცებული დაქვრივდა 1981 წელს. მისასამძიმრებლად ბევრი ხალხი მოვიდა. ანიჩკა ბებო თან სამძიმარს იღებდა და თან მოუსვენრად იყო. მალ-მალე წაუტირებდა: — აღარ შემიძლია, გამიშვითო. ხალხი შეეჭვდა, თავი არ მოიკლასო და რძალს უთხრეს: — თვალი გეჭიროსო. რძალიც გულმოდგინედ ჩასჭიდებდა ხელს, როგორც კი წამოიწევდა. ძალიან რომ შეწუხდა ანიჩკა ბებო, ხმადაბლა, ტირილით უთხრა რძალს: — გამიშვით, თქვე ოჯახქორებო, ლამისაა ქვეშ ჩავიფსაო...

***რომან ზუკაკიშვილი, საგარეჯოს რაიონი, სოფელი პატარძეული***




**4.** ჯარში გასაწვევ მეგრელს სამხედრო კომისარი ელაპარაკება. შემოდის ახალწვეულის დედა და შვილს „აფრთხილებს“:

— შვილო, შორს დადექი, ბატონ კომისარს ჭლექი არ გადასდო!..



***ენგული იობაძე, ფოთი***

## ყურადღება!
## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 27 ივლისის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 ივლისის 13 საათამდე.*

| კურიოზების კონკურსი |
| --- |
| საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________ |
| ________ |
| თქვენი სახელი, გვარი |
| კვირის პალიტრა №30 |






## © .ფოტოპალიტრა.



გიგი წერეთელი, ზურაბ ჭიაბერაშვილი

**გ.წ.** — მიშველეთ!
**ზ.ჭ.** — რა მოგივიდა, გაგიჟდი!
**გ.წ.** — არა, დამესიზმრა, რომ ისევ დაგაბრუნეს ქალაქის მერად.

***ჯამბულ დოლაკიძე, რუსთავი***

**ზ.ჭ.** — გიგი, უნდა მიშველო, მგონი წყალი მაქვს შეყენებული, მიშუამდგომლე მიშასთან!
**გ.წ.** — მოიცა, მოიცა, შენ რომელი ხარ, რაღაც არ მახსენდები. ააა! „მესაათე“ ზურა?

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**გ.წ.** — ზურა, რამ დაგაღონა?
**ზ.ჭ.** — გიგი, თურმე თბილისში ჩამოსულა კოპერფილდი ქართველის დედის გასაქრობად, მაგრამ რაღაცები შეშლია და გაუცოცხლებია. ახლა მეძებს, მიშველე, რა!

***თემურ ფაჩულია, ზუგდიდი***

**გ.წ.** — ზურა, წუხელის კბილის ტკივილმა არ დამაძინა, ახლაც მაგრად მაწუხებს.
**ზ.ჭ.** — ჩემო გიგი, მეც მაგ დღეში ვარ. შენ წარმოიდგინე, თანაც მენძრევა.

***ჯეკო, თბილისი***

**(შაბათის შოუდან):**
**გიგი წერეთელი** (ზურას დანახვისას): — „ეხლა უნდა ვინერვიულო!“

***ლეილა გულიტაშვილი, თბილისი***

**გ.წ.** — აუჰ, რა დამჟავებული სიფათი აქვს, ამის ყურებას სვარკას უყურო, არ ჯობია?

***თემურ კვანტალიანი, ხონი***

**ზ.ჭ.** — არ გეცოდები, გიგი? მერობიდან გადამაყენეს და გადასახლებაში მიშვებენ!
**გ.წ.** — ვაი... ვაი... ვაი... შე საცოდავო, რა ეშველება ახლა უშენოდ საქართველოს დედაქალაქს!
**ზ.ჭ.** — ეჰ, ის საათი მაინც ამეღო, შემრჩებოდა.

***ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

## მილოცვა

**გიორგი ჟღენტს და ლიკა ლოგუას**
ვულოცავთ გაბედნიერებას!
*აბესალომი და მადონა*

**ნათია ქოიავას და პაატა დევდარიანს!**
ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ის ნაბიჯი, რომელიც გადადგით. იხარეთ და იმრავლეთ, ყველას გულის გასახარად. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
*დიდი ბებია (აბაშა)*

**თამარ ჯავაშვილს!**



ჩვენო ძვირფასო დედა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, შენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების საკეთილდღეოდ.
*მაია და ციცო ჯავაშვილები*

## მადლობა

ჩემი ოჯახის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ბატონ **გოგი თოფაძეს** იმ გულისხმიერებისთვის, რომელიც მან გამოიჩინა ჩემი შვილის – გიორგი ბახტაძის მიმართ. მას დასჭირდა სასწრაფო ოპერაცია (პნევნოთორაქსი), რაც დაკავშირებული იყო თანხებთან. ამ თანხის გადახდის საშუალება ჩემს სოციალურად დაუცველ ოჯახს არ ჰქონდა. ბატონმა გოგიმ უშურველად გაიღო ეს თანხა და 19 წლის ბიჭს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

ბატონო გოგი! ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ღვთიური მადლი არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს და შთამომავლობას.
*პატივისცემით, ბახტაძეების ოჯახი*

## ბინები

სასწრაფოდ! იყიდება სახლი ახალაშენებულ კორპუსში, II სართ. გარემონტებული, ა/ფართით (ს/ფ – 226 კვმ, ა/ფართი – 21 კვმ), დაჯავშნული კარით, ცენტრალური გათბობით, მარმარილოთი, მოპირკეთებული ბუხრით, ჩაშენებული სამზარეულოთი. მის: კოსტავას 1. №45 (სასტუმრო „ვარაზთან"). ტელ: 893 27-82-87. შოთა

სასწრაფოდ! ქობულეთში, სასტუმრო „საქართველოსთან" იყიდება 2,5-ოთახიანი კუთხის, მზიანი ბინა 7(9), ზღვის მხარეს აივნით. ფასი $13.000. ტელ: 899 47-22-87

სასწრაფოდ! საგურამოსთან, კოტორაანთკარში, მთელ სეზონზე ქირავდება კეთილმოწყობილი აგარაკი, ცივი-ცხელი წყლით, სააბაზანო-ტუალეტით (გაზი – ბალონზე), ლამაზი ეზოთი. გარშემო აკრავს ტყე, წყაროთი. ტელ: 893 90-14-31 ლია; 877 40-49-36. ოლიკო

## გთავაზობთ სამუშაოს

18-დან 25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას ავსტრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასი), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვჭირდება განათლებული ადამიანები ოფისში სათანამშრომლოდ. სამუშაო კონტრაქტითაა. მსოფლიოში საუკეთესო მუშაკებს, შანსი ეძლევათ ყოველ 3 თვეში უფასოდ წასვლისა საზღვარგარეთ, სამუშაოდ ან სტაჟირებით (კომპანიის პროფილით). გამომუშავება – ყოველდღიური, თვეში – საშუალოდ 300-600 ლარი. მიმდინარეობს შერჩევა. ფირმის საერთაშორისო მენეჯერი ბ-ნი დიმიტრი. მის: „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი №6. ტელ: 34-02-38 (19 სთ-მდე); 899 76-68-50

მსხვილ კომპანიას ესაჭიროება პედაგოგიური მუშაობის პროფესიონალები, თადარიგის ოფიცრები, მწვრთნელები, უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგეები, პირები, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო ხელმძღვანელ თანამდებობაზე და კერძო სტრუქტურებში მუშაობის გამოცდილება. სამუშაო საოფისეა, შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 38-23-74 (დისპეტჩერი); 893 79-90-01 ელჩინი

ვიწვევ სამუშაოდ ექიმებს, პედაგოგებს, ეკონომისტებს. შეთავსება შეიძლება. ასაკი 25-50 წლამდე. ტელ: 65-46-49

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრებიდან. ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16. მშენებლობის სამინისტროს შენობა. მე-13 სართ. ოთახი 17. დ კლუბი. იკითხეთ გოჩა. (13-17 სთ, კვირის გარდა). ტელ: 893 75-67-55; 893 33-18-86; 52-44-10

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება: 1. განყოფილების გამგე; 2. განყოფილების გამგის მოადგილე; 3. კადრების ინსპექტორი; 4. თადარიგის ოფიცრები; 5. პედაგოგები და ფსიქოლოგები. ანაზღაურება მაღალია. სავალდებულოა უმაღლესი განათლება. ტელ: 899 79-67-63; 73-30-60

უცხოურ კომპანიას ესაჭიროება თანამშრომლები. პირობები: საშუალო და უმაღლესი განათლება, ასაკი 30-55 წ. ტელ: 60-58-82; 893 62-76-78

## მომსახურება

შპს „ულტრა ტური" გთავაზობთ ავტოტურებს, შოპტურებს და დასვენებას დუბაიში, $620-დან ეკვივალენტი ლარებში. მომსახურებაში შედის: სასტუმრო (კვება, საცურაო აუზი, ფიტნესი, საუნა), ვიზა, ავიაბილეთები, ტრანსფერი (დახვედრა, გაცილება). ჩვენი პარტნიორები დუბაიში აღმოგიჩენენ ნებისმიერი სახის დახმარებას. აგრეთვე გთავაზობთ დასვენებას თურქეთში: კუშადასი, ანტალია, ქემერი, ტეკიროვა. სტუდენტებისთვის – სპეციალური ტურები ავტობუსით. მის: თბილისი, მეტეხის ქუჩა №22 (მ. „ავლაბრის" პირდაპირ). ტელ: 77-86-80; 77-62-02

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და გაყუჩებით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გალიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა, მასაჟი, საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. ტელ: 37-74-22; 893 79-71-35. მანანა

ვაკეთებ ბავშვთა და მოზრდილთა სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს, შეღავათიან ფასში. ვარ უმაღლესდამთავრებული მასაჟისტი. ტელ: 38-89-24; 899 30-18-83. თამუნა

რბილი ავეჯის რესტავრაცია; სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა, სკამების მატრასების გადაკვრა-გაახლება. ტელ: 899 18-17-11; 56-61-28. ვალერი

რბილი ავეჯის რესტავრაცია: სამეულების, ტახტების, მატრასების, სკამების სრული აღდგენა, შალითების შეცვლა-დარბილება. ტელ: 76-01-33. გია

## მკურნალობა

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით). ამოდის თმა. თმის ძირების გამოკვლევა აპარატით; ტილებისა და წილების მოსპობა; კანისა და ფრჩხილის სოკოფსორიაზი, ეგზემა; ლაქების მოცილება; ოფლის მალამო, ღრძილების ჭრილობები; გამონაყარი; ქუსლებზე ნახეთქები. მასაჟი – აპარატით, გარანტიით. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი. მის: ვაჟა-ფშაველას №47. II სტომატოლოგიური პოლიკლინკა, II სართული, ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ, შაბათ-კვირის ჩათვლით. ტელ: 39-39-51 (სამს.); 30-94-73; 893 918-917

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად; დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი); კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგით: ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 61-02-97; 95-80-51; 899 57-16-99

ალკოჰოლიზმი, „პახმელია", ალკოჰოლური დეტოქსიკაცია, დეფიციტის შევსება, რაც იწვევს ალკოჰოლისკენ სწრაფვას, ნევროზებს, ჰალუცინაციებს; დაზიანებული ორგანოების აღდგენა, იმუნიტეტის ამაღლება – მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც; გასტრიტი, წყლული, ჰეპატიტები, დისბაქტერიოზი, მეტეორიზმი, კოლიტი, ბუასილი. პრეპარატები მცენარეული, სერტიფიცირებული, მაღალეფექტური და უსაფრთხოა. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

ანტიალკოჰოლი (პაციენტისგან ფარულადაც), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა – აგრესიები, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, დაზიანებული ღვიძლის ფუნქციის აღდგენა, ბუასილი (სისხლმდენი, ქავილი, ნაპრალი), კოლიტი, ასთმა, ფსორიაზი, წითელი ქარი, პოდაგრა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული – მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნიათ (დამზადებულია მოსკოვში, კრემლის ყოფილ ლაბორატორიაში – აკად. ლიხარიოვი). ტელ: 68-92-77; 899 21-13-66. ლალი

გთავაზობთ ეფექტური და უვნებელ მკურნალობას მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით: კოლიტი, ბუასილი, ქრ. ქოლეცისტიტი, თირკმლის და ნაღვლის ბუშტის კენჭოვანი დაავადება, კუჭის წყლული, ჰეპატიტი, ციროზი, დიაბეტი, ონკოლოგიური დსაავადებები, საკვერცხის კისტა, მიომა, მასტოპათია, ჩიყვი, ბუასილი უოპერაციოდ! ფიტოთერაპიული კლინიკა. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 70-78-03 (ბინა); 899 74-23-69 (მიღება წინასწარი ჩაწერით)

ნევროზები, შიში, უძილობა, აგრესიულობა, დეპრესია, სტრესი და ნეიროცირკულარული დისტონია, თავის ტკივილები, მიგრენი – ქრონიკული გადაღლის სინდრომი. მკურნალობა მცენარეული, სერტიფიცირებული პრეპარატებით, რომელსაც არ ახასიათებს შეჩვევა, არის მაღალეფექტური, არაჰორმონალური და აბსოლუტურად უსაფრთხო. ტელ: 99-75-90; 899 22-63-90. ნინო ექიმი

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი". ტელ: 877 41-50-30; 96-14-18

ხალხური მედიცინა – მაქსიმალურად გარანტირებული უსწრაფესი შედეგით: ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი, (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან. ექ. ალექსიშვილი ტელ: 39-39-97; 61-02-97; 95-80-57; 899 57-16-99

ალკოჰოლიზმის თერაპიული მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხოვანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით. ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ფსიქოზები – თეთრი ცხელება („ბელაია გარიაჩკა"), „პახმელიის" სინდრომის მოხსნა, ღვიძლის ალკოჰოიდური დაავადებები და სხვა გართულებები. აგრეთვე ჰეპატიტების, ნევროზების, შიშების, უძილობისა და სხვა დაავადებების მკურნალობა. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34. ნანა ექიმი

100%-იანი გარანტიით!!! ვმკურნალობ ბუასილის სხვადასხვა ფორმას (მტკივნეული კვანძები, სისხლდენა, ნაპრალები, ქავილი, კოლიტი), აგრეთვე ვარჩენ კანისა და ფრჩხილის სოკოვან დაავადებებს, დამწვრობას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან და შეუხორცებელ ჭრილობებს, ეფექტი პირველსავე დღეებიდან. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 95-80-51; 12-17 სთ (ოფისი), 61-02-97; 39-39-97; 899 57-16-99. ექ. ალექსიშვილი

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით. შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით, „პახმელიის" მოხსნა. გარდა ამისა ნევროზი, დეპრესია, აგრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), იმუნიტეტის გაძლიერება და ბავშვების სიმაღლეში მომატება. მკურნალობა აკად. ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 893 35-45-35 (ნების. დროს); 98-42-49 (11-17 სთ, კვირის გარდა). მაკა ექიმი

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ვასწავლი გერმანულ ენას ნებისმიერი ასაკის მსურველს. მოვამზადებ გერმანიაში წამსვლელებს, მოსწავლეებს, აბიტურიენტებს ინდივიდუალურად. ტელ: 33-34-47. ლილი

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28; მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

## იყიდება

სასწრაფოდ! მიწის ნაკვეთი კრწანისში, 1800 კვმ, სამთავრობო რეზიდენციის მოპირდაპირე მხარეს. ტელ: 893 27-82-87

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 70-600-მდე ევროპული, 1-დან 5-მდე ქართული, 5-18-მდე რუსული. ფასი $130-230. მხოლოდ 30 რუსული არხი. ფასი კომპლექტის $200. მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 899 27-38-99; 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

ოფისიდან, ზაფხულის მაისურები ქალებისათვის, ძალიან იაფად, ამერიკული, ახლები. ფასი – 10-12 ლარი. მის: ჯანაშიას ქ. №16 (ვერაზე). დარეკეთ წინასწარ: 91-23-05; 899 56-11-16

## სხვადასხვა

სექტემბრიდან იხსნება კერძო საბავშვო ბაღი საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომის გვერდით, ჩოგბურთის კორტებთან, მწვანეში ჩაფლული, კარგად მოწყობილი საკუთარი სათამაშო მოედნით. არაჩვეულებრივი ჰაერი, სახლში საუკეთესო პირობები – ახალგარემონტებული, გაწკრიალებული 3-ოთახიანი ბინა. ავიყვან ბავშვებს 3-დან 6 წლამდე ასაკისას. თავად ვარ პედაგოგი. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 36-25-34; 899 97-48-70; 36-19-78; 899 23-43-44; 899 36-25-34

ბიზნესსერვისცენტრი „მეტეხი" გთავაზობთ საერთაშორისო სტანდარტების მქონე საოფისე ფართების მრავალფეროვან არჩევანს ქალაქის ცენტრში, ავლაბრის მოედანზე. ტელ: 77-97-00; 77-97-09

**მივმართავ ქართველ ბიზნესმენებს!**

მყავს მძიმე ავადმყოფი 17 წლის შვილი, რომელიც მოულოდნელად დაავადდა. მის გადასარჩენად და საზღვარგარეთ მკურნალობისათვის საჭიროა 9 ათასი ევრო. გემუდარებით, დამეხმაროთ და შვილი გადამირჩინოთ!

*ტელ: 893 56-05-25;*
*899 40-38-61*

*ბანკი ქართუ. ბანკის კოდი: 220101081*
*საკორესპონდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში:*
*საანგაიშსწორებო ანგარიში: 000161381*
*ბენეფიციარი: ნატო მიქაბერიძე*
*ბენეფიციარის ანგარიშის ნომერი: №19403601*






## ლაშა ძიძარიას გახსენება

24 ივლისს 31 წელი შეგისრულდებოდა. შენი მეგობრები უშენოდ ვხვდებით ამ დღეს! ჯერ ხომ ორმოცი დღეც არ გასულა შენი დაღუპვიდან. მეხივით გავარდა ხმა რუსთავში, ლაშა ძიძარია დაიღუპაო... გლოვობდა მთელი ქალაქი. ძნელია იმასთან შეგუება, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ... ძნელია უშენოდ...

შენს სანათესაოში ერთადერთი ვაჟი იყავი. ყველა შენ შემოგყურებდა, მაგრამ წახვედი ჩვენგან და თან წაიღე აურაცხელი ოცნება, ფიქრი და ვინ იცის, იქნებ ლამაზი სიყვარულიც. ძალზე დაგვწყვიტე გული ყველას.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ხელი ჩავჭიდოთ ერთმანეთს დუმილით, ჭირისუფალთ გულწრფელი სამძიმარი ვუთხრათ და ერთმანეთი ვანუგეშოთ, რომ ლაშა ძიძარია აუცილებლად უფლის კალთის ქვეშ იქნება. ჩვენ არასოდეს დაგივიწყებთ.

*ანა გოგიაშვილი, მეგი მეტრეველი*

## ბიძინა კაციტაძის გახსენება



ახლახან ჩვენგან სამუდამოდ წავიდა ბიძინა კაციტაძე. წავიდა და დაგვიტოვა ღრმა გულისტკივილი.

ბატონო ბიძინა, თქვენს წილ ხანგრძლივ წუთისოფელში ბევრი ცხოვრებისეული განსაცდელი გამოიარეთ, დიდი სამამულო ომის ქარცეცხლსაც გაუძელით. ცხოვრებასთან ჭიდილში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდით, ამაში თქვენი პიროვნული თვისებებიც გეხმარებოდათ. შემდეგ ჩვენს დიდ პედაგოგიურ ოჯახში შემოაბიჯეთ და სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული გულმოდგინებით განაგებდით ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგს. თქვენ ბევრი გააკეთეთ ჩვენი საერთო საქმისათვის, კიდევ ბევრის გაკეთება შეგეძლოთ! თქვენ მიერ გაწეული შრომა ღირსეულად დაფასდა. სიცოცხლის ბოლო წლებში ახალდაარსებული ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი გახდით და სამამულო ომში მიღებულ ჯილდოებს ღირსების ორდენიც დაემატა.

თქვენ სანიმუშოდ იცხოვრეთ და ვალმოხდილი წახვედით ამ ქვეყნიდან!.. წახვედით და დაგვიტოვეთ ნათელი ხსოვნა.

გჯეროდეთ, ჩვენს მეხსიერებაში მუდამ დარჩებით, როგორც განსაკუთრებული ხიბლით დაჯილდოებული, ქაბუკური შემართების თმადათოვლილი ადამიანი, რომელსაც ჰბაძავდნენ ახალგაზრდები.

ბატონო ბიძინა, ამ პატარა ბარათით გიხსენებთ, გულწრფელით და გულშვიდობით

*თქვენი საყვარელი პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლები*

## მზია ვეფხვაძე-ნებიერიძის გახსენება



რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, როგორი დაუნდობელი, დროც რა საოცარი სისწრაფით მიქრის. მეხუთედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს – 29 ივლისს უშენოდ, მზია. სევდისფერი უშენობა ცრემლიან მონატრებად ათოვს შენს ნაფერებ ოჯახს. ვერაფერი ავსებს უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. ძნელია იფიქრო, რომ შენ აღარ გვყავხარ. ჩვენო მზიკუნა, გილოცავთ დაბადების დღეს და პირველი შვილიშვილის დაბადებას, შენ უკვე ბებია ხარ.

რა მწარეა და ტკივილიანი დედისთვის, შვილს ცივ სამარეში მიულოცოს დაბადების დღე. ჩვენ, შენი მშობლები, შენი მეუღლე, შვილები, დედმამიშვილები და შენ გვერდით მდგომი თანამშრომლები მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ ცრემლით დანამულ ყვავილებს და თვალცრემლიანი მოგილოცავთ დაბადების 45-ე წლისთავს. ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი კეთილი სული და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიულობის გზა.

*მშობლები, ოჯახი*

## რაულ რამიშვილის მონატრება



28 ივლისი – შენი დაბადების დღე, მეორედ გვითენდება უშენოდ, ჩემო უსაყვარლესო შვილო, რაულ!

56 წლისა გახდებოდი, მაგრამ ვაი, რომ აღარ დაგცალდა. მოსკოვში დალიე სული. თბილისის მიწას მოაბარეთ შენი ნეშტი სამარადჟამოდ. მამის საფლავი კი აფხაზეთში დაგრჩა. მამაშენისგან მოყენებული ჭრილობა თქვენ, შვილებმა მოშუშებინეთ, მაგრამ შენით დაკოდილი გული არასოდეს გამთელდება, ჩემს თვალზე ცრემლი არასოდეს დაილევა. შვილო რაულ, დავდივარ ქუთაისსა და თბილისს შორის, მინდა მოგეფერო, მთელი მიწა გულში ჩავიკრა, მაგრამ ღონემიხდილსა და სასომიხდილს, არ მძალმიძს.

ხანდახან სიზმარში გხედავ. უსაშველოდ გეფერები, მაგრამ წამსვე თვალთაგან გამიქრები და გაუსაძლისი ტკივილი მიღრღნის გულს.

ორი ჯოჯოხეთური წელი იწურება უშენოდ და მაინც არ მინდა დავიჯერო, რომ აღარ მყავხარ. რა დამრჩენია – მხოლოდ სურათები, ნაღვლიანი ღიმილი რომ გიპობს ბაგეს. თითქოს რაღაცას მანიშნებ. ვაი, შენს უბედურ დედას, სიკვდილის ჟამს რომ არ იყო შენთან. იქნებ როგორმე ჩემს უზომო სიყვარულს გადაერჩინე. ჩემო რაულ, ჩემს ყოფას უშენოდ რა ფასი აქვს, მაგრამ სიცოცხლე მაინც გრძელდება. შენი ცოლ-შვილი დაბრუნდა, ისინი ყოველთვის მოვლენ შენს საფლავზე. არც შენი და-ძმა მოგაკლებს ყურადღებას, ყველა ერთად მოვალთ შენს საფლავზე და მოგილოცავთ დაბადების დღეს. კურთხეული იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა აწ და მარადის.

*შენი გულდამწვარი დედა გულნარა*

## გალაქტიონ კობერიძის გახსენება



31 ივლისს 6 წელი სრულდება, რაც შენ დაგვტოვე, ჩვენო საყვარელო მამა და ბაბუა. ძალიან გვიყვარხარ და გვაკლიხარ, გვენატრება შენი ალერსი და დარიგება. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

იმ ქვეყნად ილოცე, აქ დარჩენილი შენთვის საყვარელი შვილების, შვილიშვილებისა და საყვარელი ადამიანების სიცოცხლისათვის, ჩვენ კი აქედან ვილოცებთ შენი სულისთვის.

*შვილები და შვილიშვილები*

## გურამ ასლამაზიშვილის მონატრება



სამი ტანჯული წელი გავიდა, რაც ჩემ გვერდით აღარ ხარ, ჩემო საყვარელო შვილო გურამ. ახლა უკვე 26 წლის მეყოლებოდი. სამი წელი ვითმინე გამწარებულმა დედამ და რომ არ გაგსაუბრებოდი, აღარ შემეძლო.

ყოველთვის მეუბნებოდა, რომ არაფერში შეცდებოდი, დარიგება არ გჭირდებოდა, მაგრამ ხომ იცი, რომ დედის გული ყოველთვის გრძნობს უბედურებას, ამიტომაც იმ დღეს, სახლიდან გასვლის წინ გთხოვე, – გურამ, გეხვეწები, ნასვამს არავის ჩაუჯდე მანქანაში-მეთქი. შენ კი შენი ლამაზი და მოღიმარი სახით შემომხედე გაკვირვებულმა, ამას როგორ მეუბნებიო, – მითხარი და სიცილით ჩაირბინე კიბე... წახვედი და სამუდამოდ მიმატოვე. ხათრით ამხანაგს უარი ვერ უთხარი და თავი დაიღუპე, ჩემი თხოვნა არ შეასრულე. რატომ, შვილო, რატომ? რატომ არ იფიქრე შენს უბედურ მშობლებზე?! ახლა რა ვქნათ საცოდავებმა, ვის მოვთხოვოთ პასუხი?

მაპატიე, რომ გსაყვედურობ. ალბათ ამიტომაც დამესიზმრე და პატიება მთხოვე, თვალებში ვეღარ მიყურებდი. ვინ იცის, გურამ, იმ სასიკვდილო წუთებში როგორი გაწვალებული იყავი, როგორ გიჭირდა. ინატრე დედა, მამა, და-ძმა და ალბათ როგორ ნანობდი. მოგიკვდეს დედა! შენ ხომ ჩემი პირველი სიხარული იყავი. დავდივარ ოთახებში, გაოგნებული ვუყურებ შენს სურათებს, ვკოცნი და ვეფერები შენს ტანსაცმელს, თვალებით გეძებ შენს მეგობრებში, შენი ლამაზი სახის დანახვას ვნატრობ, მაგრამ არსად ჩანხარ.

ახლა შორს ხარ ჩემგან, ვერ გივლი, იმ ტკივილს ვერ გიშუშებ. არ გეგონოს, გიღალატე. მოვა დრო, შევხვდებით ერთმანეთს და აღარასოდეს დაგტოვებ მარტო, აღარსად გაგიშვებ და სულ გვერდით მეყოლები.

ნუ მიწყენ, თუკი შენს თამუნას და ჯაბას ხანდახან გავუღიმებ. ისინი ჩემ გვერდით არიან, შენ შორს ხარ, მაგრამ ჩემს გულში იქნები ყოველთვის და შენთვის დავღვრი ცრემლს.

ყველას ენატრები, ჩემო ნათელო და ულალატო ბიჭო, ნათელში იყავი. მუდამ იცოცხლებ შენი მშობლების გულსა და ფიქრში. გჯეროდეს, შენთვის ვილოცებ და გზას დაგილოცავ დიდ მარადისობაში, ჩემო ღირსეულო შვილო.

*შენი გამწარებული ოჯახი*

## ზურაბ ბერძენიშვილის გახსენება



40 ტკივილიანი დღე გასრულდა, ზუკა, იმ ავბედითი ღამიდან. დღეს კი, სიკვდილის იასამნისფერი აურა დასდგომია შენს წმინდა საფლავს – ჩვენთვის უკვე ძვირფასს და ახლობელს. გვიყვარხარ, გვახსოვხარ და საშინლად გვტკივა გული, ჩემო ზურიკ! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ალალი სული. მინდოდა, რაღაც ძალიან ლამაზი მეთქვა, მოგფერებოდი ასე შორიდან, მაგრამ...

მშვიდობით, ჩემო ბავშვობის მეგობარო, მართლა ძმასავით ძვირფასო და საყვარელო!

*გიორგი ყურაშვილი ოჯახით*

## გრიშა კალანდიას მონატრება



26 ივლისს 19 წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. დღესაც დიდი სიყვარულით მოგიხსენიებს ყველა: შენი შვილიშვილები – რომლებსაც არ უნახავხარ და ისე უყვარხარ, რომ როცა თავისი სიმართლის დამტკიცება უნდებათ, შენ გიფიცებენ; დედა, რომელიც ასე ადრე დაქვრივდა და მძიმე ტვირთი დაკისრა. მან შენი მოვალეობაც და თავისიც პირნათლად შეასრულა. ახლა ორივე შვილს ჩვენ-ჩვენი ოჯახი გვაქვს და ცხოვრება თავისი გზით მიდის.

ნათელში იყოს შენი ლამაზი სული. ჩვენ კი ყოველთვის სანთელს დაგინთებთ, რომ გზანათელში იყო.

*მეუღლე, შვილები და შვილიშვილები*

## თორღვა არაბულის მონატრება



თოღო! დიდო სიყვარულო და დიდო ტკივილო, უკვე 7 თვე გავიდა იმ ავბედითი დღიდან, როცა შენი ლამაზი სიცოცხლე შეწყდა. მძიმეა იმ ტკივილის და მწუხარების განცდა, რაც შენმა სიკვდილმა გამოიწვია. 19 წლის ბიჭმა გაუხარელი გული და აუხდენელი ოცნება გაიყოლე თან. რაოდენ დასანანია შენისთანა ვაჟკაცის მიწაში ჩაძინება, შენ ხომ ყველას განურჩევლად უნაწილებდი გულის სითბოს და სიკეთეს. გვიმძიმს, თოღო, ძალიან გვიმძიმს უშენობა. გული მიღონდება და ვწერ, ვერაფრით ვეგუები იმ აზრს, და სიცარიელეს, რასაც უშენობა ჰქვია, მარმარილოს ქვიდან მომზირალი შენი თვალები ვერაფერს შველის ამ დარდსა და წუხილს.

თოღო, შვილო, ვევედრები უფალს, მოგანიჭოს სულის სიმშვიდე. აქ კი ჩემს პატარა კობას, რომელსაც მოაკლდა შენი ესოდენ საოცარი სითბო და სიყვარული, არასოდეს დავავიწყებ შენს სახელს.

ახლა, 5 აგვისტოს შენი დაბადების დღეა, 20 წელი გისრულდება, გულდამძიმებული და სევდამორეული...

*„ცაშა, სამყაროში ვილოცავ. უფალმა დაგადგას ნათელი, შენს სულს სავალ გზას უნათებდეს ჩემგან დანთებული სანთელი".*

*გულისტკივილით, ბიცოლა – ქეთევან მამადაშვილი*

## მამუკა გადახაბაძის ხსოვნას!



კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია სიტყვები, რომელიც ყველა გრძნობას გამოხატავს. ათი წელი გავიდა ჩვენი თბილი, ლამაზღიმილიანი მამუკას გარეშე. ყველაფერი ხუნდება სიყვარულისა და ხსოვნის გარდა.

*მშობლები და ყველა – ვისაც უყვარხარ და ახსოვხარ*

## კახა რეზოს ძე ბერიძის გახსენება



*„სიკვდილო, კარის მიკვლისთვის ნეტავ ვინ გეწყოს ქისა..."*

ერთი წლის წინ, 28 აგვისტოს, მარიამობას, 7 ადამიანი ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიაში. მათ შორის ერთ-ერთი შენ იყავი, საყვარელო კახა. სამუდამოდ გამოეთხოვე შენს საყვარელ ცოლ-შვილს, მშობლებს, თანატოლებს, ახლობლებს. დაგვიტოვე ტკივილიანი სევდა, ცრემლიანი თვალები და დიდი სინანული, ასე უდროოდ განშორების გამო. გასაზრდელი დაგრჩა ტყუპი – წლის და 3 თვის მარიამი და ქეთევანი, ასევე 3 თვის პაწია თამარი. როგორ შეხაროდი და ელოდი მათ გაზრდას, პირველ წარმოთქმულ ბგერებს და პირველ ნაბიჯებს; უშენოდ აიდგეს ფეხი, ჯერ ტყუპმა და ახლა თამარმა. შეუცნობელი სიყვარულით ეპოტინებიან შენს გადიდებულ სურათებს და რძემოუშრობელი ტუჩებით „მამა-მამას" ჩურჩულებენ. მხარი მოსტეხე შენს ერთადერთ ძმას, იმედი წაართვი შენს გაუბედურებულ მშობლებს, უნუგეშოდ დატოვე მოხუცი ბებია-პაპა და ყველა ძაძებში გაგვხვიე.

სექტემბერში შეუღლებიდან 2 წლისთავი უნდა შეგვსრულებოდათ. ამ მცირე დროში, ნინოს და-ძმებს და მშობლებს, თავი შეაყვარე შენი ხალასი, ლაღი იუმორით და მოზომილი საქციელით. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. შენს მონატრებას ისიც ემატება, რომ შენი ობლები და საბავშვო ბაღიდან შენი თანშეზრდილი, ამჟამად შენგან მიტოვებული ნინო, შენმა მშობლებმა თან წაიყვანეს საზღვარგარეთ. გამწარებულმა დედაშენმა შენს ცხედართან დაიფიცა, – შენს ცოლს შენ მაგივრად მე გავანებივრებ და შენს შვილებს ისე დავზრდით, უმამობას არ ვაგრძნობინებთო.

26 ივლისს 29 წლისა უნდა შესრულებულიყავი, მაგრამ უძღეველმა და ულმობელმა სიკვდილმა და ბედისწერამ, 28 წლის მარადისობა გარგუნა. ასე ახალგაზრდა, ლამაზი და ვაჟკაცური დარჩები ყველას ხსოვნაში.

ნათელში ამყოფოს შენი უბოროტო და კეთილი სული უფალმა. ჩვენ კი, ამქვეყნად დროებით დარჩენილები ვილოცებთ შენი სულის ხსოვნისათვის და დაგინთებთ სანთლებს, რათა გზა გაგინათოს ზეციურ სასუფეველში.

*დავით და იზოლდა ქავთარაძეების ოჯახი*

## იასონ (იაშა) გენაძის და ქსენია ჩუბინიძის ხსოვნას!



26 ივლისს შესრულდება ხუთი წელი, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძვირფასო მამა. დედა ქსენიას სულმა კი შვიდი წელია, მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლა. დარწმუნებული ვართ, რომ მფარველობას გიწევთ თქვენი ღვთისნიერი, კაცის ხელისგან აღსრულებული შვილიშვილი გიორგი. გვახსოვხართ და გვენატრებით, ვერავითარი დრო თქვენს თავს ვერ დაგვავიწყებს. ღმერთის შეწევნით თქვენი ნათელი სულები გვამხნევებს და გვაძლევს ძალას ამქვეყნიური არსებობისას.

*შვილები – გულნაზი, ინეზა, გურამი*

## ამირან (თენგო) და ამირან ახალაიების გახსენება



უკვე მეცხრამეტედ მოდის ზაფხული უშენოდ, ახლოვდება შენი დაბადების დღე, რომელიც ყველას საოცრად გვიყვარდა. ჩვეულებრივამებრ მოგაკითხავენ ახლობლები და მეგობრები, რომელთაც ვერ უწამლა დრომ, ვერ გაუნელა შენი არყოფნით გამოწვეული ტკივილი და მონატრება. კვლავ 24 წლისა დარჩი, ლაღი, თბილი, უპრეტენზიო, სიკეთით და იუმორით სავსე. შენი სიყვარული ყველას გვათბობდა, შენი სიწმინდე დიდხანს გვეყოფა მაგალითად.

უკურნებელმა, ამოუხსნელმა სენმა წაგვართვა შენი მშვენიერი სიცოცხლე. სიკეთით სავსე შენმა მამამ ვერ გაუძლო თავს დატეხილ უბედურებას და სრულიად ახალგაზრდა მალევე შენკენ გამოემართა. შენი ერთ დღეში დაბერებული დედა კი, დღემდე ვერ პატიობს თავს, რომ ცოცხალი დარჩა. ნუგეშად მხოლოდ ის გვაქვს, რომ შენი ნათელი სული უფალთან არის, სიყვარული და სიკეთე კი, რომელიც შენ შეგვასწავლე და დაგვიტოვე, არასოდეს დამთავრდება.

*შენი ოჯახი*

## ლაშა მარგიანის გახსენება



ლაშა ბიძია! უკვე ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შენს დაბადების დღეზე სამუდამოდ დაგვემშვიდობე.

გავიზარდეთ და მივხვდით, რომ კიდევ უფრო მეტად გვიყვარხარ, ვიდრე მაშინ, როცა გვერდით გვყავდი. ახლა ვიცით, რომ შენი ლამაზი სულისთვის გვიყვარდი, შენი ვაჟკაცობისთვის გვიყვარდი, შენი თბილი და კეთილი ბუნებისთვის გვიყვარდი. უკვე შეგვიძლია, გავიგოთ შენი ლექსების ყოველი სიტყვის აზრი და ფიქრი, შენი ლექსებით ვსწავლობთ ცხოვრებას და ვიცით, არასოდეს შევრცხვებით. არც ჩვენ შეგარცხვენთ. ოცნებობდი, ბიჭებს კარგად გვეჭიდავა. ლაშა ბიძია, გიხაროდეს, შენს დაბადების დღეს, 24 ივლისს, შენს საფლავზე ჭიდაობაში მიღებული თასებით და მედლებით მოვალთ. გავიზრდებით, ვიცხოვრებთ და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*ლაშა, გოგა და მაედა მარგიანები*

## დათო ნადირაშვილს!

23 ივლისს დაბადების 55 წელი უნდა მოგველოცა შენს ოჯახს განსაკუთრებულად, მაგრამ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ძალიან გვენატრები. შენი შვილები – მარიამ-ლელა, ნათია, სოფო შენს სახელს იფიცებენ. გვიჭირს უშენობა, შენი ოჯახი უშენობას განიცდის.

შენს სახელზე ყოველთვის ინთება სანთელი და ვლოცულობთ.

ნათელში იყავი. გეფერებით და გვეამაყება შენი სახელი – დათო ნადირაშვილი.

*შენი მარიამ-ლელა, ნათია, სოფო; შენი ოჯახი*

## მიშა ქობალიას მონატრება



ჩემო მიშა, ყოველთვის გიხაროდა 3 ივლისის მოსვლა, ჩემი დაბადების დღე, მაგრამ ვაი, რომ 20 ივლისს 3 წელი ხდება ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდის შემდეგ. დაიძინე და 20 ივლისი შენთვის აღარ გათენდა. 3 წელია, ყოველი დღე ჩემთვის ტკივილიანი და ცრემლიანია. მიჭირს უშენობა, კეთილო და ერთგულო. აკლიხარ ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს. გვატყვია უშენობა, მაგრამ რა ვქნათ?! – განგებამ ასე ინება.

ისღა დამრჩენია გითხრა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩვენო დიდო ტკივილო.

*შენი ელისო, ვეფხია და ზვიადი*

## ვაჟა (ზაზა) დანელიას მონატრება



უსაზღვროდ ენატრები, შვილო ზაზა მამას – ნოდარს, დედას – ვერიკოს, დას – ლიას, დისშვილებს – გიორგის და ირინას, სიძეს – რომანს, ბიძებს, დეიდებს, მამიდებს, ბიძაშვილებს, დეიდაშვილებს, მამიდაშვილებს, ნათესავებს, მოყვრებს, ამხანაგებს, მეგობრებს, ძმაკაცებს, კოლეგებს, თანაკლასელებსა და მეზობლებს.

უდროო და მოულოდნელი იყო შენი წასვლა ამ ქვეყნიდან, რითაც განუსაზღვრელი მწუხარება დაგვიტოვე. ძალიან გვაკლიხარ თვალთახედვაში, გვენატრები.

გვჯერა, სამოთხეში ხარ, უსპეტაკესი სულის გამო. ამბობენ: სიკვდილს თავისთან რჩეულები მიჰყავსო. რჩეული იყავი შენ ჭაბუკთა შორის. სიკვდილი რომ არა, ვინ იცის რა სახელოვანი კაცი იქნებოდი დღეს. როგორ გვგავხარე ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ – საქართველოს ნაკრებში – ჭიდაობაში.

გვახარებდა შენი გამარჯვებები, წინსვლა ცხოვრების სარბიელზე. დიდი და კარგი მომავალი გელოდა, მაგრამ დაგვენგრა ოცნების ციხე-კოშკები.

ძვირფასო შვილო ზაზა, შენ მხოლოდ თვალს მოაკლდი, თორემ გულებში ისევ დარჩი, შენ ხომ 40 წლის წახვედი ამ ქვეყნიდან. 40 გაზაფხულს მოესწარი, ზაფხულს – ვეღარ. ყოველი 26 ივლისი შენი ოჯახისათვის ტკივილისა და მონატრების დღე იქნება, შენ დღეს 43 წლის გახდებოდი.

ზაზა – ჩვენო საყვარელო, უძვირფასესო, უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული. დაბადების დღეს გილოცავთ.

დედას და მამას ისღა დაგვრჩენია, საფლავზე მივიდეთ და ყვავილებით გავალამაზოთ შენი მარადიული სასუფეველი.

*ნოდარი, ვერიკო, ლია, გიორგი, ირინა*

## ვაჟა ქანთურიას ხსოვნას!



ცხრა ტკივილიანი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. როცა ძალიან გინდოდა სიცოცხლე, მაშინ წახვედი სამუდამოდ.

გვიმძიმს უშენოდ, გვენატრები ძალიან. გვენატრება შენი სითბო, მზრუნველობა. შენ ხომ თავდადებული მეუღლე, მამა და ბაბუა იყავი. რაც დრო გადის, უფრო მწვავედ ვგრძნობთ უშენობას.

უფალს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი სული, ჩვენო საყვარელო მამიკო.

*შვილები*

## როლანდ ცხვიტავას!



როგორც სიცოცხლეში გეფერებოდი, ახლაც ისე ვეფერები შენს საფლავს. გასულმა 5-მა წელმა უფრო გამიმძაფრა მონატრების ტკივილი. მენატრები უსაზღვროდ!

24 ივლისს შენს საფლავზე ამოვალთ ყველანი: შენი ახლობლები, მეგობრები. მოგიტანთ უამრავ ყვავილს, დაგინთებთ სანთლებს, წაგიქცევთ ჭიქა ღვინოს, შენს სახელზე გავცემთ მოწყალებას და დავაპურებთ უპოვართ. იქნება დედის მოთქმა, მრავალი ცრემლი, მაგრამ შენი იუმორის, კურიოზების გახსენებაც და სევდანარევი სიცილიც, რადგან შენ სიცილის დიდოსტატი იყავი. შენთან კი იქნება ზაზა – ჩვენი ნაფერებ-ნალოლიავები ძმიკო, რომელმაც ვერ გადაიტანა შენი ტრაგიკულად დაღუპვა და მეექვსე თვეს შენთან წამოვიდა, ისიც შენსავით დაუქორწინებელი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული, ძმიკო!

*შენი დაიკო*

## ნანა უნდილაშვილის მონატრება



მესამე წელია, შენი დაბადების დღე უწვეულოდ აღინიშნება, ნანა დეიდა.

როგორ არ მინდა რეალობის დაჯერება, მაგრამ სად ხარ ამდენი ხანი? ძალიან, ძალიან მომენატრე და ძალიან მჭირდები. მიჭირს ფიქრი, წერაც, რადგან გულის წუხილსა და ტკივილს ენა ვერ გადმოსცემს. ყოველი სიტყვა უბრალოდ და არაფრისმთქმელად მიმაჩნია, იმ დიდ ტკივილსა და მონატრებასთან შედარებით, რასაც გულით ვატარებ.

ნანა დეიდა, ჩვენი დიდი ოჯახის სახელით გილოცავ დაბადების დღეს, 39 წელს. რაც კი რამ სიკეთე არსებობს იმ ქვეყნად, სადაც შენ იმყოფები, გისურვებ, რომ შენი ყოფილიყოს. იყავი მშვიდად და მუდამ გქონდეს იმის იმედი, რომ სანამ ჩვენ ვარსებობთ, ყოველთვის გვემახსოვრები და გვეყვარები, შენ რომ გეკადრება ისეთი სიყვარულით.

ძალიან მიყვარხარ, ძალიან მჭირდები და ძალიან მენატრები.

## ავთანდილ შურღაიას მოგონება



დრო ულმობლად გარბის. ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სიცოცხლითა და ენერგიით სავსემ დატოვე აქაურობა და მარადისობაში გადასახლდი.

შენმა დაუდგრომელმა, მოუსვენარმა ხასიათმა, ცხოვრებით ტკბობის სიყვარულმა ბევრი კეთილი მოსაგონარი დაგვიტოვა, რასაც არასოდეს დაივიწყებენ შენი ოჯახი, მეგობრები, ახლობლები.

მშვიდად განისვენე.

*მეუღლე, შვილები, შვილიშვილები*

## ვახტანგ ხათაშვილის გახსენება

... გილოცავ დაბადების დღეს!



დღეს ხომ 26 ივლისია და შენც 5 წლის გახდი; მაგრამ ვაი, რომ ყოველთვის 1 წლის და 6 თვის იქნები ჩვენთვის და ვინ იცის, კიდევ რამდენი 26 ივლისი ჩაივლის უშენოდ, კიდევ რამდენჯერ მოგილოცავ ამ წუთისოფლიდან შენს სამყოფელში დაბადების დღეს და კიდევ რამდენჯერ აგვატირებს შენი გახსენება...

რამდენჯერ მინატრია შენი ხმა, შენი სახე, შენი ხელები, შენი მოფერება და შენი დაძახებული „დედა", მაგრამ მონატრება გონებაში მძიმე ღრუბელივით წვება; ხან მთელ გონებას ნისლად მოედება, მაგრამ იმის გათვითცნობიერება, რომ მოგონება მოგონებად დარჩება, ძალიან ძნელია.

გვიჭირს უშენობა!

*ამ კედლის ბზარებს თუ დაფარავს შენი სურათი,*
*ჩემს გულის ბზარებს ვერ დაფარავს ვერც დროთა ქროლა,*
*მე მონატრებას კვლავ დავარქვი შენი სახელი*
*და ჩემს სიზმრებში შენი სახე წარსულთან მოვა.*
*მიფრინავს დრო და კვლავ ვაბიჯებ მიწას ეულად,*
*ცასაც ელვარე ლურჯი სხივი სწყდება შვეულად,*
*ამ ცრემლებს ისევ შენ მოგიძღვნი, ჩემთვის ჩვეულად,*
*მე უშენობამ აქ დამტოვა მარტოდ, წყეულად.*
*უშენოდ გავლილ ერთ წუთსაც კი არა აქვს ფასი,*
*დრო ნელა გადის ან თუ ჩქარა, აღარ აქვს აზრი,*
*მე მარტოობას მარადიულს დავარქვი ბავშვი,*
*მეგობარია ახლა ჩემთვის ცრემლი და დარდი.*
*გაფრენილ წუთებს ვერ მიბრუნებს ვერც ქარიშხალი,*
*ვერც მონატრება ვერ მიბრუნებს ჩვენს ერთად ყოფნას,*
*შენ რომ წახვედი, მიმატოვე, მოვიდა დარდი;*
*ეს ის დარდია, რასაც ჰქვია უშენოდ ყოფნა.*

*ვახოს – დედისგან*

## რომან გაბრავას გამოსათხოვარი



მეხი გავარდა მოწმენდილ ცაზე, ამაზრზენი ცნობა მოვიდა თბილისიდან – ცოცხლებში აღარ არისო რომანი.

ფეხზე დადგა დიდი და პატარა. შენ ხომ ის ადამიანი იყავი, რომელსაც გვეგონა, სიკვდილი ახლოს არ მიეკარებოდა.

ასეთ ძლიერ ვაჟკაცს, რა ჩიტის გული გქონია, ბიჭო! როგორ გიღალატა და როგორ დაგტოვა ბედის ანაბარა, საოპერაციო მაგიდაზე. თბილისისაკენ მიმავალს, გზა დაგილოცეთ და შინ მშვიდობით დაბრუნება გისურვეთ, შენი წასვლის შემდეგაც უფალს შენს თავს ვავედრებდით. შენი ოპერაციის დღეს, მთელი ქუჩა დაძაბული იყო. სასოებით მოველოდით ოპერაციის დასასრულს. იმ დროს კი, თურმე შენი ბედისწერის წიგნში ბოლო ფურცელი იწერებოდა, რომან!

შენ საუკეთესო თვისებებით იყავი დაჯილდოებული, ამიტომაც გყავდა უამრავი მეგობარი. ამ დღეებში დავრწმუნდით, რომ შენ გამორჩეულად უყვარდი ყველას – ყველას სატკივარის გამზიარებელი, ყველასათვის იმედი და გვერდში მდგომი, ყველას ქომაგი და დამცველი, ჭეშმარიტი, ხალასი და უანგარო.

როგორ გაიმეტე შენი ოჯახი, შვილები, და-ძმა, მეგობრები... როგორ მიგვატოვე ჩვენ, შენი მეზობლები. ვაგლახ! როგორ გაგვიჭირდება უშენოდ! შენი მოყვასისადმი სიყვარულით, შენი სიკეთით, შენი მჭევრმეტყველებითა და იუმორით, მძიმე ცხოვრების რეალობას გვავიწყებდი. შენ სხვა ხიბლი გქონდა, სხვა სული, სხვა კაცი იყავი, რომან! ნამდვილად საოცარი და განუმეორებელი.

ნათქვამია, ადამიანს ორი სახელი უნდა ჰქონდეს, ერთი აქ დასარჩენი, მეორე კი თან წასატანიო.

ამაზე პოეტის სიტყვებით გეტყვით:

*„აქაც კარგი კაცი იყავ,*
*იქ ნათელი დაგადგესა".*

მშვიდობით!

*მეზობლები*

## ბესარიონ აივენგოს ძე ნიშაბერაშვილის გახსენება



25 ივლისს ექვსი წელი შესრულდა, რაც ტრაგიკულად წახვედი ამ ქვეყნიდან. ძლიერ გვაწუხებს შენი არყოფნით გამოწვეული გულისტკივილი.

ენატრებათ ბესო ძია ჩემს შვილებს. დღემდე გაჰყურებენ შენს ნაბიჯებს, სიცოცხლის ლანდად ქცეული ჩვენი მშობლები.

გაუსაძლისია უშენოდ ჩვენი ცხოვრება.

მუდამ გვეყვარები და გვემახსოვრები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი და ნინო*

მეზობლები თანაუგრძნობენ *დარეჯან ხუროშვილს*, ძმის გარდაცვალების გამო.

ღმერთმა აცხონოს განსვენებულის სული.

# ღამის საშინელებები არგენტინაში



2005 წლის თებერვალ-მარტში რამდენიმე არგენტინულ გაზეთში თითქმის ერთდროულად დაიბეჭდა სტატიები სათაურით — „საშინელება სანტა-ფეში", „ეშმაკი ფანჯარაში" და სხვა. იტყობინებოდნენ, რომ პანიკამ მოიცვა ქალაქ სანტა-ფეს მოქალაქეები. ეს ქალაქი ბუენოს-აირესიდან 400 კმ-ითაა დაშორებული.

არსებას, რომელიც თავზარს სცემს ქალაქელებს, სხვადასხვაგვარად აღწერენ, მაგრამ ყველანი ერთხმად აღიარებენ მის წარმოუდგენელ შესაძლებლობებს: დახტის სახურავიდან სახურავზე, ფეხის დაკვრით ხტება ქუჩის მეორე მხარეს, ადის კედელზე... პოლიციამ უკვე ასობით შეტყობინება მიიღო, ასე რომ, წესრიგის დამცველები იძულებული გახდნენ, გამოეცხადებინათ ამ ფანტასტიკური აკრობატის ძებნა.

თავიდან, ცხადია, უცნობმა არსებამ ყველას გაახსენა „ჯეკი მხტომელი", რომელიც ლონდონს ვიქტორიანულ ეპოქაში ატერორებდა ან — ადამიანი-მაიმუნი, რომელიც თავზარს სცემდა ინდოეთს. მაგრამ შემდეგ დაასკვნეს, რომ ეს ასოციაციები მცდარი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ არგენტინაში არ არის ადამიანთა მსხვერპლი!

რას ჰყვებიან თვითმხილველები? სიმაღლით ეს არსება ორი მეტრია. აცვია შავები, თავზე ჩაფხუტი ხურავს. ხტომა შეუძლია მინიმუმ ხუთ მეტრ სიმაღლეზე და ათი — სიგრძეზე. ყოველთვის მალავს სახეს. თუმცა ბევრს უნახავს მისი წითლად მანათობელი თვალები.

2005 წლის 1-ელი მარტიდან მოყოლებული, შერიფმა გაბრიელ ლეგსტრამ სხვადასხვა რაიონში 18 ოპერჯგუფი გაგზავნა შეშფოთებული ხალხის დასამშვიდებლად.

— ისეთი არაფერი მომხდარა, — ამბობს შერიფი, — „ის" თავს არავის დასხმია. მერე რა, რომ სახურავებზე დახტის კალიასავით და ფანჯრებში იხედება!

მოქალაქეები კი არ მშვიდდებიან. ორმეტრიანი „კალიის" დაჭერა არ ხერხდება, მას უკვე უწოდებენ „ფანტომს", „აჩრდილს" და ა.შ....

პანიკამ მაშინ იმატა, როცა გავრცელდა ხმები, რომ მისტიკურ არსებას ტყვია არ ეკარება, ხოლო თუ ვინმე იარაღს დაუმიზნებს, მისი თვალები წითლად იწყებს ნათებას. ელ-არენალის მცხოვრებმა 17-ჯერ ესროლა იდუმალ არსებას, — თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. „აჩრდილი" განაგრძობდა ხტუნვას და მხეცივით ყმუილს.

შეშინებულ ხალხს მიაჩნია, რომ უცნობი ფლობს ზებუნებრივ უნარს და შეუძლია, ადვილად აღმოჩნდეს სახლში, ჩაიდინოს ნებისმიერი ბოროტება. ამიტომ მოსახლეობა დანებითა და ჯოხებით აღიჭურვა. ერთ-ერთმა ქალმა თქვა, — ამ ეშმაკმა თითი მომილერა და კარგა ხნით დამადამბლავაო.

სხვა თვითმხილველი ჰყვება, რომ 2005 წლის 28 თებერვალს, თავსხმა წვიმის დროს, „ფანტომმა" შეძლო დაებლოკა იმ ავტომობილის კარები, რომელშიც შვიდი „ეშმაკზე" მონადირე შეიარაღებული მგზავრი იჯდა. პოლიცია აფრთხილებს მოსახლეობას, რომ არ არის საჭირო რაიმე აგრესიის გამოვლენა, მაგრამ დაუჯერებელი ამბები, რომელსაც ქალაქში ჰყვებიან, უფრო მოქმედებს, ვიდრე პოლიციელების გაფრთხილებები. ეს განსაკუთრებით ეხებათ სენტენარიოს და სან-ლორენცოს რაიონებს. აქ შეიარაღებული მამაკაცები ყოველღამე გამოდიან „აჩრდილის" დასაჭერად.

2005 წლის 1-ელ მარტს ერთ-ერთ მოქალაქეს ისეთი თავზარი დასცა უცნობმა, რომ ქალის განწირული კივილი მთელ ქუჩაზე ისმოდა. იგი აბაზანაში აბანავებდა თავის პატარა ბიჭუნას, როცა აჩრდილმა მისი ფანჯრის მინას შუბლი მიაბჯინა. მრისხანედ მიაშტერდა ქალს და ბრჭყალებიც გამოაჩინა.

მეორე თვითმხილველმა დაადასტურა, რომ „ფანტომს" წითელი თვალები აქვს: „იგი მაღალი, გრძელფაფრიანი მამაკაცია, თავიდან ბოლომდე შავით მოსილი". მან ნახა (და მისმა ზოგიერთმა მეზობელმაც), როგორ ისკუპა ფანჯარასთან მდგომმა არსებამ სახურავზე და ხტომა-ხტომით გადაევლო სახლებს.

— მაგრამ აგვიხსენით, — დაჟინებით ეკითხებოდნენ მას გაზეთის კორესპონდენტები, — როგორ შეძლო ამომძვრალიყო 6-მეტრიან გლუვ კედელზე?

— როგორ შეუძლია ერთი ნახტომით მოხვდეს ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე, თუკი მართლაც ეშმაკი არ არის? — შეკითხვაზე შეკითხვით უპასუხა მოქალაქემ.

შერიფი ლეგსტრა:

— 3 მარტს იმ რაიონს ვეწვიე, სადაც „ფანტომი" უნახავთ და შევეცადე გამომეკითხა მობინადრეები. მიამბეს, რომ ოთხი ღამეა, მუდმივად ხედავენ „ფანტომს". როგორც ამბობენ, ერთსა და იმავე დროს ის სამ სხვადასხვა ადგილზე იხილეს... რაც სრულიად დაუჯერებელია. ისღა დაგვრჩენია, ვივარაუდოთ, რომ არსებას შეუძლია სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდეს თვალის დახამხამებაში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას აქვს ტელეპორტირების უნარი, ანუ უნარი, აღმოჩნდეს სხვადასხვა ადგილას ერთსა და იმავე დროს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ, ამგვარი არსება რამდენიმე ყოფილა ქალაქში.

შერიფს ამგვარი რამეებისა არ სჯერა. ერთადერთი, რაც მას აშფოთებს, ის არის, რომ ამ ფსიქოზმა ეპიდემიის სახე არ მიიღოს. პანიკის დროს ადამიანი, რომელსაც ხელში ცივი იარაღი ან კეტი უჭირავს, ნებისმიერ საქციელს ჩაიდენს. შერიფი ურჩევს მოსახლეობას, თავი ანებონ პატრულირებას და მისცენ საშუალება პოლიციას, შეასრულოს თავისი მოვალეობა. უკეთესი კი იქნება, თუკი საერთოდ არ გამოვლენ ღამღამობით სახლებიდან.

ხალხმა მართლაც იკლო სანტა-ფეს ქუჩებში ღამის საათებში...

**ნლო №27**

# ელდით მორჩენილი

ეს დაუჯერებელი ამბავი ამ ათიოდე წლის წინ ჩემს უახლოეს მეგობარს შეემთხვა. მარიკა მაშინ 23 წლის იყო, ინსტიტუტს ამთავრებდა. თანაკურსელი ბიჭი უყვარდა, მასზე ორი წლით უფროსი მამუკა. ისიც არ იყო თითქოს გულგრილი გოგოს მიმართ — ყურადღებას არ აკლებდა და მის სახლში სტუმრობასაც მოუხშირა. ჩემი მეგობარი ბედნიერი და სახეგაცისკროვნებული დადიოდა, ელოდა, დღეს არა, ხვალ, მამუკა სიყვარულში გამოუტყდებოდა, მაგრამ...

სადიპლომო გამოცდების ჩაბარების შემდეგ მამუკა ტკბილეულითა და ყვავილებით ხელდამშვენებული ესტუმრა მათ ოჯახს და მარიკას მშობლებს უმცროსი ქალიშვილის — ეკას ხელი სთხოვა... დასტური თითქმის მაშინვე მიიღო, რადგან უფროსებსაც მოსწონდათ კარგად აღზრდილი ყმაწვილი და ეკასაც დიდი ხნის წინ შევარდნოდა გული დის თანაკურსელზე. მარიკას თავზარი დაეცა, მაგრამ დის ბედნიერებას ხელს ხომ ვერ შეუშლიდა, ამიტომ გაჩუმდა და ბედს დამორჩილდა.

ქორწილი შემოდგომით დანიშნეს. მარიკა ნერვიულობისგან ორ-სამ თვეში გაიცრიცა, დაილია და დისა და სიძის ჯვრისწერის დღეს ლოგინად ჩავარდა, ქორწილში მისვლაც ვერ შეძლო. მშობლები ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ თავი დაიიმედეს, ჩამთავრდება ქორწილი და მარიკას სათანადოდ მივხედავთო... მალე გაირკვა, რომ ექიმებისა და წამლების იმედი სულ ტყუილად ჰქონდათ — მარიკას ფეხები წაერთვა და ხეიბრის სავარძელს მიეჯაჭვა. თავდაპირველად დედმამა კიდევ იმედოვნებდა, რომ სასწაული მოხდებოდა და მათი ქალიშვილი წამოდგებოდა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ხელი ჩაიქნიეს.

ამასობაში ეკას გოგონა შეეძინა. ბავშვს თითქოს უფრო უნდა განემტკიცებინა სიყვარულით შექმნილი ოჯახი, მაგრამ პირიქით მოხდა... მამუკა აღარ გახლდათ უწინდებურად მზრუნველი და მოსიყვარულე მეუღლე, გული სულ გარე-გარე მიუწევდა და ხშირად ღამესაც სხვაგან ათენებდა. ეკა იტანჯებოდა, მაგრამ ამ ამბავს მშობლებს არ უმხელდა. მხოლოდ უფროს დას უზიარებდა გულისტკივილს, რადგან მარიკას მუდამ მზად ჰქონდა თანაგრძნობისა და ნუგეშისცემის სიტყვები.

ერთი წლის შემდეგ მამუკა ოჯახიდან წავიდა. ეკამ ორი წლის ნათიას ხელი ჩაჰკიდა და მშობლებთან დაბრუნდა. საბრალო დედ-მამამ ამ დარტყმასაც გაუძლო, ახლა სნეული შვილის გარდა, შინ მობრუნებული ქალიშვილი და მცირეწლოვანი შვილიშვილიც უნდა ერჩინათ. ეკა ყვავილების მაღაზიაში გამყიდველად მოეწყო და რაკიღა ხშირი ავადმყოფობის გამო ნათიას ბაგა-ბაღში ვერ ატარებდა, ბავშვის მარიკასთან დატოვება უხდებოდა. უფროსი დაც სიამოვნებით ატარებდა რამდენიმე საათს ბავშვთან, მხოლოდ იმის დარდი ჰქონდა, რომ ფეხდაფეხ მისი დევნა არ შეეძლო, მაგრამ ნათიაც იშვიათად გადიოდა დეიდის ოთახიდან.

ერთ დღესაც კვლავ ერთად დარჩნენ დეიდა და დისშვილი. ბავშვი კუბიკებით თამაშობდა, მარიკა სავარძელში იჯდა და კითხულობდა, ხანგამოშვებით კი ნათიას გადახედავდა ხოლმე. ოთახში ისეთი სიჩუმე იდგა, რომ მარიკამ ვერც კი შენიშნა, როდის ჩათვლიმა, თუმცა, რამდენიმე წუთში გამოფხიზლდა, თვალებით ბავშვი მოძებნა და... ტანში გასცრა: ნათიას სკამი მიედგა ფანჯარასთან, ზედ აცოცებულიყო და რაფაზე მთელი სხეულით გადაწოლილიყო. ბინა კი მეშვიდე სართულზე მდებარეობდა!

მარიკამ ძლივს შეიკავა კივილი, ბავშვი კი ხელებს იქნევდა და ჭყლოპინებდა. მარიკამ უცებ მთელ სხეულში საოცარი სიმხურვალე იგრძნო. მერე რაღაც ძალამ ფეხზე წამოაგდო. ცოტაც და... ხეიბრის სკამს მოსწყდა, ფანჯარას მივარდა, ბავშვს ხელი სტაცა, გულში ჩაიკრა და იქვე ჩაიკეცა.

მოგვიანებით ექიმებმაც კი ვერაფრით ახსნეს, რა ძალამ წამოაყენა მარიკა ფეხზე. ერთი რამ კი ცხადი იყო, ორი წლის გოგონამ დეიდას სიარული ასწავლა. ნახევარი წლის შემდეგ მარიკა უკვე სხვების დაუხმარებლად დადიოდა.

**ნ.კ., თბილისი**

# შეძახილმა ხე გაახმო

მე რომ დავიბადე, ჩემი მშობლები სტუდენტები იყვნენ და ჩემს აღსაზრდელად ბუნებრივია, არც დრო ჰქონდათ, არც ასაკი და არც შეძლება. ამიტომაც ბებიას წავუყვანივარ რაჭაში და შვიდ წლამდე, ანუ სკოლაში შესვლამდე, იქ ვიზრდებოდი. მშობლები ხშირად მნახულობდნენ, მაგრამ მათ წასვლას ისე მტკივნეულად განვიცდიდი, რომ რამდენიმე დღე და ღამე არ მეძინა ხოლმე. ჩამოსვლა თუ დაუგვიანდებოდათ, შიში ამიტანდა, მეგონა, ველარასოდეს ვნახავდი მათ. ამას ერთვოდა რაჭის მთების უჩვეულო იდუმალება და ახლომახლო უმეზობლობაც. ეს ემოციურობა დიდობაშიც გამიგრძელდა... სიყვარულით გავთხოვდი და ქმარსაც ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ბავშვობაში გადატანილი საყვარელი ადამიანების სიშორის ტკივილი მასთან ურთიერთობაშიც გამოჩნდა და ორი დღით მივლინებაში რომ წასულიყო, მეორე დღეს უკვე ღელვას ვიწყებდი — რაიმე ცუდი მოუვა-მეთქი. ნელნელა ტელეფონის ზარის შიშიც დამეწყო — ცუდი არაფერი შემატყობინონ-მეთქი. ასეთი შეშფოთებული რომ ვხვდებოდი ქმარს, პირველად ეცინებოდა, მერე და მერე ბრაზდებოდა. თანდათან გულჩახვეული გავხდი და ჩვენს ურთიერთობაშიც ბზარი გაჩნდა. ძალიან მინდოდა ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. მაგრამ არაფერი მეშველა...

ერთ დღეს მართლა მოხდა უბედურება... ჩემი ქმარი ინჟინერი იყო, კარკასიდან ჩამოვარდა და... მისმა გარდაცვალებამ თავზარი დამცა. რამდენიმე თვის მანძილზე შვილებიც კი დავივიწყე. დედ-მამის ანაბარა მყავდა მიტოვებული, მე კი მთელი დღე ვიწექი და ჭერს მივშტერებოდი... შვილების, დედ-მამისა და მეგობრების დახმარებით, როგორც იქნა, ფეხზე წამოვდექი და ის იყო, ჩვეულებრივ ცხოვრებას ვუბრუნდებოდი, რომ ერთ დღეს გარეთ გასულ ჩემს ბიჭუნაზე გავიფიქრე, — რა მეშველება, ამას რომ რამე დაემართოს-მეთქი. ვერა და ვერ მოვიშორე ეს შავი ფიქრი. რასაკვირველია, შვილისთვის არაფერი მიგრძნობინებია, მაგრამ შეღერებულ ბიჭს უკან დავდევდი... ერთ დღესაც კამათი მოგვივიდა, ჩანთას ხელი სტაცა, შიგ ტანსაცმელი ჩაყარა და შინიდან გაიქცა. სამი დღის შემდეგ მისმა მეგობარმა დამირეკა, — გოგიტა საავადმყოფოშიაო... ჩემი შვილი კომაში იყო, ერთი თვე მის საწოლთან გავატარე. დავჩერებოდი გოგიტას წამწამებს და მათი მცირე შერხევა ძალას მმატებდა... ერთ ღამეს, საწოლის რკინის რიკულზე თავმიდებულმა, არ ვიცი, თვალხილულმა თუ თვალდახუჭულმა — ბებია დავინახე. სიბრალულით მიყურებდა, მერე დაღონებულმა მითხრა: ბავშვებს მაინც დაანებე თავიო... თოფნაკრავივით წამოვვარდი, ბებიაჩემის ნათქვამი ათასნაირად ვატრიალე, მაგრამ ვერ ამოვხსენი. მაშინღა დავწყნარდი, ბიჭი გონს რომ მოვიდა და ნელ-ნელა ფეხზე დადგა...

ახლა გოგონა ამოვიჩემე — მივაჩერდებოდი და გავიფიქრებდი, — ვინმე ნაძირალამ რომ მომტაცოს, რა მეშველება-მეთქი. მის მოლოდინში ფანჯარას მივეწებებოდი და სანამ არ გამოჩნდებოდა, ქვეყანა რომ დაქცეულიყო, არ მენაღვლებოდა.

ერთ დღეს ისევ იმ დაწყევლილ ტელეფონზე დარეკეს, ნატოზე არ ინერვიულოთ, ჩვენთან არის, სიძეს მალე გაიცნობთო...

სამი დღე ეძება მამაჩემმა ნატოს ასავალდასავალი, მაგრამ ვერ მივაგენით. ერთი კვირის შემდეგ დამიბრუნდა შვილი... მართლა ქურდს და ნარკომანს მოუტაცია სკოლიდან შინ მომავალი. არც კი იცნობდა... ნატოს მეგობრის მეზობელი ყოფილიყო. ერთიორჯერ იმ მეგობართან დაუნახავს და ამოუჩემებია, ცოლად უნდა მოვიყვანოო.

— დედა, ჩემი ბედი ეს ყოფილა. მასთან დავრჩები, თავს შთავაგონე, აუცილებლად გამოვასწორებ-მეთქი, — მითხრა ქალიშვილმა. იმ წუთში, რასაკვირველია, მისთვის არ დამიჯერებია, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩემი სიძე რომ კაცს დაემსგავსა, მივხვდი, ჩემი ქალიშვილი მართალი იყო. მერე თვითშთაგონებით ცუდი ფიქრები მეც შემოვატრიალე და არც არაფერი ცუდი არ მომხდარა. თურმე თვითშთაგონებით შეგვიძლია მომავლის მართვა — ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა, ჩემი ფიქრის ბრალი ყოფილა. ამიტომ ამბობენ, შეძახილმა ხე გაახმოო...

**მ. ტურძელაძე**

## „საზალოლო-სალაღო"
## გვერდის პასუხები

I. სტაფილო

II. მე-8 და მე-5 ერთნაირი ნავებია ერთნაირი მგზავრებით, მე-2 და მე-9 სხვადასხვა ნავია ერთნაირი მგზავრებით, მე-7 და მე-4 ერთნაირი ნავებია, სხვადასხვა მგზავრით.

III. აბა, გამოიცანი

1. — დ); 2. — ბ); 3. — ა); 4. — ბ).

## №30 (460) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №30(460) – ნდობა

**ვინ იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობასა და ნდობას ყველაზე მეტად?** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№30(460) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მთავრობა/მინისტრები | |
| 2 | მართლმადიდებელი ეკლესია | |
| 3 | საქართველოს პრეზიდენტი | |
| 4 | მასმედია | |
| 5 | მსხვილი ბიზნესმენები | |
| 6 | ომბუდსმენი | |
| 7 | ოპოზიციური პარტიები | |
| 8 | საპატრულო პოლიცია | |
| 9 | არასამთავრობო ორგანიზაციები | |

**მკითხველის შეკითხვა**

დაასახელეთ ორი ყველაზე სკანდალური თანამედროვე ქართველი ტელეჟურნალისტი

1. ______

2. ______

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______

______
თქვენი სახელი, გვარი

______
ქალაქი (რაიონი)

______ ასაკი ______ ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში" მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✱ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის შეკითხვასა და «მკითხველის პრემიაში»

№30(460) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 27 ივლისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 28 ივლისის 13 საათამდე.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგში". თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან" ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## №29 (459) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემა საქართველოს ეროვნული ბანკის თხოვნით შევთავაზეთ მკითხველებს. კითხვას — **„ვისი პორტრეტის გამოსახვას ისურვებდით 200-ლარიან კუპიურაზე?"** — 561 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 220 ქალისა და 337 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი-რეიტინგი მონაწილეობდა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა 200-ლარიან ბანკნოტზე ყველაზე მეტად ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტის გამოსახვას ისურვებდა. რესპონდენტთა 37%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. მანვე დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური შეფასება — მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (0.9%) დაუწერა 1 ქულა.

ერთ-ერთი ყველაზე ამაგდარი ქართველი **7.31** საშუალო ქულით პირველ ადგილზეა.

სულ მცირე განსხვავება დაფიქსირდა ექვთიმე თაყაიშვილისა და ვაჟა-ფშაველას მაჩვენებლებს შორის — საშუალო ქულით 7.24, ვაჟა-ფშაველა მეორე ადგილზეა.

რესპონდენტთა 10% კი თვლის, რომ 200-ლარიან კუპიურას ყველაზე მეტად გალაკტიონი დაამშვენებდა.

სულ ბოლო ადგილზე, 2.20 საშუალო ქულით ილია ვეკუაა — რესპონდენტთა 54%-მა მისცა მას მინიმალური შეფასება.

როგორც უკვე იცით, შედეგებს სპეციალური კომისია განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას „კვირის პალიტრის" მკითხველის აზრიც გათვალისწინებული იქნება.




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორები კი არიან 52 წლის **ზურა გურგენაშვილი** და 45 წლის **გელა ფინამძღვრიშვილი** (ორივე თბილისიდან). მათ, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, ნიკო მუსხელიშვილს სამის ნაცვლად — ორი ქულა (მერვე ადგილი) მიაკუთვნეს, ხოლო დიმიტრი ყიფიანს პირიქით — ორის ნაცვლად — სამი (მეშვიდე ადგილი).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 27 ივლისს, 17 საათზე.

**როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა:** პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსხვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX-VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენდენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII-VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII-VI ადგილებს), 4-სა და 5-ს (VI-V ადგილებს) და ა. შ. 8-9-მდე (II-I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსხვავება გვერდიგვერდ მდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებით. მაგალითად 1 და 3 (IX და VII ადგილები), 2 და 4 (VIII და VI ადგილები) და ასე შემდეგ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.

## დამატებითი კითხვის შედეგები

**მკითხველთა უმრავლესობა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით კმაყოფილია...**

**კითხვა: როგორ აფასებთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას — თბილისის მერის პოსტზე ზურაბ ქიაბერაშვილის გიგი უგულავათი ჩანაცვლებას?**




*დამატებით კითხვას 471-მა მკითხველმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**მარინა კახიანი:** — მიჭირს პასუხის გაცემა, რადგანაც ჩანაცვლების მართებულობა საქმემ უნდა გვიჩვენოს. ისე კი უგულავა გაცილებით სიმპათიური და დახვეწილი პერსონა ჩანს, თუმცა ეს როდი ნიშნავს ყველაფერს. უგულავასგან ბევრი დაპირება მივიღეთ, წლების მანძილზე დაგროვილი საქმეც ბევრია გასაკეთებელი დედაქალაქში. ჰოდა, ჩვენც, თბილისელები მისგან ბევრ სასიკეთო სიახლეს ველოდებით.



**გიორგი ასანიძე:** — დადებითად. ვერ ვიტყვი, რომ აქ ჩანაცვლების მეთოდით მოხდა ახალი მერის დანიშვნა. პრეზიდენტის პოლიტიკაა ასეთი: საკუთარი კადრების ერთი წამყვანი პოსტიდან თუ უწყებიდან მეორე, განსხვავებულ სფეროსა თუ უწყებაში გადაყვანა! აღნიშნულს ბუნებრივია აქვს თავისი პლუსიც და მინუსიც. უგულავას მერობას მივესალმები, თუმცა არც ქიაბერაშვილის წინააღმდეგი ვყოფილვარ ოდესმე. მიმაჩნია, რომ უგულავა შესაფერისი კადრია. იგი ენერგიული, მონდომებული ახალგაზრდაა და ბევრი კარგის გაკეთება შეუძლია დედაქალაქისთვის.



**მამუკა ჩარკვიანი:** — ამ ეტაპზე რთულია დასკვნების გამოტანა. გავიდეს ერთი-ორი თვე და შეფასებაც გაცილებით იოლი იქნება. ახლა მხოლოდ ვიზუალურად თუ შემიძლია ყოფილი თუ ახლანდელი მერის შეფასება. ქიაბერაშვილი, როგორც მერი, ე. წ. სამკუთხედითა და ფერად-ფერადი სახლების ფასადებით (რომელიც სხვათა შორის მომწონს) დამამახსოვრდება. ხომ ხედავთ, ქიაბერაშვილმა რალაცით მაინც დაგვამახსოვრა თავი. ვნახოთ, რას იზამს უგულავა. იმედი მაქვს, დედაქალაქისთვის უფრო მეტის გაკეთებას შეძლებს...

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი.

იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 25 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 20 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 15 ლარს. გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **იზო რიკაძე** — „იმ დღეს შევარდნაძემ და გორგოძემ ერთმანეთზე გაიწიეს" — 106 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „ყოფილი ქურდი დიდი თავადის პორტსიგარით" — 89
3-4. **ეთერ თარიმანი** — რუბრიკა „ჩვენ, ქართველები" — 38
3-4. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 38
5. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ერთმა მენატურემ თავისი 9 წლის გოგონა მომიყვანა(?!)"

***მკითხველის პრემიის მფლობელები 351-მა რესპონდენტმა გამოავლინა***

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, ვერთვეკ-ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ჩოხატაური, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ჭიათურა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო*

*„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

**(30) უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______

**სიტყვა და საქმე**

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№30 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 28 ივლისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

# მოტყუვდა კაცი, რომელიც სხვას ატყუებდა ყოველთვის

## „ქრთამს მაშინაც იღებდნენ და ახლაც“



*(დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №28-29)*

როცა შევარდნაძე ჩვენი ქვეყნის მეთაური გახდა, უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელობა აიძულა, ერთი ხელის მოსმით გაეუქმებინა საბჭოთა კავშირის ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ ხაბეიშვილისთვის გამოტანილი განაჩენი.

**— რით ხსნით შევარდნაძის ამ საქციელს?**

— ეტყობა, ციხიდან იმის შიშით გამოიყვანა, ხაბეიშვილს რომ არ გაეხმაურებინა, რაებიც ჰქონდათ ერთად ნაკეთები. ხაბეიშვილს 15 წელი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ 8 წელი მოიხადა. ამის შემდეგ თავისი ფონდი ჩააბარა შევარდნაძეს.

**— ბატონო ვახტანგ, თავის დროზე (და ახლაც) დიდი მითქმა-მოთქმა იყო ხაბეიშვილის მკვლელობაზე. თუ იცით რამე ამ ფაქტთან დაკავშირებით?**

— ხაბეიშვილი სახლიდან რომ გამოვიდა, მაშინ მოკლეს ეზოში. მისი მკვლელობის რამდენიმე ვერსია განიხილებოდა. პირველი სულელური იყო, მაგრამ პროკურატურამ ბოლომდე ის გაატარა. საცოდავია ყველა, ვისაც სჯერა — ხაბეიშვილი იმიტომ მოკლეს, რომ მისი სახლის ლიფტში ბომბი დაემონტაჟებინათ და პანაშვიდზე მისული შევარდნაძე აეფეთქებინათო. იყო მეორე ვერსიაც — ვითომ ხაბეიშვილს გუდაურის კომპლექსის ხელში ჩაგდება უნდოდა და ამას შეეწირა. ხაბეიშვილს კი შევარდნაძის საშუალებით უნდოდა გუდაურის ხელში ჩაგდება. მის სურვილს დათო სანიკიძე და სასტუმრო „შერატონ მეტეხის“ მეპატრონე, ბაუზბეკი ეწინააღმდეგებოდნენ. ისინი მეგობრები იყვნენ და ერთად საქმიანობდნენ. ბაუზბეკს წილი გუდაურშიც ჰქონდა. მაგათ მოიცილეს ხაბეიშვილი.

ხაბეიშვილი ისრაელში აპირებდა გამგზავრებას და წინა დღეს „შერატონ მეტეხში“ შეხვდა დათო სანიკიძეს. არიან თვითმხილველები, რომლებიც ამბობენ, ხაბეიშვილი შეხვედრიდან აფორიაქებული გამოვიდაო. მეორე დღეს გაირკვა, რომ ხაბეიშვილი დელეგაციის სიიდან ამოუღიათ. ძნელი მისახვედრი არ არის, ვის შეეძლო სიიდან მისი ამოღება, არც ის არის ძნელი მისახვედრი, ვისი თხოვნით მოხდა ეს. ხაბეიშვილი ისრაელში რომ უნდა გამგზავრებულიყო, მეორე დღეს მოკლეს.

დათო სანიკიძესა და შევარდნაძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. დათო ძველი ბიჭი იყო, „იაპონჩიკის“ ძმაკაცი, მოსკოვში ცხოვრობდა. როდესაც შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადადგა, მოსკოვში ხმა გავრცელდა — მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი მზადდებაო. სახელმწიფომ მის დაცვაზე უარი თქვა. მაშინ დათო სანიკიძემ დაიქირავა 7-8 „ვერზილა“ მოჭიდავე, თავზეხელაღებული ხალხი და სადარბაზოში დაუყენა მცველებად. ეს ხალხი შევარდნაძის სილამაზით კი არ იყო მოხიბლული, მათ დათო უხდიდა დიდ ფულს(?!).

შევარდნაძე მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, ეს ბიჭები ჩამოჰყვნენ. იმ დღეს ზურაბ წერეთლის სახლში, ბაგებში ვიქეიფეთ. მახსოვს, გია ჭანტურია და ირინაც იქ იყვნენ, ჯაბაც...

როდესაც დათო სანიკიძე და ხაბეიშვილი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, შევარდნაძემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არ ერეოდა მათ საქმეში, ისინი ერთმანეთს შეატოვა (ასე იცოდა)...

მოკლედ, ხაბეიშვილის ნეკროლოგზე ხელმომწერთა უმეტესობა მისი მკვლელობის თანამონაწილეები იყვნენ.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ წამოიწყო შევარდნაძემ საქმე თავისი მეგობრის წინააღმდეგ?**

— მე ვცდილობდი, დამედგინა, რატომ შეიცვალა შევარდნაძის დამოკიდებულება ხაბეიშვილის მიმართ და მალე ყველაფერი გავიგე. სპეცსამსახურებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ გენერალური მდივნის, ჩერნენკოს თანაშემწეს, პრიბიტკოვს საკავშირო ცეკაში მიუწვევია ულიანოვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი გენადი კოლბინი (საქ. კომპარტიის ცკ-ის ყოფილი მეორე მდივანი) და უკითხავს, საქართველოში ნამუშევარი კაცი ხარ და მითხარი, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს საქართველოში ხაბეიშვილიო. კოლბინს უთქვამს, გამოცდილი პარტმუშაკი და კარგი ორგანიზატორიაო. პრიბიტკოვს უთქვამს, ხაბეიშვილის ცეკას პირველ მდივნად დანიშვნას და შევარდნაძის საკავშირო ცეკაში გადაყვანას ვფიქრობთო. კოლბინმა ეს ამბავი შევარდნაძეს აცნობა. როგორც ჩანს, ამ ინფორმაციამ შევარდნაძე ალაშფოთა, ჩემი გვერდის ავლით ეს რატომ ხდებაო და გასცა ბრძანება, დაუყოვნებლივ გადმოეცათ ჩემთვის სიღნაღის რაიონის მასალები — ხაბეიშვილისთვის ძირის გამოთხრა და მისი გაფუჭება გადაწყვიტა. შევარდნაძე არ ელოდა, თუ ასეთ მასალებს წარვუდგენდით და ხაბეიშვილი დასაჭერი გახდებოდა. ალბათ, საინტერესოა, რატომ შეიცვალა პოზიცია შევარდნაძემ გამოძიების მიმდინარეობასა და განსაკუთრებით, სასამართლოს განაჩენის შემდეგ. ვგრძნობდი, რომ უშიშარი, გმირობას შეთამაშებული შევარდნაძე ჩაფიქრებული იყო და მწარედ განიცდიდა ხაბეიშვილის მკაცრად დასჯას. თუნდაც იმიტომ, რომ მისი დაწინაურებისთვის (პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობისთვის) 400 ათასი მანეთი ჰქონდა ხაბეიშვილს მოსკოვში ჩატანილი. ხაბეიშვილის საქმის გამოძიების დროს მაქსიმალურად ვცდილობდით, რაიმე ეპიზოდში შევარდნაძის როლი უარყოფითად არ წარმოჩენილიყო. შევარდნაძის საქართველოდან წასვლის შემდეგ ძალიან ბევრმა დააფიქსირა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება შევარდნაძის მიმართ.

ხაბეიშვილს წინასწარი პატიმრობის დროს ოთხჯერ შევხვდი. ვიცოდი, რომ ჩვენს საუბარს სუკი დეტალურად აფიქსირებდა, ამიტომ მას სხვადასხვა კაბინეტში ვხვდებოდი, მაგრამ როგორც ჩანს, ყველგან ჩართული იყო ჩამწერი აპარატურა. მისი თხოვნით ბოლო შეხვედრის ადგილად ავირჩიეთ შს სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მ. ჯაფარიძის კაბინეტი. ხაბეიშვილმა პრეტენზიები გამოთქვა, გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს. რატომ არ ამხელთ ყველას, ვინც დანაშაულს ჩადიოდა და მხოლოდ ჩემზე აგროვებთ მასალებსო. ვუთხარი, ყველაფერი დეტალურად მოწმდება. თუ რაიმე ინფორმაცია გაქვთ ვინმეზე, მზად ვართ, შევამოწმოთ-მეთქი. მითხრა, თუ ვიტყვი, როგორ ჩავიტანე კახეთის ერთ-ერთი რაიკომის მდივნის მიერ მოტანილი ოთხასი ათასი მანეთი მოსკოვში და გადავეცი ბრეჟნევის ქალიშვილს, შეამოწმებთო? თუ დაწერთ, შევამოწმებთ, მაგრამ იცოდეთ, რასაც დაწერთ, უნდა დაამტკიცოთ, თორემ ახალი ბრალდება დაგემატებათ-მეთქი. შევატყვე, ჩემი დაშინება უნდოდა შევარდნაძის მეშვეობით. მაგრძნობინა, რომ ეს შევარდნაძის დაწინაურებას ეხებოდა და თუ ამ ფაქტს წამოვატივტივებდი, შევარდნაძე არ მაპატიებდა.

ხაბეიშვილთან შეხვედრის მეორე დღეს მოსკოვიდან დამირეკა გენერალურმა პროკურორმა და მითხრა, თქვენთან მოდის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე და შეახვედრე ხაბეიშვილსო. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ხაბეიშვილთან საუბრის შინაარსი მათთვის ცნობილი იყო.

ამ საუბრით უაღრესად დაინტერესებული იყო მოსკოვი, როგორც ჩანს, იქ რაღაც ინფორმაცია ჰქონდათ. სწორედ ამ საკითხის დასაზუსტებლად მოდიოდა საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილე. ბოლოს თვით გენერალური პროკურორიც ჩამოვიდა და მთელი დღის განმავლობაში დაჰკითხავდა მას. საქართველოს მთავრობამ რეკუნკოვი კრწანისის რეზიდენციაში მიიღო. მთავრობის წევრებთან შეხვედრის შემდეგ მასთან დაახლოებით ორი-სამი საათის განმავლობაში ვისაუბრე. მითხრა, როცა შენ ხაბეიშვილს შეხვდი (ზუსტად დამისახელა დღე და რიცხვი), თქვენ შორის თუ შედგა ასეთი და ასეთი საუბარიო. მკითხა, თუ გჯერა, რასაც ხაბეიშვილი ამბობსო. ვუთხარი, შემოწმების გარეშე გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. მგონი, უფრო ჩემი დაშანტაჟებისათვის მითხრა ეს ყველაფერი-მეთქი. გაიღიმა და მითხრა, შენი მესმისო.

ჩანს, ამ საქმით დაინტერესებული საკავშირო ცეკას მეორე მდივანი ლიგაჩოვი იყო, რომელსაც გულზე არ ეხატებოდა შევარდნაძე, მაგრამ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ჯუმბერ პატიაშვილთან. ცხადია, რომ შევარდნაძე პატიაშვილს მისი კადრების უნდობლობასა და ლიგაჩოვთან მეგობრობას არ აპატიებდა. ამას ყველა გრძნობდა. მან ამ მიზნით შესანიშნავად გამოიყენა 9 აპრილის ტრაგედია. ალბათ, ყველას ახსოვს, როგორ ატარა პატიაშვილი ორგანიზაციებში და როგორ ალანძღვინა 9 აპრილის შემდეგ გამწარებულ ხალხს კინოსტუდიაში, მეცნიერებათა აკადემიაში და სხვაგან. თანაც პატიაშვილი სადაც მიდოდა, ყველგან თანამდებობიდან გადადგომას ითხოვდა, მაგრამ შევარდნაძეს უნდოდა, რაც შეიძლება მეტ ხალხს გაელანძღა ის.

ერთ დეტალს გავიხსენებ: 1988 წლის ნოემბერში (22-29) 10 ათასი კაცი შიმშილობდა მთავრობის სასახლის წინ. 28 ნოემბერს სიონის ტაძართან ტანკები გამოჩნდნენ, მაგრამ მაშინ შევარდნაძემ გორბაჩოვი დაარწმუნა, ქართველ ახალგაზრდობას მიმართეთ და ზოგიერთ რამესაც დაჰპირდითო. მახსოვს, როცა აქციის მონაწილეებმა 29 ნოემბერს გორბაჩოვის მიმართვის ტექსტი მოისმინეს, მშვიდობიანად დაიშალნენ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რატომ არ გამოიჩინა შევარდნაძემ ასეთივე დაინტერესება 9 აპრილის აქციის წინ, რატომ არ აიძულა პოლიტბიუროს წევრები: გორბაჩოვი, იაზოვი და სხვები მიემართათ ქართველი ახალგაზრდობისათვის, მოეწოდებინათ მათთვის წესრიგისაკენ, თუნდაც თანამშრომლობის დაპირებით. თუ ეს გააკეთა ნოემბერში, აპრილში რაღა უშლიდა ხელს? თუ ფიქრობდა, რომ მოსალოდნელი ტრაგედია სხვა, სასურველ ნაყოფს გამოიღებდა?

ძნელია შევარდნაძეს ბრალი დასდო, რომ 9 აპრილის ტრაგედია ხელს აძლევდა, მაგრამ მის ასაკვეთად გადამწყვეტი ზომები რომ არ მიიღო, როგორც პოლიტბიუროს წევრმა და ქართველმა კაცმა, ფაქტია.

ამას წინათ პრესაში გადავაწყდი მახარაძის რაიკომის მდივნის, თენეიშვილის პუბლიკაციებს. ამაზეც მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა.

მახარაძის რაიონის პროკურორი გურამ დანელია მოვიდა ჩემთან და რჩევა მკითხა — დაპატიმრებული ჰყავდათ რაიალმასკომის მთავარი ბუღალტერი, რომელსაც მითვისებული ჰქონდა 80.000 მანეთი. ბუღალტერი რაიალმასკომის თავმჯდომარეს, თენეიშვილს ამხელდა როგორც თანამონაწილეს. დანელიას ვურჩიე, რადგან თენეიშვილი რაიონული საბჭოს დეპუტატია, მის პასუხისგებაში მისაცემად რაიონული საბჭოს თანხმობა მოითხოვე და პარტიის რაიონულ კომიტეტსაც აცნობე-მეთქი. მაგრამ მოხდა დაუჯერებელი რამ — როცა პროკურორმა ჩემი რჩევისამებრ გააკეთა ყველაფერი, 2 თუ 3 დღეში შევარდნაძემ ცეკაში გამოიძახა მახარაძის რაიკომის მდივანი დვალიშვილი და ალმასკომის თავმჯდომარე თენეიშვილი. დვალიშვილი ფინანსთა მინისტრად დანიშნა, თენეიშვილი კი რაიკომის პირველ მდივნად. მოგვიანებით, როცა შს მინისტრმა შოთა გორგოძემ გამაცნო მახარაძის რაიონში ჩაის დამზადებაში დაშვებული სიყალბეებისა და მექრთამეობის მასალები, არც გამკვირვებია და ეჭვიც არ შემპარვია მათ ნამდვილობაში. თუმცა, ცოტა კი შევიშმუშნე და ვთქვი, ამას რომ შევარდნაძე გაიგებს, ალბათ, იტყვის, ჩემს კადრებს ავიწროებენო, მაგრამ სხვა გზა არ იყო, დამნაშავეს პასუხი უნდა ეგო ჩადენილი დანაშაულისათვის.

გამოძიების შედეგად გამოვლინდა, რომ რაიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი, ვინც მეჩაიეობას ეწეოდა, დანაშაულში იყო ჩაბმული. როცა დაკითხვები დაიწყო, დანაშაულში მხილებულებმა ჩაის პლანტაციებში გასვლაზე უარი განაცხადეს. ამბობდნენ, სიყალბეების გაკეთებას თენეიშვილი და ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელები გვაიძულებდნენო. ძიებისას პატიაშვილისგან შენიშვნა მივიღე, მთელი გურია ხომ არ გინდა დაიჭიროო. ჩვენ რომ მასშტაბური გამოძიება ჩაგვეტარებინა რაიონში, სადაც 17 ჩაის ფაბრიკა იყო და ყველას ყალბად ჰქონდა გაფორმებული ჩაის დამზადების დოკუმენტები, უბედურება დატრიალდებოდა.

თენეიშვილი იმხილებოდა სხვადასხვა პირისაგან ქრთამის აღებაში. თენეიშვილის ბინიდან ამოვიღეთ ქრთამის ნივთმტკიცებულებები. ჩემი და შოთა გორგოძის პრინციპულმა პოზიციამ გადაარჩინა სასჯელის უმაღლეს ზომას ხაბეიშვილი. ისეთი უთავმოყვარეო კაცი, როგორიც ოთარ თენეიშვილი იყო, არ შემხვედრია. არავინ არაფრის თქმას არ ავალებდა და თუ ვინმე თანამდებობის პირს იცნობდა, თავად ცდილობდა გაელანძღა, დაესმინა, ცილი დაეწამებინა. როცა მომახსენეს, თენეიშვილმა თქვა, ხაბეიშვილისთვის ქრთამად 100.000 მანეთი მაქვს მიცემულიო, ცოტა არ იყოს, დამაფიქრა თანხის ოდენობამ. მაინც დავინტერესდი, რადგან ყველა ხვდებოდა, რომ თენეიშვილს რაიკომის პირველ მდივნად ქრთამის გარეშე არავინ დანიშნავდა. შევხვდი და ვთხოვე, დაასაბუთე, რისთვის მიეცი ქრთამი ხაბეიშვილს-მეთქი. მიმტკიცებდა, ქრთამი იმისთვის მივეცი, რომ მასთან კარგი ურთიერთობა მქონოდაო, უფრო სწორად, თუ რამეს დაარღვევდა, ცეკაში მფარველი ჰყოლოდა. ვუთხარი, ნაცვლად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენისათვის სამუშაოდან გაეთავისუფლებინეთ, რაიკომის პირველ მდივნად დაგნიშნეს, ხაბეიშვილი ხომ არ დაგეხმარა ამ საქმეში-მეთქი. თენეიშვილმა კატეგორიულად განმიცხადა, ჩემი რაიკომის მდივნად დანიშვნა ხაბეიშვილისათვის არავის უკითხავსო. აბა, ვინ შეძლო, შენთვის დანაშაული ეპატიებინათ და რაიკომის მდივნად დაენიშნე-მეთქი. დღესვე რომ დამხვრიტოთ, არ ვიტყვიო. იზოლატორიდან დაბრუნებისთანავე გამომძიებელს ვუთხარი, თენეიშვილი ცრუჩვენებას იძლევა, მას ხაბეიშვილისათვის ქრთამის სახით ფული არ აქვს მიცემული-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ხაბეიშვილსაც ვკითხე, რატომ დანიშნეთ თენეიშვილი რაიკომის მდივნად-მეთქი. მიპასუხა, ჩემთვის ამ საკითხზე არავის არაფერი უკითხავსო. აბა, როგორ და ვინ დანიშნა-მეთქი, ირონიულად ჩაიცინა, ეგ თქვენ გაარკვიეთო.

**— გაარკვიეთ, ვინ დანიშნა?**

— შევარდნაძემ.

**— რა დამსახურებისთვის?**

— არ ვიცი, შევარდნაძე არ დამიკითხავს.

თენეიშვილი ამტკიცებს, ხშირად მხვდებოდნენ ინაური, გორგოძე და რაზმაძეო. სამივემ კარგად ვიცოდით, რას წარმოადგენდა თენეიშვილი, მასთან შეხვედრის სურვილი არავითარ ოპერატიულ ინტერესს არ წარმოადგენდა. არ მახსოვს, რომ პროკურატურაზე რიცხულ პატიმარს ჩემთან შეთანხმების გარეშე შეხვედროდა ინაური. არც ის მახსოვს, ინაურს თენეიშვილთან შეხვედრის სურვილი გამოეთქვა. ამასვე დაადასტურებს, ალბათ, შოთა გორგოძეც, რომელსაც ვიცი, რომ ძალზე ბევრი მასალა აქვს თენეიშვილის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ.

როდესაც ხაბეიშვილი ციხიდან გამოვიდა, რეაბილიტაციაზე დაიწყო ფიქრი. 1995 წელს ის შევარდნაძეს ახლდა ვაშინგტონში. მოსკოვში რომ დაბრუნდნენ, იმ დროს მეც იქ ვიყავი და მისმა მეგობრებმა, ზურაბ წერეთელმა და გურამ მგელაძემ მითხრეს, ხაბეიშვილს შენთან შეხვედრა უნდაო. ზურაბ წერეთლის ბინაში შევხვდით ერთმანეთს. ხაბეიშვილმა მითხრა, — უდანაშაულოდ დამიჭირე, გინდოდა, რომ ციხეში ჩაგესვი და მასალები შემიქმენიო. შენ რატომ მისწერე გორბაჩოვს, რომ რაზმაძე ჩემთან მოდიოდა, ოქმებს წერდა და საქმეებში კი ის ოქმები არ იდო, მოიპარა ოქმებიო. იუარა. აბა, გორბაჩოვს ტყუილი რად მისწერე-მეთქი. რა ვქნა, თავი ხომ უნდა მემართლებინაო. ბოლოს ესღა მითხრა ხაბეიშვილმა — რას გადამეკიდე, ყველა ჩემს მხარეზეა და შენ გამო თავს იკავებენო. მითხარი, ვინ არიან ისინი და ახლავე შენ თვალწინ დავურეკავ, რომ დაგეხმარონ-მეთქი. გაჩუმდა, ვერაფერი ველარ მითხრა. მაშინ ხაბეიშვილს დავპირდი — პროკურატურაში აღარ ვმუშაობ და შენს საქმეზე აღარაფერს ვიტყვი-მეთქი. ვწუხვარ, რომ ახლა პირობის დარღვევა მომიხდა, მაგრამ ბოლო დროს ისეთი სიბინძურეები დაიწერა პრესაში, ველარ გავჩუმდი.

ხაბეიშვილზე ლაპარაკი იმიტომაც არ მინდოდა, რომ ჩვენი შვილიშვილები თანაკლასელები არიან და მეგობრობენ, მაგრამ... ბოდიშს ვუხდი ხაბეიშვილის ოჯახს, რომ პირობა დავარღვიე, რაც მათ ოდნავ მოშუშებულ ჭრილობებს გაახსენებს. ვფიცავ, ძალიან განვიცდი ამ ამბავს.

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ თბილისის პროკურორთან, მიშა ქურდაძესთან მეგობრობდით. მისი მკვლელობის საქმით თუ დაინტერესდით, ვის უნდოდა მისი თავიდან მოცილება?**

— ამას წინათ თქვეს, რომ მისი მკვლელობა გაიხსნა და ამის გამო სასჯელს იხდის ერთი პირი. მაგრამ ის მხოლოდ შემსრულებელია, დღემდე ვერ დადგინდა, ვინ იყო ამ მკვლელობით დაინტერესებული.

როდესაც მიშა ქურდაძე მოკლეს, შევარდნაძის მრჩეველი ვიყავი სამართლებრივ საკითხებში. ქვეყანაში იმ დროს აბსოლუტური უკანონობა სუფევდა. პოლიცია იმას აკეთებდა, რაც უნდოდა. ქურდაძე პრინციპული კაცი იყო და პოლიციელთა თვითნებობას წინ აღუდგა. ამის გამო ბევრი განაწყენებული ჰყავდა. არ არის გამორიცხული, რომ მისი მკვლელობა ხელისუფლების ზედა ეშელონებში დაიგეგმა...

საერთოდ უიღბლო კაცი იყო მიშა. ერთად ვმუშაობდით. ის საგამოძიებო სამმართველოს უფროსი იყო, მაგრამ გაათავისუფლეს, ვითომ ძმის ჩადენილი დანაშაულის გამო. უბრალოდ კი მისი ადგილი ვიღაც კარიერისტს უნდოდა. სინამდვილეში კი აი, რა მოხდა. მისმა ძმამ კოოპერაციულ ბინათმშენებლობაში შეიტანა თანხა, ბინის აშენება უნდოდა. ცნობილი თაღლითები იყვნენ მშენებლები, კეკელიძის ქუჩაზე აშენებდნენ სახლებს. მათი საქმის გამოძიება კაგე-ბემ დაიწყო და ისინი ამხილეს. გამოძიებამ ჩათვალა, რომ ქურდაძის ძმას ქრთამი ჰქონდა მიცემული მათთვის. ძმის ამ „დანაშაულს“ გადააყოლეს მიშა. სინამდვილეში, ის თავისი პროფესიონალიზმის გამო ილებდა დარტყმებს. დააქვეითეს და რუსთავის პროკურორად გადაიყვანეს. ამ დროს მისი შვილი ირინა (რომელიც ახლა დეპუტატია) სტაჟის გამო ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობდა.



ედუარდ შევარდნაძე და ფელიქს სანაკოევი (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე)

*(დასასრული იხ. გვ. 34)*

# მოტყუვდა კაცი, რომელიც სხვას ატყუებდა ყოველთვის


მარცხნიდან — შოთა გორგოძე და ვარლამ შადური

(დასაწყისი იხ. გვ. 33)

ცეკამ წამოიწყო კამპანია, ვითომ ირინა სინამდვილეში არ მუშაობდა. სამჯერ შეამოწმეს, ჩვენც შევამოწმეთ, მაგრამ გოგონა პუნქტუალურად დადიოდა სამსახურში. ცეკას ვუმტკიცებდი, მიშა მართალია-მეთქი. იმ დროს რუსთავის ქალაქკომის მდივანი ჟიული შარტავა იყო. ჟიულის დავალება მისცეს — ქურდაძე სამსახურიდან გაათავისუფლეთ და პარტიიდან გარიცხეთო (იმის გამო, რომ ვითომ შვილს უკანონოდ გაუფორმა სტაჟი). შარტავას შევხვდი — სამსახურიდან ნუ მოხსნი, მიშა უკვე რესპუბლიკის პროკურატურის აპარატში მყავს გადმოყვანილი და გთხოვ, ნურც მისი პარტიულობის საკითხს განიხილავ-მეთქი. ჟიულის არ უნდოდა ცეკას დავალების უგულებელყოფა, მაგრამ მეც ანგარიში გამიწია. მიშა რუსთავში აღრიცხვიდან მოვხსენით და მისი პირადი საქმე კალინინის რაიკომში გადმოვიტანეთ. იქ კი აღარავის გახსენებია მისი პარტიიდან გარიცხვა...

მალე მიშა თბილისის პროკურორად გადაიყვანეს. მაშინ დაუპირისპირდა პოლიციას. როდესაც მოკლეს, ქვეყნის მეთაური შევარდნაძე იყო. ქურდაძის მკვლელობის გამოძიებას არც პროკურატურამ მიაქცია ყურადღება და არც შსს-მ. შევარდნაძეს ვუთხარი, საგამოძიებო ორგანოები ქურდაძის საქმის გამოძიებაში პრინციპულობას არ იჩენენ-მეთქი. ყველაფერი გაარკვიე და მომახსენეო. პროკურატურაში დავრეკე და მაშინვე გამომიგზავნეს გამომძიებელი წამალაშვილი — საქმე მომიტანა. მეორე დღეს რომ მოვიდა მის წასაღებად, ვუსაყვედურე — დედაქალაქის პროკურორი მოკლეს და ასე უპასუხისმგებლოდ როგორ ეკიდებით მისი მკვლელობის გამოძიებას-მეთქი. გამომძიებელმა მითხრა, რესპუბლიკის პროკურორმა თედო ნინიძემ გამაფრთხილა, დიდ ინიციატივას ნუ გამოიჩენ, თორემ შესაძლოა ძვირად დაგიჯდესო. შევარდნაძის მდივანს დავურეკე — მზად ვარ, ქურდაძის მკვლელობის შესახებ მოვახსენო-მეთქი. მიპასუხა, თქვენი ნათქვამი გადავეცი და თავად დაგირეკავთო. შევარდნაძეს არც დაურეკავს და აღარც ეს საქმე მოუკითხავს.

აი, ასეთი ამბები ხდებოდა ჩემი პროკურატურაში მუშაობის დროს. დასასრულ, ერთს ვიტყვი, ედუარდ შევარდნაძე იყო სოლიკო ხაბეიშვილის მფარველიც და დამღუპველიც(!).

— **თქვენ სამ ათეულ წელზე მეტხანს მუშაობდით პროკურორად, რამეზე ხომ არ გწყდებათ გული, ან შეცდომა თუ მოგსვლიათ?**

— მიზნის მისაღწევ ბრძოლაში შეუპოვარი ვიყავი. თუ კანონი საშუალებას მაძლევდა, ვცდილობდი ყველა დანაშაული მემხილებინა და ხელი არავისთვის დამეფარებინა. რომ ვთქვა, ყველაფერი განვახორციელე, რისი გაკეთებაც მინდოდა-მეთქი, ტყუილს ვიტყვი. იმდენად ფართო იყო ჩვენი საქმიანობის სფერო, რომ სამართალდამცავი ორგანოები ყველაფერს ვერ ჩავწვდებოდით. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ურთულესი პრობლემაა ყველა ქვეყანაში, ჩვენც გვქონდა სერიოზული ნაკლოვანებები. ძალიან ბევრი სფერო დარჩა საპროკურატურო ზედამხედველობის გარეშე. წინათ ასე არ იყო, როგორც ახლა, პროკურატურა პასუხს რომ არაფერზე აგებს. პროკურატურა ვალდებული იყო ყველა ორგანიზაციაში, უწყებაში, სამინისტროში დაეცვა კანონიერება. თუ ორგანიზაციის ხელმძღვანელი კანონს არღვევდა, ამაზე პასუხისმგებელი პროკურორი იყო. ის, რაც ქვეყანაში მაშინ ხდებოდა, იმაზე მეტყველებდა, რომ საპროკურორო ზედამხედველობა იმ დონეზე ვერ იდგა, რომ ყველა სფეროში წესრიგი ყოფილიყო. ამას ხელს უწყობდა არა მარტო ნაკლებპრინციპულობა, არამედ ისიც, რომ კომუნისტური პარტია მართავდა ქვეყანას. სამწუხაროდ, მათი სიტყვა კანონზე მაღლა იდგა. მაშინ არ არსებობდა კანონის უზენაესობა. ამიტომ ვერ ვიტყვი, ჩემი ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცი ვარ-მეთქი.

— **თქვენთვის არასოდეს შემოუთავაზებიათ ქრთამი?**

— როგორ არ შემოუთავაზებიათ...

— **რამდენი?**

— ვინ დაგისახელებდათ თანხას. ეგ რომ გამეგო, საქმეც უნდა გამეკეთებინა. საერთოდ, ძნელი იყო რესპუბლიკის პროკურორზე გასვლა, მისთვის ქრთამის მისაცემად. ქვედა რგოლებში კი ილებდნენ, ალბათ, ისე, როგორც ახლა.

*იზო რიკაძე*

# დაბადების დღეზე მირთმეული იურისტის ყალბი დიპლომი

(დასაწყისი იხ. გვ. 11)

ამის შემდეგ ნოტარიუს მაია ა.-ს ვესტუმრეთ. მის სანოტარო კანტორაში ხალხმრავლობა იყო. რიგში ჩავდექით. რამდენიმე წუთში ნოტარიუსმა თავის კაბინეტში მიმიწვია. მისვლის მიზეზი არ დამიმალავს, თუმცა უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის წერილისა და უნივერსიტეტის თანამშრომლებთან საუბრის შესახებ არაფერი მითქვამს.

**მაია ა.:** — ვინ მოგაწოდათ ასეთი ინფორმაცია? ეს ჩემი ყოფილი ქმრის ნახელავია. ადრე პოლიციელი იყო. რამდენიმე წლის წინ, როდესაც ფოთის პოლიციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა, კაცი მოკლა. გაასამართლეს და ახლა ციხეში, უფრო სწორად, ციხის საავადმყოფოშია.

— **მეუღლემ, თუნდაც ყოფილმა, როგორ ჩაგიშვათ?**

— პათოლოგიურად ეჭვიანია. ციხეში რომ ჩასვეს, კარგა ხანს ვპატრონობდი, მაგრამ ეჭვიანობით გამამწარა და დავშორდი. ახლა ამ გზით ცდილობს სამაგიერო გადამიხადოს.

— **მაპატიეთ, მე თქვენი პირადი ცხოვრება არ მაინტერესებს. თქვენთან მხოლოდ იმის გასარკვევად ვარ მოსული, დიპლომი მართლაც ყალბი გაქვთ თუ არა. იქნებ თქვენი დიპლომის დედანი მაჩვენოთ.**

— დედანი თან არ მაქვს. თუ ხვალ მობრძანდებით, გაჩვენებთ. რატომ გგონიათ, რომ უნივერსიტეტის დამთავრებას ვერ შევძლებდი?

მეორე დღეს ნოტარიუსს შეთანხმებისამებრ ვესტუმრე. სანოტარო კანტორის ბუღალტერმა დიდი მოწიწებით მიმიწვია ნოტარიუსის კაბინეტში.

**მაია ა.:** — ბატონო ზვიად, გუშინ ძალიან ავღელდი და აზროვნება აღარ შემეძლო. სულ დამავიწყდა მეთქვა, რომ დიპლომის დედანი კარგა ხანია დაკარგული მაქვს.

— **მაშინ სხვა გზით შევეცადოთ იმის დამტკიცებას, რომ თქვენ ნამდვილად სწავლობდით უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. დამისახელეთ თქვენი ჯგუფის ნომერი და იქნებ თქვენი ორი-სამი თანაკურსელის მისამართიც მომცეთ.**

— რა ჯგუფის ნომერი, გუშინ რა მივირთვი სადილად, ის არ მახსოვს. სამწუხაროდ, კურსელებისა და თანაჯგუფელების გვარ-სახელებიც დამავიწყდა. ჩემი ქმრის ეჭვიანობის გამო კონტაქტი არც არავისთან მქონია.

— **იქნებ თქვენთვის სასურველ დროს წავიდეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. როგორც ვიცი, იქ ისევ ის პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიან.**

— ძალიან დაკავებული ვარ. ერთი წუთიც კი არ მაქვს თავისუფალი.

— **ფოტოს მაინც გადაგიღებთ და იქნებ გიცნონ უნივერსიტეტის ძველმა თანამშრომლებმა.**

— უნივერსიტეტის დამთავრებიდან 15 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საკმაოდ შევიცვალე და ვერავინ მიცნობს.

— **იცით, უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში კატეგორიულად უარყოფენ სტუდენტ მაია ა.-ს არსებობას. მით უმეტეს, თქვენთვის დიპლომის მოცემას.**

— საქმე ის არის, რომ მე ლექციებზე არ დავდიოდი. გამოცდებზე ჩემს ქმარს მივყავდი, მაგრამ გამოცდაზე არ მიშვებდა, თვითონ გამოჰქონდა ნიშანი. მაგრამ მას შემდეგ დავჯექი და ვიმეცადინე. ნოტარიუსისთვის საჭირო სტაჟირებაც გავიარე, სერტიფიკაციის გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარე და იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ნოტარიუსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსშიც გავიმარჯვე. ამდენ ბარიერს როგორ გადავლახავდი ყალბი დიპლომით?..

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე **ნინო ხოფერია:** — მე როგორც საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, წარმოვადგენ და ვიცავ ნოტარიუსების ინტერესებს. მაია ა. კარგი ნოტარიუსია. თუ მას ყალბი დიპლომი აქვს, ეს გამოძიებამ ან სასამართლომ უნდა დაამტკიცოს. საერთოდ, ნოტარიუსთა პირადი საქმეები იუსტიციის სამინისტროში ინახება.

დასასრულ, ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურს და ნოტარიუს მაია ა.-ს პირადი საქმე მოვითხოვეთ. პრესსამსახურის თანამშრომელმა გვაცნობა, რომ ამჟამად ნოტარიუს მაია ა.-ს საქმეს სწავლობს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, ხოლო გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა ამ საქმესთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს.

P.S. მომავალში ჩვენ ამ თემას მივუბრუნდებით და შევეცდებით ის მოსამართლეები და გამომძიებლები ვამხილოთ, რომლებმაც თავიანთ თანამდებობას ყალბი დიპლომის გამოყენებით მიაღწიეს და ახლა ადამიანების ბედი აბარიათ. სწორედ მათ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული განსასჯელის მომავალი. რა სამართლიანობაზე შეიძლება ელაპარაკო ყალბდიპლომიან სამართალდამცველს, რომელიც თვითონ არის სისხლის სამართლის დამნაშავე(?!).

*ზვიად ჩაკვეტაძე*





ახალი კლინიკა
თმის გადანერგვა
ხელმძღვანელი
პროფ. თამაზ თამაზაშვილი



- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
- ხელმისაწვდომი ფასები, კონფიდენციალობა

HAIRLINE International
ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი



ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

# ჟირესი ახალკაცის ნაღმზე



საქართველოს ნაკრები ახალ მთავარ მწვრთნელს ეძებს. გასულ პარასკევს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ალენ ჟირესი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ტანმორჩილი ფრანგის პოსტიდან წასვლის ოფიციალური მოტივი ქვეყნის პირველი გუნდის მიერ ჩაგდებული გერმანია — 2006-ის შესარჩევი ეტაპი გახლდათ. ახალკაცმა თავისი წინამორბედის მიერ ჟირესთან გაფორმებული კონტრაქტის ცალკეული მუხლები მოიშველია, რომლის მიხედვით ფრანგი მწვრთნელი მუშაობას იმ შემთხვევაში გააგრძელებდა, თუ ნაკრები ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილს დაიკავებდა და რაკილა ამის გაკეთება ვერ შეძლო, მას კარისკენ მიუთითა.

ჟირესი მორიგი ტიტულოვანი ფიგურა გახლავთ ჩივაძის, ყიფიანის, გუცაევის, ბოსკამპისა და შუშაკის შემდეგ, რომლის ცოდნა და ავტორიტეტი საკმარისი არ აღმოჩნდა საფეხბურთო „ვუნდერკინდებით“ გადაჭედილი საქართველოს უპირველესი გუნდის ელიტაში ალსაზევებლად. ყველა მათგანის დებიუტი იმედიანად დაიწყო, მაგრამ გადამწყვეტ ეტაპზე კრახი განიცადა. როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრები საკრალური საიდუმლოს მატარებელი „თანავარსკვლავედია“, რომლის ამოუხსნელ „ბრწყინვალებაზე“ კიდევ არაერთი, წარსულში სახელგანთქმული საფეხბურთო მოღვაწე „ჩაიწვება“.

სავარაუდოდ, ჟირესი განთავისუფლებას არ ელოდა და საამისოდ რამდენიმე მიზეზიც ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი დამრიგებელი დროის უმეტეს ნაწილს სამშობლოში ატარებდა, მას მაინც ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ჩვენს გადახრიოკებულ მინდვრებზე ის საცოდაობა ეხილა, რასაც ეროვნული ჩემპიონატი ჰქვია. სანახაობით შეძრწუნებულმა ჟირესმა დღემდე ვერ ჩამოაყალიბა ნაკრების სტრატეგიული კურსი, შედეგზე ორიენტაციის უებარ საშუალებად ადგილობრივთა ნაცვლად მთლიანად ლეგიონერებზე დაყრდნობა არჩია, რომელთა უმრავლესობა ევროპის საშუალო დონის კლუბებში სადათარიგოთა სკამებზე ცვეთდა სპორტულ ეკიპირებას. თუმცა, ფრანგმა ვერ გაითვალიწინა ქართველ ფეხბურთელთა „უნიკალური“ ხასიათი, რომლის მიხედვით მათ შეუძლიათ დღეს ტოლ-სწორად ეთამაშონ მსოფლიო გრანდებს, ხვალ კი უმური განწყობის გამო ფიანდაზივით გაეფინონ ფეხქვეშ აუტსაიდერებს. როდესაც ჟირესი თავისი შეგირდების ხასიათთა ცვლილებების მორევში მოხვდა, უკვე გვიანი იყო: გერმანიისკენ მიმავალმა ექსპრესმა დიდი სისწრაფით ჩაიქროლა და გაოგნებულ ფრანგს პლასტმასის ბოთლების უსიამოვნო მტვერი შემოაყარა...

ამის შემდეგ ჟირესი მომდევნო ციკლისთვის მზადებაზე ალაპარაკდა. ახალკაცმა ჟირესის გულწრფელობა იმით გამოსცადა, რომ ფრანგს 17-18 წლის ჭაბუკების მოზრდილი სია მიართვა, — თუ მომზადებას ფიქრობ, მაშინ პირველ ნაკრებში ეს ბავშვები დააფრთიანეო. ჟირესი მოვლენათა ასეთი განვითარებისთვის მზად არ იყო ელემენტარული მიზეზის გამო: მას მოუცლელობის (?!) გამო ამ ბავშვების არათუ თამაში ჰქონდა ნანახი, არამედ მათი გვარ-სახელიც პირველად ესმოდა. საამისოდ არც სელექცია ჰქონდა აწყობილი და არც სამწვრთნელო შტაბი. სავარაუდოა, რომ ნაკრების ერთბაშად გაახალგაზრდავების პერსპექტივამ შედეგზე მოფიქრალი ჟირესი ვერაფრით მოხიბლა და ფედერაციის ახალი პრეზიდენტის შემოთავაზება თავის საქმეებში ჩარევად აღიქვა. ჟირესი ფედერაციის წინა ხელმძღვანელობის დროსაც მიანიშნებდა გარეშე ძალების „სელექციურ“ ზეწოლაზე, მაგრამ კონკრეტული არაფერი უთქვამს და არც ამჯერად დაუსახელებია სიაში ჩამოთვლილი ნაკრების კანდიდატების ვინაობა. როგორც ჩანს, ახალკაცმა წინასწარ იცოდა, რომ მუსიე ალენი „ნელთბილი“ სიმართლის პოზიციიდან არ გადაუხვევდა და ჟირესს მეორე „ნაღმი“ დაუდო: — ფეხბურთის ფედერაციას არა აქვს იმის საშუალება, რომ მაღალანაზღაურებადი უცხოელი მწვრთნელი შეინახოსო. ჟირესი ამ „ნაღმზეც“ „აფეთქდა“ და გაუგებარი ალტრუიზმი გამჟღავნა: — საქართველოს ნაკრებში იმაზე დაბალი ხელფასი მქონდა (ჩვენი ინფორმაციით თვეში 10 000 დოლარი. — ავტ.), რასაც ნებისმიერ ფრანგულ კლუბში გადამიხდიდნენო. ისე გამოვიდა, რომ ალენ ჟირესმა დღემდე უცნობი პატრიოტული მოტივით მშობლიურ ქვეყანაში გაცილებით მაღალ ანაზღაურებაზე უარი თქვა და საქართველოს ნაკრების ასალორძინებლად დაუყოვნებლივ გამოეშურა(?!)

ახალკაცმა აქ წერტილი დასვა, მითუმეტეს, რომ ფედერაციაში მოსვლისას „აღორძინებული“ ნაკრების ნაცვლად ჯგუფის უიმედო აუტსაიდერი დახვდა. უეფას კულუარებში შესანიშნავად გათვითცნობიერებული ახალკაცი დარწმუნდა, რომ ამ ეტაპზე ალენ ჟირესს მხოლოდ დაბალი კვალიფიკაციის გამო არ იწვევდნენ მაღალხელფასიანი გუნდები და ასეთი რანგის საფეხბურთო დამრიგებლისთვის ფულის გადახდა ზედმეტ ფუფუნებად ჩათვალა. ისედაც ახალკაცის წინამორბედ ხელმძღვანელობას ფრანგი მწვრთნელისთვის სოლიდური სახელფასო დავალიანება ჰქონდა დაგროვილი (კულუარული ინფორმაციით ეს თანხა 150 ათას დოლარამდე აღწევს. — ავტ.), ფედერაციას ამ დავალიანების გადახდა მაინც მოუწევს, მაგრამ ამ უწყების ახალი პრეზიდენტი, როგორც ჩანს, უცხოელი სპეციალისტის მოწვევისგან კარგა ხანს თავს შეიკავებს და ადგილობრივ კადრებს დაეყრდნობა.

ვინ იქნება ჟირესის შემცვლელი? კანდიდატები არც ისე ბევრია. უფრო გამოკვეთილად გაიოზ დარსაძე და რევაზ ძოძუაშვილი სახელდებიან. შესაძლოა, უფროსი ნოდარ ახალკაცის გამოკვეთილ ფავორიტ ჩივაძეზეც ჩამოაგდონ სიტყვა, მაგრამ ძნელი სავარაუდოა, რომ ნაკრებში ამდენი ტკივილის მნახველი, თავის დროზე ფეხბურთის პროფესორად აღიარებული ჩივაძე ამ შემოთავაზებას დათანხმდეს. ვის აირჩევს ახალკაცი, ძნელი სათქმელია: დარსაძეს, როგორც ნიჭიერ სპეციალისტს, რომელსაც ამხელა რანგის სამწრთვნელო გამოცდილება არ გააჩნია თუ ძოძუაშვილს, რომელმაც, სადაც მივიდა, ყველგან ხმაურიანი სენსაციებით გაანებივრა გულშემატკივარი და „არაფრისაგან“ კონკურენტუნარიანი გუნდები შექმნა. იმედია, ფედერაციის პრეზიდენტი ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რაც შემდგომში სანანებლად არ გაუხდება.

## „მხიარული ჩემპიონები“

სპორტული ასპარეზობები სხვა არაფერია, თუ არა მწვავე, დრამატული მომენტები და პირველობისკენ სწრაფვა, მაგრამ ასეთი დაძაბულობის ფონზეც ხშირია ისეთი კურიოზული სიტუაციები, რომლებიც შესაძლოა ნებისმიერ სპორტსმენს (მათ შორის, საქვეყნოდ აღიარებულსაც) შეემთხვეს და წლების შემდეგაც კი ღიმილი მოჰგვაროს. ვფიქრობთ, „კვირის პალიტრის“ მიერ შემოთავაზებული „კურიოზული ფოტოგალერეა“ მხიარულ განწყობაზე დაგაყენებთ.











# ქართული ფეხბურთის „ქარვასლა“ უნდა დაიმსხვრეს

გასულ კვირას კახა ცხადაძის მიერ დამოძღვრილმა საქართველოს ჩემპიონმა თბილისის „დინამომ“ ესტონეთის „ლევადია“ ჩამოაცილა სალიგო ბატალიებს. დიდად საამაყო ამ წარმატებაში შესაძლოა არაფერია, მაგრამ თუ დღევანდელ რეალობას თვალს გავუსწორებთ, სახელოვანი „დინამოს“ უსახელო „ლევადიასთან“ გამარჯვება აქტივში უნდა ჩაგვეწეროს.



ქართველები მოთმინებით დიდად არასოდეს გამოვირჩეოდით და „დღევანდელი კვერცხით“ კმაყოფილებს წლები ისე შემოგვადნა ხელში, რომ „ხვალინდელი ქათმის“ დაჭერა ვერაფრით მოვახერხეთ. ყოველი სეზონის წინ „დინამოს“ დაშლა-აწყობის პროცესი მიმდინარეობს და მორიგ ევროტურნირებს გუნდი გამოუცდელი კონტინგენტით ეგებება. გასაგებია, რომ საფეხბურთო კლუბს დღევანდელობა მკაცრ ფინანსურ მოთხოვნებს უყენებს, რომელიც დაქცეული ქართული ფეხბურთის ფონზეც კი ექვსნიშნა ციფრებით გამოიხატება, მაგრამ ყოველი ახალი სეზონის წინ გუნდის ძირეული გადახალისება შედეგს ვერასოდეს მოგვიტანს. „დინამოს“ მეპატრონეთა სტრატეგია შორს მიმავალ მიზნებზე უნდა იყოს გათვლილი და არა ერთწლიან პროგრამებზე, რომელშიც მხოლოდ ძველებური „ქარვასლის კანონებით“ ხელმძღვანელობენ. საქართველოში შედეგის მიღწევა 19-20 წლის ახალგაზრდებით (უდავოდ ნიჭიერი, მაგრამ გამოუცდელი) სურთ, რომლებსაც ერთ-ორ წელიწადში საშუალო დონის გუნდებში ჩალის ფასად ჰყიდიან და მერე ყველაფერი თავიდან იწყება. ამ „იყიდე-გაყიდეში“ კი ესტონელებთან და მათ მსგავს გუნდებთან მიღწეული წარმატება ლამის სენსაციად ინათლება...

შარშან „დინამომ“ ნამდვილი ფურორი მოახდინა, როდესაც უეფას ჯგუფურ ეტაპზე გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა ბოლო ადგილი დაიკავა, „დინამოს“ ჭაბუკებისთვის „ნიუკასლთან“, „სოშოსთან“ და „სპორტინგთან“ ჩატარებული მატჩები დიდი სკოლა გახლდათ და მათგან მიღებული გაკვეთილების „სიმწარე“ წელს მაინც უნდა „გატკბილებულიყო“, მაგრამ ის, ვინც შარშან ამ სენსაციას ქედავდა, დღეს გუნდში აღარ არის: კვირკველია, კანკავა, შაშიაშვილი და ბურდული მაჩანჩალა „ალანიაში“ გაყიდეს, კაკალაძე დაშლის პირას მისულ ქუთაისში გაუშვეს, სალუქვაძე — „რუბინში“, სილაგაძე — ისრაელში... ეს უკვე ნახევარი გუნდია. მათი ადგილი პერსპექტიულმა ჭაბუკებმა შეავსეს, მაგრამ „ლევადიასთან“ ორრაუნდიანი ორთაბრძოლის ბედი ბოლო წუთამდე ბეწვზე ეკიდა. ვინ მოუგო ესტონელებს? ისევ მათ, ვინც შარშანდელ ევროტურნირებზე გამოცდილებით „გამდიდრდა“: კანდელაკმა, მელქაძემ და ალადაშვილმა. ესენიც რომ გაეყიდათ, „დინამო“ ესტონურ ბარიერს ვერ გადალახავდა. დაუმატეთ ამ სამეულს ის ნახევარი გუნდი, ზემოთ რომ ვახსენეთ და იოლად დარწმუნდებით, რომ ჩვენს მომდევნო მეტოქეს, დანიურ „ბრონდბიუს“ გაცილებით დიდი თავსატეხი გაუჩნდებოდა ჩვენთან შეხვედრის წინ, ვიდრე ჩვენს „დინამოს“...

დანიურ ფეხბურთს საქართველო წინათ რამდენჯერმე გადაეყარა. 1977 წელს უეფას თასის საშემოდგომო ეტაპზე თბილისის „დინამომ“ სულაც „ცალი ფეხით გადაუარა“ „კოპენჰაგენს“ (4:1, 2:1). მანამდე ორი კვირით ადრე ქართველებს მილანის „ინტერი“ ჰყავდათ დაჩოქებული და არც დანიელებს ჰქონდათ იმის ილუზია, რომ ყიფიანის, გუცაევის, მაჩაიძის და შენგელიას „დინამოს“ რამეს დააკლებდნენ. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს უკვე „ბრონდბიუ“ ითვლება ფავორიტად „დინამოსთან“ პაექრობაში, რადგან ქართული კლუბი დიდი ხანია „ქარვასლად“ გადაიქცა და საოცარი „გულუხვობით“ ამარაგებს ისეთ უცხოურ გუნდებს, რომლებიც საკუთარ ჩემპიონატებში სულს ლაფავენ. ამ ფონზე პატარა სკანდინავიური კლუბის, დანიის ათგზის ჩემპიონის „ბრონდბიუს“ თბილისში ჩამოსვლა ლამის ბრაზილიის ნაკრების სტუმრობას ჰგავს. „დინამოს“ შანსები კი მიზერულია. ასეა, როცა იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვზივართ...

მაგრამ, რაკი მაინც არსებობს შანსი, თუნდაც მიზერული, „დინამომ“ ბოლომდე უნდა იბრძოლოს მის გამოსაყენებლად. საქართველოს ჩემპიონს სათავეში უდგას მწვრთნელი, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა საკუთარი საქმისადმი თავდადებით. კახა ცხადაძის მთელი საფეხბურთო კარიერა ამის დასტურია. მან კარგად უწყის შრომისა და ნიჭის შერწყმის შედეგად მიღებული საზღაურის ფასი, რამაც რუსთავის „მეტალურგში“ მოკრძალებით მოსული კახა ცხადაძე წლების შემდეგ ბუნდესლიგის ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ აქცია. მას შეუძლია დაისახოს მიზანი და მის მისაღწევად არ დაზოგოს არც საკუთარი და არც სხვისი ძალა და ენერგია. ეს არის ერთადერთი შანსი, რაც გამოუცდელი ჭაბუკებით დაკომპლექტებულ „დინამოს“ გააჩნია მსოფლიო დონის ვარსკვლავის მიქაელ ლაუდრუპის მიერ დამოძღვრილი „ბრონდბიუს“ წინააღმდეგ. თუკი დინამოელებმა ისეთივე თავდადება გამოამჟღავნეს, როგორც ამას მათი მწვრთნელი ავლენდა მინდორზე, დანიელთა ბარიერს გადავლახავთ.

მეორე — რაც „ლევადიასთან“ „გაგვივიდა“, „ბრონდბიუ“ ცხვირში ძმრად წამოგვადენს. არ შეიძლება, თუნდაც გამოუცდელი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა ამდენი აშკარა საგოლე მომენტის გაფლანგვის უფლება მისცეს საკუთარ თავს. დღევანდელ ფეხბურთში ასეთ ფუფუნებას მხოლოდ ისინი იქმნიან, ვისაც „თავი ქუდში აქვს“ და „თავშიშველა“ „დინამოს“ ასეთი უდარდელობა წარსულის დიდებას ვერასოდეს დააბრუნებინებს.

დაბოლოს, მესამე, უმთავრესი ფაქტორი: ქართული ფეხბურთი რასაკვირველია, უნდა აჰყვეს სპორტის ამ სახეობის პროგრესულ მოთხოვნებს, მაგრამ ჩვენ მაინც საკუთარი, თვითმყოფადი სტილი გვაქვს, რითაც მიგვიღწევია დიდი თუ მცირე წარმატებებისთვის: ეს არის ტექნიკური, კომბინაციური თამაშისადმი „ხარკის გადახდა“. „ბეიბეგის“ დემონსტრირება დანიელთა „ვირგლა“ მცველებთან რომ არ გაგვივა, იმედია, გამოუცდელი ფეხბურთელებიც გააცნობიერებენ. „ბრონდბიუს“ მხოლოდ „ქართული თამაშით“ გავტეხავთ: პასის კულტურით, „ცეცხლოვანი ფლანგებით“ და ტემპის გააზრებული მონაცვლეობით. დიდი ფეხბურთელი იყო „ბრონდბიუს“ ამჟამინდელი დამრიგებელი მიქაელ ლაუდრუპი, მაგრამ ვერავინ დამაჯერებს, რომ მას „დინამოზე“ ნიჭიერი კონტინგენტი ჰყავს. მათ მხარეზეა გამოცდილება და სათამაშო დისციპლინა, ჩვენ კი „ჯიგარი“, თავდადება და ხალასი ნიჭი უნდა დავუპირისპიროთ, ნიჭი, რომელმაც „დინამოს“ „ქარვასლაში“ დღევანდელი „კვერცხები“ უნდა „დაამსხვრიოს“...

*გვერდი მოამზადა ზვიად სუხიაშვილმა*

## ფოტო განწყობისთვის



— მარტო ერთი კოცნა მინდა!..



### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. თაბახი; 6. ბაგუ; 7. თულუხი; 8. ბახი; 9. ნევილი; 10. ლუნატიკი; 14. პუფი; 16. გვარდია; 18. რაფია; 19. ფაუსტი; 22. ბუმი; 23. შივა; 24. რუანდა; 26. ტაიგა; 27. სპეტაკი; 31. პერუ; 33. გენოციდი; 34. ვექსპერი; 35. ლუზა; 36. ქუდილა; 37. სანა; 38. რაპირა.

**შვეულად:** 1. თუთუნი; 2. ბოლივარი; 3. ხუხულა; 4. მანაგუა; 5. კეფირი; 10. ლაბრადორი; 11. ნეოფობია; 12. ტოგა; 13. კია; 15. ცდა; 17. დინოზავრი; 19. ფაშა; 20. სტადიონი; 21. ვიზა; 25. დლე; 26. ტილო; 28. პარპრიზი; 29. აბე; 30. დრეზინა; 31. პოლისი; 32. ვნერა; 33. გიტარა.

28/VII

უკანასკნელი მეოთხედი

**თარაზულად:** 5. მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 6. სახელმწიფო აფრიკაში; 7. მამაკაცის კოსტიუმის ზედა ნაწილი; 10. ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული; 13. წელიწადის დრო, რომელიც ყველაზე უფრო შესაფერისია რაიმე საქმიანობისთვის; 14. იჯარა; 15. მძიმე ნავთობპროდუქტების გადამუშავება ბენზინის მისაღებად; 17. ჩრდილოეთ ამერიკის ტყეებში ბინადარი დათვის სახეობა; 18. ჩინელი დიქტატორი; 19. ბედი; 20. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი; 23. ქაღალდის ფულის გაუფასურება; 26. ბუდისტური სალოცავი; 27. ფერადი, გაუმჭვირვალე მინა პატარა კუბების ან ფირფიტების სახით, იყენებენ მოზაიკაში; 32. ჩქარი, რიტმული, ვირტუოზული პიესა ფორტეპიანოსთვის; 33. თვითმფრინავების სადგომი; 34. გარეული ფრინველი; 35. სინამდვილის დამახინჯებულად, მკაცრად აღქმა.

**შვეულად:** 1. ლითონის რკალი, რომელსაც იკეთებს მხედარი ფეხსაცმლის ქუსლზე ცხენის საჩხვლეტად; 2. ჯანმრთელი, დაუავადებელი; 3. რქებდახრილი ხარი; 4. კეთილი სული გერმანულ მითოლოგიაში; 8. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი; 9. გერმანელი ფილოსოფოსი; 11. სამაგიდო თამაში; 12. დიდი შალაშინი; 16. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 17. ერთგვარი სპორტული მარხილი; 21. შხამიანი ბუზი; 22. ძირითადი ფერი; 24. დამხმარე თეორემა, რომელიც აუცილებელია სხვა თეორემის დასამტკიცებლად; 25. სათიბი იარაღი; 28. ღლავი; 29. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში; 30. ღვინის საწყაო, უდრის დაახლოებით ერთ ფუთს; 31. პარიზის აეროპორტი.

შეადგინა ვანო კაჭახიძე






## ალ პაჩინომ ახალი სიყვარული იპოვა



ცნობილი ტოპ-მოდელი ელ მაკფერსონი სულ ახლახან დაშორდა თავის „სამოქალაქო მეუღლეს" — ბიზნესმენ არპად ბუსონს, მაგრამ უკვე იპოვა ნუგეშისმცემელი — განუმეორებელი ალ პაჩინო!

რამდენიმე დღის წინ წყვილი რომანტიკულ საღამოს ატარებდა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ფეშენებელურ რესტორანში. მათ ყურადღება მიიპყრეს არა მარტო ერთმანეთის ალერსით, არამედ სიმაღლეში კომიკური სხვაობითაც. ალ პაჩინო მხრამდე ძლივს სწვდებოდა ტანმაღალ მოდელს.

თურმე, პაჩინო გადასაღებ მოედანზეც არაერთხელ ჩავარდნილა მსგავს სიტუაციაში.

„ნათლიის" გადაღების დროს დაიან კიტონს (ალ პაჩინოს გმირის — კორლეონეს ცოლს) ზოგჯერ საგანგებოდ გამზადებულ თხრილში უხდებოდა სიარული, რათა მათი სიმაღლეში სხვაობა არავის შეემჩნია.

## უილიამ დეფო დაქორწინდა



44 წლის მსახიობმა და რეჟისორმა უილიამ დეფომ ცოლად შეირთო 23 წლის სცენარისტი ჯად კოლაგრანდი. ვარსკვლავური საზომით, მათ ძალიან მოკრძალებული ქორწილი გადაიხადეს ნიუ-იორკში, რომელსაც ესწრებოდნენ ნეფე-პატარძლის ნათესავები და უახლოესი მეგობრები.

უილიამი და ჯადი ერთად მუშაობდნენ ერთ-ერთი ფილმის სცენარზე და ერთმანეთი ძალიან შეუყვარდათ. ორივესთვის ეს პირველი ქორწინებაა, თუმცა, უილიამს მსახიობ ელიზაბეტ ლე კომტთან 23 წლის ვაჟი ჰყავს. ისინი ერთად 27 წელი ცხოვრობდნენ ქორწინების გარეშე.

## ჯოლის ოჯახში მატებაა

როგორც ცნობილი გახდა, 30 წლის ამერიკელმა მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ მეორე ბავშვი იშვილა — ამჯერად ეთიოპიელი გოგონა. ყველა საბუთი ვარსკვლავმა უკვე გააფორმა და გოგონას ზაჰარა მარლი დაარქვა.

საინტერესოა, რომ ჯოლის ბოიფრენდმა ბრედ პიტმა (პრესის მტკიცებით) განაცხადა, რომ მანაც გადაწყვიტა იშვილოს აფრიკელი ბავშვი. ახლახან კი ჰოლივუდი ალაპარაკდა ჯოლის ფეხმძიმობაზე — მსახიობი ბრედ პიტისაგან ბავშვს ელოდებაო...



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54; რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".